ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოვლადთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

№ 9-10
ივნისი-ივლისი
1929

ტფილისი

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

4879

№ 9-10
ივნისი-ივლისი
1929

ს.ს.ს.რ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა - მუზეი
Библиотека-музей
имени
акад. И. Гришашвили
Академия наук С.С.С.Р.

ტფილისი

საზაფხულო არდადეგები და მოსწავლე ახალგაზრდობა

გაზაფხულის თვეები ჯერ კიდევ არ შედის მოწესრიგებული პედაგოგიური მუშაობის დროის ბიუჯეტში. ამ მეტად მდიდარს სეზონს ვერ ვიყენებთ საკმაო სარგებლიანობით სწავლისა და აღზრდის თვალსაზრისით. ე. წ. საზაფხულო დავალებანი თავის შინაარსით და შესრულებით, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალ ხასიათს ატარებენ. უარეს შემთხვევაში არაფერი არ კეთდება, უკეთეს შემთხვევაში კი — საზაფხულო დავალება სკოლის მუშაობის უბრალო დამატებას წარმოადგენს. აქაც დაკვირვება და შესწავლა არის პირველს რიგში დაყენებული და ისიც ნაჩქარევად სრულდება: მოსწავლეები ჩვეულებრივად ზაფხულის მიწურულში, სასწავლო წლის დაწყების წინ, იგონებენ დავალებებს და ნაჩქარევად უდგებიან მათ შესრულებას: აგროვებენ კოლექციებს, წერენ, კითხულობენ და სხვ. და ყველა ეს კეთდება დავალების ფორმალურად შესრულების მიზნით, რომ სკოლაში ხელცარიელნი არ დაბრუნდენ, დავალების შეუსრულებლობაში თავის კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობა აიცდინონ. საზაფხულო დავალებებში ჯერ კიდევ არ არის ჩადებული ისეთი შინაარსი, რომელიც საზაფხულო მუშაობის დიდს მნიშვნელობაში და სარგებლობაში ყველას დაარწმუნებდა: იშვიათი არ არის შემთხვევა, რომ მშობლები და ზოგჯერ მასწავლებლებიც ეჭვით უყურებენ საზაფხულო დავალებას და უსარგებლოდ მიაჩნიათ, ხშირად ბავშის ჯანმრთელობისათვის მავნედაც კი სთვლიან.

უეჭვოა, რომ ზაფხულის განმავლობაში ბავშს დასვენების საშუალება უნდა მიეცეს; შეძლებისამებრ, მისი ცხოვრება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ჯანმრთელობა გაამაგროს, ძალები მოიკრიბოს, რათა შემდეგი წლის მუშაობა უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი გამოდგეს. მაგრამ ისიც მართალია, რომ დასვენება და ძალების გამაგრება არ ნიშნავს უსაქმოდ ყოფნას. ჩვენი სკოლის მუშაობას ის უდიდესი ნაკლი ახლავს, რომ ის ჯერ კიდევ არ არის დამყარებული წარმოებაზე, არ არის აგებული საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის საფუძველზე: ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ ვერ იქცა ცხოვრების სკოლად. რომ მან ახალი ცხოვრების მშენებელი იმავე ცხოვრებაში სისტემატიური მონაწილეობის გზით აღზარდოს, რომ სკოლამ, ლენინის თქმით, სწავლის ყოველი ნაბიჯი პრაქტიკულს ცხოვრებაში მონა-

წილეობას დაუკავშიროს, რომ ცოდნის ყოველი ელემენტი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში გაანაღდოს. ჯერ კიდევ ძლიერ სუსტია ცოდნისა და შრომის კავშირი. ცოდნა ხშირად არ პოულობს გამართლებას, როგორც ცხოვრების წინ წაწევის იარაღი. ამიტომ არის, რომ ჩვენი სკოლა უმთავრესად ჯერ კიდევ სწავლების სკოლად რჩება.

სკოლას რომ ვერ დაუკავშირებია ცოდნა და შრომა, თეორია და პრაქტიკა, სწავლება და საზოგადოებრივი საქმიანობა, ამის მიზეზი, მრავალ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გარდა, იმაშიც მდგომარეობს, რომ სკოლას სასწავლო დრო ვერ გამოუყენებია ისე, რომ მოწესრიგებული სწავლა და შრომა ერთი მეორეს მიჰყვებოდეს, არც ერთი ბრკოლდებოდეს და არც მეორე და ერთი მეორესთან იყოს შეწონასწორებული. „როდესაც საზოგადოებრივ საქმეს მოვკიდეთ ხელი, დრო ბევრი დაიხარჯა და სასწავლო პროგრამებს ვეღარ ვასწრებთო“, — სჩივიან მასწავლებლები.

სანამ საზოგადოებრივი შრომა, როგორც ჩვენი სკოლის მუშაობის უმთავრესი პრინციპი, მთლიანად განაღდდებოდეს და საზოგადოებრივ — სასარგებლო შრომა სკოლის საპროგრამო მუშაობის აუცალებელ ელემენტად იქცეოდეს, სანამ სკოლის პრაქტიკულს მიხწევათა საფუძველზე საზოგადოებრივი შრომის მეთოდიკა შემუშავდებოდეს, ჩვენ მით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ზაფხულს. ზაფხული უნდა იქნას გამოყენებული სკოლის წლიური მუშაობის ნაკლის გამოსასწორებლად. ზაფხულმა ახალგაზრდობას ფართო ასპარეზი უნდა გაუშალოს საზოგადოებრივს ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად; ზაფხულზე მაინც უნდა მოხდეს ცოდნისა და შრომის, თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება.

ამიტომ მოსწავლეთა საზაფხულო მუშაობა უმთავრესად საზოგადოებრივ — სასარგებლო შრომას უნდა წარმოადგენდეს. საზაფხულო დავალებათა ცენტრი საზოგადოებრივს ცხოვრებაში მონაწილეობის ამოცანებზე უნდა იქნას გადატანილი. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სამასი ათასიანი ლაშქარი თუ ზაფხულის განმავლობაში გეგმიანად იმუშავებს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების კონკრეტი ამოცანების ირგვლივ, ამას თვალსაჩინო შედეგი მოჰყვება ცხოვრების წინ წაწევის თვალსაზრისით — საზოგადოებრივს ცხოვრებას კვალი დააჩნდება. მაგრამ ამ მუშაობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება აღზრდის თვალსაზრისით: მოსწავლე ახალგაზრდობა პრაქტიკულს ცხოვრებას დაუკავშირდება, დააკვირდება, შეისწავლის, უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას მის შენებაში. თუ

მთელი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ აქვს ადგილი საზოგადოებრივი შრომის პრაქტიკას, ზაფხულმა მაინც უნდა ატაროს ასეთი პრაქტიკის ხასიათი.

პირველ რიგში სოფელი მაქვს მხედველობაში. იშვიათი იქნება ისეთი სოფელი და პატარა ქალაქი, სადაც ზაფხულობით მოსწავლე ახალგაზრდობა თავს არ იყრიდეს — ადგილობრივი იქნებიან მოსწავლეები თუ ქალაქებიდან დაბრუნებული. სოფლად თავს მოიყრიან სხვადასხვა ტიპის უმაღლესი, საშუალო და დაბალი სკოლის მოსწავლეები. საჭიროა ამ ახალგაზრდობის შეკავშირება. აქ შეთანხმებულად უნდა გამოიჩინონ თაოსნობა საზოგადოებრივ — პოლიტიკურმა და კულტურულმა ორგანოებმა; უნდა იქნას აღრიცხული მოსწავლეთა რაოდენობა, ასაკი, სპეციალობა და სხვა; უნდა შესდგეს საზაფხულო კულტურული მუშაობის გეგმა. საზოგადოებრივი მუშაობის სახეების მიხედვით უნდა მოხდეს მოსწავლე ახალგაზრდობის დაყოფა სექციებად — ვინ სად გამოდგება, ვინ სად მეტს შეიძენს და გააკეთებს. სამუშაოდ სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები და, კერძოდ, მოცემული ადგილის (ქალაქის თუ სოფლის) ცხოვრების გაუმჯობესების კონკრეტი საკითხები უნდა იქნას წამოყენებული მაგალითისათვის შეიძლება სამეურნეო-კულტურული მშენებლობიდან დავასახელოთ ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაში მოსწავლე ახალგაზრდობას ნაყოფიერი მონაწილეობის მიღება შეუძლია:

სამეურნეო მშენებლობა: მეურნეობის ინდუსტრიალურ და კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნის იდეების აგიტაცია-პროპაგანდის გარდა, რაშიც უფროსი ასაკის მოსწავლეობას თვალსაჩინო სარგებლობის მოტანა შეუძლია, მოსწავლე ახალგაზრდობა უშუალო მონაწილეობას მიიღებს მოსავლის გადიდების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიცაა: მოსავლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, ნათესების მოვლა, კოლექტიურს მეურნეობასა და უღარიბეს გლეხების მეურნეობაში უშუალო შრომით მონაწილეობის მიღება, სამელიორაციო მუშაობა, მოსავლის აღებაში მონაწილეობა.

ჯანმრთელობაზე ზრუნვა: ბრძოლა ჰიგიენა — სანიტარიისათვის სოფლად და ქალაქში — მოედნებზე, ქუჩებზე, ოჯახში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში — ბრძოლა არა სიტყვიერი, არამედ პრაქტიკული ჯანმრთელობისათვის მავნე ბუნებრივი პირობების წინააღმდეგ ზომების მიღება, როგორიცაა ჭაობები და სხვა; საღი სპორტის წრეების დაარსება.

ი ე რ ი შ ი ძ ვ ე ლ ი ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ბ: აქ პირველ რიგში გვემიანი და მოფიქრებული ანტირელიგიური მუშაობა უნდა გვქონდეს მხედველობაში. ბრძოლა ძველი ყოფის ნაშთების წინააღმდეგ; ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს დაუდევრობას, ზარმაცობას, პოლიტიკურს და სხვა ჭორიკანობას, ყოველგვარს უწმაწურობას და უკულტურობას. ამ მიმართულებით მუშაობის წარმატების აუცილებელს პირობას წარმოადგენს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ყველგან და ყოველთვის ახალი კულტურული ცხოვრების ცოცხალს ნიმუშს წარმოადგენს, რომ ის კულტურული რევოლუციის იდეების მატარებელი იყოს არა მარტო სიტყვით, არამედ უმთავრესად საქმით, ქცევით. მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ის ახალი ცხოვრების პროპაგანდისტი და აგიტატორი თავდაპირველად თავისი ქცევით, მოქმედებით უნდა იყოს: ახალი ადამიანი ნიმუშს უნდა იძლეოდეს ყოველდღიურს ცხოვრებაში.

ს ო ფ ლ ი ს დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ო ბ ა ზ ე ზ რ უ ნ ვ ა: სათანადო ორგანოებთან ერთად გზების და ხიდების შეკეთება, მოედნების მოვლა-დამშვენება.

კ უ ლ ტ უ რ უ ლ - გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი მ უ შ ა ო ბ ა: ენერგიული მონაწილეობა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში და აქ უფროსი ასაკის მოსწავლეთა გამოყენება; ბავშთა საზაფხულო მოედნების მოწყობა და ხელმძღვანელობა — ამ მუშაობაში პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტების, პედ-ტეხნიკუმის და პედგანხრიანი ათწლედების მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა; ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე კედლის გაზეთის მოწესრიგებულად გამოშვება; ქოხ-სამკითხველოში მუშაობა; საზოგადოებრივი ცხოვრების დასაგმობი მოვლენების საჯაროდ გასამართლება; ლიტერატურული და მუსიკალური დილა-საღამოების მოწყობა; მოჯამაგირეებისა და მოსახლეობის ულარიბეს ფენებს შორის გაძლიერებული მუშაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეგნების შესამუშავებლად, — მხარეთმცოდნეობითი ახალგაზრდა ბუნებისმეტყველთა წრეების დაარსება; ექსკურსიების მოწყობა კოლექტიურს მეურნეობაში, მუზეუმებში, ბუნებაში, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება; სუსტ მოსწავლეთათვის დახმარების აღმოჩენა. საშემოდგომო მუშაობისთვის მოსამზადებლად.

ასეთია, დაახლოვებით, საზოგადოებრივი მუშაობის საკითხები, რომელთა გარშემო უნდა დაირაზმოს მოსწავლე ახალგაზრდობა. ამოცანების სწორად დასახვა, შემსრულებელთა ძალებთან შეფარდე-

ბით, და გეგმიანობა მუშაობის ნაყოფიერების მთავარი პირობაა. ბევრს და დაუძლეველ სამუშაოს უნდა ვერიდოთ; ცოტა, მაგრამ კარგად.

ამას გარდა საჭიროა, რომ საზოგადოებრივმა მუშაობამ მართლაც ფართო საზოგადოებრივი ხასიათი მიიღოს: სკოლის გარეშე მყოფი ახალგაზრდობა და მთელი მოსახლეობა უნდა ჩაებას ახალი ცხოვრების საქმეში, მოსწავლეთა საზაფხულო გაერთიანებანი ხელს უნდა უწყობდეს მოსახლეობის ამოქმედებას და ახალი ცხოვრების შენებაში მისი მონაწილეობის ზრდას. მოსწავლე ახალგაზრდობის საზაფხულო მუშაობის უდიდესი მიხწევა იქნება, თუ მოსწავლეთა თაოსნობით ადგილებზე საზოგადოებრივი მუშაობის მუდმივი წრეები და სექციები შეიქმნება, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში განაგრძობენ მუშაობას აღებული მიმართულებით.

ამგვარად, საზაფხულო არდადეგები გაცხოველებული საზოგადოებრივი მუშაობის სეზონად უნდა იქცეს. საზაფხულო არდადეგებზე უნდა მოხდეს მოსწავლე ახალგაზრდობის და მოსახლეობის უფრო მჭიდრო დაახლოვება. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს კულტურული ძალის სიახლოვე, საქმეზე უნდა დარწმუნდეს, რომ საბჭოთა სკოლა ახალს ადამიანს ზრდის, ახალი ცხოვრების მშენებელს.

ძლიერ სასურველად და საჭიროდ უნდა იქნას მიჩნეული, თუ მოცემულს რაიონში მომქმედი სკოლის მოწაფეები ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე მაინც მოიყრიან თავს სკოლაში ურთიერთისათვის ცნობის მისაწოდებლად, თუ ვინ, სად, რას და როგორ აკეთებს, რა შეიძინა, რას მიახწია, რა სიძნელე შეხვდა. თუ სკოლას თავისი მეურნეობა გააჩნია (ბაღი, ბოსტანი, ვენახი, მინდორი და სხვა), აქ მოსწავლეთა მორიგეობითი მოწესრიგებული მუშაობა უნდა წარმოებდეს, რათა მოუვლელი არ დარჩეს და არ ანადგურდეს.

საზაფხულო მუშაობამ მოსწავლეთა წინაშე ახალი საკითხები უნდა დააყენოს, რომლებიც შემდგომი სასწავლო წლის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იქნება. ამ გზით საზაფხულო საზოგადოებრივი — სასარგებლო მუშაობა მთელი წლის მუშაობის პრაქტიკულს დაბოლოებასა და შემდგომი წლის მუშაობის გამოსავალს უნდა წარმოადგენდეს.

მეტი მომზადებით და მეტი მონდომებით უნდა მოვკიდოთ ხელი საზაფხულო მუშაობას. ახალგაზრდობის კომუნისტურმა ორგანოებმა აქ დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ. ვნახოთ, რომელი მაზრა, ქალაქი და სოფელი უკეთესად ჩაატარებს მოსწავლე ახალგაზრდობის საზაფხულო მუშაობას.

გ. გოგუაძე.

საზაფხულო და საგაზაფხულო მუშაობა საბავშო სახლებში

საბავშო სახლებში საზაფხულო მუშაობა წარმოადგენს ზამთრის მუშაობის უშუალო გაგრძელებას; ჩაკეტილი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა ზამთრის პერიოდში, საჭიროა გადმოტანილ იქნას გლეხთა ფართო მოსახლეობაში. ეს მუშაობა შემდეგი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს:

ბავშთა შორის მასიური მუშაობა და დასვენების ორგანიზაცია, მოედნების მოწყობა და შეუკავშირებელი ბავშების მიზიდვა, სუფთა ჰაერზე კოლექტიური დასვენების მოწყობა, ექსკურსიების და სეირნობის ორგანიზაცია.

საზოგადოებრივ-სასარგებლო და სასოფლო მეურნეობის დარგში კულტურულ მუშაობის გაფართოება, სან. ჰიგიენურ მუშაობისა და აგიტაციის წარმოება მოსახლეობაში, მუშაობის გაღრმავება გასამხედროების დარგში, **სამეურნეო პოლიტიკური და კულტურულ თავისებურებათა აღნუსხვის თვალსაზრისით თავის რაიონის ცხოვრების შესწავლა.**

აი მთავარი ამოცანები, რომელიც უნდა სწარმოებდეს და მიმდინარეობდეს ზაფხულის პერიოდში.

ბავშთა მუშაობის ძირითად ნაწილს ზაფხულის განმავლობაში შეადგენს ფიზიკური გაჯანსაღება და თავისუფალი დროის მიზანშეწონილი გამოყენება: „მზე, ჰაერი და წყალი". ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა მთელ მუშაობის გარეთ—სუფთა ჰაერზე გადატანა და მოედნების მოწყობა.

მოედნის მოწყობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში ბავშები იკრიბებიან დახუთულ შენობაში, სადაც სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა ძალზე ძნელი ხდება. მოედანზე მუშაობის გადატანა კი ხელს უწყობს ბავშთა ჯანმრთელობის განმტკიცებას. ამ მიზნით საჭიროა ბავშთა სახლებმა აქედანვე იზრუნონ მოედნის გამონახვაზე და მის გამართვაზე. საჭიროა მოედნები საკმაოდ ფართო იქნეს, რომ მზის სხივები მთელი დღის განმავლობაში ადგებოდეს.

რა უნდა კეთდებოდეს მოედანზე. მოედანზე კვირაში ორჯერ უნდა ხდებოდეს რგოლების შეკრება. რგოლის წინამძღოლებმა წინასწარ გავლილი მასალის მიხედვით უნდა ამაცადინონ თავიანთი რგოლები, რგოლებზე მიმაგრებული უნდა იქნან შეუკავშირებელი ბავშები და მუშაობა უნდა ტარდებოდეს მათთან ერთად, კვირაში ერთხელ უნდა იკრიბებოდეს მთელი კოლექტივი და მათთან ერთად

ცალკე ჩაატაროს საუბარი, საუბრის შემდეგ კი უნდა გაიმართოს თამაშობები, სიმღერები, დეკლამაცია და სხვა.

ექიმის ხელმძღვანელობით უნდა ხდებოდეს მზის ვანების მიღება, აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულ-ჰიგიენურ ჩვეულებათა გავრცელებას, ამ მიზნით საჭიროა საუბრების ჩატარება ექიმის მიერ.

კოლექტივმა უნდა ჩაითრიოს შეუკავშირებელი ბავშები ყოველგვარ მუშაობაში: მოედნის მოვლაში, ბაღის დაცვაში, მცენარეების დარგვაში და სხვა მოედანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა, სადაც თავისუფალ დროის განმავლობაში ბავშებს შეეძლებათ წაიკითხონ ჟურნალ გაზეთები და წიგნები.

მუშაობის აღრიცხვა. მუშაობის აღრიცხვა უნდა ხდებოდეს ღია კრების საშუალებით, რომელშიც აღინიშნება, თუ რა გაკეთდა მოედანზე დღის განმავლობაში; გარდა სპეციალურად შემოღებულ დღიურისა, მუშაობის აღრიცხვა შესაძლებელია კედლის გაზეთის საშუალებით.

საზოგადოებრივ-სასარგებლო პრაქტიკული მუშაობა.

პიონერთა საქმიანობის ძირითად ფორმას შეადგენს ის მუშაობა, რომელიც შეუძლიანთ შეასრულონ მათ თავის რაიონში, სოფელში, რომელიც მიმართული იქნება როგორც უფროსების, ისე ბავშების დასახმარებლად, ყველგან, სადაც პიონერს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ამ თუ იმ სასარგებლო საქმიანობაში, იგი აუცილებლად მუშაობის პირველი მოთავე და აქტიური მონაწილე უნდა გახდეს.

ბავშების მუშაობა სოფლად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთ ფორმებში, რომელიც თავის მუშაობის მეთოდით და შინაარსით ეფარდებოდეს გლეხ ბავშების მოთხოვნილებებს. ძირითადი მოთხოვნილება მდგომარეობს იმაში, რომ პიონერის მუშაობა დაუკავშირდეს სოფლის ცხოვრებას და ყოფას და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღრზდის ისეთ მეთოდს, რომ მათში გამომუშავდეს სოფლის მეურნეობის კულტურულად წარმართვის ჩვევები კოოპერატიულად გაერთიანების საფუძველზე. ეს ამოცანა გადაჭრილ უნდა იქნას ბავშთა შორის აგრონომიულ ელემენტარულ ცოდნის გავრცელებით და კოოპერაციის როლის მნიშვნელობის ახსნა განმარტებით. უნდა მოეწყოს მიწის პრაქტიკულად დამუშავება საბავშო სახლებთან, რომელიც უნდა იქნას სანიმუშო, აგრეთვე ფართოდ უნდა მოჰკიდოს ხელი ბაღების და ბოსტნების მოწყობას: ცოდნის შეძენა ხეხილის მოვლის, დამყნა-გადანერგვის დარგში და სხვა.

ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კონკრეტულ ხელმძღვანელობის გასაწევად გლეხური ახალგაზრდობის სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები, აგრონომები, სადაც ასეთები არიან.

აგრეთვე საჭიროა გლეხობისადმი დახმარება, გზების და ხილების შეკეთება, იქ, სადაც არის საცდელ-საჩვენებელი ბაღები, მათში მონაწილეობის მიღება და სხვა. მაგრამ აქ უნდა დავიცვათ ერთგვარი მიზანშეწონილობა: ისეთ სამუშაოს, რომელსაც ასრულებენ ხანში შესულები, ვერ შეასრულებენ ბაშვები; მათ უნდა მივცეთ ისეთი სამუშაო, რომელიც შეეფარდება მათ ასაკს და ძალ-ღონეს. ყოველგვარი სამუშაო კოლექტიურად უნდა სრულდებოდეს.

მთელი ეს მუშაობა ფრიად სასარგებლოა ბავშებისათვის. დიდ გამოცდილებას აძლევს და წრთვნის მას, აჩვევს ორგანიზაციულ საქმიანობას, აბამს საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში, გარდა ამისა, როდესაც ეს მუშაობა ღია ცის ქვეშ და სუფთა ჰაერზე ხდება, იგი ამაგრებს ბავშს და აფოლადებს მის ორგანიზმს.

ვინაიდან მთელ ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყველა წამოწყებები მუშაობისა წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული და შეტანილი ამა თუ ის სამუშაო სათანადო გეგმაში, ვრცლად და დაკვირვებით უნდა მოხდეს მისი განხილვა და მუშაობის დასრულების შემდეგ მისი შეფასება.

კოლექტიურ-ჯგუფურ სამუშაოს დასრულებას უნდა დაუკავშირდეს ბავშთა მასიური დღესასწაული, სადაც აღინიშნება ყველა მიღწევები და ნაკლოვანებანი, შეცდომები და გამოცდილება.

მუშაობა ქოხ-სამკითხველოში. სოფლად კულტურის ცენტრად მიჩნეული არის ქოხ-სამკითხველო.

ქოხ-სამკითხველოში დადის გლეხობა, ქოხ-სამკითხველოში მიისწრაფის მოხუციც, ქოხ-სამკითხველოში თავს იყრიან სოფლის ბავშებიც.

ქოხ-სამკითხველოში მუშაობით საბავშო სახლის ბავშები (პიონერები) ბევრს რასმეს ისწავლიან და სხვა ბავშებსაც აჩვენებენ მაგალითს. ამისათვის თვითეული სახლის ბავში სამკითხველოს გამგის აქტიურ თანაშემწეთ უნდა ითვლებოდეს.

ბავშებს უნდა მიეცეს დავალებანი, რათა იარონ ქოხ-სამკითხველოში. ზაფხულის განმავლობაში სახლმა და ქოხ-სამკითხველომ უნდა დააწესონ განუწყვეტელი კავშირი თავის მუშაობაში.

რის გაკეთება შეიძლება ქოხ-სამკითხველოში. დახმარება შენობის დალაგებაში, იატაკის დაგვა, სამკითხველოს მოწყობა და სხვა; მოზარდებს თავისუფლად შეუძლიანთ ქოხ-სამკითხველოს გამგის ხელმძღვანელობით წაუკითხონ გლეხობას წიგნები და გაზეთები, დახმარება გაზეთის ამონაჭრების წარმოებაში, წიგნების შეკეთებაში და-

ხმარების გაწევა, დახმარების გაწევა, როდესაც ქოხ.სამკითხველოში იმართება ლექციები, საუბრები, მოხსენებები და სხვა.

პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობა. საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად საჭიროა პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებაც. რას ნიშნავს პოლიტიკური აღზრდა? ესაა ისეთი აღზრდა, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშებს შეიგნონ თავისი საქმიანობის შინაარსი და მნიშვნელობა, საზოგადოებრივ მუშაობის რაობა, ცხოვრების ვითარება და გაიგონ საერთო პოლიტიკური ხასიათის ამბები.

მაგალითად: ბავშები ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას სახლში— ეხმარებიან მას. ეს მუშაობა მეტ ნაწილად მექანიკურად ხდება, ვინაიდან ბავშებს მიღებული აქვთ განსაზღვრული დავალებანი შესასრულებლად.

არსებითად კი მათ არა აქვთ საკმაოდ შეცნობილი მთელი ამ მუშაობის დიდი მნიშვნელობა, შესრულებული სამუშაოს შინაარსი და მნიშვნელობა. ეს, რასაკვირველია, არანორმალობაა და დაუშვებელია.

ბავშებს უნდა ესმოდეს, რა მნიშვნელობა აქ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამა თუ იმ მოვლენას, მუშათა კლასის ბრძოლას, რა გზით მიდის საზოგადოების განვითარება და სხვა. ამისათვის საზოგადოებრივ-სასარგებლო პრაქტიკული მუშაობა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდის საფუძველს შეადგენს. საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობის გარდა იგი აბამს ბავშებს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში, მას პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ: იგი შესაძლებელს ხდის ბავშებმა შეიცნონ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესი, აჩვევს მას სასარგებლო საქმიანობა და სხვა.

შინა-განმანათლებელი მუშაობა. ზაფხულის თვეებში შინა-განმანათლებელი და აღმზრდელობითი მუშაობა ფრიად ცოცხალი და საინტერესო ხდება. ამ მუშაობის ჩატარებისას ფართოდ და მიზანშეწონილად უნდა გამოვიყენოთ თვით ბავშის ძალები, მათი ენერგია და ხალისით უნდა მივმართოთ საზოგადო სარგებლობისაკენ.

შინა-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გამოსახავდეს და აღრმავებდეს საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მუშაობას, მისცეს მას განსაზღვრული აზრი და დანიშნულება საუბრების და ექსკურსიების მოწყობის საშუალებით, ხოლო რაც შეეხება ამ მუშაობის ფორმებს, იგი აუცილებლად ცოცხალ თვალსაჩინო სახეებში უნდა იყოს გამოხატული, სახელდობრ: კუთხეების მუშაობაში, გასცენიერებაში და სხვა.

განმანათლებელი მუშაობა ერთ-ერთი ელემენტთაგანია აღმზრდელობითი მუშაობისა, ამიტომ ამ მუშაობას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საბავშო სახლში.

განმანათლებელი მუშაობა საბავშო სახლში სრულებით სხვა ფორმებშია ჩამოყალიბებული, ვიდრე სკოლაში. თავის მიზნად განმანათლებელი მუშაობა ისახავს ბავშებში მსოფლმხედველობის გაფართოებას, რის გამოც იგი მჭიდროთაა დაკავშირებული პიონერთა მუშაობის სხვა ფორმებთან, მაგ. საუბრები, კუთხეები, ექსკურსიები, გამოკვლევები, მოთხრობები და სხვა; ასეთი ფორმები მუშაობისა აუცილებლად შეიცავენ განმანათლებელი ხასიათის ელემენტებს. გარდა დასახელებულ ფორმებისა, შეიძლება სხვა სახითაც მუშაობის წარმოება, სახელდობრ: ისეთი მუშაობა, რომელიც, ერთი ხრით, სავსებით დააკმაყოფილებს ბავშის ცნობისმოყვარეობას და, მეორეს მხრით, დახმარებას გაუწევს მას, რომ შეიცნოს და შეითვისოს ესა თუ ის საკითხი ბუნების შესასწავლ მუშაობის დარგში. ბავშთა სახლთან შეიძლება დაარსდეს მეტეოროლოგიური სადგური; ბავშებს დავალებული ექნებათ აწარმოონ დაკვირვება ბუნების მოვლენებზე და ამინდებზე. დაკვირვების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას რელიგიასთან, ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლის საქმეში; გარდა ამისა შეიძლება ასტრონომიული კუთხის მოწყობა, როგორც საშუალება ანტირელიგიური პროპაგანდისთვის. საერთოდ განმანათლებელი მუშაობა საბავშო სახლში ფართოდ უნდა იქნეს დაყენებული და უნდა ვეცადოთ, რომ ბავშების ყურადღება მივაპყროთ სასარგებლო ცოდნის შეძენისა და დამოუკიდებელ განმანათლებელ მუშაობისაკენ.

ე ქ ს კ უ რ ს ი ა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა საზაფხულო მუშაობაში ექსკურსიის და გასეირნების მოწყობას უნდა მიექცეს.

ექსკურსიები შეიძლება იყვეს ხანგრძლივი და ხანმოკლე და გრძელდებოდეს დაწყებული რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე დღემდე.

რომ ექსკურსია კარგად ჩატარდეს, საჭირდება სათანადო მომზადება. მოუმზადებელი ექსკურსია ადვილად შესაძლებელია ჩაიშალოს.

ამისათვის საჭიროა გეგმის შედგენა. გეგმის შედგენის დროს საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მიზნით იმართება ექსკურსია. მიზნები მრავალია: ფიზიკური გაჯანსაღება, საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის წარმოება, სოფელთან და მის მეურნეობასთან გაცნობა, ქარხნის და წარმოების გაცნობა, წითელ არმიასთან დაკავშირება და სხვა.

ექსკურსიის მიზნის გამოკვლევის შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ მეორე საკითხი ექსკურსიის მონაწილეთა შესახებ—საჭიროა გავარკვიოთ, თუ ვის შეუძლია ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება, რადგან პატარა ბავშები შორეულ ექსკურსიაში უფრო იღლებიან. ცხა-

დია, დაუშვებელია შორეულ ექსკურსიაში მათთან ერთად გამგზავრება. საჭიროა გამოვარკვიოთ მონაწილეთა საერთო რიცხვი და აგრეთვე ხელმძღვანელების რაოდენობაც. 10-15 ბავშზე საკმარისია ერთი ხელმძღვანელი.

სად უნდა მოეწყოს ექსკურსია. ამ საკითხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ ადგილი ხეირიანად არ იქნა შერჩეული, ექსკურსია ნაყოფს ვერ მოიტანს.

შორეულ ექსკურსიების გამართვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

1. რათა ექსკურსიის საბოლოო წერტილზე და გზა და გზა მოიძებნებოდეს დასალევი წყალი.

2. ექსკურსიის ადგილზე უნდა მოინახებოდეს ჩრდილიანი ადგილი.

3. საჭიროა მოედანიც (მინდორი) თამაშობათა ჩასატარებლად.

4. ბინაზე ზრუნვა—თუ ადგილია მშრალი და ამინდიც ხელს უწყობს, შესაძლებელია კარავში ღამის გათევა, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა დახურული ბინის გამონახვა.

5. დაბინავების ადგილის მახლობლად არ უნდა იყოს ჭაობიანი, სხვა რაიმე ჰაერის მომწამლავი წყარო.

მეორე და მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ექსკურსია. ამისთვის საჭიროა გეგმა. გეგმაში უნდა შედიოდეს: ექსკურსიის ადგილის წინასწარი დათვალიერება, ბავშების მომზადება ექსკურსიისათვის და ამ მიზნით მოვალეობათა განაწილება, სათანადო ინვენტარის მომზადება, ბინის და კვების საკითხის მოწესრიგება. გეგმაში უნდა იყვეს აგრეთვე აღნიშნული თვით ექსკურსიის დროს პრაქტიკული მუშაობის გეზი.

როგორ უნდა მოხდეს სოფლის შესწავლა ექსკურსიის დროს.

სოფლის გამოკვლევის დროს ორი ამოცანა სდგას:

1. რა მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობას ჩვენი ქვეყნისათვის და როგორია მუშათა კლასის როლი გლეხობის მიმართ.

2. სოფლის შესწავლა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობა, მის დასახმარებლად საჭირო საშუალებათა გამონახვა. ამისათვის გამოირკვეს შემდეგი:

1. სოფლის სახელწოდება, რომელ თემსა და მაზრას ეკუთვნის ივი. მოსახლეობის, სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა და სხვა.

სასოფლო საბჭოს მუშაობა; სასურსათო გადასახადის აკრება; როგორ მდგომარეობაშია განათლების საქმე, სკოლა, ქოხ-სამკითხველო, როგორი მუშაობა სწარმოებს მეურნეობის აღსადგენად (გზების, ხიდების შეკეთება და სხვა).

ამ ცნობის მიღებისა და დამუშავების შემდეგ უნდა დამუშავდეს შესაფერისი ღონისძიებები სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ხელის შესაწყობად.

როდესაც ექსკურსიას ვაწყობთ ბუნების შესწავლის მიზნით, საჭიროა ბავშებში გაღვივდეს მისწრაფება ბუნების შესწავლისადმი, საჭიროა შესაფერისი მუშაობით ბავშების ზედმიწევნითი დაინტერესება სათანადო კითხვების და დავალებათა მიცემით.

ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. ექსკურსიის ჩატარების შემდეგ უნდა ხდებოდეს შეკრებილ მასალების დამუშავება. შეკრებილი მასალა (დიაგრამები, სურათები, მადნეულობა, მცენარეები) სისტემაში უნდა იქნას მოყვანილი და მოთავსებული კლუბში.

დ. აბდუშელიშვილი.

რა მოგვცა სკოლების გამოკვლევამ

როგორც არ შეიძლებოდა ახალი სოციალურ-ეკონომიური წყობილების განმტკიცება, სანამ საძირკვლიანად არ დაინგრა ძველი სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და არ შეიქმნა ახალი საბჭოთა სახელმწიფო, ასევე არ შეიძლება ახალი სკოლის განმტკიცება, სანამ არ შეიქმნება პედაგოგიური პროცესის ახალი სტრუქტურა. ჩვენი საბჭოთა სკოლა თუ ჯერ არ არის მონისტური, რაც შეიძლება მალე უნდა გახდეს. ის ასეთი და მაშინ შინაარსი შეესაბამება კლასობრივ ინტერესებს, მეთოდი შინაარსს, ორგანიზაციული ფორმები კი მეთოდსა და შინაარსს, ე. ი. პედაგოგიური პროცესის ყველა ელემენტი შეთანხმებული იქნება კლასობრივ ამოცანებთან. აქედან ცხადია, რომ პედაგოგიური სისტემის მიზანდასახულობას უნდა შეადგენდეს მშრომელი ხალხის იდეოლოგიით და კომუნისტური დისციპლინით გამსჭვალული ახალგაზრდობის აღზრდა. ცოდნა-ჩვევის მთელი მარაგი, რომელიც ეძლევა სკოლაში მოწაფეებს, გადასინჯული უნდა იყოს აღმზრდელობითი თვალსაზრისით და ეს საკითხები მუშაობის მთავარ ღერძად უნდა გადაიქცეს. როდის უნდა დაიწყოს სკოლამ კლასობრივი აღზრდელობითი საკითხების ჩართვა თავის მუშაობაში? როდის უნდა დაიწყოს მასალის შერჩევა მარქსისტული მსოფლმხედველობის გამოსამუშავებლად? იქნება საჭიროა ამას წინ უძღოდეს რაღაც გარკვეული ცოდნის ჯამის (ამა თუ იმ დისციპლინიდან) მიცემა? ზემოთ ნათქვამი უკვე იძლევა პასუხს ამ საკითხებზე. სწორედ ამაშია განსხვავება ჩვენსა და ბურჟუაზიულ სისტემას შორის. თვალების ასახვევად, თავისი მიზნების დასაჩრდილავად, ბურჟუაზია ამბობს: „სკოლა პოლიტიკის გარეშე“, „ჯერ ცოდნა და მერე პოლიტიკა“, და ამავე დროს ცდილობს ისე აღზარდოს ახალგაზრდობა, რომ გამოიყენოს კლასთა ბრძოლის მინელების საქმეში.

პედაგოგიური პროცესის ახალი სტრუქტურის შექმნა საკმარისად რთული ამოცანაა და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს; საჭიროა ცდების დაყენება, ჩატარებული მუშაობის ობიექტური აღრიცხვის ისეთი ფორმების გამონახვა, რომ მიღწევების ან დეფექტების შეფასებას ყველა ერთი საზომით უდგებოდეს, რომ მასწავლებელი და საზოგადოდ აღმრიცხველი სუბიექტურად არ მიუდგეს საკითხს.

აღრიცხვის ფორმები ერთიდაიგივე უნდა იყოს ყველა სკოლისათვის, ის გამომუშავებული უნდა იყოს ცენტრის მიერ მასწავლებელთა ფართო მასის დახმარებით.

ფართო მასშტაბით ასეთი ობიექტური მეთოდით აღრიცხვის პირველი ცდა იყო ჩატარებული განათლების კომისარიატის მიერ მიმდინარე წლის მარტის განმავლობაში. რესპუბლიკის მასშტაბით, 14 სკოლის მე-3-4 ჯგუფებში ჩატარებული იყო ანკეტა. სკოლები არჩეული იყო საცდელ-საჩვენებელი (განსაკუთრებულ კარგ პირობებში ჩაყენებული), ტფილისის (მოწაფეთა სოციალურ შემადგენლობით უახლოვდებოდენ საცდელ სკოლებს, მხოლოდ სკოლა მუშაობდა ორ წყებად), რკინის გზის სკოლები ტფილისში (მოწაფეების დიდი უმრავლესობა მუშის შვილებია) და მაზრის 7-9 წლედები (ცენტრიდან დაშორებული სკოლები).

ანკეტას უნდა გამოერკვია, თუ როგორ ერკვევა მე-3 და მე-4 ჯგუფის მოწაფე გარემოში, ბუნებისმეტყველების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის საკითხებში და როგორია მისი პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური წარმოდგენანი. ანკეტის კითხვების უმეტესი ნაწილი სამ პასუხსაც შეიცავდა. მოწაფეს იმ პასუხისათვის, რომელიც მისი აზრით სწორი იყო, ხაზი უნდა გაესვა (მაგ: ფესვნაყოფას უწოდებდენ: სტაფილოს, ცერცვს, კიტრს).

ანკეტის შედგენის დროს გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც ჩატარებული იყო მოსკოვის ერთ-ერთ განაპირა რაიონში, რომ შეგვედარებინა ჩვენი მოწაფეობისა და მოსკოვის ბავშების ცოდნა.

ანკეტების ჩატარების შედეგად მივიღეთ 699 (453 ქართული და 246 რუსული) პასუხი მე-3 ჯგუფის და 675 (469 ქართული და 206 რუსული) პასუხი მე 4 ჯგუფის მოწაფეებისაგან.

ანკეტა სულ შეიცავდა 92 კითხვას და მის შევსებას, საშუალოდ, მე-3 ჯგუფმა ქართულ სკოლებში 70 წუთი მოანდომა, რუსულში — 52, მე-4 ჯგუფში კი ქართულმა სკოლებმა — 67 წუთი, რუსულმა — 44.

ჯერ მოვიყვანთ შედეგებს იმ კითხვებისა, რომელთა პასუხი ერთი სიტყვით ისაზღვრებოდა და საერთო იყო ჩვენი და მოსკოვის სკოლებისათვის (პასუხები ყველგან % არის ნაჩვენები). (იხ. 16-530 გვ.).

№ რიგზე.	კ ი თ ხ ვ ე ბ ი.	მე-3 ჯგ. ქართ. სკ.	მე-3 ჯგ. რუს. სკ.	მე-3 ჯგ. მოსკ. სკ.	მე-4 ჯგ. ქართ. სკ.	მე-4 ჯგ. რუს. სკ.	მე-4 ჯგ. მოსკ. სკ.
1.	უფრო მოკლე დღეები არის: გაზაფხულზე, ზამთარში, ზაფხულში	81	86.4	85.4	86.2	90.7	93
2.	ქარის მიმართულება გაიგება: ბარომეტრით, წვიმსაზომით, ფლიუგერით	35	52.6	36.6	35.3	69.6	73
3.	ჰაერის სიმძიმის გაზომვა შეიძლება: ტერმომეტრით, ბარომეტრით, წვიმსაზომით . . .	18.8	27.6	20.3	23.8	62.1	4.5
4.	ზაფხულში ცვარი მეტია: ღრუბლიან დღეს, მთვარიან ღამეს, წვიმიან ღამეს	25.4	27.2	22.9	38.9	34.1	35.5
5.	უფრო წმინდა წყალია: მდინარის, წვიმის, გამოხდილი	44.4	33.2	63.6	67.6	45.3	78.5
6.	წყალი ფილტრში გატარების შემდეგ აღარ შეიცავს: ბაქტერიებს, მარილების, ჰუჰყს . .	16	22.8	15.7	16.2	26.7	29
7.	ღუმელი უფრო ხურდება ხმელი შეშით: ნაძვის, რცხილის, ფიჰვის	35.2	22.8	87.2	45.8	24.7	91
8.	ქარხნებს მაღალ მილებს უკეთებენ: სიმაღლისათვის, ნიშნის მისაცემად, წევისათვის, .	13	39	22.1	24.8	62.9	60
9.	წვენი ზაფხულში მყავდება: თავისთავად, მარილისაგან, მიკრობებისაგან	11.2	32.8	58.1	25.3	33.6	66
10.	რა უფრო მალე იხარშება: ხორცი, კართოფილი, ლობიო	75.7	80.4	58.1	85 1	91.2	64
11.	წყალი დუღს ცელსიუსის მიხედ.: 60°, 100°, 80°.	14.8	28.4	29.6	27.2	47	60.5
12.	სამოვარში ნადუღის ნალექს იძლევა: სილა, ბაქტერია, მარილი	10.9	10.1	7.5	20.7	23.5	23
13.	მოცულობა იზომება: საათით, მენზურით, ბარომეტრით	16	15.2	23	40.1	52	49
14.	ლურსმანს აკეთებენ: ვერცხლისაგან, რკინისაგან, ტყვიისაგან	66.5	72.6	52.3	83.8	76.5	75
15.	მალარია ვრცელდება: კოღოების, ბუზების, თაგვის საშუალებით	64.1	79.6	66.4	85.3	72	80.5
16.	სახადით ავად ხდებიან: დაღლილობისაგან, ბაქტერიებისაგან, კარგი კვებისაგან . . .	49.8	55.4	75.5	70.7	84.1	91.5
17.	ადამიანის ნორმალური ტემპერატურა უახლოვდება 39°, 5°, 37°.	22.5	42.6	45.9	46.1	66.9	81.5
18.	სუნთქვის დროს გამოიყოფა: ჟანგბადი, ნახშირმჟავა, წყალბადი	32.9	24	32.5	47.2	62.9	46.5
19.	შაქარს ჩვენში აკეთებენ ჰარხლისაგან, ხორბლისაგან, ბოლოკისაგან	67.1	70.4	88.9	79.3	79.8	96.5

№ რიგზე	კ ი თ ხ ვ ე ბ ი.	მე-3 ჯგ. ქართ. სკ.	მე-3 ჯგ. რუს. რკ.	მე-3 ჯგ. მოსკ. სკ.	მე-4 ჯგ. ქართ. სკ.	მე-4 ჯგ. რუს. სკ.	მე-4 ჯგ. მოსკ. სკ.
20.	განსაზღვრული ადგილის ამინდის თავისებურებას უწოდებენ: ჰავა, ნისლს, წნევას. . .	32.1	56.2	11.9	45.9	79.8	35.6
21.	სითბოს კარგი გამტარია: ხე, რკინა, აგური.	38.1	27.6	9.8	45.9	37.4	24.5
22.	რით შეიძლება ყოველგვარი ნიადაგის განოყიერება: სილით, თიხით, მიწაშავით . . .	65.1	78.2	51.1	76	95.2	83.5
23.	ერთნაირი მოცულობის ნივთიერებათა შორის რა უფრო მძიმეა: ვერცხლის წყალი, წყალი, ჰაერი	52.2	35.6	31.3	55.6	62.4	37.5
24.	რომელი ნიადაგი უფრო მალე გაატარებს წყალს: მიწაშავა, ქვიშნარი, თიხნარი . . .	43.6	48.6	6.4	64.1	73.5	32.5
25.	რის შეკუმშვისაგან მოძრაობს ხელი: სისხლის დენის მილების, კუნთების, ძვლების. .	10	17.6	11.9	33.9	44.2	51.1
26.	როშელი ცხოველი სუნთქავს ლაყუჩებით: კატა, თევზი, მგელი.	60.6	52.6	59.8	69.1	73.5	80.5
27.	წიწვი იზრდება: მუხაზე, ნაძვზე, ცაცხვზე .	41.8	40.4	63.6	63.9	63.3	82
28.	ვაშლის ხე ყვავის: გაზაფხულზე, ზამთარში, ზაფხულში.	61.2	72	53.4	77.1	84.8	79
29.	გაზაფხულზე ფოთლები იზრდება: ფესვებიდან, ტოტებიდან, კვირტებიდან	52.6	61.8	84.8	63	82.6	93
30.	ზამთარში მცენარის საზრდო-მარაგი ინახება: ფოთლებში, მიწისქვეშ ტოტებში, ქერქში. .	49.2	32.8	59.3	64	52.8	69
31.	ხის წლოვანებას რის საშუალებით არკვევენ უფრო სწორად: ქერქის, ხის ტანის, ფოთლის	26.9	45.8	58.3	53	62.1	77.5
32.	მცოხნავი ცხოველია: ღორი, კატა, ძროხა .	69.5	80.4	68.6	83.8	89.4	87.5
33.	ფესვნაყოფას უწოდებენ: სტაფილოს, ცერცვს, კიტრს.	45.4	58	71.5	61.9	78.3	91.5
34.	ბოსტნის მავნებლებია: ბაყაყი, შაშვი, კომბოსტოს პეპელა	58.7	80.8	69.5	71	94.2	88
35.	ბევრი სახამებელი არის: ვაშლში, მსხალში, კართოფილში.	36.3	84.4	18.3	41.3	94.2	49.4
36.	ხვეული მცენარეა: ვაზი, ჭინჭარი, სიმინდი .	54.5	39.8	10.1	77.6	78.3	51.5
37.	თხილის განაყოფიერება ხდება: ქარის, მწერების, ფრინველების საშუალებით	26.4	30.4	22.1	24	57.8	37.9
38.	რისთვის არის საჭირო ყვავილი მცენარისათვის: საკმლის მოსანელებლად, დასამშვენებლად, [illegible]	11	16.8	11.9	29.2	37.1	32

Y 879
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей
имени

ახლა გადავსინჯოთ პასუხები იმ კითხვებზე, რომლებზეც მოსკოვის შესახებ ცნობები არა გვაქვს და რომელნიც არკვევენ, თუ როგორ ერკვევიან მოწაფეები საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებში.

№ რიგზე	კ ი თ ხ ვ ე ბ ი.	მე-3 ჯგ. ქართ. რუს.	მე-3 ჯგ. ქართ. რუს.	მე-3 ჯგ. მოსკ.	მე-4 ჯგ. ქართ.	მე-4 ჯგ. რუს.	მე-4 ჯგ. მოსკ.
1.	დაწერე სრულად, რას ნიშნავს ს. ს. რ. კ.	9.6	29.2		28.7	72	
2.	რომელი რესპუბლიკები შედის ა/კ ს. ს. რ.?	0	0.8		14.7	19.2	
3.	რომელი რესპუბლიკები შედის ს. ს. ს. რ.?	1.2	0.8		3.6	3.5	
4.	რომელ ქვეყნებში დღესასწაულობენ 1 მაისს: მარტო ს.ს.რ.კ., მარტო ევროპაში, მარტო ამერიკაში თუ მთელ მსოფლიოში?	41.5	37.8		53.3	50	
5.	რომელი დაწესებულება მართავს ჩვენ ქალაქს?	19.9	27.2		25.7	31.4	
6.	ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა ხელისუფლება?	30.4	33.6		47	72.5	
7.	დაასახელე სამი პროფკავშირი, რომელთაც შენ იცნობ	1	6		2.9	5.3	
8.	საიდან იღებენ დახმარებას მუშები ავადმყოფობის დროს?	17.1	47.4		24.2	56.8	

რომ დავუკვირდეთ ამ ციფრებს, ბევრი საგულისხმო დასკვნის გამოტანა შეიძლება. რომ მეოთხე ჯგუფი უფრო ერკვევა საკითხებში, ვიდრე მესამე, ეს ცხადია. გარდა ამისა, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რა კითხვებისათვის მიუქცევია სკოლას ყურადღება. ჩვენ გვინდა მასწავლებლის ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე კითხვას: მე-7, მე-27, მე-28, მე 32, მე-38, და უფრო მეტად ყველა იმ კითხვას, რომელიც მეორე წყებაშია მოთავსებული. ცხადია, რომ ბუნებისმეტყველების საკითხები ბავშს უფრო აქვს შეთვისებული, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხები. სწორი პასუხის რაოდენობის % მე-4 ჯგუფში კავშირის, ა/კავკასიისა და საქართველოს შესახებ არანორმალურია; აგრეთვე ჩანს, რომ პროფკავშირთა საკითხი არ დასმულა სკოლებში. ან, შესაძლებელია, სკოლებს ჰქონდათ ეს კითხვები დასმული, მაგრამ ბავშებს ვერ შეუთვისებიათ, მაშინ ისმის საკითხი მასალის შინაარსის გადმოცემის ფორმისა და ხერხის შეცვლის შესახებ.

შემდეგი კითხვები არკვევდა მოწაფეების პოლიტიკურ, ნაციონალურსა და რელიგიურ წარმოდგენას. ამ კითხვებზე პასუხებს უმეტეს შემთხვევაში გავუკეთეთ ანალიზი და, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა, მოსკოვის მოწაფეების პასუხებიც მოვიყვანეთ.

1. ვისი ხელისუფლება იყო ჩვენში ოქტომბრის რევოლიუციამდე და ვისი ხელისუფლება იყო გასაბჭოებამდე:

პასუხები	მე-3 ჯგუფი				მე-4 ჯგუფი			
	ოქტ. რევ.		გასაბჭ.		ოქტ. რევ.		გასაბჭ.	
	ქართ. სკოლ.	რუს. სკოლ.	ქართ. სკოლ.	რუს. სკოლ.	ქართ. სკოლ.	რუს. სკოლ.	ქართ. სკოლ.	რუს. სკოლ.
1. ბურჟუაზიის . .	21.1	17.8	23.2	13.4	24.5	18.4	23.2	19
2. მეფის	18.1	37	11.2	15.4	17.7	26.7	10	13
3. მენშევიკების . .	5.9	2.9	10.3	9	18.3	4.8	27 2	19
4. კაპიტალისტების	2.2	3.6	1.3	3.2	2.7	7.7	2.3	5.3
5. მემამულეების .	2.2	5.8	0.6	2.4	1.7	11	0.2	3.3
6. დრ. მთავრობის	0.2	6	0.4	4	2	18	3.6	5.3
7. კერენსკის . . .	1.7	1.2	1.1	—	0.8	1.7	1.2	2
8. ზოგადი ხასიათის პასუხები .	4.6	—	4.8	—	4	—	2.6	2.9
9. შენცდარი პასუხები (ლენინის, მუშების...) . . .	9.5	6.9	3.5	4.4	5.7	1.9	2.4	2.9
10. არ იძლევიან პასუხს	34.2	18	43.2	47.9	22.4	9.4	28.4	2.9

აქ ძალიან დიდია რაოდენობა „არ იძლევიან პასუხს“.

2. ვინ უფრო მოგწონს: ებრაელი, რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი და ვინ არ მოგწონს.

ყველა ერი ერთნაირად მოსწონს (ინტერნაციონალური შეხედულების).

მე-3 ჯგუფი			მე-4 ჯგუფი		
ქართ.	რუს.	მოსკ.	ქართ.	რუს.	მოსკ.
5.2	23.2	9.5	21.3	34.1	11.4

ცხრილი ამბობს, რომ ინტერნაციონალური აღზრდის საკითხი ჯერ სუსტად არის დაყენებული ჩვენ სკოლებში.

3. რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშებსა და გლეხებს.

როგორც ცხრილიდან და უფრო მეტად თვით პასუხებიდან ჩანს, ბავშვებს ოქტომბრის რევოლუცია ეკონომიური პირობების გამაუმჯობესებელ მოვლენად აქვთ წარმოდგენილი.

ბავშვების წარმოდგენით, ოქტომბრის რევოლუციამ კერძო საკუთრება მოსახლეობის ერთი ფენის მაგიერ მეორეს გადასცა. „მისცა მიწები, ფაბრიკა-ქარხნები"—ასეთია უმეტესი პასუხები.

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშებსა და გლეხებს.

	მე-3 ჯგუფი				მე-4 ჯგუფი			
	ქართველები სკოლ. ს. ს. ტ.	რუსული სკოლები ს. ს. ტ.	სულ ს. ს. ტ.	მოსკოვის	ქართ.	რუს.	სულ საქართ.	მოსკ.
1. პოლიტიკური მოტივები:								
ა. ოქტომბრის რევოლუციამ მისცა თავისუფლება	0.4	—	0.3	17.5	—	2.4	0.7	25.6
ბ. ოქტომბრის რევოლუციამ მისცა ძალა-უფლება . . .	0.4	2.8	1.7	4.0	3.9	2.0	3.2	2.6
2. ეკონომ. მოტივები:								
ა. მისცა მიწა, ქარხნები	25.8	56.0	36.7	42.3	28.3	54.3	36.1	38.4
ბ. გააუმჯობესა ცხოვრება	13.6	15.4	14.3	6.0	8.5	16.5	10.9	10.6
3. ზოგადი ხასიათის მოტივები	0.4	—	0.3	3.0	—	—	—	1.7
4. გაურკვეველი, შემცდარი. . . .	28.5	4.8	20.0	8.0	39.4	15.5	32.1	7.0
5. არ არ ს პასუხი, ან უპასუხებენ „არ ვიცი".								
ა. არ ვიცი	19.8	16.2	18.5	4.0	18.1	17.7	15.0	0.9
ბ. არ არის პასუხი.	10.5	4.4	8.4	5.0	1.2	1.4	1.3	—
6. შემცდარი პასუხი.	0.4	—	0.3	10.2	0.6	—	0.6	13.1

მე-3 ჯგუფის ბავშვების პასუხები:

ა. ქართული სკოლები.

პოლიტიკური მოტივები: (4) გაათავისუფლა ბატონებისაგან. გაათავისუფლა ბატონყმობისაგან, ძალა-უფლება (2).

ეკონომიური მოტივები: (179) 1. თავისუფლება, მიწა (2), მიწა (27), მიწა და ქარხნები (70), მიწა, ქარხნები და თავისუფლება (3), მიწა, იარაღი, ქარხნები (14).

თავისუფლება, 8 საათის სამუშაო დღე; 8 საათის სამუშაო დღე (33), 8 საათის სამუშაო დღე და ჯამაგირის მიმატება (3), ქარხნები, მიწა, ჯამაგირის მიმატება, სამუშაოს დაკლება (2), 7 საათის სამუშაო დღე და მიწა. 8 საათის სამუშაო დღე და მიწები (16), 7 საათის სამუშაო დღე. ქარხნები, 8 საათის სამუშაო დღე, ჯამაგირის მიმატება, უფასო სწავლა, მიწა, შეუმცირა მუშაობა. ქარხნები და 8 საათის სამუშაო დღე.

ზოგადი ხასიათის მოტივები: (2) გასაბჭოება. ყველა ერის გათანასწორება.

გაურკვეველი, არასრული: (128) თავისუფლება (113), სუყველაფერი (1), გამარჯვება (1), ჩამოართვა მდიდრებს მიწები (3), ცვლილება (3), მონობისაგან (1), მოსავალი (1), თანასწორობა (3), ცხოვრება (2).

შემცდარი: (2) ცუდი საქმე, (1), არაფერი.

არ არის პასუხი ან უპასუხებენ „არ ვიცი" (139).

ბ. რუსული სკოლები.

პოლიტიკური მოტივები (7).

ძალა-უფლება (3), საბჭოთა ძალა-უფლება (4).

ეკონომიური მოტივები (177).

თავისუფლება, მიწა (72), თავისუფლება, მიწა, მანქანები (2), თავისუფლება, ტრაქტორები. ფაბრიკა-ქარხნები, პური (2), მიწა, მანქანები (2), მიწა, ფაბრიკა-ქარხნები (44), მიწა, თავისუფლება, ფაბრიკა-ქარხნები (13), მიწები, კომუნა, ტყე.

დაუბრუნა ყველაფერი და მთელი უფლება მიწის მფლობელობისა; 8 ს. სამუშაო დღე, მიწები, ქარხნები (3); უკეთესად იცხოვრონ, ნაკლები იმუშაონ; მიწა, თავისუფლება, წერაკითხვის ცოდნა; თავისუფლება, მშვიდობიანობა, ქარხნები; თავისუფლება, 7 საათის სამუშაო დღე; თავისუფლება და შრომის გაუმჯობესება; თავისუფლება და კარგი ცხოვრება; მიწები, ქარხნები, კლუბები, საკითხველოები; 8 საათის სამუშაო დღე და ჯამაგირის მომატება; ქარხნები

და მთელი სწავლა; მიწა, 8 საათის სამუშაო დღე (13); 8 საათის სამუშაო დღე და კულტურა; მიწები, 8 საათის სამუშაო დღე, თავისუფლება; თავისუფლება და ცარიზმის მოსპობა; გააკეთა ბევრი სკოლა.

გაურკვეველი და არა სრული (12).

თავისუფლება; გათავისუფლება; ცხოვრება; მოგება; შემატება; მუშაობა; უშველა; მეფე არა სწამდეს; შემსუბუქება.

არ არის პასუხი (52).

მე-4 ჯგუფის ბავშვების პასუხები.

ა. ქართული სკოლები.

პოლიტიკური მოტივები (18).

მართველობაში მონაწილეობის მიღება და მიწები (4); 8 საათის სამუშაო დღე და ძალა-უფლება (12).

ეკონომიური მოტივები (132).

მიწები და თავისუფლება (8); მიწები და ქარხნები (84); ქარხნები (11); მიწები (29); 8 საათის სამუშაო დღე და თავისუფლება; ჯამაგირის მომატება და სწავლა; მიწა, 8 საათის სამუშაო დღე და ჯამაგირის მომატება; 8 საათის სამუშაო დღე და მიწა (6); 8 საათის სამუშაო დღე (16); ჯამაგირის მომატება; სამუშაოს შემცირება; 8 საათის სამუშაო დღე და ბევრი ფული (5); 8 საათის სამუშაო, ქარხნები და უფასო სწავლა; 7 საათის სამუშაო დღე.

გაურკვეველი (185). თავისუფლება (22); გათავისუფლება (159); განათლება; გამარჯვება. შემცდარი (3): ტანჯვა (2); განთავისუფლება ბატონყმობისაგან (2). არ არის პასუხი (91).

ბ. რუსული სკოლები.

პოლიტიკური მოტივები (5).

განთავისუფლება კაპიტალისტებისა და მემამულეების უღლიდან; განთავისუფლება ბურჟუაზიის უღლიდან.

ძალა-უფლება, ფაბრიკები, მიწა; ფაბრიკა-ქარხნები; თავისუფლება და ხმა; 8 საათის სამუშაო და ხმის უფლება.

ეკონომიური მოტივები (146).

მიწები, ფაბრიკა ქარხნები (93); მიწა, თავისუფლება, ფაბრიკები (18).

თავისუფლება, 7 საათის სამუშაო დღე; თავისუფლება და შრომის გაუმჯობესება. 8 საათის სამუშაო, თავისუფლება, მიწა (6); 8 საათის სამუშაო, მიწა და ქარხნები (5); 8 საათის სამუშაო, მიწა და ხელფასის მომატება (7); 7 საათის სამუშაო და კლუბები; 7 საათის

სამუშაო და ქარხნები; 6 საათის სამუშაო დღე; 7 საათის სამუშაო დღე; 8 საათის სამუშაო დღე; უფასო წამლობა და კარგი ბინა; სკოლები, ქოხ-სამკითხველო და კლუბები (3).

გაურკვეველი და არასრული (32).

დახმარება; შეღავათი; სახელმწიფო და მიწა; თავისუფლება (29).

არ არის პასუხი (19).

ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებულია ლენინის სახელი, ამიტომ საინტერესოა, როგორი წარმოდგენა აქვთ ბავშვებს ლენინზე. კითხვა დასმულია „რით მოგწონს ლენინი"? იმისათვის, რომ ავცდეთ მასწავლებლის სიტყვიდან გაზეპირებულ პასუხებს.

მიღებული პასუხები, როგორც პირველი, დაჯგუფებული იყო. აი რას ამბობენ მე-3 ჯგუფის ბავშვები.

ქართული სკოლები.

ზოგადი დახასიათება (17).

გააკეთა ოქტომბრის რევოლუცია; იცავდა ხალხს; ყველაფრით (46): მუშების მეგობარი იყო; შველოდა მუშებს (11); უყვარდა მუშები და გლეხები; ეჯავრებოდა ბურჟუები; დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება; მშრომელი ხალხის მომხრე იყო; უნდოდა მუშების და გლეხების განთავისუფლება; იცავდა მუშებსა და გლეხებს; ართმევდა მდიდრებს, აძლევდა ღარიბებს; თავი შესწირა მუშებს (4); მოგვცა ხელისუფლება.

„სკოლის" დახასიათება (42).

თავისი ენერგიით, იყო მუშების და გლეხის ნამდვილი მეგობარი, ანდერძით: „სწავლა, სწავლა"; სწავლით (7); განათლებით; და თავისუფლებით ძალიან განათლებული იყო, და კომუნიზმის გზით მიდიოდა; ცოდნით; გახსნა აუარებელი სკოლა, ძალიან შველოდა მუშებს და გლეხებს და გლეხის შვილებს და მათ შესწირა თავი; ანდერძით (6); კარგი იყო, ბავშვები უყვარდა და ბევრს მუშაობდა; ანდერძით, პიროვნებით; ძალიან კარგი იყო, ჩვენი მამა იყო; ჩვენი ძვირფასი მამა იყო; შველოდა მშრომელ ხალხს, უყვარდა ბავშვები და გაათავისუფლა მშრომელნი კაპიტალისტების უღლიდან; გახსნა სკოლები და უთხრა ბავშვებს: „ისწავლეთ, ისწავლეთ"; მოგვცა განათლება; ბავშვებს განათლება; უყვარდა ბავშვები.

გარეგნობით, ხასიათით (42).

მოქმედებით; უყვარდა მუშები და გლეხები; ჭკუით და გონებით (17); იყო ჭკვიანი და იბრძოლა სიმართლისათვის; მისი ენერგიით და დახმარებით მიიღო ხალხმა განთავისუფლება; ჭკვიანი და

გულკეთილი; მამაცი; განათლებით; მტკიცე გრძნობით და იმით, რომ შესწირა თავი მშრომელთა კეთილდღეობას; ხასიათით; ჭკუით, ენერგიით, განათლებით; გულკეთილობით; ცოდნით; აზროვნებით; მისცა მუშებსა და გლეხებს სიცოცხლის წყარო.

ბელადობით (30).

ხელმძღვანელობდა მუშებს და გლეხებს, მთელი სიცოცხლე იბრძოდა; იყო ჩვენი მეთაური და ახლაც არის მისი სახელი; დიდი ბელადი, უყვარდა ღარიბი გლეხი, გააკეთა ოქტომბრის რევოლუციადა უშველა გლეხებს ძალა-უფლება მიეღოთ; მშრომელთა ხელმძღვანელი, ბელადი (15); მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, დააყენა იკი განთავისუფლების გზაზე; იყო ბელადი; ხელმძღვანელობდა მუშებს, ასწავლიდა გლეხებს, უყვარდა პიონერები; მოახდინა მუშების აჯანყება, უყვარდა ბავშები, ასწავლიდა წერაკითხვას; დააყენა ხალხი განთავისუფლების გზაზე (6).

მისცა თავისუფლება და თანასწორობა (64).

გაათავისუფლა ხალხი და ანდერძით, რომ უნდა სწავლა და ცოდნა; გაათავისუფლა მუშები, გლეხები და მშრომელნი (55); გაათავისუფლა ხალხი და მოიგონა სწავლა; გაათავისუფლა ყველა მონა; გაათავისუფლა მუშები და გლეხები და მათ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება; გაათავისუფლა მუშები მონობისაგან; გაათავისუფლა მუშები და გლეხები მდიდრებისაგან (4).

ასწავლიდა ბრძოლას და თვითონ იბრძოდა (14).

იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის და შეასრულა; იბრძოდა თავისუფლებისათვის, უყვარდა მუშები და გლეხები; იყო რევოლუციონერი; კარგი მებრძოლი და მუშებისა და გლეხების მოყვარული; იბრძოდა მუშებისა და გლეხების განთავისუფლებისათვის; შველოდა მუშებსა და გლეხებს, არ უყვარდა მდიდრები, იბრძოდა მათ წინააღმდეგ; იბრძოდა ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ; თავი შესწირა მუშებსა და გლეხებს.

თავისებური პასუხები (24).

მან მძლავრი ხელით ამართა ოქტომბრის წითელი დროშა და როდესაც ნახა მუშების ტანჯვა, გამართა ომი და საზღვარგარეთ მოაკალათა ისინი, ვინც ეწეოდა მუშების ექსპლოატაციას; როცა ლენინი ცოცხალი იყო, მუშათა კლასი არ იყო ასე დაჩაგრული; დიდი დახმარება გაუწია მუშებსა და გლეხებს იმით, რომ გაათავისუფლა საქართველო და რუსეთი; მისცა მუშებს ქარხნები, გლეხებს მიწები (7); მუშებსა და გლეხებს მისცა მიწები, მისცა მიწები, გაათავისუფლა მძიმე ცხოვრებიდან (7); მისცა ქარხნები; მისცა გლეხებს

მიწა, მუშებს 6 საათის სამუშაო დღე. მისცა სამუშაო, მეტი ჯამაგირი; ყველას მოუწოდებდა თავისუფლებისაკენ: მისცა მუშებსა და გლეხებს სიცოცხლის წყარო.

შემცდარი პასუხები (3): ამაყობით; ვინც ღარიბი იყო, აძლევდა ფულს, ჰპარავდა ყველას; მუშები და გლეხები გაათავისუფლა რევოლუციისაგან.

გაურკვეველი და უაზრო (11) წაართვა მდიდრებს, გადასცა მშრომელთ (4); დახმარებით; რაც უსამართლობა იყო; ხელმძღვანელობდა; დახმარებით, მუშების სწავლით; გაათავისუფლა საბჭოთა კავშირი; თავისუფლება; კარგი ადამიანი მშრომელებისა.

უარყოფითი პასუხი.

არაფრით (1).

რუსული სკოლები

ზოგადი დახასიათება (48): ყველაფრით (16); ოქტომბრის რევოლუცია მოახდინა; უყვარდა მშრომელნი; მუშების და გლეხების ცხოვრება გააუმჯობესა; უყვარდა ბავშები, იცავდა მუშებსა და გლეხებს და დატოვა ანდერძი: „სწავლა, სწავლა, სწავლა"; მუშებისა და გლეხებისათვის მუშაობით; ჭკუით; შველოდა მუშებსა და გლეხებს (7); მუშებისა და გლეხების მომხრე იყო (7); უკეთესი ცხოვრება შექმნა; განაგებდა საბჭოთა ხელისუფლებას; მისი მუშაობით; სწავლით; მოგვცა საბჭოთა ხელისუფლება; აიღო ხელში ხელისუფლება.

„სკოლის" დახასიათება (31).

უყვარდა ბავშები (18); მისცა ბავშებს თავისუფლება; კარგი იყო ბავშებისათვის, ბევრი რამ ასწავლა მათ; უყვარდა ბავშები, ყველას შველოდა; აშენებდა ახალ სკოლებს, ფაბრიკა-ქარხნებს; ჩვენი მასწავლებელი იყო; მოგვცა კოლექტივი და სკოლები; გლეხის შვილებს წერაკითხვას გვასწავლიდა; მისი ანდერძით; სიმართლეს იცავდა.

ხასიათით (20), ჭკუით (8); პატიოსნებით; გულკეთილობით; იყო ჭკვიანი და იცავდა მუშების საქმეს; ჭკუით, მამაცობით, მოთმინებით; ქადაგობით და ჭკუით; ასწავლიდა წერაკითხვას.

ბელადობით (15).

დაიწყო აჯანყება; ბელადი იყო (4); გამარჯვების ბელადი; კარგად მიჰყავდა მუშათა კლასი, წაიყვანა თავისუფლებისაკენ; ხელმძღვანელობდა ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ; გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი; აჩვენა გზა ბურჟუაზიის უღლიდან გასათავისუფლებლად.

მისცა თავისუფლება და თანასწორობა (24).

გაგვათავისუფლა და იყო ჭკვიანი; გაათავისუფლა (18); მოგვცა თავისუფლება; გადაარჩინა მუშათა კლასი მემამულეების და კაპიტალისტებისაგან; შექმნა თავისუფლება.

იბრძოდა და ასწავლიდა ბრძოლას (26).

პირველმა უთხრა გლეხებს, რომ მათ აწამებენ და საჭიროა ბრძოლა; მოუწოდებდა ბრძოლისაკენ; რევოლუციონერი იყო; იბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისათვის (18); მედგრად იდგა მუშათა კლასისათვის; ასწავლა, როგორ უნდა დაამხონ მეფე და კაპიტალისტები; გაათავისუფლა მუშები მეფის უღლიდან და ასწავლა ბრძოლა; თავი შესწირა მშრომელთ; მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძოდა; იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის; იბრძოდა მუშა-გლეხის ხელისუფლებისათვის.

თავისებური პასუხები: (11) მისდევდა განთავისუფლებას; პირველი სოციალისტი მთელ ს. ს. რ. კ.; მისცა გლეხებს მიწა, მუშებს ქარხნები; კარგი ვაჟკაცი იყო, იცავდა მუშებსა და გლეხებს; ძალიან კარგი მუშა; კარგი თავი ჰქონდა; სულ სწერდა და ფიქრობდა; დიდი პიროვნება იყო; მუშებს თვალები აუხილა, თავისი კი დახუჭა.

მისდევდა საბჭოთა ხელისუფლებას; იცოდა როგორ უნდა მემამულეებთან ბრძოლა; უნდოდა მუშებისა და გლეხების პირობები გაეუმჯობესებინა; კარგად მართავდა ქალაქს; წიგნები; ბავშობაში იბრძოდა; კარგი. საბჭოთა საქართველოდან იყო.

მე-4 ჯგუფების პასუხები.

ა. ქართული სკოლები.

ზოგადი დახასიათება (49): ყველაფრით (20); შველოდა მუშებს და გლეხებს; ზრუნავდა ხალხისათვის, მუშებისათვის, ბავშებისათვის (8); სწავლით; იცავდა მუშებსა და გლეხებს (5); უყვარდა მუშები, გლეხები, ბავშები (6); ეცოდებოდა ხალხი და ძალიან გულკეთილი იყო; დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა; შრომისმოყვარული და უყვარდა მშრომელნი; მუშაობდა ჩვენთვის, ჩვენი კეთილდღეობისათვის; კავშირის ერთგული, უყვარდა შრომა, უყვარდა საწყალი მუშა-გლეხი.

„სასკოლო“ დახასიათება (22).

განათლებული იყო; განათლებით; უყვარდა ბავშები, პიონერები; უყვარდა ბავშები, მუშები, ბევრ დარიგებას იძლეოდა და ყველას კარგად ეექცეოდა; გაათავისუფლა მონობისაგან და მისცა ბავშებს თავისუფლება; კარგია, რომ გვასწავლიდა განათლებას; უყვარ-

და გლეხის შვილები, ამბობდა: „სწავლა, სწავლა“ და გამოიყვანა ოქტომბრის რევოლუცია გამარჯვებული; ანდერძით (6); მისცა ბავშებს სწავლა; გააუმჯობესა ცხოვრება, გახსნა ბევრი სკოლა; მისცა უფასო სწავლა; სწავლა, თავისუფლება, მიწები; სრული თავისუფლება, სწავლა.

პირადი დახასიათება: (60), ყოფაქცევით; აზრებით; ჭკუით, რომ კარგი კაცი იყო და გაათავისუფლა მუშები; იყო გმირი; გულკეთილი და პატიოსანი (3); განათლებით და ჭკუით (11); გამბედავი, ჭკვიანი მუშაკი და ხალხის მოყვარული; აქტივობით; ჭკვიანი, მოხერხებული, დაფიქრებული, საქმის მოყვარული და თავისუფალი; ხასიათით; ჭკუით და დარიგებით (7) პატიოსნებით, ნიჭით; გენიოსობით და ბრძოლით; განათლებით (20).

ბელადობით (45): ოქტომბრის რევოლუციის ბელადი (4), ხელმძღვანელობდა მუშებსა და გლეხებს (12); ბელადი, მართავდა კომპარტიას; მუშა-გლეხის ბელადი, დაამხო ბურჟუაზია; მშრომელთა ბელადი (11); წაიყვანა გამარჯვებისაკენ; მსოფლიო ბელადი; მსოფლიო ბელადი იყო და გაათავისუფლა მუშები მძიმე ცხოვრებისაგან; მუშების მასწავლებელი და დამცველი, ხელმძღვანელი; მუშა-გლეხის საქმე განთავისუფლების გზაზე დააყენა.

იბრძოდა და ასწავლიდა ბრძოლას (20).

თავს სწირავდა საბჭოთა კავშირს; თავი შესწირა მუშებსა და გლეხებს; იბრძოდა მუშებისათვის და გლეხებისათვის; იბრძოდა ჩვენთვის და გვასწავლიდა; დაუღალავად იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ; იბრძოდა; ასწავლიდა გლეხებს რევოლუცია მოეხდინათ; დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა, გაათავისუფლა მუშები; იბრძოდა სოციალიზმისათვის, გაათავისუფლა მუშა-გლეხები და ასწავლიდა: „სწავლა, სწავლა“; რევოლუციონერი იყო, გაათავისუფლა ხალხი.

მისცა თავისუფლება და თანასწორობა (103).

გულკეთილი იყო, უყვარდა ყველა ერის ხალხი და მისცა თავისუფლება; ბევრი მშრომელი გაათავისუფლა შიმშილისა და ტანჯვისაგან; ყველაფრით; გაათავისუფლა მუშა-გლეხი მძიმე ცხოვრებიდან, განამტკიცა მუშათა კლასი და მისცა დახმარება მუშებსა და გლეხებს; ლენინი იყო გამათავისუფლებელი მუშებისა და გლეხების, რომელნიც იტანჯებოდენ კაპიტალის უღლის ქვეშ; მსოფლიოს $^1/_6$-ში გაათავისუფლა მონობით ტანჯული ერი და ააფრიალა თავისუფლების დროშა; ლენინმა გაათავისუფლა მუშათა კლასი ბურჟუაზიის უღლიდან და მისცა მას ის, რაც უნდოდათ, თავი შესწირა მუშათა კლა-

სის კეთილდღეობას; ბევრი ოფლი დაღვარა, სანამ არ გაათავისუფ-ლა მონობისაგან და უნდოდა მიწა მიეცა იმათთვის, ვინც მუშაობს; მედგრად მიჰყვებოდა რევოლუციას და ამხნევებდა მშრომელთ; ზრუ-ნავდა მუშათა კლასის განთავისუფლებაზე, რომ მას აეღო ხელში ძალა-უფლება; გაათავისუფლა მუშები და გლეხები და მათ აიღეს ხელში ხელისუფლება; გაათავისუფლა მუშები და გლეხები (48); გა-ათავისუფლა მონობისაგან (8); გაათავისუფლა მშრომელნი (21); გა-ათავისუფლა მონობისაგან, ‘ოახდინა რევოლუცია და გაათავისუფლა მუშები და გლეხები ტანჯვისაგან; დიდი დახმარება გაუწია მუშებსა და გლეხებს, მისცა მათ თავისუფლება; დაამყარა ხელისუფლება, გა-ათავისუფლა მუშები და გლეხები; მთელი თავისი ენერგია შესწირა მუშებსა და გლეხებს, რომ მათ ჰქონდესთ მიწები და იყვნენ განთა-ვისუფლებულნი.

თავისებური (23).

გაანადგურა ბურჟუაზია და დაამყარა კოოპერაცია; მისცა მუ-შებსა და გლეხებს მიწები (4); ძოსპო გლეხების ცემა, დაამხო მეფე და მისცა გლეხებს თავისუფლება: გაიკაფა თავისათვის გზა ახალი ცხოვ-რებისკენ; არ დაიზოგა თავი მუშებისა და გლეხებისათვის, იმდენი იომა, რომ დაემყარებინა კომუნისტური ხელისუფლება და მიაღწია; და-ამყარა საბჭოთა რესპუბლიკა; მისცა მუშებს ქარხნები, გლეხებს მიწე-ბი (8); იცავდა მშრომელთა ინტერესებს, მისცა გლეხებს მიწა; 8 სა-ათის სამუშაო დღე (2); გაათავისუფლა მუშა-გლეხი მძიმე უღლიდან, ჩამოართვა მდიდრებს მიწები და ქარხნები და გადასცა მუშებსა და გლეხებს; მოახდინა რევოლუცია, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, მისცა მუშებს ქარხნები, გლეხებს მიწა, ეხლა ყველა თანასწორია.

უაზრო და გაურკვეველი: (52) მუშაობით; კარგი იყო მუშები-სათვის; გაათავისუფლა (36); მოქონდა სიხარული; სურათით; ქარ-თველ მუშებს; მართავს ხალხი; მართავენ ხალხის დროშით; ყველა თანასწორი; კარგი; სუყველაფერი კარგი დაამყარა არა მარტო ხალ-ხისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის; მსუბუქი სამსახური, ფული; დაამყარა ხელისუფლება; თავი შესწირა, ენერგია; მისცა თა-ვისუფლება ოქტომბრის რევოლუციას, რადგან ის იყო დამხმარე; მუშებმა და გლეხებმა შექმნეს მჭიდრო კავშირი.

შემცდარი: (3) გაათავისუფლა კაპიტალის ძალა; გლეხებს 8 სა-ათის სამუშაო დღე; მუშები გაათავისუფლა მონობისაგან, გლეხები— ბატონყმობისაგან.

რუსული სკოლები.

ზოგადი დახასიათება (45).

ყველაფრით (16); მუშაობით (4); სწავლით; ეხმარებოდა მუშებსა და გლეხებს მეფესა და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში (12); მუშა-გლეხის მომხრე იყო (8); ეხმარებოდა მუშებსა და პიონერებს; მოგვცა განათლება.

„სკოლის“ დახასიათება (20).

გახსნა ბევრი სკოლა; უყვარდა მუშებისა და გლეხების ბავშები (7); მოგვცა სწავლა და საბჭოთა ხელისუფლება; იყო შეგნებული და გვასწავლიდა მუშაობას; მისი მოქმედებით.

ხასიათით (36).

ჭკუით და რომ მუშებისა და გლეხების განთავისუფლების მოხრე იყო; ჭკუით (12); გულკეთილი; აქტიური და პატიოსანი (4); ნასწავლი; ჭკუით და ცოდნით; მოსაზრებით; მართალს ამბობდა; ხასიათით; მამაცობით, გამბედაობით, ბავშები უყვარდა; არასოდეს არ კარგავდა იმედს და ავადმყოფობის დროსაც ასწავლიდა მუშაობას; არ იყო ამაყი; ცოდნით და მიზნით; ნიჭიერებით.

ბელადობით (10).

ასწავლიდა ყველას და ბელადი იყო; დააორგანიზა მუშები და მისი ხელმძღვანელობით; მშრომელთა ბელადი; ს. ს. რ. კ. ბელადი; რევოლუციის ბელადი და დააარსა საბჭოთა ხელისუფლება.

მოგვცა თავისუფლება და თანასწორობა (28).

გაათავისუფლა მძიმე ცხოვრებიდან (28).

იბრძოდა და ასწავლიდა ბრძოლას (18).

სიცოცხლე შესწირა მუშებსა და გლეხებს და იყო გულკეთილი; იბრძოდა მუშებისა და გლეხების გასათავისუფლებლად; იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის; რევოლუციონერი იყო; სწავლისათვის და რომ მოამზადა ოქტომბრის რევოლუცია; მუშებსა და გლეხებს ასწავლიდა ბრძოლას (6); ნიჭით, სწავლით და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლით.

თავისებური: მისცა მუშებსა და გლეხებს თავისუფლება; არ უნდოდა ტერორით ბრძოლა და შეაერთა მუშები და გლეხები; ამბობდა: ყველა თანასწორია; არ არის ღარიბი და მდიდარი; შველოდა რევოლუციის მოხდენაში; მოგვცა სწავლა და საბჭოთა ხელისუფლება; იყო შეგნებული და ასწავლიდა გლეხებს, როგორ უნდა მუშაობა; გააკეთა საბჭოთა ქვეყანა; შექმნა ს. ს. კ. პარტია.

უაზრო და გაურკვეველი (7).

შექმნა დიდი ხელისუფლება; მუშაობდა; სიმართლით; გაათავისუფლა გლეხები ბატონყმობიდან და მუშებს დაუბრუნა მიწები; ცდილობდა, რომ მთელი ხალხი ერთი ყოფილიყო; მისი მუშაობით, მოღვაწეობით და ლოზუნგებით; მთლიანი მუშაობით; ხასიათით, ანდერძი, მიზნები.

ბავშების პასუხები	მე-III ჯგუფი				მე-IV ჯგუფი			
	ქართ. სკოლ. ს.ს.რ.კ.	რუს. სკოლ. ს.ს.რ.კ.	ს.ს.რ.კ. სკოლ. საერთ.	მოსკოვის.	ქართ. სკოლ. ს.ს.რ.კ.	რუს. სკოლ. ს.ს.რ.კ.	ს.ს.რ.კ. სკოლ. საერთ.	მოსკოვის.
1. ზოგადი დახასიათება	17	19.5	18	18.5	10.4	21.8	13.9	14.3
2. „სასკოლო“ დახასიათება	9.2	12.6	10.3	14.3	4.7	9.7	6.2	13.4
3. ხასიათით	9.2	8.1	8.8	13.7	12.8	17.4	14.2	9.7
4. პოლიტიკ. ხასიათის დახასიათება								
ა. ბელადი	6.6	6.1	6.4	4.5	9.6	4.8	8.1	30.0
ბ. ასწავლ. ბრძოლას და იბრძოდა	3.0	10.6	5.7	23.5	5.5	8.6	6.5	13.1
გ. მისცა თავისუფლება და თანასწორობა	14.1	9.7	12.5	12.5	22.0	13.5	19.2	8.2
5. თავისებური . . .	5.3	4.4	5.0	4.3	4.9	4.3	4.7	4.4
6. გაურკვეველი და უაზრო	2.4	3.3	2.7	0.7	11.0	2.9	8.6	2.3
7. შემცდარი	0.6	0.4	0.5	2.0	0.6	0.5	0.6	2.9
8. არ არის პასუხი.	32.0	25.0	92.5	2.3	18.3	16.0	17.6	1.8
9. პასუხები, რომელშიაც ლენინი წარმოდგენილია ცოცხალი	—	—	—	2.0	—	—	—	—
10. ბავშვები, რომელნიც უარყოფითი აზრისა არიან .	0.2	—	0.2	0.7	—	—	—	—

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბავშების 10,11% ახასიათებს ლენინს, როგორც ბელადს, წინამძღოლს, მებრძოლს (სკოლა სწორედ ასე უნდა ახასიათებდეს მას). სრულიად არ იძლევა პასუხს 29 და 17%, ზოგადად ახასიათებს 18 და 14% მოწაფეებისა. აქ არ დგას საკითხი — დაამუშავა თუ არა სკოლამ ეს საკითხი; ცხადია, რომ რაგინდ მიყრუებული ადგილი იყოს (და მით უმეტეს იმ სკოლებში, რომელიც იყო გამოკვლეული), თუ სხვა დროს არა, 21 იანვარს მაინც არის საუბარი ლენინზე, მაშ არ ყოფილა სწორი მიდგომა, არ ყოფილა საუბრის დროს ხაზი გასმული, თუ ვინ იყო ლენინი და რა როლი ითამაშა მან ოქტომბრის რევოლუციაში.

1929-30 სასწავლო წლისათვის

უმოკლესი ისტორიული დროის განმავლობაში ინდუსტრიალური განვითარებით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს უნდა დავეწიოთ და გავასწროთ. განვითარებული ინდუსტრია სოციალიზმის ურყევ საფუძვლად უნდა გვქონდეს. თუ არა სოციალისტური — ჩვენი ეკონომიური განვითარებისათვის სხვა გზა არ არსებობს. სახალხო მეურნეობის სოციალისტურს ნიადაგზე გარდაქმნა-განვითარებას აძნელებს: ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობა, მოსახლეობის დაბალი კულტურული დონე, წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის სიჭარბე სახალხო მეურნეობაში და იმპერიალისტურ-კაპიტალისტური გარემოცვა. ეს სიძნელენი უნდა გადაილახონ — სოციალიზმის შენებაში ჩაბმული მასების ნებისყოფამ ეს უნდა შესძლოს. სოციალისტური მეურნეობის რევოლუციონური ტემპით განვითარება კულტურული განვითარების ასეთსავე ტემპთან არის დაკავშირებული. მასების გადახალისების გარეშე ინდუსტრიალური განვითარების რევოლუციონური ტემპი შეუძლებელია. სოციალისტური შენებისათვის ახალი მასა, ახალი ადამიანია საჭირო — ახალი მსოფლმხედველობით, მორალით, მისწრაფებით, გრძნობით, ცოდნით და ბრძოლის და შენების უნარით.

კულტურული რევოლუცია ფაქტად უნდა იქცეს მასების მონაწილეობით და ახალი მასების მოსამზადებლად. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები განუყრელადაა დაკავშირებული ურთიერთთან.

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა უძლიერესი და შეუჩერებელი შეტევაა სოციალისტური მაღლობების დასაპყრობად — შეტევა ყველა ფრონტზე და ყველა მიმართულებით. ამ გეგმის გან-

ხორციელების ამოცანების გარშემო უნდა დაირაზმოს სოციალიზმის გამარჯვებაში დაინტერესებულ ძალთა ფოლადისებური რიგები.

სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე სკოლის წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია დასმული. სკოლა თავის მუშაობას ამ ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით აწარმოებს; როგორც სოციალისტური მშენებლობის მონაწილე, მოწოდებული სამეურნეო-კულტურული მშენებლობის წინ წასაწევად და ახალი თაობის სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის გზით აღსაზრდელად, ჩვენი სკოლა თავისი მუშაობის მიზანს და შინაარსს მშენებლობის ძირითადი ამოცანებით განსაზღვრავს. ის ვერ დაკმაყოფილდება ამ ამოცანების მარტო პროპაგანდით, რაგინდ ფართო და ნაყოფიერი არ იყოს ეს პროპაგანდა, არამედ პედაგოგიური გზებით პრაქტიკულს მონაწილეობას იღებს მათ გადაწყვეტაში. საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება, სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრება ქალაქში და სოფლად, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და თვითღირებულების შემკირება, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, ახალი მსოფლმხედველობისა და ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა, შრომითი დისციპლინის განმტკიცება, ახალი ადამიანის აღზრდა — ყველა ეს საკითხი საბჭოთა სკოლის მუშაობას ქვაკუთხედად ედება.

ახალი სასწავლო წელი გვიახლოვდება. მას მეტი მომზადებით უნდა შევხვდეთ. სკოლის საწარმოო გეგმებში და სამუშაო პროგრამებში აშკარად უნდა დავსვათ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რაც სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში არის წამოყენებული.

შევეხოთ ზოგს იმ საკითხებიდან, რომლებიც სკოლებს უეჭველად მხედველობაში უნდა ჰქონდეს ახალი სასწავლო წლის საწარმოო გეგმის შედგენის დროს.

1. შრომა სკოლაში.

წარმოება ჩვენი სკოლის მუშაობის ფუძედ ჯერ კიდევ ვერ გახდა მწარმოებელი საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომა ჩვენს სკოლაში ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმ ღერძს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს სოციალისტური აღზრდა. ამიტომ სკოლის გადაყვანა წარმოებაზე და შრომის ძირითადი პრინციპის განაღდება გადაუდებელ ამოცანად რჩება. რათაც გინდა დაგვიჯდეს, — ეს ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ. ახალ სასწავლო წელს ამ მიმართულებით უეჭვე-

ლად მეტი შედეგი უნდა დავატოვებინოთ. მეურნეობის რევოლუციონური სისწრაფით განვითარება მასების შრომითი კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე შეუძლებელია. — მასების ტექნიკური განათლების დონე აუცილებლად უნდა ამაღლდეს. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ პოლიტექნიკური განათლების ამოცანა ასე მწვავედ დგას საბჭოთა კავშირში და გადაწყვეტას ელოდება. როდესაც მთელი ჩვენი სინამდვილე შრომის და ტექნიკის ინტერესით არის გაჟღენთილი, როგორ შეიძლება ამ დროს შრომა არ გვქონდეს სკოლაში და შრომაზე და ე. წოდებულს შრომის პროცესებზე მხოლოდ მშრალად ვლაპარაკობდეთ? აქაც რევოლუციონური ტემპი გვმართებს. პოლიტექნიზმი სინამდვილედ უნდა ვაქციოთ. სკოლა საზოგადოებრივს წარმოებას უნდა დავუახლოვოთ (ფაბრიკა-ქარხანას, კოლექტიურ მეურნეობას, წარმოების სხვადასხვა დარგებს), — ახალგაზრდობა უნდა შევიყვანოთ სოციალისტური მეურნეობის შენებაში, შევასისხლხორცებინოთ და შევაყვაროთ, შრომითი განწყობა მივცეთ გაუმჯობესებული ტექნიკის მნშივნელობის გაგების საფუძველზე.

ახალგაზრდობაში ტექნიკური ინტერესი ძლიერია: ბავშები აკეთებენ აეროპლანებს, ავტომობილს, ორთქლმავალს, ტრაქტორს, გუთანს, აკეთებენ მართლაც მომქმედ რადიომიმღებს, აწყობენ ღვარზე ელექტროსადგურებს, წისქვილებს. ტექნიკური ხასიათის გართობა-თამაშობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქალაქში და სოფლად. ეს შემთხვევით არ არის. ეს ინტერესი უნდა გამოვიყენოთ — მას გასავალი მივცეთ. ამას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება. ამისთვის სკოლაში აუცილებლად შემოღებული უნდა იქნას შრომა. არც ერთი სკოლა არ უნდა იყოს ისეთი, რომ მას არ გააჩნდეს პატარა მეურნეობა — კულტურული ნაკვეთი — და სახელოსნო, სადაც რა იქნება მისაწვდომი. პირველი საფეხურის სკოლებშიც უნდა მოეწყოს შრომის ოთახები და კუთხეები, სადაც სხვადასხვა სახის მასალის დამუშავებას უნდა ეწეოდენ (წვნა, ქსოვა, ჭრა-კერვა, კინძვა, მუშაობა ქაღალდზე, მუყაოზე, ხეზე, თიხაზე და სხვა). სიტყვით და საქმით სკოლამ შესაძლო მონაწილეობა უნდა მიიღოს სამეურნეო მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. მას აქაც მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსახლეობასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ ორგანოებთან. სადაც რამდენიმე სკოლა მუშაობს მახლობლად, იქ შესაძლებელი და სასურველია საერთო მეურნეობის და საერთო სახელოსნოების — თავისებური ტექნიკური სადგურების — მოწყობა.

2. აღზრდის ძირითადი საკითხები.

უკანასკნელ დრომდე ჩვენი ყურადღება უმთავრესად სწავლების ფორმალურს მხარეზე იყო შეჩერებული: პროგრამების დაძლევა, ცოდნა-ჩვევანი, მეთოდები. მაგრამ ცოდნა ხომ მიზანი არაა — საშუალება და იარაღია, რომელიც ადამიანის ქცევაში უნდა გამომჟღავნდეს. პედაგოგიურს მუშაობაში ჩვენ საბოლოოდ ქცევით ვართ დაინტერესებული: რა ადგილს იჭერს ადამიანი მოცემულს საზოგადოებაში, რა მიმართებაშია მასთან. სოციალიზმის მშენებელს ვზრდით. აქ სულ სხვაგვარ მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე. სოციალიზმის მშენებლის ქცევა თავიდან ბოლომდე საზოგადოების გარდაქმნისათვის მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესებთან და ამოცანებთან უნდა იყოს შეფარდებული.

გარდამავალს ხანაში ვცხოვრობთ. ახალი ცხოვრება მკვიდრდება, მაგრამ ძველისაგან ჯერ კიდევ არ გავთავისუფლებულვართ. კლასობრივი ბრძოლა გამწვავებულია შიგნით და გარეთ, ის ახალგაზრდობის დაპყრობის ფრონტზეც არის გადატანილი. ჩვენი სოციალური გარემო ჭრელია და წინააღმდეგობით აღსავსე: სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენებია, სხვადასხვა ინტერესები და იდეოლოგია. ასეთ პირობებში მეტად გაძნელებულია აღზრდის პროცესი. ბევრი დაბრკოლება გველობება ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში: ჩვენს მუშაობაში მრავალი გზით იჭრება უცხო გავლენა, უცხო იდეოლოგია და აფერხებს მოწესრიგებულ პედაგოგიურ მუშაობას.

ეს გარემოება გვიკარნახებს მით უფრო გაძლიერებული ყურადღებით მოვექცეთ აღზრდისა და ახალი ადამიანისათვის აუცილებელი ქცევის შემუშავების ამოცანებს.

ა. პროლეტარულ-კლასობრივი აღზრდა. ჩვენი ახალი თაობა სოციალიზმის შენებაში ჩაბმული პროლეტარიატის კლასობრივი იდეალებით უნდა გაიმსჭვალოს, მის კლასობრივი ბრძოლის გზაზე მტკიცედ დადგეს და უკლასო საზოგადოებისათვის მებრძოლთა რიგების შესავსებად ემზადებოდეს. პროლეტარიატის ისტორიული როლი სწორედ უნდა იყოს მოცემული ახალგაზრდობის შეგნებაში და მისი სიდიადე წაუშლელად აღბეჭდილი ემოციებში. კლასობრივი აღზრდის ამოცანები მარტო შესაფერი ლიტერატურული მასალის გაცნობით და რევოლუციონურს ზეიმში მონაწილეობით როდი განისაზღვრება: პროლეტარიატის კლასობრივი იდეოლოგია და მისი ინტერესები გაგებული და შესისხლხორცებული უნდა იქნას პრაქტიკაზე — მუშათა კლასის შრომასა და ბრძოლაში შესვლის და მონაწილეობის გზით.

ამ თვალსაზრისითაც სკოლის კავშირს სოციალისტურს წარმოებასთან ქალაქში და სოფლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს (ქარხანა, კოლექტიური მეურნეობა და სხვ.), სადაც მუშათა კლასის ინტერესები და იდეალები მოქმედებაში, მეურნეობის და ცხოვრების ახალი ფორმების შენებაშია მოცემული. სკოლამ ახალგაზრდობას უნდა მისცეს ცოდნა და უნარი, რომ მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით შეაფასოს ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენა და სწორი გაგება სწორს ქცევაში გამოამჟღავნოს მუშათა კლასის პოზიციების გასამაგრებლად. ცოდნა მოქმედებაში, ქცევაში უნდა გადავიდეს.

ბ. ინტერნაციონალური აღზრდა. სწორედ გაგებული პროლეტარულ-კლასობრივი აღზრდა იმავე დროს აუცილებლად ინტერნაციონალურიც არის, მაგრამ ამაზე მაინც ცალკე ვლაპარაკობთ, რადგან მუშაობაში აქ უეჭველად ხარვეზებთან გვაქვს საქმე და გაძლირებული ყურადღება გვმართებს. ეროვნული შუღლის ნაშთები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მათი მატარებელი და ერთგული დამცველი ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ფენებია. მათი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე ვრცელდება. საბჭოთა რუსეთში (ნაწილობრივად — ჩვენშიაც) ჩატარებულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მოსწავლე ახალგაზრდებისათვის ზოგი „რჩეული“ და ზოგი „უარყოფილი“ ეროვნებაა: ბავშვების ანკეტებში ხშირად ვხვდებით: ესა და ეს ეროვნება მომწონს, მიყვარს, ესა და ეს—მძულს, მეჯავრება და სხვ. აქ უცხო იდეოლოგიასა და გავლენასთან გვაქვს საქმე. ეს გავლენა არც ისე სწრაფად და იოლად მოისპობა. ამიტომ მის წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლაა საჭირო. არა თუ ბავშებში—ზოგჯერ მასწავლებლებშიც არის ისეთი შეხედულება, თითქოს ინტერნაციონალურს თვალსაზრისზე დადგომა მსხვერპლის გაღებას მოითხოვდეს: თუ ინტერნაციონალისტი გახდი—ნაციონალური უნდა უარჰყო და ერთი ეროვნების ინტერესები სხვა ეროვნებათა ინტერესებს დაუმორჩილო და შესწირო. ნაციონალიზმის და შოვინიზმის კლასობრივ-ბურჟუაზიული ბუნება მოსწავლეთათვის აშკარა უნდა გახდეს. ახალგაზრდობა იმ შეხედულებაზე უნდა განმტკიცდეს, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით გაგებული ინტერნაციონალური და ნაციონალური ერთმანეთს არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით — პროლეტარიატის პოლიტიკა კულტურულს მშენებლობაში იქითკენაა მიმართული, რომ განავითაროს ეროვნული კულტურა — ეროვნული ფორმით და ინტერნაციონალურ-პროლეტარული შინაარსით. ინტერნაციონალური კი არ ნთქავს საღს ნაციონალურს, არამედ — ჰქმნის მისი განვითარების

და გაძლიერებისათვის აუცილებელ პირობებს. ახალგაზრდობამ უნდა შეისისხლხორცოს საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოების ახალ —სოციალისტურს და კომუნისტურს საფუძველზე გარდაქმნის საქმეში. ინტერნაციონალიზმი, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის ერთადერთი გზა,—ეს უნდა დამკვიდრდეს ახალგაზრდობის გონებასა და გრძნობებში.

ინტერნაციონალური აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრულს და სხვა ხასიათის ლიტერატურულს მასალას სხვადასხვა ეროვნების ცხოვრებიდან, მათი რევოლიუციონურ-კლასობრივი ბრძოლის გაცნობას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა: აქაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება კავშირს მსხვილ წარმოებასთან, სადაც სხვადასხვა ეროვნების მუშები მჭიდროდ შეკავშირებულან საერთო კლასობრივი ინტერესების ნიადაგზე და სადაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყოველი მნიშვნელოვანი შემთხვევა სოლიდარობის გამოძახილს ჰპოულობს. პროლეტარიატის შრომის და ბრძოლის საგუშაგო იმავე დროს ინტერნაციონალური სოლიდარობის საგუშაგოცაა და მასთან სიახლოვე სკოლას ბევრს შესძენს და ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას გაუადვილებს. ყოველმა სკოლამ უნდა შესძლოს მუშათა კლასთან დაახლოვების მისაწვდომი ფორმების გამონახვა, უნდა შესძლოს მოსწავლე ახალგაზრდობის შეყვანა საერთაშორისო პროლეტარიატის შრომასა და ბრძოლაში.

ამას გარდა, აუცილებელია ეროვნული სკოლების დაახლოვება რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის ფარგლებში (ჩვენში მეზობლად მომქმედ ეროვნულ სკოლებსაც ხშირად არაფერი აქვთ საერთო). აქ დაკავშირების ბევრი საბაბი და შესაძლებლობა არის, მხოლოდ უნდა გამოვიყენოთ. ყველა სკოლამ უნდა იფიქროს და იზრუნოს ამაზე. ზოგ სკოლას ცდა აქვს უცხო ქვეყნების ახალგაზრდობასაც დაუკავშირდეს. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გავაფართოოთ.

გ. ანტირელიგიური და ახალს ყოფა-ცხოვრებაზე აღზრდა. აქაც არ გვაქვს ყველაფერი რიგზე. თუმცა ხალხმა ეკლესიები ბევრ ადგილას გააუქმა, მაგრამ რელიგიური ცრუმორწმუნეობანი და რელიგიური ხასიათის საყოფაცხოვრებო ნაშთები ძლიერ ბევრია დარჩენილი. ყველაფერი ეს მოქმედობს ახალგაზრდობაზე. საჭიროა მოფიქრებული და შეუწყვეტელი მუშაობა ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, სწორი მსოფლმხედველობის შემუშავების სასარგებლოდ. დროგამოშვებითი კამპანიებით შორს ვერ წავალთ.

ლანძღვა-გინება და რელიგიის ზერელედ ყბად აღება არ გვიშველის. მეთოდური, დამარწმუნებელი მუშაობა საკითხების მეცნიერულად გაშუქებით,—ეს გზა უნდა იქნას არჩეული. ასეთი მუშაობა შეუწყვეტლივ უნდა წარმოებდეს ახალგაზრდობაში და მოსახლეობაში. სკოლებში უღმერთოთა წრეები უნდა ჩამოყალიბდეს. ეს წრეები ანტირელიგიურ შეხედულებას თვით ყოფით და ქცევით უნდა ამჟღავნებდეს, ანტირელიგიურ პროპაგანდას ახალი ცხოვრების მაგალითით უნდა ეწეოდეს. მოსწავლეთა კოლექტივმა ყოველი თავისი წევრი პასუხისმგებლობის პირობებში უნდა ჩააყენოს და მოსთხოვოს: თავის ყოფა-ცხოვრებაში და ქცევაში ადგილი არ მისცეს რელიგიურ ნაშთებს.

ახალი ადამიანი ახალი ყოფით უნდა ხასიათდებოდეს. ჩვენ კი საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ძველი ყოფა-ცხოვრების შრეებით ვართ დამძიმებული. ბევრი გვაქვს ძველი და უარსაყოფი კერძო და საზოგადოებრივს ცხოვრებაში: ლაპარაკში, ტანსაცმელში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომასა და დასვენებაში. ძველისაგან უნდა გავთავისუფლდეთ და ახალგაზრდობაც მისგან დავიცვათ. ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის სკოლამ საზოგადოებაშიც უნდა გადაიტანოს. აქ ის დაკავშირებული უნდა იყოს ყველა კულტურულ ძალასთან. საერთო ძალ-ღონით შეტევაზე უნდა გადავიდეთ ძველის წინააღმდეგ და გზა გავუხსნათ მეცნიერულს მსოფლმხედველობას და ახალს, დახვეწილს ყოფა-ცხოვრებას.

დ. სქესობრივი აღზრდა. ერთად სწავლება თავიდან ბოლომდე განვახორციელეთ. ეს საბჭოთა პედაგოგიკის მიღწევაა. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აქ სამუშაო და საზრუნავი არ გვქონდეს. არის შემთხვევები, რომ სკოლებში მოსწავლე ქალებს ვაჟები არ სთვლიან თანასწორებად, ზოგჯერ დასცინიან, ავიწროებენ, უწმაწურ წარწერებს უკეთებენ დაფარულს ადგილებზე. აბა ვაჟებისა და ქალების ცალკე დაჯგუფება სამეცადინო ოთახში ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა: ცალკ-ცალკე სხედან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამხანაგური დამოკიდებულება თანასწორთა შორის ჯერ კიდევ არ არის მიხწეული.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც დროგამოშვებით გაზეთების ფურცლებზეც გამოდის და იმის შესახებ მოწმობს, რომ სკოლებში და საბ. სახლებში მოსწავლეთა შორის (ზოგჯერ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის) საზღვარს გადაცილებული დამოკიდებულებაც არის. ტფილისის მე-15 სკოლაში გასროლილი ტყვია გამაფრთხილებლად უნდა ჩავთვალოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ

არანორმალური მოვლენები გაცილებით მეტია იმასთან შედარებით, რაც გამოქვეყნდა. გან. სახ. კომისარიატი შეეცადა ადგილებიდან შეეგროვებინა მასალა ამ საკითხის შესახებ, მაგრამ მიზანს ჯერჯერობით ვერ მიახწია: პასუხი ან სრულებით არ მოვიდა, ან თუ მოვიდა—ხშირად ისეთი, რომელიც „კაზიონურს“ წესიერებაზე და მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს და სინამდვილეს მალავს. ასეთ პასუხს სწორედ ისეთი სკოლაც იძლევა, სადაც ყველაფერი რიგზე ვერ არის. სქესობრივი აღზრდის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მასზე შეჩერება გვმართებს.

ცხადია, სქესთა შორის დაუშვებელი დამოკიდებულების შემთხვევები ეჭვის ქვეშ ოდნავადაც არ აყენებს ერთად სწავლების მიზანშეწონილობას და პედაგოგიურს ღირებულებას. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენ ამ საკითხს უნდა მოვუაროთ, პედაგოგიური მუშაობის დღის წესრიგში დავსვათ და მოფიქრებული მეთოდური მუშაობით, საზოგადოებასთან, კულტურულს ძალებთან და ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად, ახალი თაობის სქესობრივი აღზრდა სწორს გზაზე დავაყენოთ.

სანამ გვიან არ არის, აქ სკოლას ყურადღების დამახვილება მართებს.

3. შრომის ნაყოფიერების გადიდება.

თუმცა ჩვენი ყურადღება უმთავრესად პროგრამების დაძლევასა და ცოდნა-ჩვევებზე იყო შეჩერებული, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია მიხწეული შედეგებით დაკმაყოფილება. აქაც გვაქვს ნაკლი. ჩვენს ახალგაზრდებს სკოლიდან ჯერ კიდევ ვერ გამოაქვთ საჭირო მომზადება. ზოგჯერ ელემენტარ ცოდნას მოკლებული არიან. უეჭველად უნდა შევასრულოთ სასწავლო გეგმები და საფუძვლიანად დავამუშაოთ სავალდებულო პროგრამები. საფუძვლიანი ცოდნა და მტკიცე ჩვევები ჩვენს ახალგაზრდობას ახლა ისე ესაჭიროება, როგორც არასოდეს: ცოდნით თუ არ ხარ შეიარაღებული, ცხოვრების გარდაქმნაში მონაწილეობაზე ლაპარაკი მხოლოდ დროს დაკარგვა იქნება. საჭიროა პედაგოგიური მუშაობის მაქსიმალური რაციონალიზაცია და შრომის ნაყოფიერების გაზრდა. უბრალო დაკვირვება საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს სკოლაში ისედაც მცირე სასწავლო დროის დიდი ნაწილი სრულიად უსარგებლოდ იკარგება. ამას ბოლო უნდა მოვუღოთ. მოსწავლეთა ჩამორჩენა და მეორე წლით

დატოვება ჩვეულებრივი მოვლენაა—ამის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ. ამოცანად უნდა დავისახოთ: არცერთი ჩამორჩენილი და მეორე წლით დატოვებული მოწაფე. ამისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭიროა სკოლაში თვითდახმარების ორგანიზაცია. სკოლის კოლექტივმა, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ძალების გამოყენებით, უეჭველად უნდა შესძლოს დახმარების აღმოჩენა იმათთვის, ვისაც ეს ესაჭიროება. ყოველი საშუალებით უნდა ვიბრძოლოთ სასწავლო დროის შემცირების წინააღმდეგ, როგორიცაა: მეცადინეობის გამოტოვება, შემოდგომაზე გვიან დაწყება და გაზაფხულზე ადრე შეწყვეტა, გაკვეთილების შემოკლება, უგეგმობით, მოუფიქრებელი და უთავბოლო ლაპარაკით გაკვეთილებზე დროის გაცდენა. მუშაობის აქტიურს მეთოდებზე და ხერხებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ სკოლაში ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

პედაგოგიური მუშაობის ნაყოფიერების გასადიდებლად ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. ეს ამოცანაც გარკვეულად უნდა დაისვას სკოლის წინაშე სწავლის განახლებისთანავე.

4. შრომითი დისციპლინა მოსწავლე ახალგაზრდობაში.

უკანასკნელს ხანებში ამ საკითხის გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმაა და ბევრიც იწერება: ჩივიან მასწავლებლები, ახალგაზრდათა ორგანიზაციები, მშრომელები, განათლების ორგანოები და სხვ. მოსწავლე ახალგაზრდობა წესრიგს არღვევს სკოლაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ქუჩებში, მოედნებზე, რკინის გზის სადგურებზე, მატარებელში; მუშტიკრივი, ლანძღვა-გინება, ფანჯრების და კარების ჩამტვრევა წარმოდგენების დროს, ყვირილი და ღრიანცელი, ლოთობა, გულგრილად მუშაობა, მასწავლებლების შეურაცხყოფა, სკოლაში იარაღის ხმარება და სხვა—ასეთი ამბები თითო-ოროლა გამონაკლისს აღარ შეადგენს. ტფილისის მილიციის სამმართველომ რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა ცნობები გასამართლებული ხულიგნების შესახებ და მოსწავლე ახალგაზრდობაზე 30%-ზე ნაკლები არ მოდიოდა. სანამ გვიან არ არის, ამ ფაქტებს ყურადღებით უნდა მოვეპყრათ და აღვკვეთოთ. ამ დაუშვებელ მოვლენებს ზოგი ოჯახის და სკოლის გარეშე მოუწესრიგებელი სოციალური გარემოს გავლენით ხსნის. ნაწილობრივად ეს მართალია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივად. უმთავრესი მიზეზი მაინც სკოლაშია; სკოლის მუშაობა ჯერ კიდევ არ გვაქვს ისე მოწესრიგებული, რომ ის დისციპლინას ქმნიდეს. სკოლის მუშაობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რომ

ის ახალგაზრდობას იპყრობდეს, იტაცებდეს, მაღალ ინტერესებს უღვიძებდეს, მასში სოციალურ-შრომითს ცენტრებს (დომინანტა) ქმნიდეს და აძლიერებდეს და შინაგან დისციპლინას უზრუნველყოფდეს. დისციპლინა გარეგანი ძალდატანებითი ფაქტორების შედეგი კი არ უნდა იყოს, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობდეს. მოსწავლეში საღი სოციალურ-შემოქმედებითი ინტერესი ისე ძლიერი უნდა იყოს, რომ საზღვრავდეს მის საღს სოციალურს ქცევას და ანტისოციალურს გასავალს არ აძლევდეს: ასეთი უნდა იყოს თვითდისციპლინა. აქეთკენ უნდა მივმართოთ სკოლის ყურადღება. მოსწავლის ენერგია, რომელიც ანტისოციალურ ქცევაში პოულობს გამოვლინებას, უკეთმართობის გზიდან საზოგადოებრივ-სასარგებლო გზაზე უნდა გადავიყვანოთ. ახალგაზრდობაში საზოგადოებრივ-შრომითი ინტერესის შექმნას და გაძლიერებას მხოლოდ ის სკოლა შეძლებს, რომელიც თავის მუშაობას საზოგადოებრივ-შრომით პრინციპზე აგებს, ახალი მეთოდებით მუშაობს და ახალგაზრდობა ცხოვრების ახალი ფორმების შენებაში შეჰყავს. პედაგოგიური მუშაობის ახალი პოზიციები სკოლას ჯერ კიდევ არ დაუპყრია და ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესი, მისი „სული და გული“ დაუპყრობელი რჩება. იშვიათი არ არის, რომ მოსწავლე სკოლის წინაშე მხოლოდ ფორმალურად იხდის მოვალეობას, ძალაუნებურად ასრულებს დაკისრებულს სამუშაოს, „სულით და გულით“ კი არ ეკუთვნის მას და თავის ინტერესს და ენერგიას სხვაგან ასაღებს,—ზოგჯერ დაუშვებელ ფორმებში, რასაც უდისციპლინობას და ხულიგნობას ვუწოდებთ. განა ბევრის მაჩვენებელი არ არის ის ფაქტები, რომ ბავშები ხშირად სიხარულით ეგებებიან სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის ყოველს შემთხვევას (გადამდები სენი, მასწავლებლის ავადმყოფობა, არდადეგები, დასასვენებელი დღეები და სხვა)?

— ჩვენს სკოლაში ქუნთრუშა გაჩნდა და ერთი კვირით დაგვითხოვეს,—სახეგაბრწყინებული ეუბნება ერთი ბავში მეორეს ტრამვაის ვაგონში.

— ჩვენი გამგე ისეთი წყეულია,—შავი ჭირიც რომ გაჩნდეს, არ დაგვითხოვს,—გულდაწყვეტით უპასუხებს მეორე.

ამ პატარა სცენის იქით ჩვენი სკოლის მუშაობის დიდი ნაკლი უნდა დავინახოთ.

სკოლის მუშაობის გაჯანსაღება და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა კოლექტიურს კვლევითი-საზოგადოებრივს მუშაობაში, — ეს არის შინაგანი დისციპლინის შემუშავებისა და დამკვიდრების გზა. უდისციპლინობის ყოველი ფაქტი სკოლის მუშაობის გადახალისები-

სა და გაუმჯობესებისაკენ უნდა გვიოითებდეს. მარტო მასწავლებლობა აქ ვერაფერს გახდება.

შრომითი დისციპლინის დამყარება ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების და მოსწავლეთა თვითორგანიზაციის ენერგიული მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული ყველა ორგანიზაცია და საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობა. ბრძოლა საღად აღზრდილი შემცვლელი თაობისათვის ყველას მოვალეობას შეადგენს.

პედაგოგიური გამჭრიახობა და ტაქტი უნდა გამოვიჩინოთ, რათა თვითონ მოსწავლე ახალგაზრდობა ჩავაბათ შრომითი დისციპლინის დამკვიდრების საქმეში. სკოლის კოლექტივის ყოველი წევრი, მოსწავლე იქნება ის თუ მასწავლებელი, პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს თავისი კოლექტივის წინაშე. ამისათვის კი საჭიროა, რომ კოლექტივი მართლაც არსებობდეს და პასუხის მომთხოვიც იყოს. დისციპლინის დამრღვევს გასაქანი არ უნდა მიეცეს. თვითკრიტიკა და ფხიზელი საზოგადოებრივი კონტროლი აქაც უძლიერეს იარაღად უნდა გამოვიყენოთ. თვითკრიტიკა და თვითკონტროლი ჯერ კიდევ სუსტი გვაქვს. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჩინჩალაძის საზიზღარ საქციელს მე-15 შრომის სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობის მასები აღშფოთებული პროტესტით არ გამოეხმაურენ. უდისციპლინოდ შორს ვერ წავალთ.

მომავალი სასწავლო წლის მუშაობაში ეს საკითხიც ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

5. მოსწავლეთა თვითორგანიზაცია.

თვითორგანიზაცია ყველა სკოლაში არის: არსებობს სექციები, კომისიები და სხვ. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონფერენციებზე და თათბირებზე, თუმცა იშვიათად, მაგრამ კამათიც კი იმართება იმის შესახებ, თუ რამდენი და რადარა სექცია უნდა ჩამოვაყალიბოთ. ხშირად აქაც ფორმალ მხარესთან გვაქვს საქმე: სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ბავშებს კიდეც ავიწყდებათ, რომელ სექციაში არიან არჩეული და სრულებით არ აქვთ წარმოდგენა თავის მოვალეობაზე.

სამი-ოთხი წლის წინად სკოლები მეტი ყურადღებით ეპყრობოდენ თვითორგანიზაციის მუშაობის შინაარსსა და ფორმებს. უკანასკნელს წლებში შენელდა ეს მუშაობა. ეს ნაკლიც უნდა გამოვასწოროთ. დღეს იმდენი და ისეთი რთული საკითხებია დასმული საბ-

ჭოთა სკოლის წინაშე, რომ სამუშაოს ძებნა არაა საჭირო. სკოლა მთლიან კოლექტივად უნდა ვაქციოთ. მასწავლებლობის ამოცანაა, ახალგაზრდათა კომუნისტურს ორგანიზაციებთან ერთად, მოსწავლე ახალგაზრდობა შეიყვანოს სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შენებაში, ახალგაზრდობა კოლექტიური თვითაღზრდის გზაზე დააყენოს. მთავარია, მოსწავლეებთან ერთად, შესასრულებელი სამუშაოს და გადასაწყვეტი ამოცანების სწორედ დასახვა. ამის შემდეგ თავისთავად აშკარა გახდება, თუ რამდენი სექცია და როგორი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას. სამუშაო თვითონ განსაზღვრავს ორგანიზაციას. თვითორგანიზაციის გაჯანსაღების და გაძლიერების საკითხი ყველა სკოლის წინაშე უნდა დაისვას, და ახალმა სასწავლო წელმა ამ დარგშიც მეტი შედეგი მოგვცეს.

6. მასწავლებლების თვითგადახალისების საკითხები.

ახალი ადამიანის აღმზრდელი ჯერ თვითონ უნდა იყოს აღზრდილი. თუ საბჭოთა სკოლის მასწავლებელი ძლიერი არ არის რევოლუციონურ-მარქსისტული მსოფლმხედველობით, ცოდნით, შენების უნარით, ახალი ყოფით, თუ არ არის მებრძოლი და გატაკებული სოციალისტური წყობილების შენებით — ის ახალ ადამიანს ვერ აღზრდის. მასწავლებლობა კულტურული რევოლუციის მოწინავე რაზმია, ამიტომ პირველს რიგში მას მართებს ჩამოიშოროს ძველი ცხოვრების ნაშთები, რითაც ჯერ კიდევ საკმაოდ და ძლიერად ვართ შეპყრობილი. ჩვენი ცხოვრება ნახტომებით მიდის წინ და მას ვერ ჩამოვრჩებით. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენმა მასწავლებლობამ დიდი შრომა გასწია თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ მიღწეულს შედეგებზე ვერ შევჩერდებით. **მასწავლებელთა რიგები საუკეთესოთა და რჩეულთაგან უნდა შესდგებოდეს**. ჯერ კიდევ ასე არ არის. „მასწავლებლობას მაინც ხომ შევძლებ", — ასეთი შეხედულება ახლაც საკმაოდ გავრცელებულია. არც ისე იშვიათია ჩვენს რიგებში დაუდევრობის, უდისციპლინობის, რელიგიური და სხვა ცრუმორწმუნეობის და ძველი ყოფა-ცხოვრების მაგალითები. ჯერ კიდევ ძლიერია შეხედულება „კერძო ცხოვრებაში" თავისუფლების შესახებ და ამიტომ ზოგჯერ ბუნებრივად და ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ მასწავლებლის როლის შეთავსება ლოთობასთან, მეშჩანობასთან, სქესობრივ და სხვაგვარ აღვირახსნილობასთან, ძველს ყოფასთან. უკანასკნელს ხანებში გაზეთებს არა ერთი შემთხვევა გამოუქვეყნე-

ბიათ ისეთი, რაც ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ამის შემდეგ რაღა ითქმის ისეთ „უმანკო მეშჩანობაზე“, როგორიცაა ფჩხილების ბრჭყალებად გადაქცევა და ღებვა, ბაგეების გაწითლება, უცნაური საყურეების და ბეჭდების ტარება, ნახევრად ტიტვლად სიარული?

მასწავლებელთა რიგებში ისეთებიც არიან, რომლებიც ახალგაზრდობაში იაფფასიან პოპულიარობას ეძებენ — არა საქმიან ნიადაგზე დაახლოვებით და გულწრფელობით, არამედ განუსაზღვრელი „დათმობით და გულკეთილობით“. ამის შემდეგად ვღებულობთ, რომ ახალგაზრდა თავაშვებულია, „წარჩინებით“ გამოდის სკოლიდან, მაგრამ... სრულიად მოუმზადებელი. ასეთი მასწავლებლები კეთილსინდისიერ მუშაკებს და ახალგაზრდობის ნამდვილ მეგობრებს უშლიან ხელს მუშაობაში.

ასეთი შემთხვევებიც არის: ძველი მასწავლებლობა აქა-იქ ეჭვის თვალით და ზევიდან დაჰყურებს ახალგაზრდებს და სასაცილოდ არ ჰყოფნის მათი გატაცება ახალი იდეებით, არ იახლოვებს, არ აძლევს, რის მიცემაც შეუძლია, და ახალგაზრდებისაგან არ იღებს, რის მიღებაც საჭიროა.

ფხიზლად შევამოწმოთ ჩვენი რიგები. მოურიდებლად ვამხილოთ ჩვენი ნაკლი და ვიბრძოლოთ გამოსწორებისათვის. თვითკრიტიკა და თვითკონტროლი აქაც თავის ადგილზე უნდა იყოს მასწავლებლის ქცევა დახვეწილი და მთლიანი უნდა იყოს. ყოველგან და ყოველთვის და ახალგაზრდობას ახალი ადამიანი ნიმუშს აძლევდეს.

თვითგადახალისება და თვითგარდაქმნა ახალი ადამიანის ღირსეული აღმზრდელის დონემდე ასასვლელად — ასეთი ამოცანა დგას მასწავლებელთა მასების, ყოველი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და ყოველი ცალკე მასწავლებლის წინაშე.

7. სკოლა და საბჭოთა საზოგადოებრივობა.

მშრომელთა მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე საბჭოთა სკოლის შენება შეუძლებელია. სკოლის ნივთიერი საფუძველი ძლიერ სუსტი გვაქვს: სკოლას ხშირად არ გააჩნია საჭირო შენობა, ავეჯეულობა, მეურნეობა, სახელოსნოები, სასწავლო ხელსაწყოები; მოსწავლეთა სოციალურ-კლასობრივი შერჩევის პრინციპიც ფაქტიურად განუხორციელებელი დარჩება, თუ სკოლაში უღარიბეს ბავშვებს ნივთიერი დახმარება ვერ აღმოუჩინეთ. ამ საკითხების მოგვარებაში მარტო სახელმწიფო ბიუჯეტზე იმედების დამყარება შორს ვერ წაგვი-

ყვანს — აქ მასების ფართო დახმარება და მონაწილეობაა საჭირო. სკოლისა და მასების კავშირი ახალი ადამიანის აღზრდის ნიადაგზე პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. საბჭოთა პედაგოგიკის იდეები მასებში უნდა გადავიდეს და პრაქტიკაში განაღდდეს — ბავშზე სოციალური გარემოს ზექმედება მოაწესრიგოს და გააჯანსაღოს. აღზრდის პროცესის გამთლიანება უნდა მოხდეს — სკოლაში მიმდინარეობს ის თუ მის გარეთ. პროლეტარული საზოგადოებრივობის კავშირი სკოლასთან თავის თავად უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პროლეტარულ-კლასობრივი აღზრდის თვალსაზრისით: ახალგაზრდობა მუშათა კლასის გავლენის ქვეშ დადგება, მის სულისკვეთებას, მისწრაფებებს და იდეოლოგიას უშუალოდ გაეცნობა და აითვისებს. საბჭოთა საზოგადოებრიობასთან მტკიცე კავშირი სკოლას გაუადვილებს წარმოებასთან დაახლოებას და სოციალისტურს მშენებლობაში შესვლას. ასეთი კავშირის ფორმები ჩვენი სკოლისათვის უცნობი არ არის, მხოლოდ საჭიროა მისთვის გეგმიანი და სისტემატიური ხასიათის მიცემა, საჭიროა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო კუულტურულ ორგანიზაციებთან უწყვეტ საქმიან კავშირში ყოფნა სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანების გადაწყვეტის საფუძველზე. აქ დამხმარე საბჭოებიც უნდა ვახსენოთ. დამხმარე საბჭო სკოლისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის დამაკავშირებელი ორგანოა, თუ ის სწორად და ენერგიულად მუშაობს — უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია მასების ჩაბმის მხრივ სკოლის ნივთიერი ბაზის გაძლიერებისა და პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. თუმცა ცოტა, მაგრამ ძლიერი დამხმარე საბჭოები უკვე გვაქვს — უმთავრესად ტფილისში. უკანასკნელს ხანებში ადგილებსაც ეტყობა ამ მიმართულებით გამოცოცხლება (ამ მხრივ აღსანიშნავია თელავის ათწლედის დამხმარე საბჭოს ნაყოფიერი მუშაობა).

საბჭოთა საზოგადოებრივობესთან კავშირის გაძლიერების ამოცანაც მეტად მნიშვნელოვანი და გადაუდებელია და მომავალი სასწავლო წლის მუშაობას აქაც გაღრმავებული კვალი უნდა დავატოვებინოთ.

8. სკოლა და სოციალისტური შეჯიბრება

სოციალიზმის შენების ფრონტზე ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება. მისი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მშენებლობის ყოველ დარგში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის

შეგნება გააღრმავოს, სოციალისტურს მშენებლობაზე მასების კონტროლი გააძლიეროს და სოციალიზმის მშენებელთა რიგების მობილიზაცია მოახდინოს მშენებლობის მორიგი ამოცანების უკეთ გასაგებად, მუშაობაში გეგმიანობის გასაძლიერებლად, შრომის რაციონალიზაციისა და მისი ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდისათვის. მშენებლობის დიადი ამოცანები დიადი ენტუზიაზმით ამოძრავებული მასების ფოლადისებურ-კოლექტიურ ნებისყოფას მოითხოვს. ამას უნდა შეუწყოს ხელი სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

რა დამოკიდებულება უნდა ექნეს სკოლას სოციალისტური შეჯიბრების აგორებულ ტალღებთან?

ზოგი ეჭვობს: შეჯიბრება—დაპირისპირებაა და ხომ არ ეწინააღმდეგება ეს კოლექტიური მუშაობის პრინციპს? ხომ უნდა ველოდეთ, რომ შეჯიბრება ცალკე მასწავლებელზე და მოსწავლეზეც გადავა, რაც ცალკე სკოლას და პიროვნებას ინდივიდუალური მუშაობის გზაზე გადააყენებს? რამდენად პედაგოგიური იქნება ეს?

სოციალისტურ შეჯიბრებაში სკოლაც უნდა ჩაებას: შეჯიბრება უნდა გამოიყენოს, როგორც მუშაობის განვითარების და გაუმჯობესების საუკეთესო მეთოდი. ყოველი ცალკე სკოლა, ყოველი ჯგუფი გამოვა, როგორც კოლექტივი. შეჯიბრებაში ჩაბმული სკოლები, მასწავლებელნი და მოსწავლეები საბოლოოდ ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან და ერთ კოლექტივში შედიან: ყველას აკავშირებს სოციალისტური მშენებლობის წინწაწევისა და ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში მეტი წვლილის შეტანის ამოცანა. შეჯიბრება არის, მაგრამ არა მტრული, არა პიროვნული, არამედ სოციალისტური, რომლის მთავარი დანიშნულება და აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ გამოამჟღავნოს, თუ ვინ უფრო სასარგებლო იქნება სოციალიზმის შენებაში ჩაბმული დიდი კოლექტივისთვის, ვინ მეტს და უკეთესად გააკეთებს საზოგადოების სასარგებლოდ. ამ მიმართულებით რამდენადაც ძლიერი იქნება ცალკე სკოლის, მასწავლებლის და მოსწავლის ინდივიდუალური მუშაობა, მით უკეთესი კოლექტივისა და საერთო საქმისათვის. ასეთი ინდივიდუალობის არა თუ არ უნდა გვეშინოდეს,—პირიქით: მის გაძლიერებაზე უნდა ვზრუნავდეთ. მთავარი ისაა, ინდივიდუალური მუშაობის შინაარსი კოლექტივისტური და სოციალისტური იყოს. სოციალისტური შეჯიბრების ბუნებაც ასეთია.

შეჯიბრება შეიძლება წარმოებდეს როგორც ცალკე სკოლებს შორის, ისე ერთი სკოლის ფარგლებში—ჯგუფებს, წრეებს, ცალკე კოლექტივებს, სექციებსა და რგოლებს შორის.

შეჯიბრების ობიექტად აღებული უნდა იქნას ის სამუშაო და ის ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე დასმულია შესასრულებლად. მაშასადამე, საწარმოო გეგმის ძირითად საკითხებთან გვექნება საქმე. ეს საკითხები სკოლებისათვის საკმაოდ ნაცნობია. ზემოთ დასახელებული საკითხებიც აქვე უნდა ვიგულისხმოთ.

შეჯიბრების ორგანიზაცია და მისი შედეგების შეფასება უფრო ადვილი იქნება მაშინ, როდესაც სკოლები ტერიტორიალურად ახლობელნი არიან და ერთსა და იმავე ტიპს ეკუთვნიან, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ შეჯიბრების შესაძლებლობა სხვადასხვა ტიპისა და შორეულ სკოლებს შორის.

შეჯიბრებაში ფორმალურ მხარეს უნდა ვერიდოთ, შეჯიბრება ჩვეულებრივ კამპანიად და დროებით გატაცებად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაქციოთ, მიზნად დავისახოთ არსებითი და მისაწვდომი, მაგრამ უეჭველად შევასრულოთ. შეჯიბრებაში შესული ჯგუფები და სკოლები მუშაობის დაწყების წინ აცნობენ ერთმანეთს შეჯიბრების მთავარ ამოცანებს და კისრულობენ შესრულების ვალდებულებას. შეჯიბრების დროის დასრულებისას შემოწმდება, თუ ვინ როგორ შეასრულა. შესრულების შემოწმებას საზოგადოებრივი კონტროლის ხასიათი უნდა მიეცეს.

სოციალისტური შეჯიბრება სკოლაში მნიშვნელოვან იმპულსად უნდა იქცეს იმისათვის, რომ მასწავლებლობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და საბჭოთა საზოგადოებრივობა დარაზმოს საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული ამოცანების უკეთ გადასაწყვეტად.

გ. გოგუაძე.

რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?

II

(შენიშვნები ქართულ ზმნის შესახებ)

წინა წერილში (იხ. „ახალ სკოლისაკენ“ № 4, იანვარი 1929 წ.) ჩვენ ვამბობდით: **„სახელი ქართულში მაქსიმალურად მარტივია, ზმნა—უალრესად რთული“** (იხ. გვ. 60 (254)). ქართული ენის აგებულების ძირითადი ტიპოლოგიური თავისებურება ამაშია მოცემული. რა იწვევს სახელის სიმარტივეს, მოკლედ იყო აღნიშნული ხსენებულს წერილში; რაოდენ რთულია ზმნა, ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

„ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი; თვითეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა რომელთამე მარცვალთა; მრავალთა სხვათა სიტყვისა ნაწილთა ძალ-უძსთ გარდაქცევა ზმნათ; აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მოღებისა მათთვის“...— წერს გასული საუკუნის პირველი ნახევრის საუკეთესო ქართველი გრამატიკოსი პლ. იოსელიანი (იხ. მისი „პირველ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისანი“, ტფილ. 1840 წ., გვ. 49, შენიშ.; ამონაწერში აწ უხმარი ასოები შეცვლილია; ხაზიც ჩვენია — ა. ჩ.). ყოველი ზმნა შეიძლება სხვა ზმნად გადაკეთდეს; მეტყველების არა ერთი ნაწილი შეიძლება ზმნად იქცეს; ამიტომაც ჭირს „კანონის“ დაძებნა, — „ყოველი ზმნა უკანონოა“-ო, ასეთი უიმედო დასკვნა გამოატანინა ხსენებულ გრამატიკოსს ქართული ზმნის სირთულემ და მასში გარკვევის სიძნელემ.

მას შემდეგ 88 წელმა განვლო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ვერავინ იტყვის, რომ ეს სიძნელე დაძლეული იყოს; „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და, ალბათ, საკმაო დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“... თქმა არ უნდა, ბევრი რამ არის უკვე გარკვეული, შეიძლება ითქვას, ძირითადად შეიცვალა წარმოდგენა ქართული ზმნის შესახებ, მაგრამ ახლაც არა თუ გადაწყვეტილი არ არის ყველა საკითხი, არამედ დასმულიც კი სათანადოდ...

ზმნად იწოდება ისეთი **სიტყვა**, რომელსაც **პირის ფორმა გააჩნია**, რომელიც **პირის მიხედვით იცვლება**. ეს განსაზღვრება გამოდგება რუსული ზმნისთვისაც და ქართულისთვისაც: პირის ქონა აუცილებელი ნიშანიც არის და საკმარისიც, რომ ესა თუ ის სიტყვა ზმნად მივიჩნიოთ.

და სწორედ პირის საკითხში არის ქართული ზმნა უაღრესად ორიგინალური: **ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი (და სამპირიანიც)**, მაშინ როდესაც რუსულში (და სხვა ევროპულ ენებშიც) ზმნა მხოლოდ ერთპირიანია. ერთპირიანობასა თუ ორპირიანობაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს **ერთს ფორმაში** მოცემული პირები, თორემ ნორმალური ზმნა ევროპულ ენებშიცა და ქართულშიც იცვლება სამივე პირის მიხედვით: читаю, читаешь, читает... ვკითხულობ, კითხულობ, კითხულობს...

ერთპირიანია ქართული ზმნა, თუ მის ამა თუ იმ ფორმაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი სახელის პირი. ასე, მაგალ.:— ვარ, ვარ-

სებობ, ვცხოვრობ, ვსეირნობ, ვთამაშობ, ვამაყობ... ვდგები, ვწვები, ვჯდები, ვშრები, ვსუსტდები, ვძლიერდები, ვტკბები... : აქა და მრავალ სხვა შემთხვევაში ზმნა დაკავშირებულია მხოლოდ ერთ სახელთან; ეს სახელი არის „**მე**“: ვარ, ვთამაშობ, ვდგები — **მე**; არც ერთ სხვა სახელს ზმნის ეს ფორმები არ იგუებენ; არ შეიძლება, მაგალ., „ვარ, ვთამაშობ — შენ“ ან: „ვდგები **ის**“...

ეს სახელი — „**მე**“ — ზმნაში აღნიშნულია **ვ** წინსართით: **ვ**-არ, **ვ**-არსებობ, **ვ**-თამაშობ, **ვ**-დგები... **ვ** — წინსართი არის ზმნაში „**მე**“-ს წარმომადგენელი, და ბუნებრივი და გასაგებია, თუ **ვ**-ინიანი ფორმა (ვარ, ვარსებობ, ვთამაშობ...) არ შეიძლება დაუკავშირდეს არც ერთს სხვა სახელს, გარდა ამ „**მე**“-სი.

ახლა თუ ავიღებთ ფორმებს: არის, ცხოვრობს, არსებობს, თამაშობს, ამაყობს, სეირნობს..., ესენი ვერ იგუებენ ვერც „**მე**“-ს, ვერც „**შენ**“-ს, მაგრამ ამ ორი სახელის გარდა ყოველ სხვა სახელს (მხოლოობითი რიცხვის) სახელობითს ბრუნვაში: „არსებობს სამყარო... ცხოვრობს მოქალაქე... თამაშობს ბავშვი...“ ამ სხვადასხვა სახელის შაგივრობას სიმარტივისთვის აკისრებენ სახელს „**ის**“ („იგი“): არსებობს, ცხოვრობს, თამაშობს — **ის** (იგი); ეს სახელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ალგებრაული ფორმულაა ყოველი სხვა სახელისათვის („**მე**“, „**შენ**“-ის გამოკლებით). იგი ჩვენს მაგალითებში წარმოდგენილია **ს**-ბოლოსართით (არსებობ-**ს**, ცხოვრობს-**ს**, თამაშობ-**ს** [1]), და სანამ ეს წარმომადგენელი ზმნაში მოიპოება, ზმნის ფორმაზე პრეტენდენტი სხვა სახელი ვერ იქნება, თუ არ — „**ის**“ („იგი“).

ცოტა სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ასეთ ფორმებს ავიღებთ: არსებობ, ამაყობ, სეირნობ, შრები, ხმები... ამ ფორმებში ჩვენ ვერ ვიპოვით ისეთ ნაწილაკს, რომელიც მიგვითითებდეს ამ ფორმებთან დაკავშირებულ სახელებზე; სხვანაირად რომ ვთქვათ, სათანადო სახელი აქ არ არის **რეალურად**, რაიმე ფორმანტით, აღნიშნული (ისე, როგორც „მე“ და „იგი“-ს შემთხვევაში). ამისდა მიუხედავად, სრულიად უდავოა, რომ ასეთ ფორმებს მხოლოდ გარკვეული სახელი შეიძლება დაუკავშირდეს; ჩვენ ვერ ვიტყვით: „არსებობ **ის**“, „არსებობ მე“, არამედ მხოლოდ: „არსებობ შენ“... ესე იგი: სახელი „**შენ**“ „აღნიშნულია“ ზმნაში, **პოტენციალურად** (როგორც შესაძლებლობა).

---

[1]) სხვა მაგალითები რომ აგველო: დგება, წვება, შრება, ძლიერდება...-**ს** ბოლოსართი მათ არ აღმოაჩნდებოდათ; მის მაგივრობას აქ **ა** ეწევა: დგებ-ა, წვებ-ა, შრებ-ა... ძველს-ქართულში აქაც -**ს** იყო: დგები-ს, წვები-ს, შრები-ს და სხვა.

სხვა შემთხვევაში ეს სახელი შეიძლება რეალურადაც იყოს აღნიშნული; ასეა, მაგალ., ზმნაში: ხ-არ (ვ-არ მე, ხ-არ შენ, არი-ს ის) ხვალ||ხვედ: მო-ხ-ვალ; მოხვედი (მოხვალ, მოხვედი — შენ; ანდა უპრევერბოდ: „ვიდრე ხვალ (=სად მიდიხარ), უფალო?“—ჰ. სენკევიჩის ცნობილი ნაწარმოების სათაური!). კლასიკურს ქართულში (9—11 ს.) ამ ორ ზმნას გარდა ყოველთვის ჩნდებოდა ამ პირის მაჩვენებლად: ჰ ან მის მაგიერ **ს||შ**: ჰრბი, ჰშრები... სდგები, სწვები; შჯდები. იკარგებოდა ეს ჰ ხმოვნების წინ; ესე იგი „**შენ**“ აღინიშნებოდა ხან რეალურად (თანხმოვნების წინ), ხან პოტენციალურად (ხმოვნების წინ). უფრო ძველად კი იგი ყველგან აღინიშნებოდა რეალურად **ხ**-თი (ეგ. წოდებ. ხანმეტს ძეგლებში) და ჰ-თი (ე. წ. ჰაემეტს ძეგლებში).

დასკვნა: ერთპირიან ზმნებში ზმნის პირი მიუთითებს მხოლოდ ერთ სახელზე; ეს სახელი წარმოდგენილია ზმნაში ან რეალურად სათანადო თავსართის თუ ბოლოსართის სამვალებით) ან პოტენციალურად (წარმომადგენელი ნულს უდრის): ვ-არ, ხ-არ, არი-ს; ვ-სეირნობ, სეირნობ, სეირნობ-ს.

შევუდაროთ რუსული ზმნა: гуляю я, гуляешь ты, гуляет он... აქაც ზმნის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებულია თითო სახელი: я, ты, он... სახელები აღნიშნულია ზმნაში რეალურად: ბოლოსართები—ю, -е-шь, -е-т მიუთითებენ ამა თუ იმ სახელზე. ამდენადვე მსგავსებას უფრო აქვს ადგილი, ვინემ განსხვავებას. არსებითი განსხვავება მაინც არის და ის შემდეგში მდგომარეობს: რუსულში პირის ნიშნები ბოლოში დაისმის, ბოლოსართებია: гуля-ю, гуля-е-шь, гуля-е-т)..., ქართულში კი პირველსა და მეორე პირში თავსართია (ვ-არ, ხ-არ... ვ-სეირნობ, სეირნობ...), მესამეშიღაა ბოლოსართი (არი-ს, სეირნობ-ს). ქართველურ ენათა ისტორია არკვევს, რომ თავდაპირველად მესამე პირის მაჩვენებელიც წინსართი (პრეფიქსი) უნდა ყოფილიყო. ასე რომ, შეიძლება ზოგადად ითქვას: **ქართული ზმნის უღვლილება წინსართებით წარმოებს, წინსართოვანია, რუსულისა კი—ბოლოსართებით წარმოებს, ბოლოსართოვანია.** მართალია, ჩვენ ჯერ არ განგვიხილავს ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნები, მაგრამ ამ ზოგადი დებულების წამოყენება მით უფრო შეიძლება, რომ ჩვენთვის უცნობი პირები ორპირიან (და სამპირიან) ზმნათა **ყოველთვის** წინსართით არის აღნიშნული.

ეს—ერთი თავისებურება ქართულის ზმნისა; არის მეორეც; იგი მრავლობითის წარმოებას შეეხება: ვ-არ მე—**ვ**-არ-თ ჩვენ; **ხ**-არ

შენ—ხ-არ-თ თქვენ; არი-ს ის—არი-ან ისინი: პირველსა და მეორე პირში პირის მაჩვენებელი ცალკე ფორმანტია (ვ, ხ—ე. ი. ის, რაც მხოლოობითში იყო), რიცხვს, მრავლობითობას, სხვა, საგანგებო, ფორმანტი აღნიშნავს—თ: ვ-არ-თ, ხ-არ-თ... მხოლოდ მესამე პირს არ გადმოყვება (ზოგიერთის გაპონაკლისით) პირის ნიშანი და ან (ან ეს) ბოლოსართს უხდება რიცხვის აღნიშვნაცა და პირისაც (ე. ი. რომ მესამე პირია მრავლობითისა, ამას მხოლოდ ეს,—რიცხვის მაჩვენებელი, =ან გვეუბნება). რუსულში საქმე სხვაგვარად არის: მრავლობითობის მაჩვენებელი ცალკე არ არსებობს; არის ერთი ფორმანტი და მასშია პირიც, რიცხვიც მოცემული, არაფერია იმის მსგავსი, რასაც ქართული მრავლობითის პირველი და მეორე პირი იძლევა; შეადარე: ვ-სეირნობ-თ, (ჰ) სეირნობ-თ, სეირნობ-ენ—გულ-ე-მ, გულ-ე-ტ, გულ-ют...

წინსართოვანი წარმოება (პრეფიქსაცია) და მრავლობითობის ცალკე ფორმანტით აღნიშვნა—აი რა განასხვავებს ქართულ ერთპირიან ზმნას ასეთისავე რუსული ზმნისაგან. მაგრამ ერთპირიანი ქართული ზმნები მინიმალურად თავისებურია; სპეციფიკურობა ქართულის ზმნისა სრული სახით იშლება ორპირიან (და სამპირიან) ზმნებში.

ორპირიანს ასეთ ზმნას იმიტომ ვუწოდებთ, რომ მის **ყოველ ფორმაში წარმოდგენილია ორი სახელის პირი,** ან **ორივე რეალურად** გარკვეულის ნიშნებით ან **ერთი პოტენციალურად** და **ერთი რეალურად,** ან **ორივე პოტენციალურად.** ასე მაგალითად:

ზმნის ფორმაში:

მ-აქებ-ს—ის მე : ის წარმოდგენილია ს-თი (მაქებ-ს), მე—მ-თი (მ-აქებს).

გ-აქებ-ს—ის შენ : ის „ ს-თი (გაქებ-ს), შენ—გ-თი (გ-აქებს).

ორივე სახელი ორსავე შემთხვევაში ზმნაში რეალურად არის აღნიშნული გარკვეული ნიშნებით (ს, მ, გ).

ფორმაში: აქებ-ს—ის მას : **ის** წარმოდგენილია რეალურად ს-თი (აქებ-ს), **მას**—პოტენციალურად. „წარმოდგენილი“ შაინც არის: ჩვენ ვერ ვიტყვით—„აქებს ის შენ“ ან „აქებს ის მე“, „მას“ ერთადერთი შესაძლო მონაწილეა ამ ფორმისა.

ასევე: ვ-აქებ—მე მას : **მე** წარმოდგენილია რეალურად ვ-თი (ვ-აქებ), **მას** პოტენციალურად.

შემდეგს ფორმაში კი: აქებ--შენ მას : **შენ** წარმოდგენილია პოტენციალურად, **მას**-იც — პოტენციალურად. ზმნის ამ ფორმაში არც ერთი სახელის რეალური წარმომადგენელი არა ჩანს და ამისდა მიუხედავად ამ ფორმასთან მხოლოდ ეს სახელები (**შენ—მას**) შეიძლება იქნენ დაკავშირებული და არც ერთი სხვა სახელი (არ შეიძლება: „აქებ შენ მე“ ან: „აქებ მას მე“ ან „აქებ მას ის“)... ასევე პოტენციალურად აღინიშნება სათანადო სახელები ფორმაში: „აქე — შენ ის“.

ორპირიან ზმნაში არ შეიძლება არც ერთი ფორმის დაძებნა, რომელთანაც ორი სახელი არ იყოს დაკავშირებული: ეს რომ ასე არ იყოს, ზმნა ორპირიანი არ იქნებოდა.

ორპირიანი ზმნა არ იცის არც რუსულმა (და არც სხვა ევროპულმა)[1] ენამ. ხშირად ქართულ ორპირიან ზმნას უტოლებენ რუსულს და ვერ ამჩნევენ განსხვავებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთი სახელის პირიღაა რეალურად აღნიშნული, მეორე კი პოტენციალურად არის წარმოდგენილი; მაგალ. — „აქებს“; ერთის შეხედვით ეს უდრის რუსულს — хвалит; მაგრამ ეს ასე როდია: он хвалит — его, тебя, меня... их, вас, нас... хвалит — ზმნაში ნაჩვენებია მხოლოდ ის, ვინც აქებს, მაქებელი, მაგრამ არ არის ნაჩვენები, ვინ არის საქები: შენ, მე, იგი, ჩვენ...თუ სხვა ვინმე; хвалит თ ა ნ ა ბ რ ა დ გ ა მ ო დ გ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ, ი მ ი ტ ო მ რ ო მ ა რ ც ე რ თ თ ა ნ ა რ ა რ ი ს დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი; ქართული „აქებს“ კი **ის**-ს გარდა მხოლოდ ერთ სახელს იგუებს — „**მას**“ („აქებს ის მას“) და არც ერთს სხვას; სხვა სახელისათვის სხვა ფორმა უნდა დაიძებნოს:

ის — **მას** აქებს, ის — **შენ** გაქებს, ის — **მე** მაქებს... და ეს იმიტომ, რომ ზმნის ფორმის მონაწილე ყოველთვის ორი სახელია, ზმნა ორივეს უწევს ანგარიშს, და შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, რომ მხოლოდ ერთი დაეუფლოს ზმნას.

ამასთან დაკავშირებულია ორპირიან ზმნათა ფორმანტების საკითხი. ვ-აქებ **მე** მას, მ-აქებ-ს მე ის: ორსავე შემთხვევაში ჩვენ წინ არის **მე**-სახელი; პირველს შემთხვევაში მისი წარმომადგენელია ზმნაში **ვ** (ვ-აქებ მე), მეორე შემთხვევაში — **მ** (მ-აქებს მე); ზმნა ასხვავებს

---

[1]) თითქოს ფრანგულში გვაქვს მსგავსი მოვლენა: il m'aime (ვუყვარვარ), je t'aime (მიყვარხარ) და სხვ...,მაგრამ ფრანგული me, te, le ცალკე ნაწილაკებია. შეადარე: il me leve, il te leve, il le leve), ისევე, როგორც se (il se leve); ქართულმა კი **მ-, გ,-** ნაწილაკი, დამოუკიდებლად ხმარებული, არ იცის.

ამ ორ **მე**-ს; მე პირველს შემთხვევაში (ვ-აქებ მე) იგივეა, რაც **მე**, ერთპირიან ზმნებთან რომ იხმარებოდა (ვ-არ მე, ვ-ცხოვრობ მე): პირის აღნიშვნის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავებას ადგილი არა აქვს; ერთიც ვ-თი აღინიშნება და მეორეცა. ვუწოდოთ ამას „ერთპირიანთა **მე**".

ამისაგან განსხვავებით „**მე**" ფრაზაში „მაქებს ის მე" წარმოდგენილია ზმნაში „**მ**"-თი, ისეთი ნიშნით, რომელიც შეიძლება გააჩნდეს ორპირიანს (და სამპირიან) ზმნებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთპირიანს; ამ „**მე**"-ს შეიძლება ეწოდოს ორპირიანთა „**მე**". ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება „**მე** ერთპირიან ზმნათა" და „**მე** ორპირიანთა", „**მე**", ვ-თი წარმოდგენილი (იქნება იგი ნახმარი ერთპირიან თუ ორპირიან ზმნებთან) და „**მე**"—**მ**-თი წარმოდგენილი, ვიხმართ მას ორპირიან თუ სამპირიან ზმნასთან. „ერთპირიანთა **მე**—ის სახელია, რომელსაც ტრადიცია ჩვენი დროისა, მართებულად თუ უმართებულოდ „სუბიექტს" (პირველი პირისა) უძახის, ორპირიანთა „**მე**"—კიდევ „ობიექტად" (პირველი პირისა) იწოდება. „ერთპირიანთა **მე**" აღნიშნავს მოქმედს, ნაქტიურს **ზმნის** თვალსაზრისით, „ორპირიანთა მე" უმოქმედოს, სხვის მოქმედების ობიექტს, იმავ **ზმნის** თვალსაზრისით,—ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით.

ზმნის თვალსაზრისითო, იმიტომ დავძენთ, რომ არის შემთხვევები (და არც თუ იშვიათი), როცა რეალური ვითარება ზმნაში სხვაგვარად არის წარმოდგენილი. სახელდობრ, რეალობაში მოქმედი, აქტიური, ზმნისთვის უმოქმედო, პასიურია და პირიქით. ავიღოთ ზმნები: ვაშენებ, ვაქცევ, ვანგრევ, ვტეხ, ვრევ, ვლევ—„**მე**"; „**მე**" რეალობაში მომქმედზე მიუთითებს, ზმნაშიაც ვ-თია აღნიშნული, როგორც მოსალოდნელი იყო. მაშენებს, მაქცევს, მრევს, მლევს, მტეხს—**მე**: ეს „მე" კი რეალობაშიც უმოქმედოა, სხვის მოქმედების საგანია და ზმნაშიაც **მ**-თია წარმოდგენილი. ასეთს შემთხვევებში ზმნის თვალსაზრისი ხვდება სინამდვილის თვალსაზრისს. მაგრამ ზმნებში „მიშენებია, მიქცევია, მინგრევია"—„**მე**", რეალობაში მოქმედი, ზმნაში ვ-თი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ **მ**-თი, ზმნისთვის ეს „**მე**" ისევე უმოქმედოა, როგორც **მე**—ფრაზებში: მაშენებს, მაქცევს, მანგრევს—„**მე**": და ეს იქიდან ჩანს, რომ ორივეს წარმომადგენელი ზმნაში არის **მ** (უმოქმედო «**მე**»-ს წარმომადგენელი).—ერთი და იგივე სახელი (**მე**) ორპირიან (და სამპირიან) ზმნებში შეიძლება იყოს აქტიურიც, მოქმედიც (—სუბიექტი), და პა-

სიურიც, უმოქმედოც (—ობიექტი). ერთად ერთი დასაყრდენი სახელის ასე თუ ისე დაფასებისას არის ზმნაში პირის ნიშანი: თუ „მე“-ს ვ შეეფერება, ის აქტიურია, მოქმედია, სუბიექტია, თუ მ შეეფერება, პასიურია, უმოქმედოა, ობიექტია. ამ სუბიექტს, ობიექტს ჩვენ ვუწოდებთ: „ზმნის სუბიექტს“, „ზმნის ობიექტს“ ანუ „ვერბალ სუბიექტს“ და „ვერბალ ობიექტს“ და აქვე ვიძლევით მათს განსაზღვრებას: **ზმნის სუბიექტი** ანუ **ვერბალი სუბიექტი** არის **სახელი, აღნიშნული ზმნაში ერთპირიანი ზმნის ფორმანტებით, ზმნის ობიექტი** ანუ **ვერბალი ობიექტი** არის **სახელი, აღნიშნული ზმნაში ორპირიანი ზმნის ფორმანტებით**[1].

ვერბალ სუბიექტად შეიძლება იყოს: **მე, შენ, ის, (მან)**,—ბრუნვა სახელობითი და მოთხრობითი; ვერბალ ობიექტად—**მე, შენ, ის** და **(მას)**,—ბრუნვა სახელობითი და მიცემითი;

ვერბალი სუბიექტი **მე** აღინიშნება ზმნაში ვ-წინსართით (ვ-აქებ).
ვერბალი ობიექტი **მე** „ „ მ-წინსართით (მ-აქებს) [2].
ვერბალი სუბიექტი **შენ** „ „ ან პოტენციალურად ან რეალურად (ხ, ჰ, ს||შ წინსართებით) (აქებ, ხ-არ...).
ვერბალი ობიექტი **შენ** „ „ გ-წინსართით (გ-აქებს).
ვერბალი სუბიექტი **ის** (მან) „ „ **ს, ა** (-ო) ბო-

---

[1]) ამ „ვერბალი სუბიექტისა“ და „ვერბალი ობიექტის“ ნაცვლად „ქვემდებარისა“ და „დამატების“ ხმარება შეცთომა იქნებოდა: პირველი არის სუბიექტი და ობიექტი ზ მ ნ ი ს თვალსაზრისით, მეორე (ქვემდებარე, დამატება) — „სუბიექტი“, „ობიექტი“ შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს თვალსაზრისით; ქართულში ისინი ერთურთს ოდნავაც არ ფარავენ. „ვერბალი სუბიექტის“, „ვერბალი ობიექტის“ ნაცვლად ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვეხმარა „მორფოლოგიური—სუბიექტი, ობიექტი“; მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით იყო ნაჩვენები, რომ ეს აღნიშნავს „სუბიექტს, თუ ობიექტს“ ზ მ ნ ი ს თვალსაზრისით, ზმნაში პ ი რ ი ს აღნიშვნის თვალსაზრისით, ის მაინც არ აღმოჩნდა დაზღვეული გაუგებრობათაგან. ამიტომ პირდაპირ ვამბობთ „ვერბალი სუბიექტი, ობიექტი“ ანუ „სუბიექტი, ობიექტი“ ზ მ ნ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ, ზ მ ნ ა შ ი პ ი რ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. თუ ესეც არ გადაარჩენს მათ ქვემდებარე, დამატებასთან აღრევას—სუბიექტიცა და ობიექტიც როგორც ტერმინები, სრულებით უნდა განიდევნოს ხმარებიდან.

[2]) ახალი ქართული გვ- წინსართს ხმარობს, თუ ვერბალი ობიექტი პირველი პირისა მრავლობითშია: გვაქვს ის ჩვენ, გვაქო მან ჩვენ.

ლოსართით (მხოლოობ. რიცხვში) (აქებ-ს; კლ-ა, აქ-ო)
ვერბალი ობიექტი **მას** (მიცემ.) „ „ ან პოტენცია-
ლურად ან რეალურად (ჰ, ს,||შ) [1] (აქებს; მი-ს-ცა)
ვერბალი ობიექტი **ის** (სახელ.) „ „ მუდამ პოტენ-
ციალურად... (აქო, წერა, კლა...)

ზმნის სუბიექტ-ობიექტების ყველა შესაძლო შეხამება რომ ავიღოთ, მივიღებთ ასეთ სურათს:

ვერბ. სუბ.	ვერბ. ობიექ.
აქებ-ს ის	მას
გ-აქებ-ს ის	შენ
მ-აქებ-ს ის	მე
აქებ შენ	მას
მაქებ შენ	მე
ვაქებ მე	მას
გაქებ მე	შენ

ხაზგასმული ფორმები: აქებს ის, აქებ შენ, ვაქებ მე — ის ფორმებია, რომელთაც ჩვეულებრივ სასკოლო სახელმძღვანელოებში ათავსებენ ხოლმე, ისიც ვერბ. ობიექტის აღუნიშვნელად; სხვა ფორმებს იშვიათად ეთმობა ადგილი (ანდა ეძლევა უცნაური გაშუქება — იხ. ქვ.); მიეწერება ეს, რა თქმა უნდა, უცხო (ევროპულ) ენათა ზეგავლენას.

ევროპული სამი ფორმის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ მხოლოობითში შვიდი; თუ მრავლობითში გადავიყვანთ ვერბალ სუბიექტსაც და ობიექტსაც, ფორმათა შემდეგი წყება წამოიშლება:

---

[1]) თანამედროვე სამწერლობო ქართულში, როგორც ეს ცნობილია, ძალზე არეულია ვერბ. სუბ. „შენ"-ისა და ვერბ. ობიექტ „მას"-ის ფორმანტების ხმარება: „ჰხმები--შენ", „ჰშრები—შენ" და მაგგვარები იშვიათია, რომ ვინმემ იხმაროს; სამაგიეროდ „სჩანხარ, სდგები, სწვები, სცხოვრობ—შენ" ჩვეულებრივია; მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ **ს**-ფორმანტი ამ შემთხვევაში ცოცხალია და მხოლოდ ჰ-ს უჭირს გაძლება! ს-ფორმანტის მართებულად ხმარება მოჩვენებითია; წერენ: ს ჩ ა ნ ხ ა რ შენ, მაგრამ აგრეთვე: ვ ს ჩ ა ნ ვ ა რ მე, ს ჩ ა ნ ს ის; ს ც ხ ო ვ რ ო ბ შენ, მაგრამ ამასთანავე—ვ ს ც ხ ო ვ რ ო ბ მე, ს ც ხ ო ვ რ ო ბ ს ის... ასე რომ ეს ს გარკვეული ფორმანტი კი არ არის, არამედ „ფონეტიკური სამკაული", რომლის მორფოლოგიური მნიშვნელობა მკვდარია და ამიტომ არაფერი უშლის მწერალს სამსავე პირთან იხმაროს იგი. ვ-ს ან მ-ფორმანტს არასოდეს არ მოუვა ეს!

ეგევე ითქმის „მას"-ის შესახებ. სამწერლობო ენაში ყველა ხმარობს: მ ი ს ც ა" (მას), მაგრამ აგრეთვე ყველა წერს: „გ ა მ ო ს ც ა" (იგი). ცხადია, აქ ს „მას"-ის წარმომადგენლად ვერ მიიჩნევა, იგი ფუძეს შეხორცებული ელემენტია.

ვერბ.	სუბ.	ვერბ.	ობიექ.	ვერ.	სუბ.	ვერ.	ობიექ.
აქებს	ის	მას,	მათ	აქებ	შენ	მას,	მათ
აქებენ	ისინი	მას,	მათ	აქებთ	თქვენ	მას,	მათ
				მაქებ	შენ	მე	
გ-აქებს	ის	შენ		მაქებთ	თქვენ	მე	
გაქებენ	ისინი	შენ,	თქვენ	გვაქებ	შენ	ჩვენ	
გაქებსთ	ის	თქვენ		გვაქებთ	თქვენ	ჩვენ	
მაქებს	ის	მე		ვაქებ	მე	მას,	მათ
მაქებენ	ისინი	მე		ვაქებთ	ჩვენ	მას,	მათ
				გაქებ	მე	შენ	
გვაქებს	ის	ჩვენ		გაქებთ	ჩვენ	შენ,	თქვენ
გვაქებენ	ისინი	ჩვენ		გაქებთ	მე	თქვენ	

ჩვენ ვცვალეთ რიცხვი ჯერ ვერბალი სუბიექტისა, მერე ვერბალი ობიექტისა და მივიღეთ აწმყოში 19 განსხვავებული ფორმა: აქებს, აქებენ; გაქებს, გაქებენ, გაქებსთ; მაქებს, მაქებენ; გვაქებს, გვაქებენ; აქებ, აქებთ; მაქებ, მაქებთ; გვაქებ, გვაქებთ; ვაქებ, ვაქებთ; გაქებ, გაქებთ (სამის გაგებით: მე—თქვენ, ჩვენ—შენ, ჩვენ—თქვენ)... რუსული ამავე შემთხვევაში დაჯერდებოდა 6 ფორმას: хвалю, хвалишь, хвалит, хвалим, хвалите, хвалят... და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ хвалю-ზმნა მხოლოდ ერთი სახელის პირს აღნიშნავს; ამიტომაც მას ყოფნის სამი ფორმა მხოლოობითში და სამი მრავლობითში; ყოველი ამ ფორმის შემდეგ დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნეს ნახმარი სახელი (დამატება), რომელიც გნებავთ იმ პირისა და რიცხვის; ეს სახელები ზმნაზეა დამოკიდებული, მაგრამ ზმნა მათ ანგარიშს არ უწევს: ზმნაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, არავითარ ცვლილებას არ იწვევენ; იხილე, მაგალ...

он	хвалит	его,	тебя,	меня,	их,	вас,
ты	хвалишь	его,	себя,	меня,	их,	нас,
я	хвалю	его,	тебя,	себя,	их,	вас...

ზემოხსენებულის მიხედვით, გვგონია, გასაგებია, რატომ უნდა შევიჩნიოთ ზმნის ორპირიანობა მთავარ წყაროდ ზმნის ფორმათა მრავალფეროვანებისა და სირთულისა. სამპირიანი ზმნები მხოლოდ ოდენობრივ განსხვავდებიან ორპირიანისაგან: ამ უკანასკნელს თუ ორი სახელი უკავშირდებოდა მორფოლოგიურად (ვერბალი სუბიექტი და ერთი ვერბალი ობიექტი), პირველთან სამი სახელია დაკავშირებული (ვერბალი სუბიექტი და ორი ვერბალი ობიექტი); ორი ვერბალი ობიექტიდან ზმნაში რეალურად წარმოდგენილია ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი, მეორე კი—თითქმის მუდამ პოტენციალურად:

მ-თხოვ-ა მან მე იგი, გ-თხოვ-ა მან შენ იგი, (ს)-თხოვ-ა მან მას იგი: სამსავე შემთხვევაში ზმნაში აღნიშნულია **მან** (ვერბ. სუბიექტი—ა ბოლოსართით), **მე, შენ, მას** (ვერბ. ობიექტები)—**მ, გ,** (ს) წინსართით), **იგი**-სახელის წარმომადგენელი კი ზმნაში არა ჩანს: იგი პოტენციალურადღა მონაწილეობს ზმნაში...[1] მაგალითში, მი-მ-აკრ-ა მან მე მას, მი-გ-აკრ-ა მან შენ მას, მი-აკრა [ხანმეტ.: მი-ხ-აკრ-ა] მან იგი მას; სამსავე შემთხვევაში ა ბოლოსართი გამოწვეულია ვერბ. სუბ. **მან**; ამას გარდა **მე** აღნიშნულია **მ**-თი, **შენ**—**გ**-თი... „მიაკრა"-ში არც ერთი ვერბ. ობიექტი ჯერ ჩანს, ორივე პოტენციალურად არის ამჟამად აღნიშნული, მაგრამ ხანმეტი ფორმა რომ აღგვედგინა, გვექნებოდა: მი-ხა კრ-ა მან იგი მას; **იგი** საერთო წესით პოტენციალურად არის წარმოდგენილი, **ხ** ფორმანტი მეორე ვერბალი ობიექტის, **მას**-ისაა: მიაკრა (<მიხაკრა) ზმნაში, ამგვარად, უფრო ცხადია ორი ვერბალი ობიექტის აღნიშვნა, ვინემ „თხოვა"-ზმნაში...

მრავალს შემთხვევაში ქართული ერთპირიანი ზმნისაგან შეიძლება მივიღოთ ორპირიანი; მაგალითად: ზის იგი: უზის იგი მას, გიზის იგი შენ, მიზის იგი მე; ასევე: ზიხარ შენ, ვზივარ მე—უზიხარ შენ მას, ვუზივარ მე მას; მიზიხარ შენ მე, გიზივარ მე შენ... ეგევე ითქმის ზმნების: წევს, დგას, დგება, ჯდება, წვება, შრება, ხმება, კვდება და სხვ. შესახებ[2]. ეს გარემოება ისევ სირთულეს თუ მატებს ზმნას (თუმცა აქ საქმე გვაქვს სიტყვაწარმოებასთან და არა ფორმაცვალებასთან).

ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ ოციოდე წლის წინადაც ქართულ ზმნებში განარჩევდენ ორ უღვლილებას (მიმოხრას). პირველ უღვლილებისად ის ზმნები ითვლებოდა, რომლებიც „აწმყო დროში პირველ პირში ვ-ით იწყება (მე ვაშენებ, ვსწერ...)"; მეორე

---

[1]) ამიტომაც ძნელი იყო მათი პირის დაჭერა ზმნაში; პირადად ამის დამწერი ფიქრობდა, რომ მეორე ვერბ. ობიექტი ზმნასთან არ არის დაკავშირებული პ ი რ ი ს საშვალებით, თუნდაც პოტენციალურად. კოლ. ვარ. თ ო ფ ო ს ს ი ა ს ჩემი ყურადღება მიაქცია ზოგიერთს გარემოებას, რომლის მიხედვით საკითხი მეორე ობიექტისა, ზმნასთან პ ი რ ი ს საშვალებით დაკავშირებულის, დადებითად უნდა გადაწყდეს.

პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს თავის გამოკვლევებში („პრეფიქსები", „საქცევი") არაერთგან აქვს აღნიშნული, რომ ზმნას შეიძლება ქონდეს ორი დ ა მ ა ტ ე ბ ა, მაგრამ ასეთი შეხედულების დამოწმება იმიტომ იქნებოდა უხერხული, რომ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე არ ასხვავებს ზმნის ობიექტს შესიტყვების ობიექტისაგან, ე. ი. ვერბალი ობიექტი გათანაბრებული აქვს სინტაქსურ ობიექტთან, დამატებასთან.

[2]) ორპირიანად ვერ გადავაქცევთ ზმნას „ვარ", აგრეთვე ნასახელარ ზმნებს „მეფობს"-ის ტიპისა.

ულვლილებისად ის ზმნები მიაჩნდათ, რომლებიც „აწმყო დროში მ-ით იწყებოდა“ (მიყვარს, მიხარია, მრწამს...): იხ მაგალ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს „ქართული გრამატიკა“, ქუთაისი 1907 წ. გვ. 20.

ორპირიანობის საკითხი, ცხადია, ასეთს პირობებში ვერც დაისმებოდა. საინტერესოა, რომ ამ ნიშნის მიხედვით ზმნათა ორ ულვლილებად დაყოფა ძველთაგანვე მომდინარეობს: რამდენადაც ვიცით, პირველად იგი ამ სახით წამოაყენა გ ა ი ო ს მ ა თავის კრემენჩუგს გამოცემულს გრამატიკაში 1789 წელს (იხ. გვ. 27). შემდეგ მას სიტყვა-სიტყვით იმეორებენ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში: სოლომ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი (იხ. „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“, ტფილ. 1830 წ., გვ. 23), პლატონ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი („პირველ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისანი“, ტფილ. 1840 წ. გვ. 47), არ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე („პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა,“ ტფილ. 1889, გვ. 89), ს. ხ უ ნ დ ა ძ ე... პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე ც კი, თუმცა გრძნობს ქართული ზმნის სხვაგვარობას, მაგრამ საკითხის მართებულად დასმას ვერ ახერხებს (იხ. მისი „ქართული სწორმეტყველება“, ტფილ. 1888, გვ. 126-130), თუმცა მაინც ეტყობა ერთს რამეში წინსვლა: ის, რაც სხვებს ორ მიმოხრად მიაჩნდა, მან ერთი მიმოხრის ორ ფორმად მიიჩნია: „მიმოხრა ქართულ ზმნას აქვს ერთად ერთი, რომელიც დამყარებულია ორს ფორმაზეო“... ამბობს იგი (—მხედველობაში აქვს ვ და მ-თი დაწყებული ფორმები: იქვე, გვ. 129).

მარი ბ რ ო ს ე ასხვავებს პირდაპირსა და არაპირდაპირ ზმნებს, ჩამოთვლის ვერბალ ობიექტის ნიშნებს, მაგრამ მისთვისაც არ არის ცხადი, რა მიმართებაშია ეს ნიშნები ვერბალი სუბიექტის ნიშნებთან (იხ. მისი L'art libéral, პარიზი, 1834, გვ. 169-171)...

ბრწყინვალე გამონაკლისს დიმ. ყ ი ფ ი ა ნ ი წარმოადგენს. იგი ადარებს ქართულ ზმნას ევროპულ ენათა ზმნებს და გარკვევით აღნიშნავს ქართული ზმნის არა ერთს არსებითს თვისებას; ასე, მაგალ.: 1. ქართულ ზმნას ყოველგან და ყოველთვის თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, რომლითაც პირი და რიცხვი მაშინვე გაირჩევა და ნაცვალსახელი კი თუმცა შეიძლება ყოველთვის იხმარებოდეს, მაგრამ საჭირო არას დროს არ არის... („ახალი ქართული გრამმატიკა“, ს. პეტერბურღი, 1882, გვ. 74) ანდა: 2. „სხვა ენებში ზმნა რა ხმისაც უნდა იყოს ან რა სახისაც, ბოლოთი იცნობება და ჩვენი ზმნისა კი უმთავრესი ნიშანი თავი არის“ (იქვე, გვ. 75), ანდა 3. ევროპიული ზმნა, რა სახისაც უნდა იყოს და რა დროისაც, ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვას ან ბრუნვებს მოითხოვს, მაგ. писать, пишу,

написал — просьбу... ქართული ზმნა კი თავ-თავისს დროს სხვადასხვა ბრუნვას ითხოვს: მე ვსწერ...ლექსებსა... მე ვსწერე, ვსწერო ლექსები (იქვე, გვ. 76) და, რაც მთავარია, დ. ყიფიანს შემოაქვს ცნებები „მიუმართავად და მიმართვით (ანუ: მიუმართველად, მიმართულებითად) დახრისა“ (უღვლილებისა)—იქვე, გვ. 78.

მიმართვით დახრის შესახებ ლაპარაკობს, რომ იგი წარმოადგენს: „1. მიუმართველად მოქმედებას ან მდგომარეობას სამი პირისას (ალ-ცალკე, 2. პირველი პირის მიმართულებას [ჩვენ ახლა ვიტყოდით: „მიმართებას“] მეორესთან და მესამესთან, 3. მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან და 4. მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან“—(იქვე. გვ. 78); მაგალითად: მიუმართავად იქნებოდა ნაუღვლები: ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს; მიმართვით პირვ. პირისაგან მეორეს და მესამესთან: გაკეთებ... ვაკეთებ... მეორე პირისაგან პირველთან და მესამესთან: მაკეთებ... აკეთებ... მესამე პირისაგან პირველსა და მეორესთან: მაკეთებს... გაკეთებს... (იქვე, გვ. 87-88).

როგორც აქიდან ჩანს, „მიუმართავი“ ისეთი ფორმაა, როდესაც ვერბალ ობიექტად მესამე პირია: ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს—მას“, მიმართვითს კი ვერბალ ობიექტად მეორე და პირველი პირიც აქვსთ... მიუმართავი უღვლილება დიმ. ყიფიანისა იგივეა, რასაც შემდეგ აკად. ნ. მარმა[1] თავის ტაბულებში აბსოლუტური უღვლილება უწოდა (абсолютное спряжение), მიმართვითი კიდევ—აკად. ნ. მარის—მიმართებითი (относительное спряжение). ორპირიანობის საკითხი არც დიმ. ყიფიანს დაუსვამს, მაგრამ მან არსებითად ყველაფერი მოგვცა ამისათვის.

ზმნის ერთპირიან ფორმას აბსოლუტურს უწოდებენ, ორპირიანს (და სამპირიანს)—რელატიურს. ქართულში ფრაზის აგებულება ზმნაზეა დამოკიდებული; თუ ზმნა ერთპირიანია, სახელი, ვერბალი სუბიექტი, მუდამ სახელობითშია: **იგი**—დგება, დადგა, დამდგარა... **იგი**—კვდება, მოკვდა, მომკვდარა... **იგი**—ძლიერდება, განძლიერდა, გაძლიერებულა...; ამისი ფორმულაა: **სახელობითი + ზმნა...**

---

[1]) აკად. ნ. მარამდე ამავე ნიადაგზე იხილავს ქართულ ზმნებს და მიუმართველსა და მიმართებითს ფორმებს არჩევს მეტის ზედმიწევნილობით კ. დოდაშვილი თავის წერილებში: „საგრამატიკო ესკიზი...“ („ივერია“, 1887, №№ 214, 215, 216, 217, 219, 220, 222) და „ახალი გზა-კვალი გრამატიკის კვლევა-ძიებისა“ („მოამბე“ 1894 წ. №№ 4, 6).

თუ ზმნა ორპირიანია, მოსალოდნელია ორნაირი მდგომარეობა: 1 ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელები, ვერბალი სუბიექტი და ვერბალი ობიექტი, ბრუნვას არ იცვლიან, რა დროშიაც არ გადავიყვანოთ ზმნა, ვერბალი სუბიექტი სახელობითშია, ვერბალი ობიექტი მიცემითში: შვილი უკვდება დედას, შვილი მოუკვდა დედას, შვილი მოკვდომია დედას... პირი უშრება ავადმყოფს, პირი გაუშრა ავადმყოფს, პირი გაშრობია ავადმყოფს. ასეთი ზმნიანი ფრაზის ფორმულაა: **სახელობითი+ზმნა+მიცემითი**... 2. ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელები დროთა მიხედვით ბრუნვას იცვლიან: დროთა პირველს ჯგუფში (აწმყო, ნამყო უსრული, კონიუნქტივი პირველი, მყოფადი): ვერბალი სუბიექტი სახელობითშია, ვერბალი ობიექტი — მიცემითშია, ერთი იქნება თუ ორი: მონადირე კლავს ირემს... მონადირე ართმევს მეზობელს თოფს... დროთა მეორე ჯგუფში (ნამყო ძირითადი ანუ აორისტი, კონიუნქტივი მეორე) ვერბალი სუბიექტი მოთხრობითშია, ვერბალი ობიექტი კი—სახელობითში, თუ ერთია, ხოლო თუ ორია, ერთი — სახელობითშია, მეორე მიცემითში: მონადირემ მოკლა ირემი... მონადირემ წაართვა მეზობელს თოფი... დროთა მესამე ჯგუფში (ნამყო სრული, ნამყო წინარეწარსული, კონიუნქტივი მესამე) ვერბალი სუბიექტი ისევ სახელობითშია, ვერბალი ობიექტი მიცემითში (თუ ერთი იყო; თუ ორი, ერთი—მიცემითში დაისმის, მეორე—ნათესაობითში თანდებულითურთ და კარგავს მორფოლოგიურ კავშირს ზმნასთან): მონადირეს მოუკლავს ირემი... მონადირეს წაურთმევია თოფი მეზობლისათვის...

ასეთ ორპირიან ზმნათა შემცველი ფრაზებისათვის არ კმარა ერთი ფორმულა, საჭიროა სამი, დროთა თითოეული ჯგუფისათვის ცალკე. დროთა პირველი ჯგუფისათვის: **სახელობითი** (ვერბ. სუბიექტი)+ზმნა+**მიცემითი** (ერთი ან ორი: ვერბ. ობიექტი). დროთა მეორე ჯგუფისათვის: **მოთხრობითი** (ვერბ. სუბ.)+ზმნა+**სახელობითი** (ვერბ. ობიექტი) [+ მიცემითი (მეორე ვერბ. ობიექტი)]... დროთა მესამე ჯგუფისათვის: **მიცემითი** (ვერბ. ობიექტი)+ზმნა+**სახელობითი** (ვერბ. სუბიექტი)... უკანასკნელი ტიპის ორპირიანი ზმნა (კლავს იგი მას) იწოდება გარდამავალად, ყველა სხვაგვარი (ორპირიანი თუ ერთპირიანი) ზმნა—გარდაუვალად ითვლება. **გარდაუვალია** ყოველი ზმნა, თუ მასთან დაკავშირებული **სახელის თუ სახელების** (ვერბალი სუბიექტის, ვერბალი ობიექტის) **ბრუნვა დროთა სამსა-**

ვე ჯგუფში უცვლელია; გარდაუვალი შეიძლება იყოს ერთპირიანი ზმნაცა და ორპირიანიც. **გარდამავალია** ყოველი ზმნა, თუ მასთან დაკავშირებული **სახელების** (ვერბ. სუბიექტისა და ვერბ. ობიექტების) **ბრუნვა იცვლება დროთა მეორე ჯგუფში**: სახელდობრ, თუ **ვერბალი სუბიექტი მოთხრობითში დაისმის** და **ვერბალი ობიექტი** (ერთი მაინც) **სახელობითში**:—**მან იგი** (ან: **მან**—**მას** **იგი**), აი ჩვეულებრივი სქემა გარდამავალი ზმნისა დროთა მეორე ჯგუფში: **მან** დაწერა **იგი**, **მან** დაუწერა **მას** **იგი**, **მან** წაართვა **მას** **იგი**, **მან** ააშენა **იგი**, **მან** დაანგრია **იგი** და სხვ.[1]

რუსულმა (და არც სხვა ევროპულმა) ენამ არ იცის ამგვარი რამ: დროთა მიხედვით სახელთა ბრუნვები არ იცვლება; შეადარეთ ზემოთ მოყვანილ ფრაზებს რუსული ფრაზები: охотник убивает оленя, охотник убил оленя; охотник, оказывается, убил оленя...

ქართული ზმნის სირთულისა და თავისებურებათა მთავარი წყარო, ვიმეორებთ, პირის აღნიშვნიდან მომდინარეობს; ორპირიანი

---

[1] მოთხრობითი ბრუნვა თანამედროვე სამწერლობო ქართულში ხშირად უმართებულოდ იხმარება: „მან დაპირდა, მან დაეხმარა, მან დაენიზლავა, მან შეეკამათა“ და სხვ. ბევრს შემთხვევაში ამ შეცთომას აგვაცილებს ვერბალი ობიექტის კრიტერიუმი: თუ (ვერბალი) „ობიექტი სახელობითში არ დაისმის, ზმნა გარდამამავალი არ არის“, ე. ი. მოთხრობითი არ შეიძლება ვიხმაროთ (პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე): შეეკამათა **მას**, დაენიზლავა **მას**, დაეხმარა **მას**—ობიექტი „**მას**“ არის, ვერბალი სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: შეეკამათა მას იგი (და არა „მან“), დაენიზლავა მას იგი, დაეხმარა მას იგი...

მაგრამ ყოველთვის ეს ნიშანი ვერ გვშველის: ვერბალი ობიექტის ბრუნვაც შეიძლება აირიოს; ასე მაგალ. ზოგი უკვე ამბობს: მან დაპირდა ფული (ნაცვლად: იგი დაპირდა ფულს)... ამიტომ ახალი ქართულისათვის შეიძლებოდა ზმნის ფორმისთვის მიგვემართა: თუ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს მ ე ს ა მ ე პ ი რ ი -**ეს**'ით ბ ო ლ ო ვ დ ე ბ ა, ზ მ ნ ა **გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა**, უნდა ვ ი ხ მ ა რ ო თ **მან**, თუ -**ენ**'ით ბ ო ლ ო ვ დ ე ბ ა, ზ მ ნ ა **გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა**, უ ნ დ ა ვ ი ხ მ ა რ ო თ **ის** (იგი) და არა მ ა ნ: დაწერეს, მოკლეს, წაიკითხეს, წაართვეს **მათ**,—დაპირდენ, დაეხმარნენ, დაენიზლავნენ, შეეკამათნენ,—**იგინი**... ეს მით უფრო საჭიროა, რომ არის რიგი გარდამავალ ზმნათა, რომლებთან ვერბალი ობიექტი არ იხმარება: იყვირა, ისკუპა, იტრიალა, იღრიალა, იწუხა... (მან); ობიექტის მიხედვით აქ რისამე გარკვევა არ შეიძლება, მრავლობითის დაბოლოება კი აქაც დაგვეხმარება: იყვირეს, ისკუპეს, იტრიალეს, იღრიალეს... ყველგან -**ეს** არის, მაშასადამე, ყველასთან **მან** უნდა ვიხმაროთ: მან—იყვირა, ისკუპა, იტრიალა, იღრიალა, იწუხა, მათ—იყვირეს, ისკუპეს, იტრიალეს, იღრიალეს, იწუხეს... და სხვა. ზოგი კუთხის მკვიდრნი (მაგალ. იმერლები)-**ეს** დაბოლოების ნაცვლად -**ენ**-ს ხმარობენ: „იმგენმა დაწერენ, გააკეთენ, ააშენენ“, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან **მან**-ს ხმარობენ: მან მოვიდა, მოკვდა... და სხვა. ჩვენი წესი მათ ვერას უშველის; წესები, საერთოდ, ასეთ შემთხვევაში უძლური..

(და სამპირიანი) ზმნები რომ არა გვქონდეს, ზმნების პრობლემა სიმწვავეს დაკარგავდა. ამჟამად კი ქართული ზმნის სირთულე არის ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულია ქართული ფრაზის შედგენილობისა და მექანიზმის თავისებურება: თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა ი ძ ლ ე ვ ა თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ს ი ნ ტ ა ქ ს ს.

დაგვრჩა განუხილველი ზმნის ქცევა. ქართულში ყოველი ფეხის გადადგმაზე იხმარება ასეთი ფორმები: ვ-კლავ, ვ-ი-კლავ, ვ-უ-კლავ... ვ-ხარშავ, ვ-ი-ხარშავ, ვ-უ-ხარშავ, ვ-ა-ხარშავ... ვჭრი, ვ-ი-ჭრი, ვ-უ-ჭრი, ვ-ა-ჭრი. . შევადაროთ: ვ-კლავ და ვ-ი-კლავ; ვ-კლავ ცხვარს და ვ-ი-კლავ ცხვარს,—განსხვავება ნათელია; პირველს ფრაზაში (ვკლავ ცხვარს) არა ჩანს ვ ი ს ი ა ეს ცხვარი, ან ვ ი ს თ ვ ი ს კლავენ მას: ვკლავ ცხვარს—ჩემსას, შენსას, მისას (სხვისას); ჩემთვის, შენთვის თუ სხვისთვის: ყოველი მათგანი შეიძლება ვიხმაროთ, რადგანაც არც ერთი არ არის ნაგულისხმები; ფრაზაში კი: „ვ-ი-კლავ მე ცხვარს“ სხვაგვარი მდგომარეობაა; ორში ერთი: ან ცხვარი ჩ ე მ ი ა, „და ვ-ი-კლავ“ ნიშნავს „ჩემსას ვკლავ“, ან: „ვიკლავ“ ნიშნავს „ჩ ე მ თ ვ ი ს ვკლავ“ (ცხვარი შეიძლება შენი ან მისი იყოს)... რუსულად რომ გადაგვეთარგმნა ქართული ფრაზა „ცხვარს ვიკლავ“, უნდა გვეთქვა: режу овцу для себя ან режу свою овцу...

ამ ფრაზის შინაარსი ამჟამად ჩვეულებრივ ერთს შესაძლებლობას უფრო გულისხმობს: „ვიკლავ ცხვარს“—„ვკლავ ჩემთვის“... მაგრამ შეიძლებოდა „ვიკლავ“-ზმნის შემდეგ ისეთი სახელი დაგვესვა, რომ ასეთი გაგება სრულებით შეუძლებელი ყოფილიყო: „ვიკლავ თავს“: ამ ფრაზას მხოლოდ ერთი შინაარსი შეიძლება ქონდეს: „ჩემსას (ამ შემთხვევაში—„თავს“—) ვკლავ“ („ჩემთვის ვკლავ“—აქ უაზრობა იქნებოდა)... ამგვარად, „ვ-ი-კლავ“-ზმნა კონტექსტის მიხედვით შეიძლება აღნიშნავდეს ან: 1. „ჩემსას ვკლავ“ ან 2. „ჩემთვის ვკლავ“ [1]. ასევე: „ვჭრი—ვ-ი-ჭრი“: ვიჭრი პურს (=ჩემთვის ვჭრი), ვიჭრი ხელს (=ჩემსას ვჭრი)... ეს შინაარსი ზმნისა **შექმნა იმ „ი“-მ, რომელიც პირის ნიშანსა და ფუძეს შორის არის მოთავსებული**: ვ-ი-კლავ,

---

[1]) ნამყო ძირითადში გარჩეულია პრევერბით: „მო-ვ-ი-კალი თავი“, მაგრამ „და-ვ-ი-კალი ცხვარი“, ანდა: „გა-ვ-ი-ჭერი ხელი“, „მო-ვ-ი-ჭერი პური“...

ისტორიულად პირველი შინაარსია უპირატესი: „სათავისობა“ აქედან უნდა იყოს განვითარებული, ე. ი. თავდაპირველად „ვიკლავ“ ნიშნავდა მხოლოდ „ჩემსას ვკლავ“ და გულისხმობდა „თავს“, სხვა შემთხვევაში საკუთარი სხეულის ნაწილსა; მაგალ. „ვიჭრი“ ნიშნავდა ჩემი სხეულის ნაწილს ვჭრი: ხელს, ფეხს ვიჭრი... მხოლოდ შემდეგ გაფართოვდა მისი შინაარსი: ჩემსას—ჩემთვის...

(ჩემსას ან ჩემთვის), ი-კლავ (შენსას ან შენთვის); ი-კლავ-ს (თავისას ან თავისთვის)... ვ-ი-კლავთ, ი-კლავთ, ი-კლავენ...

ამ „ი“-ს ადგილას რომ „უ“-ნი დაისვას, ზმნა ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობას მიიღებს: ვ-უ-კლავ მე (მეზობელს ცხვარს...); აქაც ორნაირი გაგებაა შესაძლებელი: ან ცხვარი მ ე ზ ო ბ ლ ი ს ა ა და მე მას ვკლავ, ანდა: ცხვარს მ ე ზ ო ბ ლ ი ს თ ვ ი ს ვკლავ, შეიძლება იგი ჩემი იყოს ან შენი; ამ ფრაზაში უპირატესობა მეორე გაგებას უნდა მიენიჭოს, ჩვეულებრივ: მეზობელს ცხვარს ვუკლავ—მეზობლისთვის ვკლავ... მაგრამ, ასეთი გაგება სრულებით შეუძლებელი იქნება ფრაზაში: გულს ვუკლავ (მშობლებს ჩემი სიზარმაცით); ეს შეიძლება მხოლოდ ერთ რასმე ნიშნავდეს: მშობლების გულს ვკლავ... ასევე: სულს ვუწუხებ, ანდა: წიგნს ვუკარგავ ამხანაგს (=ვკარგავ ამხანაგის წიგნს)[1]...

ვ-ა-კლავ ცხვარს ჯირკს, ვ-ა-წერ დაფაზე მაგალითს... ამ ზმნებში „ა“-სთან არის დაკავშირებული სხვაგვარი შინაარსი: ვ-ა-წერ—რაღაცაზე ვწერ რაღაცას, ვ-ა-კლავ—რაღაცაზე ვკლავ რაღაცას თუ ვიღაცას... ასევე ზმნებში: და-ა-სხა, და-ა-ფურთხა, და-აკრა...

ამ საილუსტრაციო მაგალითების განხილვიდან ჩანს, რომ **ქართულს ზმნაში ფუძის წინ შეიძლება ჩაერთოს ხმოვნები** (ი, უ, ა), **რომელნიც აღნიშნავენ სხვადასხვაგვარ მიმართებას ზმნის სუბიექტსა და ობიექტს ან თვით ობიექტებს შორის**. ქართული ზმნის **ეს სიტყვაწარმოებითი კატეგორია** იწოდება **ქცევად**. ი, უ, ა—ხმოვნები ქცევის მაჩვენებელი ხმოვნებია. ი-ით აღნიშნულ ქცევას ს ა თ ა ვ ი ს ო ს უწოდებენ, უ-ი აღნიშნულს — ს ა ს ხ ვ ი ს ო ს, ხოლო ა-თი აღნიშნულს — ს ა ზ ე დ ა ო ს[2]... აქვე დავძენთ: 1. -ი- ფუძის წინ ყოველთვის ქცევის ნიშანი არ არის, არამედ ვნებითობის მაჩვენებელიც შეიძლება იყოს, მაგალ.: იკვლის, იწერება, იხარშება... 2. -ი—შეიძლება ვნებითობის მაჩვენებელი არ იყოს, ქცევის ნიშანი იყოს, მაგრამ არ ქონდეს სათავისო შინაარსი; მაგალ. და-ი-წყო, ა-ი-ღო... აგრეთვე იყოს -უ-, მაგრამ არ ჩანდეს „სასხვისო“ მოქმედება (მაგ. უყვარს,

---

[1]) უ-ს პირველადი შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო: ვ-უ-კარგავ—მისას ვკარგავ; ვ-უ-კლავ—მისას ვკლავ...

[2]) არას ვამბობთ აქ ე. წ. საარვისო ქცევის შესახებ: სხვა ქცევებს იგი უპირისპირდება იმით, რომ ქცევის შინაარსი არა აქვს. ე. წ. სათა'აო ჩვენ ქცევად არ მიგვაჩნია: ქ ც ე ვ ა, ს ი ტ ყ ვ ა'წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი (და არა ფორმაცვალებითი) კ ა ტ ე გ ო რ ი ა ა; ამიტომაც ყოველ ქცევას თ ა ვ ი ს ი მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ე ლ ე ძ ე ნ ტ ი უ ნ დ ა ქ ო ნ დ ე ს; „სათანაო ქცევას“ კი ეს არ გააჩნია.

უკვირს, უჩანს...); განსაკუთრებით ეს ითქმის საზედაო ქცევის -ა-ს შესახებ; საზედაობა მრავალ შემთხვევაში არ ჩანს, მაგალ.: მი-ა-რთვა, მი-ა-წოდა, მი-ა-ყენა მან იგი მას... უადგილობის გამო ვერ შევჩერდებით ასეთ მოვლენებზე; უყურადღებოდ ვტოვებთ იმ დიდად საინტერესო ფაქტებსაც, რომელნიც ახასიათებენ სათავისოსა და სასხვისო ქცევის ურთიერთობას, როცა ვერბალ ობიექტად **მე** ან **შენ** არის (იგი—უ-კლავს მას მას, გ-ი-კლავს შენ მას, მ-ი-კლავს მე მას...): სათანადო ლიტერატურაში ეს ფაქტები განხილულია, მათი ახსნა კი აქ უადგილო იქნებოდა. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ქართულ ზმნას აქვს კატეგორია ქცევისა და მისი ეს თავისებურებაც (თუმც ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი) ისევ სირთულეს ქმნის და ქართულს ზმნაში გარკვევას აძნელებს.

ევროპულ ენებთან შედარებით ე. წ. კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ქართული ზმნის თავისებურების ახალ მომენტს ქმნის [1]. კაუზატიურად იწოდება ის ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ფორმები, რომლებიც ქართულს გრამატიკებში მეთვრამეტე საუკუნიდან „სხმითგარდასვლითის“ (და „კვლავ-სხმითგარდასვლითის)“ სახელითაა ცნობილი; ამის მაგალითია: წერა—აწერინა [2], ხატა—ახატვინა, ადგინა—ადგენინა, აშენა—აშენებინა... რუსულში (ან სხვა ევროპულ ენაზე) ეს ფორმები მთელი ფრაზით თუ გადმოიცემა: აწერინა—заставил писать, ახატვინა—заставил рисовать, აშენებინა—заставил строить... ქართულში კაუზატივებს შეუძლიათ სათავისო და სასხვისო ქცევა აწარმოონ,—სათავისო იშვიათად, სასხვისო — ჩვეულებრივ: გააყრევინა—გაიყრევინა (=თავისი გააყრევინა: მაგალ. მტვერი გაიყრევინა...), მოაჭედვინა — მოუჭედვინა=მოაჭედვინა მას იგი მისთვის (სხვისთვის).

ზმნაში ორისა და სამი პირის აღნიშვნა, ქცევათა და კაუზატივების წარმოება — თითოეული ცალკე და ყველა ერთად ქმნის ფორმათა იმ ხლართს, რომელიც ქართული ზმნის დამახასიათებელია და მის სიძნელეს განსაზღვრავს. უკანასკნელ ორს, როგორც ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს კ ა ტ ე გ ო რ ი ა ს, ჩვენ გაკვრით შევეხეთ, პირის საკითხი კი უფრო დაწვრილებით (თუმცა არა სრულად!) განვიხილეთ; ეს გასაგებიცაა: ქართული ფრაზის აგებულების

---

[1]) კაუზატიური ფორმები ინდო-ევროპულ ენებში ძველ-ინდურს ქონდა.

[2]) ქართულს გრამატიკებში აწარმოებენ „კვლავსხმითგარდასვლით“-საც: აწერინებინა, აშენებინებინა, ახატვინებინა: ხელოვნური წარმოებაა.

თაეისებურებისათვის ორპირიანობა-სამპირიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს[1]. რა სახეს იღებს ასეთს პირობებში ქართული ენის სინტაქსი—ამის შესახებ ცალკე მოგვიხდება საუბარი.

არნ. ჩიქობავა.

პირველი საფეხურის სკოლების ნულ-ჯგუფებისა და პირველი ჯგუფების მასწავლებელთა საყურადღებოდ

ჟურნალ „ახალი სკოლისაკენ"-ში მოთავსებული წერილები სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის სხვადასხვა საკითხის შესახებ საყურადღებოა არა მარტო უშუალოდ ამ დაწესებულებებში მომუშავეთათვის, არამედ პირველი საფეხურის სკოლების მომუშავეთათვისაც, განსაკუთრებით ნულ ჯგუფებისა და პირველი ჯგუფების მასწავლებელთათვის.

აღნიშნული მასალის მიხედვით, ჩვენი მასწავლებლობა შეიძლებს, ერთი მხრით, ჩვენი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის შინაარსის, მისი მეთოდისა და ორგანიზაციის დაახლოებით გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა და სკოლის პირველი ჯგუფების მუშაობაში საჭირო თანამიმდევრობის განმტკიცებას (ეს აუცილებელია იმ სკოლებისათვის განსაკუთრებით, რომლებთან მიმაგრებულია ესა თუ ის საბავშო ბაღი), მეორე მხრით კი ამ წერილების შინაარსი, განსაკუთრებით ის ნაწილები, რომელიც შეეხება საბ. ბაღების უფროსი ჯგუ-

[1]) ვისაც მოესურვება ამ წერილში დასმულ საკითხებთან გაცნობა, მივუთითებ შემდეგს ლიტერატურაზე: 1. ნ. მარის „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული გრამატიკისა..." პტრბ. 1908 წ. (რუსულ.); 2. მისივე: ძველი-სამწერლობო ქართულის გრამატიკა,—ლენინგრ. 1925 წ. (რუს.); 3. პროფ. ა. შანიძე: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულში, ტფილ. 1920. აქ სხვა პირთა შესახებაც უხვად არის მოწოდებული ცნობები; ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არ არჩევს ზმნის სუბიექტ-ობიექტს შესიტყვების სუბიექტ-ობიექტისაგან, და ვერბალ სუბიექტ-ობიექტს ქვემდებარესა და დამატებას უწოდებს, რაც შეცთომაა. იმავე შეცთომას აქვს ადგილი ჩემს წერილში „პირის აღნიშვნა ქართულს ზმნაში" (საქართ. განათლების მუშაკი, 1926, № 14); ეს შეცთომა თავიდან აცილებულია ჩვენს ნარკვევში: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძვ. ქართულში" ტფ. 1928. — ქცევათა და კაუზატივების შესახებ იხ. ა. შანიძე: „ქართული ზმნის საქცევი"(ტფილ. უნივერს. მოამბე, ტ. VI).

ფის ბავშვების ამა თუ იმ სახის მუშაობას, გამოსადეგი იქნება აგრეთვე სკოლის ნულ ჯგუფებისა და პირველი ჯგუფებისათვისაც, რომელთა მუშაობა საბავშო ბაღების უფროსი ჯგუფების მუშაობას უნდა ეყრდნობოდეს და მისგან გამომდინარეობდეს.

ქვემოთ მოთავსებული წერილის შინაარსიც საყურადღებო იქნება არა მარტო საბავშო ბაღების ხელმძღვანელთათვის—სკოლების ნულ ჯგუფებისა და პირველი ჯგუფის მასწავლებლებს შეუძლიათ აქიდან ბევრი საჭირო მითითება მიიღონ თავის ჯგუფებში ხეზე მუშაობის სწორი ორგანიზაციის შესახებ, რაც ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას იძლევა. ბავშებში მოძრაობა-მოქმედების ბუნებრივი ინსტინქტის დასაკმაყოფილებლად და მათში მიზანდასახული შრომის უნარის გასავითარებლად.

სკოლის ასაკამდე აღზრდის
და პირველი საფეხურის სკოლების ინსპექცია.

ხეზე მუშაობა საბავშო ბაღში

საბავშო ბაღების მუშაობის გეგმაში ბავშთა შრომითი საქმიანობის სახეებს საგრძნობი ადგილი უჭირავს. მართალია, დღემდეც გამოურკვეველია ჩვენთვის მუშაობის საერთო გეგმაში შრომითი და თამაშობითი საქმიანობის სახეების ადგილისა და დროის მიხედვით თანაფარდობის საკითხი. პედაგოგიური თვალსაზრისით ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევას უნდა მოჰკიდონ ხელი სკოლის ასაკამდე დაწესებულების მუშაკმა ქალებმა და ეს საკითხი უნდა დააყენონ როგორც ადგილებზე, თავის დაწესებულებაში, აგრეთვე თავის კოლექტიურ გაერთიანებებშიც. მუშაობის აღრიცხვამ, ამ საკითხთან დაკავშირებულმა სპეციალურმა დაკვირვებებმა და ბავშთა გამომჟღავნების შესწავლამ უნდა მოგვცეს პასუხი: საქმიანობის რა სახეები უნდა ჭარბობდეს და რა ადგილი უნდა დაეთმოს თითოეულ მათგანს; რაც შეეხება შრომითი საქმიანობის სახეებს, ეს უკვე კარგადაა გამორკვეული, აგრეთვე მოცულობა თითოეულ მათგანთან დაკავშირებული ჩვევებისა.

მუშაობის გეგმაში შრომითი საქმიანობის შემდეგი სახეები შედის: თვითმოვლა (საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა), თვითმსახურება (სხვების მოვლა-პატრონობა და კოლექტივისთვის შრომა), ბუნებაში მუშაობა, რეცხვა, კერვა და ხით მუშაობა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სახის საქმიანობა საბავშო ბაღების პრაქტიკაში მხოლოდ

უკანასკნელი წლების განმავლობაშია შემოღებული, ლიტერატურაში ეს საკითხი სუსტადაა გაშუქებული, სადურგლო კუთხეების მოწყობა ხარჯებს მოითხოვს და ხშირად ბაზარზე არც იშოვნება სათანადო ხელსაწყოები; მაგრამ ამ სახით შრომის განვითარებას საგრძნობად აფერხებს ის გარემოებაც, რომ თვით ხელმძღვანელ ქალებს არა აქვთ სათანადო ჩვევები, რაც წელს უშლის მათ ამ მუშაობის სათანადოდ დაყენებაში. ამავე დროს საწარმოო შრომის რომელი სახეც გინდა აიღოთ, ეს ყველაზე ძვირფასია. ხით მუშაობის დროს ბავში ხარჯავს განსაზღვრული რაოდენობის ენერგიას, ხელსაწყოების მეოხებით სათანადო ცვლილებები შეაქვს მასალაში და წინასწარ გათვალისწინებულ და ცხოვრებისათვის საჭირო განსაზღვრულ შედეგებს იღებს. ხით მუშაობა შრომითს მიმართებას საგრძნობად ზრდის იმის გამო, რომ ამ მუშაობის შედეგებს მალე იღებს ბავში და საგნებიც, — სათამაშოები იქნება ეს თუ სხვა რამ, — ცხოვრებაში აუცილებელია. ხით მუშაობის მეოხებით ბავში მალე სძლევს პროცესუალურ პერიოდს და მას მიზანდასახულობა უჩნდება. აბის გამო ის რაკი დაისახავს მიზანს, მალე მიიღებს მუშაობის შედეგებსაც, რაც მას აკმაყოფილებს, როგორც დასრულებული პროცესი, ამასთანავე მას აქვს საშუალება გამოიყენოს ეს შედეგი თამაშში, ან საბავშო ბაღისა და თავისი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ერთი ან რამდენიმე ბავში ერთად აკეთებს ურიკას, ურემს, ავეჯს და მაშინვე იყენებენ ამ ნივთებს საერთო თამაშობისათვის. ვთქვათ, გააკეთეს ყუთი ფანქრებისათვის, თარო — ხელსაწყოებისათვის, საჭმლის დასაყრელი ფრინველებისათვის, ბუნაგი — ძაღლისათვის. ყველა ჩამოთვლილი ნივთი ცხოვრებაში გამოსადეგია და ყველა იყენებს მათ. ნივთების ასეთი საერთო გამოყენება ხელს უწყობს ბავშებში კოლექტიური ჩვევების გამომუშავებასა და ზრდას. მაგრამ ხით მუშაობა ძვირფასია არა მხოლოდ იმით, რომ იძლევა კოლექტიურად გამოსაყენებელ შედეგებს, არამედ იმითაც, რომ იმის მეოხებით ბავშებს უვითარდებათ ერთ რაიმე საგანზე ერთად მუშაობის უნარი. აქ შესაძლებელია უბრალო თანამშრომლობაც, როდესაც ბავშები ერთად აკეთებენ ერთსადაიმავეს: ხერხავენ რიგ-რიგობით, რადგან მასალას ამზადებენ განსაზღვრული საქმისათვის, ანდა ერთმანეთს ეხმარებიან ცალკე ნაწილების მიყენება-დაჭედვაში. ხით მუშაობა ხშირად იძლევა შრომის განაწილების პრინციპით საქმის შესრულების სტიმულს. აი, ბავშებს სურსთ გააკეთონ ისევ ურიკა. ხელმძღვანელი ქალის ხელმძღვანელობით ინაწილებენ ბავშები საქმეს: ზოგი ხერხავს, ზოგი ასალაშინებს, ზოგი ღერძს აკეთებს, ზოგი ბორბლებს. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ

აქ კოლექტიური ჩვევების განვითარებისათვის როგორც თვით მუშაობის პროცესში, ისე დამზადებული მასალის გამოყენებაშიც ბევრი შესაძლებლობაა.

სკოლის ასაკამდე ასაკის ბავში აქტიურია, მუდამ მოძრაობს, მისთვის საჭიროა მოქმედება, ხით მუშაობა კი მშვენივრად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, ვინაიდან მასში ბევრია მოტორიკა, ბევრია მოძრაობა. თუ საქმე სწორედ იქნა დაყენებული, თუ სამუშაო პოზები სწორია, ეს საქმიანობა საგრძნობად შეუწყობს ხელს ბავშის ფიზიკურ განვითარებასაც. ხით მუშაობა უწყობს ხელს ისეთი მნიშვნელოვანი თვისებების შეძენას, როგორიცაა მოხერხება, მოსაზრება, სიზუსტე; აქ ვითარდება თვალზომა, ბავში იღებს სენსოროულ ვრცეობითი ორიენტირების მთელ რიგს, ეჩვევა შედარებას (ფიცრის მონაკვეთები), გადარჩევას, თანაფარდობის მონახვას (ლურსმნების სიდიდე და ფიცრების სისქე ან საგნების სიდიდე). ვინაიდან ამ მუშაობის შედეგი მალე ჩანს და ცხოვრებაში შეიძლება მისი გამოყენება, ეს იწვევს ბავშის შემოქმედების გამოფხიზლებას, ანვითარებს ბავშის დამოუკიდებლობას.

ბევრ ემოციას იღებს ბავში ამ სახის შრომის მეოხებით: ის ხომ იმავე ხელსაწყოებს ხმარობს, რომელსაც დიდები იყენებენ მუშაობის დროს, ის აკეთებს საჭირო და ნამდვილ ნივთებს, ამიტომ ბავში ამაყობს ამით, მას სწამს თავისი ძალ ღონე.

რადგან შრომითი საქმიანობის ეს სახე ასე სასურველი და ძვირფასია, მუშაობის საერთო გეგმაში მას უნდა მივუჩინოთ ადგილი და დავსახოთ მოცულობა ჩვევებისა, რაც უნდა ექნეს ბავშს. ეს მუშაობა დამაორგანიზებელ მომენტებს უნდა დაუკავშირდეს. ავიღოთ პირველი მომენტი, რომელსაც ჩვეულებრივ იღებენ საბავშო ბაღში — ცხოვრების ორგანიზაცია ჯგუფში; აქ საჭიროა თაროებიც, ყუთებიც, ძველი სათამაშოების შეკეთებაც და როგორც თავისთვის, აგრეთვე უმცროსი ჯგუფისთვის ახალი სათამაშოების გაკეთებაც. 8 მარტისათვის მზადების დროსაც, როდესაც ბავშები ამზადებენ საჩუქრებს დედებისთვის, სხვა ბაღებისა ან ბაგების ბავშებისთვის, წარმოებისთვის ან დაწესებულებისთვის, რომელთანაც არიან დაკავშირებული, — მათ შეუძლიათ ხის სხვადასხვაგვარი სასარგებლო ნივთების გაკეთება. მაშინაც, როდესაც ემზადებიან 1 მაისისათვის, ბოსტანში მუშაობის მოწყობისათვის და უნდა დაამზადონ წარწერები დათესილისა და დარგულის აღსანიშნავად, — ბავშებს ბევრგვარი მუშაობის შესაძლებლობა ეძლევათ. დამაორგანიზებელ შომენტებს გარდა ყოველდღიური ცხოვრებაც მოითხოვს ხით მუშაობას. ბავშებს მეტის-მეტად

უნდათ ასეთი მუშაობა და კიდეც უნდა იმუშაონ აგრეთვე მაშინაც, როდესაც სასკოლო მუშაობისაგან თავისუფალი არიან, როდესაც ისინი დაუვალებლად მუშაობენ. რეცხვა და კერვა ძნელად უკავშირდება დამაორგანიზებელ მომენტებს, მაგრამ ხით მუშაობას კი ამისათვის ბევრი შესაძლებლობა აქვს. საჭიროა მხოლოდ, რომ წრე კარგად იყოს მოფიქრებული და წესიერად იყოს მოწყობილი, რომ ბავშვებს სათანადო მასალა საკმაოდ ჰქონდესთ და ხელსაწყოებიც ყველას ეყოს, თორემ შესაძლოა ჩხუბი და გაბრაზება გამოიწვიოს მათმა უქონლობამ.

თუ ამგვარ სამუშაოს მივცემთ ბავშებს შემთხვევით, ან განრიგების მიხედვით – 2-3 ჯერ კვირაში, — ეს არ იქნება მიზანშეწონილი; საჭიროა ეს მუშაობა თვით ბავშთა ცხოვრებიდან, მისი მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდეს. ხელსაწყოებისა და მასალის მიწოდებაში განსაზღვრული გეგმიანობა, თანამიმდევრობაა საჭირო, მაშასადამე, საჭიროა ჩვევათა განსაზღვრული მოცულობა სამი ასაკობრივი ჯგუფისთვის. ჩვევათა ქვემომოყვანილი მოცულობა სკოლის ასაკამდე დაწესებულებებში მომუშავე ქალთა კოლექტიური მსჯელობის (გაერთიანების მუშაობა) და საბავშო ბაღში მთელი წლების განმავლობაში ხით მუშაობის შედეგია.

ჩვევათა მოცულობა უმცროსი ჯგუფისთვის:

1. ჩაქუჩით ლურსმნის ჩაჭედება.
2. ერთმანეთზე დადება ორი ფიცრის და მიჭედება.

ხელსაწყოები და მასალა: ჩაქუჩი, ლურსმნები, ფიცრები.

საშუალო ჯგუფისათვის:

1. ლურსმნის გადაუღუნავად ჩაჭედება.
2. ფიცრის ნაჭრის მოხერხვა.
3. ლურსმნის ამოძრობა.
4. მოღუნული ლურსმნის გასწორება.
5. პატარა ბურღის გამოყენება.

ხელსაწყოები: ჩაქუჩი, გაბმული ხერხი, გაზი, პატარა ბურღი.

უფროსი ჯგუფისთვის:

1. ჩაქუჩის სწორად დაჭერა.
2. ხაზზე ფიცრის ნაწილის მოხერხვა.
3. ორი ფიცრის მიკვრა სწორი კუთხით.

4. კუთხედის ხმარება.

5. სათანადო ზომისა და რაოდენობის ლურსმნების აღება.

6. ჯოხის გასალაშინება და ფიცრის გაპობა.

ხელსაწყოები: ჩაქუჩი, გაბმული ხერხი, კუთხედი, პატარა ბურღი, დანა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, პროცესუალური პერიოდი, რომელიც უმცროსი ჯგუფის ბავშთა ასაკს შეესაბამება, როდესაც ბავში მხოლოდ ლუსმნების დაჭედების პროცესით არის გატაცებული და ძალიან ბევრ ლურსმანს აჭედებს პატარა ნაჭერზე, მალე გაივლის. უცბად დგება ასოციაციის პერიოდი, როდესაც უცაბედად შეერთებული ორი ფიცრით ბავში მიიღებს დროშას, ჩაქუჩს, პლაკატს, მაგიდას, სამი ფიცრით კი ჰაეროპლანს და სხვა. ამ პერიოდს მოჰყვება შემდეგი პერიოდი, როდესაც ბავშს უჩნდება მიზანდასახულობა, და ის გადადის სქემის პერიოდში.

სხვადასხვა ხერხის სისწორის თვალსაზრისით უნდა გვახსოვდეს, რომ ხელსაწყოს გამოყენების ჩვევა შერჩება ბავშს, და ამიტომ უფროს ბავშებს ხელსაწყოთა ხმარების სწორი ხერხი უნდა ვაჩვენოთ. რაც შეეხება უმცროს ჯგუფს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს დაკოორდინებული მოძრაობანი, ბევრია თანმხლები მოძრაობა, სრულიად დაუდიფერენცირებელია ბეჭისა და ხელის მოძრაობა,—ლაპარაკიც კი ზედმეტია ჩაქუჩის წესიერად ხმარების შესახებ, და იგი ბავშს ისე უჭირავს, როგორც მას ემარჯვება.

ძალიან ეხალისებათ ბავშებს გაკეთებული ნივთების შეღებვა; შეღებვა შეიძლება როგორც ზეთის საღებავებით, აგრეთვე თბილ წყალში გახსნილი ანილინის საღებავებით.

მასალის მიწოდებაშიც საჭიროა თანამიმდევრობის დაცვა; ყველა ჯგუფს მთელი მასალა უნდა მიეცეს რბილი, გასალაშინებული და სხვადასხვა სიდიდის მონაკვეთებად დახერხილი (ნახევარი მეტრიდან 10-15 სანტიმეტრამდეა.

უმცროს ჯგუფს პატარა მონაკვეთები ეძლევა. თუ ამ ჯგუფის ხელმძღვანელის მიზანია ბავშებთან ერთად შექმნას რაიმე ნივთი, მაშინ გამზადებული მასალა უნდა აიღონ, რომ ბავშებს იოლი ნაწილების შეერთება-ღა სჭირდებოდესთ.

საშუალო ჯგუფს ნახევრად გამზადებული მასალა ეძლევა; აქ ბავშები მეტ დამოუკიდებლობას იჩენენ; მაგ., თუ ბავშებს ურიკის გაკეთება სურთ, მათ უნდა მიეცესთ ბორბლებიც, ღერძიც, ყუთს კი თვითონ გააკეთებენ და ყველაფერს შეაერთებენ.

უფროს ჯგუფს ნედლი მასალა ეძლევა, ე. ი. მხოლოდ გასალაშინებული და დახერხილი, ბავშები კი თვითონ დამოუკიდებლად შეარჩევენ სათანადო მონაკვეთებს, ჩამოხერხავენ მათ და სხვა.

რაც შეეხება იმას, თუ რა ზომის ხელსაწყოებია საჭირო სკოლის ასაკამდე ბავშისთვის, ამისი ზუსტი ნორმები ჯერ არა გვაქვს; ხშირად იმით გვიხდება დაკმაყოფილება, რასაც იძლევა ბაზარი, რომელიც ამ მხრივ მეტად ღარიბია. შესაძლოა დაახლოებითი ნორმების მოცემა.

ჩაქუჩი თავისი ტარით 200 გრამზე მეტს არ უნდა იწონიდეს; ტარის სიგრძე — 30 სმ., თვით ჩაქუჩი — 9 სმ., თავი — $^{3}/_{4}$ სმ.

დანა: პირი — 8-9 სმ., ტარი — 8 სმ., წონა — არა უმეტეს 300 გრამისა.

ფოლადის პატარა ბურღი ხის ტარით; დიამეტრი — 4-7 მმ. გაზი: სიგრძე — 15 სმ., წონა — 250 გრ.

ხით მუშაობისათვის სასურველია იყოს ბავშის ასაკთან შეფარდებული დაზგა; შესაძლოა მისი შეცვლა უბრალო მაგიდით, მაგრამ სპეციალური მაგიდა უნდა გამოიყოს, რომ სხვა მაგიდებიც არ წაახდინონ. ხელსაწყოების შენახვა სჯობს ამისათვის სპეციალურად გაკეთებულ კარადაში, სადაც თითოეულ ხელსაწყოს თავისი ადგილი ექნება (მისი სიმაღლე — 93 სმ., განი — 45 სმ.); შეიძლება აგრეთვე შევაერთოთ 2-3 ფიცარი, გავუკეთოთ 2 ანჯამა, რომ დავკიდოთ კედელზე და სათანადო ადგილებზე მივაჭედოთ ლურსმნები.

სადურგლო კუთხე იმავე სამუშაო ოთახში უნდა მოეწყოს, და არა ცალკე ოთახში, რომ ამ სახის მუშაობა შემთხვევით რაიმეს კი არ წარმოადგენდეს, არამედ ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს ბავშისთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ჯგუფის მრავალრიცხოვანებას და ხელსაწყოების არასაკმაო რაოდენობას, მით უმეტეს საჭიროა ამ მუშაობის აქვე წარმოება, რომ ბავშებმა შესძლონ რიგ-რიგობით მუშაობა, და ხელმძღვანელმაც ერთსადაიმავე დროს ადევნოს თვალყური როგორც იმ ბავშებს, რომელნიც ხისაგან აკეთებენ სხვადასხვა რამეს, აგრეთვე იმათაც, რომელნიც სხვა საქმეს აკეთებენ.

თითოეულმა ხელმძღვანელმა ქალმა, თუ კი მას არა აქვს ხით მუშაობისათვის საკმაო ჩვევები, თუ ეს ჩვევები არ არის ზუსტი და მტკიცე, — უეჭველად უნდა შეავსოს ეს ხარვეზი, რისთვისაც უნდა მიმართოს მცოდნე პირებს, იმუშაოს და შეისწავლოს მუშაობის სწორი, მტკიცე და გარკვეული ხერხები. როდესაც ბავშებთან ერთად მუშაობს, ხელმძღვანელი ქალი მტკიცედ უნდა ჰკიდებდეს ხელს ხელსაწყოებს და მაგალითს უნდა აჩვენებდეს ბავშებს.

ხით მუშაობა, საბავშო ბაღში წესიერად დაყენებული და მეორე სკოლაში განგრძობილი, ბავშვებს ბევრგვარ ისეთ ცოდნა-ჩვევას აძლევს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაშიც საჭიროა და ხშირად დიდ ადამიანებსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, როდესაც მათ ეს ცოდნა-ჩვევები არა აქვთ.

მ. გოლოვკოვა.

ნულ ჯგუფი ჩვენს სკოლებში

წერილი ზემო-სვანეთიდან

სადისკუსიოდ.

ჩვენი სკოლების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, ამის ფელის შემწყობი იყო მაზრაში მოწყობილ კურსების მიერ განსახკომის მიერ გამოცემული პროგრამის გადათვალიერება და მასში ჩვენი მაზრის პირობებისათვის აუცილებელი ცვლილებების შეტანა.

რასაკვირველია, ჩვენი მაზრის მასწავლებლობა დღემდეც თავდადებით მუშაობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სკოლის მუშაობა საკანადოდ ნაყოფიერი არ იყო. ამისი მიზეზი გახლდათ პროგრამის მთლიანად და უცვლელად გავლა. 1928 წლის კურსებმა ეს დაბრკოლება გადალახა.

ამ დაბრკოლებასთან ერთად წინ გვეღობება მეორე დაბრკოლება, მაგრამ ამ მდგომარეობისათვის არც კურსებს და არც მასწავლებელთა კონფერენციას ყურადღება არ მიუქცევია. ამის შესახებ არცერთხელ წამოჭრილა საკითხი, ხოლო ცალცალკე ყველა ჩვენგანი ლაპარაკობს; სადაც საჭიროება ნოითხოვდა, იქ კი ეს საკითხი ვერ იქნა დასმული—ეს არის ნულ ჯგუფის აუცილებლად შემოღება ჩვენს ოთხწლედებში. ჩვენს მაზრას აქვს თავისი სასაუბრო ენა. ბავშვი სკოლაში მოდის სრულიად ქართული ენის უცოდინარი, სკოლებში შეცადინეობა წარმოებს ქართულ ენაზე. პირველად მოსული ბავშვი და მასწავლებელი, რომელმაც სრულიად არ იცის სვანური ენა, ხვდებიან ერთიმეორეს. მასწავლებელი უმეტეს შემთხვევაში მიმართავს უფროსი ჯგუფის მოწაფეებს, რომ გაუწიონ თარჯიმანობა. უკიდურეს შემთხვევაში ნიშნებით ჩვენებას უნდა მიმართოს. მოსწავლის მისვლიდან ორი თვის შემდეგ მოწაფე გადადის ასოების შესწავლაზე, ამ დროის განმავლობაში კი უმზადდებდა ნიადაგი სასაუბრო ენის განვითარებას. ყველა დამერწმუნება იმაში, რომ ამ ხნის განმავლო-

ბაში, თუგინდ მასწავლებელი ავიღოთ, თვითონაც ვერ განივითარებს ხელმძღვანელის დახმარებით იმ ენას, რომლის შესწავლას ის აპირებს, და ბავშს როგორ შეუძლია ამ დაბრკოლების დაძლევა. აი სწორედ ასეთი გარემოება გვაყენებს უხერხულ მდგომარეობაში, ასეთი საჭირბოროტო საკითხი კი ერთხელაც არ წამოჭრილა. თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა მაზრებსა და ქალაქებს, სადაც ასეთი ჯგუფები არ არსებობს, იქ ბავში ენის მცოდნეა, თანაც თითქმის ყველგან არსებობს საბავშო ბაღები და სახლები, გარდა ჩვენი მაზრისა. აი სწორედ აქ არის საჭირო ნულ ჯგუფი, უამისოდ ჩვენი სკოლების მუშაობა ვერ მიაღწევს მიზანს. საჭიროა ამ გარემოებას განსახკომმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ჩვენი მაზრის 4-წლედები გადაკეთდეს 5-წლედებად. ნულ ჯგუფის მოწაფეს განუვითარდება სასაუბრო ენა და ხატვის საშუალებით გრაფიკულად მოუნზადდება ნიადაგი აზრის გამოთქმას, ეს გარემოება კი დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს მომავალ პირველ ჯგუფთან მუშაობის დროს, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სკოლის მუშაობას, და მასწავლებლობასაც წესიერი და ნაყოფიერი მუშაობის საშუალება მიეცემა.

ვთხოვ ჩვენი მაზრის მასწავლებელთ, ამ ჩემი შეხედულობის შესახებ გამოსთქვან თავისი აზრი, რის შემდეგ ეს საკითხი ამოწურული იქნება.

ვ. ყრუაშვილი

უშგულის შრ. სკ. გამგე.

მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მომენტები

ახალი სკოლის აღმშენებლობის გზაზე უდიდესი ყურადღება ექცევა მოწაფეთა თვითორგანიზაციის სათანადოდ ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხს.

მესამე წელი სრულდება მას შემდეგ, რაც განათლების სახალხო კომისარიატმა შრომის სკოლებს დაუგზავნა ინსტრუქცია მოწაფეთა თვითორგანიზაციის ძირითადი დებულების სახით, რითაც მოსწავლეთა მასებისათვის მოხაზულ იქნა მათი მუშაობის გზა და გეზი. აღნიშნული დებულების მთავარი მიმართულება რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროექტს ემყარებოდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენს პირობებში იმ დროს მოსწავლეთა

თვითორგანიზაციის ჩამოყალიბება ახალი საქმე იყო. აღნიშნული დებულება შემუშავდა ძლიერ ნაჩქარევად და, რასაკვირველია, ის დაბრკოლებანი და სიძნელენი, რომელთაც შემდგომ წააწყდა საბჭოთა შრომის სკოლა, არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გათვალისწინებული.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, ერთი რამ ცხადი შეიქნა: უეჭველია, განათლების სახალხო კომისარიატმა მოწაფეთა თვითორგანიზაციის ახალი დებულების შემუშავებით შექმნა პედაგოგიურ-საზოგადოებრივი აზრი და ამით ხელი შეუწყო ფართე მასების ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობას. ჩვენი წერილის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკული დაკვირვებისა და შესწავლიდან აღვნიშნოთ ყველა ის ძირითადი მომენტი, რომლითაც ხასიათდება აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა, თანაც ხაზს გავუსვამთ იმ ნაკლსა და დაბრკოლებათ, რომელნიც წინ ეღობებიან ამ მეტად საჭირო და საინტერესო ორგანიზაციის მუშაობას.

მაგრამ სანამ საკითხის პრაქტიკულად განხილვაზე არსებითად გადავიდოდეთ,—საჭიროა ზოგადად მოვხაზოთ მოწაფეთა თვითორგანიზაციის მიზანი და ამოცანები, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ყველას მიერ ერთნაირად არ არის გაგებული. ჩვენი შრომის სკოლა, როგორც სოციალისტურ-კომუნისტური საზოგადოების ერთი უაქტუალესი ელემენტთაგანი, მიზნად ისახავს ახალგაზრდობის აღზრდას ლენინურ-კომუნისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე. სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-სოციალისტურ შშენებლობაში გადაიტანს, მიიღებს რა მასში მხურვალე მონაწილეობას. ჩვენი სინამდვილისათვის ჩვენი ახალგაზრდობის კოლექტიურ-საზოგადოებრივი ინსტინქტით შემზადება უპირველეს ყოვლისა ჩვენს სკოლას უნდა მოვთხოვოთ. ჩვენი საბჭოთა სკოლის პერსპექტივებიც სწორედ ასეთ საფუძველზეა აგებული და აშენებული. ასეთი დიდი საქმის სათანადოდ მოგვარება, ცხადია, მარტო მასწავლებლებს არ შეუძლიათ. ბავშვების კოლექტიურად აღზრდის დროს მოსწავლეთა მასიური, შეკავშირებული, მთლიანი ერთეული წარმოადგენს უპირველეს დასაყრდენს სკოლაში საზოგადოებრივი შუშაობისა და კომუნისტური აღზრდისათვის. შრომის სკოლის პროგრამებში მოცემული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი შრომა-საქმიანობის ამოწურვა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათებში შეუძლებელია. მოწაფეთა შეკავშირებული ძალები პროგრამაში გათვალისწინებული მასალის შესწავლა-შეთვისების შემდეგ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ სინამ-

დვილესთან დაკავშირებით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას, შესძლებენ რა თეორიული ცოდნის უშუალო ცხოვრებასთან დაკავშირებას. მაშასადამე, მოწაფეთა თვითორგანიზაციის მიზანი სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს: **იგი აკავშირებს და კოლექტივიზმის გზაზე აყენებს ჯერ კიდევ შეუკავშირებელ მოსწავლე ახალგაზრდობას, უნერგავს მას ორგანიზატორობისა და საზოგადოებაში მუშაობის უნარს, აჩვევს საქმიანობას, აყვარებს კოლექტიურად მუშაობას და აღვივებს და განამტკიცებს მასში კომუნისტურ ნებისყოფას.** ამრიგად, მოწაფეთა თვითორგანიზაცია არის საზოგადოების და სკოლის გამაერთიანებელი ხიდი, რომლითაც მკვიდრი საფუძველი ეყრება ჩვენი ახალგაზდრობის კომუნისტური აღზრდის საქმეს. მხოლოდ ამ საშუალებით უახლოვდება სკოლა თავის გარემოს და მოწაფეთა ორგანიზაციების მონაწილეობით იქცევა ნამდვილ საზოგადოებრივ ოჯახად. ასე უნდა წარმოვიდგინოთ მოკლედ შრომის სკოლებში მოწაფეთა თვითორგანიზაციის მიზანი და ამრიგად უნდა დავსახოთ მისი სამოქმედო ამოცანები.

რასაკვირველია, შრომის სკოლებმა ორი-სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს მოწაფეთა კოლექტიურად დარაზმვის საქმეში. შესწავლილ იქნა დებულების ძირითადი საკითხები, შეგნებულ იქნა სექციური მუშაობის მთავარი მნიშვნელობა, განისაზღვრა ამ მიმართულებით მასწავლებლის ხელმძღვანელობის როლი და, აგრეთვე, ჩვენი მასწავლებლობა მთლიანად გაეცნო და გაერკვა აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელობაში. უეჭველია, რომ ჩვენი ახალგაზრდობის აღმზრდელნი უფრო მეტის ინტერესითა და ყურადღებით ეპყრობიან მოსწავლეთა თვითორგანიზაციის ჩამოყალიბებისა და მისი მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. ამასთანავე, უმთავრესად უნდა აღინიშნოს თვით მოსწავლე ახალგაზრდობის მხრივ ამ საქმისადმი ცხოველი ინტერესი და საქმის პრაქტიკულად გაცნობის შედეგად სათანადო ტრადიციისა და ჩვევათა მიღება. მოსწავლე ახალგაზრდობა მიეჩვია დამოუკიდებელ მუშაობას, სამუშაო გეგმის შედგენას, პრაქტიკულ ღონისძიებათა გამონახვას და ყველა იმ მომენტის გათვალისწინებას, რაც სკოლის ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელია. ერთი სიტყვით, ამ მხრივ როგორც პირველი, ისე მეორე საფეხურის შრომის სკოლებში საკმარისად დავწინაურდით და გარკვეულ საფეხურს მივაღწიეთ მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობაში.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას მაინც არ ნიშნავს, თითქოს ნაკლი და დაბრკოლებანი მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობაში არ

იყოს. სამი წლის განმავლობაში სავსებით გამოაშკარავდა ყველა შეცდომა და წინასწარ გაუთვალისწინებელი საკითხები. აღნიშნული დებულების პრინციპულ ნაწილში არავითარი კორექტივის შეტანა არაა საჭირო, ვინაიდან იგი სავსებით ითვალისწინებს ახალგაზრდობის კოლექტიურად და კომუნისტურად აღზრდის საქმეს. ყველა ეს მომენტი ისეა გაშუქებული, რომ „არცერთი მოწაფე არ უნდა დარჩეს რაიმე დავალებისა და საქმის გაკეთების გარეშე". ყველა უნდა ჩაებას სკოლისა და ჯგუფის მუშაობაში და ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის გამო. რაც შეეხება დებულების პრაქტიკულ მხარეს, ამ უკანასკნელს დასჭირდება ერთგვარი შესწორება და ზოგიერთი დამატებაც. პრაქტიკული მხარის დამუშავებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სკოლის ობიექტური პირობები. მოსწავლეთა თვითორგანიზაციის სტრუქტურა ყველა სკოლაში ერთნაირი უნდა იყოს. შეუძლებელია სხვადასხვა სკოლაში თვითორგანიზაციის აღნაგობა სხვადასხვა იყოს. ასეთ შემთხვევაში დაირღვეოდა აღნიშნული ორგანიზაციის მთლიანობა და სკოლების ამ მხრივ მუშაობას გამოეცლებოდა ზოგადი, საერთო საფუძველი. აღნიშნულიდან ცხადად გამომდინარეობს თვითორგანიზაციის სტრუქტურის ზოგადი, ყველა სკოლისთვის ერთნაირად მისაღები საფუძველი. ეს, ასე ვთქვათ, ეხება თვითორგანიზაციის აღნაგობის, მისი ფორმის საკითხს. რაც შეეხება მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობის შინაარსის საკითხს,—აქ კი საჭიროა სკოლის მოთხოვნილება-საჭიროებათა მხედველობაში მიღება. ამ უკანასკნელთა სახით ვგულისხმობთ სკოლის ობიექტურ პირობებს, მაგ.: სკოლის შენობის, მისი სამეურნეო ცხოვრების და სხვა ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების სათანადოდ მოგვარებას. თავისთავად ცხადია, რომ მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობა რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა ეგუებოდეს თავისი სკოლის პირობებს. თუ სკოლას საბოსტნე მიწა არ აქვს და იქ კიდევ გამოყოფილ იქნა ბაღ-ბოსტნის სექცია, ცხადია, ეს უკანასკნელი მხოლოდ გეგმაში არსებობს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს საქმიანი სექციის სახეს. გასულ წელს ტფილისის მოწაფეთა კონფერენციებმა აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ბევრ სკოლაში ისეთი სექციები ყოფილა ჩამოყალიბებული, რომელთაც არავითარი სამოქმედო ასპარეზი არ გააჩნიათ, რის გამოც სკოლისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ. აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ მიღებულ იქნას შესაფერისი ღონისძიებანი და მოსწავლეთა თვითორგანიზაციის მუშაობას სკოლაში ამ უკანასკნელის პირობების გათვალისწინებაც დავუდვათ საფუძვლად.

მაშასადამე, მოწაფეთა თვითორგანიზაციის პრაქტიკული მხარე შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: უწინარეს ყოვლისა, სავალდებულოა ყველა სკოლისათვის ერთნაირი ხასიათის ორგანიზაციული წყობა და, მეორეს მხრივ, მუშაობის შინაარსის გაიგივება არავითარ შემთხვევაში არაა დასაშვები. თითოეული სკოლა თავისი მოთხოვნილებისა და საჭიროებათა მიხედვით უნდა ადგენდეს მოწაფეთა თვითორგანიზაციის და მისი სექციების კალენდარულ გეგმას.

როგორი უნდა იყოს მოწაფეთა თვითორგანიზაციის სტრუქტურა და მასთან ერთად საჭიროა თუ არა არსებული ტრაფარეტული სქემების გამარტივება და მისი სინამდვილესთან უფრო მეტი დაახლოვება? პასუხი პირველ საკითხზე შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი: თითოეული ჯგუფი ორ სექციად დაიყოფა. მოსწავლეთა განჯგუფება დანიშნულ სექციებში მათი სურვილის მიხედვით ხდება. ეს ორი ძირითადი სექცია ყველა სკოლაში უნდა იქნას ჩამოყალიბებული. შეიძლება წამოიჭრას საკითხი: რატომ ორი და არა მეტი რაოდენობა სექციებისა? ამ კითხვაზე შეიძლება პრაქტიკული დაკვირვებიდან ვუპასუხოთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ სექციას ვგულისხმობთ, როგორც გარკვეულ ორგანიზაციულ წყობას, რომელსაც ჰყავს თავისი ხელმძღვანელი ორგანოები და აქვს ასევე გარკვეული სამუშაო გეგმა. თითოეულ ჯგუფში ნორმალურ პირობებში უნდა ირიცხებოდეს 25 – 30 მოსწავლე. მოწაფეთა აღნიშნულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეუძლებელია ჯგუფში რამდენიმე სექციის ჩამოყალიბება და ყველა ამათთვის შესაფერი ხელმძღვანელობის გაწევა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოსაზრება ჯგუფის ორ სექციად დაყოფის შესახებ სავსებით ამარტივებს თვითორგანიზაციის სტრუქტურას, ხელს უწყობს ამასთანავე მოსწავლეთა ხალისიან და ცხოველ მუშაობას. შემდეგი საფეხური მოწაფეთა თვითორგანიზაციის სტრუქტურული წყობისა არის ჯგუფის სექციების ზემდგომი ორგანოები; ჯგუფის საბჭო, გაერთიანებული სექციები და მოწაფეთა თვითორგანიზაციის საბჭო თავისი პრეზიდიუმით. მტკივნეულ და ძნელ საკითხად მოწაფეთა თვითორგანიზაციის პრაქტიკულ მუშაობაში აღმოჩნდა გაერთიანებული ანუ მსგავსი სექციების სათანადოდ მოგვარების საქმე. განსახკომის მიერ გამოცემული დებულება ავალებს სკოლას მსგავსი სექციების გაერთიანებას, მაგრამ როგორ და რა პირობებში—ამაზე იქ არ არის ლაპარაკი, ჩვენი პირადი დაკვირვებით კი ეს საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ მხედველობაში მივიღოთ ყველა პედაგოგიური მომენტი და მსგავს სექციათა გაერთიანება მოსწავლის ცოდნასა და ასაკს შევუფარდოთ. როდესაც

სკოლის მასშტაბით ხდება ერთი რომელიმე სექციის გაერთიანება, — შეიძლება უმცროსი ასაკის მოსწავლეები დაჩრდილონ უფრო მოზრდილმა მოსწავლეებმა. მაშასადამე, საჭიროა გაერთიანებული სექციის ორგანიზაციის შეცვლა და მისი შეგუება მოსწავლეთა ცოდნისა და ასაკის პირობებთან. ჩვენის აზრით, პრაქტიკულად უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ რომელიმე სექციის გაერთიანება მოხდება არა მთელი სკოლის, არამედ მხოლოდ მსგავსი ჯგუფების მასშტაბით, მაგ.: მეხუთე ჯგუფები ცალკე, მეექვსე ასევე ცალკე და სხვ. მხოლოდ მოწაფეთა თვითორგანიზაციის საბჭო, სადაც შედიან თითოეული ჯგუფის ყველა სექციის წარმომადგენლები, დაიყოფა იმდენ სექციად, რამდენიც არის სკოლის ცხოვრებაში შემოღებული. აღნიშნული ორგანოები ხელმძღვანელობას გაუწევენ სექციების მუშაობას მთელი სკოლის მასშტაბით. მოკლედ: **თითოეული ჯგუფი ნაწილდება ორ სექციად. ამის შემდეგ ხდება მსგავსი ჯგუფების სექციების გაერთიანება, ამ უკანასკნელთ სკოლის მასშტაბით ეყოლებათ გამაერთიანებელი ორგანო და თვითორგანიზაციის სექციები იმუშავებენ მოწაფეთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.** ამით უეჭველად განმტკიცდება მოწაფეთა თვითორგანიზაცია, გამარტივდება მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, მკვიდრ ნიადაგზე დადგება მისი მუშაობა და ამ გარემოებათა შედეგად შესამჩნევად იმატებს მოწაფეთა აქტივობა, კოლექტიურ საზოგადოებრივი ხასიათის ჩვევათა მიღებით.

ჩვენის მოსაზრებით, მოსწავლეთა თვითორგანიზაცია ორ სექციად დავყავით. ერთი მათგანი არის კულტურულ-განმანათლებელი და მეორე—სასწავლო-მეთოდური. საკითხი ამ უკანასკნელი, ე. ი. სასწავლო-მეთოდური სექციის შესახებ პირველად არ ისმის ჩვენი სკოლის წინაშე, მაგრამ დღემდე იჭვს იწვევს მისი არსებობის საფუძვლიანობა. საქმე ისაა, რომ ბევრ ამხანაგს ამ სექციის არსებობა საბჭოთა შრომის სკოლის პირობებში უბრალო ფიქციად მიაჩნია. ბევრი მათგანი შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ თითქოს მოსწავლეთ არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სასწავლო-მეთოდური საკითხების გარკვევაში. უეჭველია ის გარემოება, რომ ვინც სასწავლო-მეთოდური სექციის არსებობას სკოლაში ინდიფერენტულად უყურებს, — იგი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობის ყველა მომენტში. სასწავლო-მეთოდური სექცია აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს ჩვენი სკოლის აკადემიურ მუშაობაში. როდესაც ჩვენი დებულება თავის პირველ ნაწილში ლაპარაკობს — „არც ერთი მოწაფე არ უნდა დარჩეს რაიმე დავალების

გარეშე და ყველამ უნდა მიიღოს სკოლის მუშაობაში მონაწილეობა“, — თავისთავად ცხადია, მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს აკადემიური საკითხების გარკვევაში და, კერძოდ, სასწავლო მეთოდური საკითხების შესწავლა გათვალისწინებაში. უპირველესი და ძირითადი ამოცანა ჯგუფის ცხოვრებაში სწავლა და ამის შედეგად შესაფერი ცოდნა-გამოცდილების მიღებაა. ცხადია, აღნიშნულ ამოცანასთან დაკავშირებული საკითხები დამუშავებული უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო მეთოდურ სექციაში. ამ მხრივ უეჭველია თვითორგანიზაციის სტრუქტურაში სასწავლო-მეთოდური სექციის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

გათვალისწინებული საკითხების შემდეგ ბუნებრივია დაისვას საკითხი სექციების სამუშაო გეგმის შესახებ. უდავოა ის ფაქტი, რომ ჩვენი შრომის სკოლა, როგორც სხვა საბჭოთა წარმოებანიც, გარკვეული გეგმის მიხედვით მუშაობს. სოციალისტურ წყობილებაში არ არის მეურნეობისა და კულტურის რომელიმე დარგი, როძლის მუშაობა და მშენებლობა წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე ხდებოდეს სკოლა ამ მხრივ ტონის მიმცემი უნდა იყოს. მოწაფეთა თვითორგანიზაციამაც, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზაციულმა შეკავშირებამ, თავისი მუშაობა გეგმიანი გზით უნდა წარმართოს. უნდა ითქვას, რომ ბევრი სკოლისათვის ეს გარემოება საკმაოდ ნათელი არ არის. ბევრი მათგანი შეიძლება დღემდე ალმაცერადაც უყურებდეს მოწაფეთა თვითორგანიზაციისა და მისი სექციების გეგმიანად მუშაობის საქმეს. უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, თითქოს მოსწავლეთა თვითორგანიზაცია წინასწარ გათვალისწინებულ გეგმის გარეშე უნდა მუშაობდეს. სექციებისა და მისი ორგანოების გეგმიანი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას იმთავითვე შეაჩვევს თავისი ენერგიის ნორმალურ და მიზანშეწონილ განაწილებას, განაძტკიცებს რა მასში წამოწყებული საქმიანობის სისტემატიზაციის ჩვეულებს. ამ გარემოებას უაღრესად დიდი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მასწავლებლის როლი მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობაში. ცხადია, რომ მასწავლებლის როლი აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობაში საკმარისად დიდმნიშვნელოვანია. მოსწავლეთა მასები ჯერჯერობით ვერ შესძლებენ დამოუკიდებლად მუშაობას (განსაკუთრებით ეს ითქმის დაბალი ჯგუფის მოსწავლეებზე), მათ არ ძალუძთ სამუშაო გეგმის შედგენა და, საერთოდ, სექციური მუშაობისთვის შესაფერი მიმართულების მიცემა. ცხადია, ამ შემთხვევაში ჯგუფის ხელმძღვანელს ევალება შესაფერი

ახსნა-განმარტება მისცეს მოსწავლე ახალგაზრდობას, გათვალისწინებული გეგმით წარმართოს თვითორგანიზაციის სექციების მუშაობა და პედაგოგიური საბჭოს წინაშე პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების მიზნით. რაც შეეხება გაერთიანებული სექციების და მოწაფეთა თვითორგანიზაციის საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობას,—ეს საქმე უნდა დაეკისროს სკოლის გამგესა და მის მოადგილეს.

ამ წერილის დასასრულს საჭიროა აღნიშნულ იქნას ტექნიკური ხასიათის ერთი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობას. მთელ რიგ სკოლებში მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობისათვის ცალკე საათები არაა გამოყოფილი, რის გამოც მის მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობას ეთმობა მხოლოდ თავისუფალი საათები, რის გამოც ლაპარაკი რაიმე სისტემატიურ გეგმიან მუშაობაზე ფაქტიურად შეუძლებელია. ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და მოსწავლეთა თვითორგანიზაციის მუშაობისათვის წლის დასაწყისს გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო საათები. ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებათა მიღება, რა თქმა უნდა, განათლების კომისარიატსა და მის ორგანოებს ევალებათ.

ასეთია, მოკლედ, მოსწავლეთა თვითორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მომენტები. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, მაგალ. კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და როლს მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობაში, ე. ი. აღნიშნული ორგანიზაციების ურთიერთობის საკითხს, შემდეგ თითოეული სექციის ფუნქციას და ამ სექციათა მუშაობის დაკავშირებას სკოლის საპროგრამო მასალასთან,—ამაზე შემდეგ.

ნ. მექვაბიშვილი.

სკოლის თვითორგანიზაციის შესახებ

სადისკუსიოდ

ბევრი თქმულა და დაწერილა სკოლის თვითორგანიზაციებზე, მაგრამ დღემდე არა გვაქვს გარკვეული სახით ჩამოყალიბებული თვითორგანიზაცია ჩვენს სკოლებში, რაც ძლიერ უშლის ხელს ამ ორგანიზაციას თავისი შინაარსის გამტკიცების საქმეში; თუ სკოლაში

თვითორგანიზაცია თავის სიმაღლეზე არ დგას, სკოლის ცხოვრება მოკლებულია დისციპლინას, ხოლო თუ სკოლაში დისციპლინის საქმე მოიკოჭლებს, ამაოა ყველა ცდა, თუგინდ გამოცდილი პედაგოგისა, რომელიც მიმართულია სწავლა-აღზრდის საქმის გამტკიცებისაკენ; ამიტომ შევჩერდეთ ისევ ამ მეტად მნიშვნელოვან ორგანიზაციაზე. სკოლის თვითორგანიზაციის სახეები და სტრუქტურა სხვადასხვაგვარადაა გაგებული; თითოეული სკოლის პედკოლექტივი თავისებური გაგებით აყალიბებს სკოლაში თვითორგანიზაციის საკითხებს; ბევრ სკოლაში, განსაკუთრებით ტფილისის მაზრაში, სკოლის თვითორგანიზაციას შემდეგი სახე აქვს: თითოეულ ჯგუფს ჰყავს გამოყოფილი ესა თუ ის სექცია (სასოფლო-სამეურნეო, კულტურული, ადმინისტრატიული); თითოეულ სექციას ჰყავს თავმჯდომარე; სექციების თავმჯდომარეები ადგენენ ჯგუფკომს, რომელიც თავის მხრივ (თითოეული სექციიდან); გამოყოფენ თითო-თითო წარმომადგენელს და იკრიბებიან თანასახოვან სექციათა საბჭოში, სკოლის თვითორგანიზაციის უმაღლეს ორგანოში. როგორც ვხედავთ, სკოლის თვითორგანიზაციის სტრუქტურა დამოკიდებულ ყოფილა ასეთ სკოლებში სექციების არსებობაზე, რომელნიც გამოყოფილი არიან ჯგუფებში და მუდმივი ხასიათი აქვთ. ახლა იბადება კითხვა: როდის უნდა იქნეს გამოყოფილი ესა თუ ის სექცია და როგორი სახე უნდა ჰქონდეს ამ სექციებს?

როგორც ვიცით, არსებობს პროგრამული მასალის დამუშავების სხვადასხვა სახე. სექციური მუშაობა მასალის დამუშავების ერთერთ სახედ უნდა ჩაითვალოს და თუ ეს ასეა, მაშინ სექცია უნდა ირჩეოდეს სწორედ იმ დროს, როცა თემაში მოცემულ მასალას სექციური სახით დამუშავება სჭირდება. გათავდება თუ არა მასალის ამ სახით დამუშავება, სექცია უნდა იშლებოდეს; თუ სექცია დაიშალა, დაიშლება ჯგუფკომებიც, რომელთა არსებობა ბევრ სკოლაში, როგორც ზემოთაა აღნიშნული, დამოკიდებულია სექციების არსებობაზე, ასე რომ სანამ ახალი მასალა არ მოითხოვს სექციურ მუშაობას, სკოლის თვითორგანიზაციის ორგანო გაუქმებულია, რაც არანორმალურ მდგომარეობას ჰქმნის სკოლაში.

ახლა მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორი სახე უნდა ჰქონდეს სკოლაში თვითორგანიზაციას. თვითორგანიზაციის საქმე სრულიად არ უნდა იყოს დაკავშირებული სექციებთან, ის (რასაკვირველია, ამისთვის განსაზღვრული ხნის განმავლობაში) მუდმივი უნდა იყოს. მოწაფეთა თვითორგანიზაცია არ უნდა იშლებოდეს სექციების დაშლის მიხედვით, ამიტომ სჯობს ჯგუფს ექნეს ცალკე (სექციების

ჯარეშე) თავისი თვითორგანიზაცია, რომელშიაც შევლენ ჯგუფის მიერ არჩეული აღსაზრდელები, მას ეყოლება თავმჯდომარე და მდივანი (უშუალო ხელმძღვანელი ჯგუფის თვითორგანიზაციისა უნდა იყოს ჯგუფის ხელმძღვანელი მასწავლებელი, სექციას კი უნდა ხელმძღვანელობდეს საგნის მასწავლებელი). ჯგუფის თვითორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შემუშავებული წესდება, ჯგუფში არსებული პირობების მიხედვით, და გამოკრული უნდა იყოს კედელზე; ჯგუფის თვითორგანიზაციამ უნდა გამოჰყოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც შევა მთელი სკოლის თვითორგანიზაციის საბჭოში, რომელსაც ეყოლება თავმჯდომარე და მდივანი (უშუალო ხელმძღვანელი საბჭოსი უნდა იყოს პედ-კოლექტივის მიერ გამოყოფილი ერთ-ერთი მასწავლებელი). სწორედ სკოლის თვითორგანიზაციის ასეთი სტრუქტურა მოგვცემს გარკვეულ სახეს.

ეს წერილი, რასაკვირველია, ვერ ამოწურავს ყველა იმ საკითხს, რომელიც წამოიჭრება ამ საკითხის გარშემო, ამიტომ სასურველია განათლების კომისარიატმა გამოსთქვას ავტორიტეტული აზრი ამ საკითხის შესახებ.

კ. ქუჩულორია
დუშეთის ს. ახ. სკოლის მასწავლებელი

სოფ. ახალგაზრდობის სკოლები და მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი

იმ დროს, როდესაც ფართოდაა დასმული ჩვენი სოფლის მეურნეობის გადახალისებისა და კოლექტივიზაციის საკითხი, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის ხარისხის ამაღლებას და სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ თანდათანობით მის ფართოდ გაშლას, ვინაიდან ზემოხსენებული სკოლების მიზანია კულტურული გლეხკაცის მოცემა, რომელსაც შეეძლება ხელი შეუწყოს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის კოოპერატიულ გაერთიანებას.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს სკოლები ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ზოგიერთ შემთხვევაში მათ უფრო შვიდწლედის სახე აქვს.

მართალია, რომ ამ სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ერთის მხრით, შექმნილია საერთო სპეციფიური პირობების

გამო, მეორე მხრით კი ზემოხსენებული მუშაობის წარმატებით მსვლელობას აფერხებს ზევიდან ენერგიული ხელმძღვანელობის გაუწევლობა და პედაგოგიური პერსონალის შეურჩევლობა.

მაზრაში დღესდღეობით გახსნილია სოფ. ახ. 6 სკოლა. ექვსივე სკოლაში 21 მასწავლებელია, მოსწავლე კი-454, ამათგან დედრობითი სქესის — 135.

შორაპნის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმმა, მიაქცია რა იმ მდგომარეობას ყურადღება, რომ სოფ. ახ. სკოლების მუშაობა ვერაა სასურველად დაყენებული, საერთო მდგომარეობის აღნუსხვისა და აღმოჩენილ ნაკლოვანებათა მომავალში გამოსწორების მიზნით, განათლების განყოფილებას დაავალა მაზრაში არსებული ყველა ამ ტიპის სკოლის მუშაობის შემოწმება. ამ შემოწმებამ შემდეგი გამოარკვია:

1. არცერთ სკოლასთან არ არის მოწყობილი სახელოსნოები — სადურგლო, სამჭედლო, საზეინკლო და სხვა.

2. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლებში ქალების საკმაო რიცხვი სწავლობს (135), არ არისშე მოღებული ჭრა-კერვის, შინამრეწველობის სხვადასხვა სახის და საოჯახო საქმეების შესწავლა.

3. სასწავლო დისციპლინის შეთვისებაში მოწაფეობა ძალზე მოისუსტებს, ველარ ასწრებენ თეორიული მასალის გავლას აგრონომიული საქმიანობით დატვირთვის გამო.

4. პედაგოგიური პერსონალის დიდ უმრავლესობას ემჩნევა პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებში ნაკლები მომზადება, განსაკუთრებით საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელთ.

5. არცერთ სკოლასთან არ არის ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო წრეები (მოზრდილთათვის).

6. საჩვენებელ ნაკვეთებზე გაშენებული კულტურები ხშირად საინიმუშო კი არა, უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე მის გვერდით არსებულ კერძო მეურნეობაში.

7. არცერთ სკოლასთან არ უფიქრიათ ღარიბ ბავშთა კომუნების მოწყობაზე.

8. სკოლების მუშაობის აღრიცხვებს მშობლების მეტად მცირე პროცენტი ესწრება, რაც იმას მოწმობს, რომ სკოლების კავშირი მოსახლეობასთან სუსტია, რომ სკოლებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მოსახლეობის დაინტერესება, რასაც უმთავრესი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

9. არცერთი სკოლის ინიციატივით არ არის ჩამოყალიბებული სამეურნეო კოლექტივები.

10. თემსაბჭოს პრეზიდიუმები ვერ უწყობენ ხელს ამ სკოლებს და ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს ან არ აძლევენ სრულიად, ან ძალზე დაგვიანებით აძლევენ.

11. არცერთი სკოლა არ არის მინიმალურადაც კი უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკებით, კაბინეტებით, ინვენტარით და ზოგ შემთხვევაში ბინებითაც კი.

12. წლიური საწარმოო გეგმები არ დგება თავის დროზე.

13. ხშირია შემთხვევა, რომ მასწავლებლები, განსაკუთრებით აგრონომი მასწავლებლები, სკოლას სტოვებენ რამდენიმე ხნით და არ იცის არც განათლების განყოფილებამ და არც სკოლის ადმინისტაციამ, თუ სად და რაზე არიან წასული.

საჩხერის სოფ. ახ. სკ. გამგე გვწერს: **„ამით გაცნობებთ, რომ ჩვენი სკოლის აგრონომ-მასწავლებელმა ანა ღვალაძემ ა/წ. 23 თებერვალს უნებართვოდ დასტოვა სკოლა. დღემდე არ გამოცხადებულა ადგილზე და არც ვიცი, სად იმყოფება. გთხოვთ განკარგულებას“.**

პედაგოგის ასეთი დაუდევრობა და მოვალეობისადმი უპასუხისმგებლობა ზიანს აყენებს სკოლის ნორმალურ მუშაობას, რასაც საჭიროა მომავალში სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს.

14. სხვა დაბრკოლებებთან ერთად სკოლას უფრო საგრძნობელ ზიანს აყენებს გამგეების ხშირი ცვლა, რასაც აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს: 1) მესამე წელია, რაც არსებობს საჩხერის სკოლა და ამ ხნის განმავლობაში სამი გამგე გამოიცვალა, 2) საზანოს სკოლას სამი წლის განმავლობაში 5 გამგე ჰყავდა.

უდავოა, რომ ასეთი პირობები ყოველთვის დააზიანებს მუშაობის ნორმალურ მსვლელობას.

აღვნიშნავთ რა ზემოხსენებულ ნაკლოვანებებს, საჭიროა მიღებულ იქნას მაქსიმალური ზომები როგორც ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების, ისე თვით პედ-პერსონალის მიერ, რომ ეს დეფექტები გამოსწორდეს.

მ. ბრეგვაძე.

შორაპნის მაზრის პოლიტგანის გამგე.

დეფექტოლოგია და მისი მიღწევები

ოქტომბრის რევოლუციამდე მუშაობა დეფექტოლოგიის დარგში მეტად სუსტი იყო. ფართე საზოგადოებამ არ იცოდა მეცნიერების ამ დარგის არსებობა და დანიშნულება.

რევოლუციამდე ამ მუშაობას მხოლოდ მფარველობითი ხასიათი ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ენერგიით მოჰკიდა ხელი ზრუნვას ბრმებსა და ყრუებზე, აგრეთვე გონებრივად ჩამორჩენილ ბავშებზე—ოლიგოფრენებზე. დეფექტოლოგიის საკითხები ყურადღებით იქნა განხილული დეფექტოლოგიის დარგში მომუშავეთა პირველ სრულიად რუსეთის კონფერენციაზე.

თუ კონფერენციამდე დეფექტიან ბავშებზე ზრუნვას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, კონფერენციის შემდეგ მას სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცა.

რუსეთის ქალაქებში დაარსდა მრავალი სპეციალური დაწესებულება ფიზიკურად და გონებრივად დეფექტიანი ბავშებისათვის და აგრეთვე დეფექტიან ბავშთა ცალკე ჯგუფები ნორმალურ სასწავლებლებთან, რომელთაც დამხმარე სკოლები და ჯგუფები ეწოდებათ.

დღეს მრავალი ამგვარი დაწესებულებით არის დაქსელილი რუსეთი, კერძოდ მოსკოვი და ლენინგრადი. ლენინგრადში 200-ზე მეტი დამხმარე სკოლაა, ასევეა მოსკოვში.

ამ სკოლების მეტი ნაწილი ნორმალურ სასწავლებლებთანაა მოთავსებული.

სკოლებში მოთავსებულ ბავშთა უმრავლესობა მშრომელთა წრიდანაა. მათ მიჩენილი ჰყავთ სპეციალისტი-პედაგოგები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ დეფექტოლოგიის კურსები.

მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებობს დეფექტოლოგიის ფაკულტეტი, რომელიც იყოფა სურდოპედაგოგიის (ყრუ-მუნჯთა), ლოგოპედიის (მეტყველების გამოსწორების), ტიფლოპედაგოგიკის (ბრმათა) და ოლიგოფრენიის (გონებაჩამორჩენილთა) კათედრებად. ამ ტიპის უმაღლესი სასწავლებელი ლენინგრადშიაც არის. მას ეწოდება ჰერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მასწავლებლები-დეფექტოლოგები უფლებით გაუთანასწორეს მუშათა ფაკულტეტების მასწავლებელთ. დეფექტიან ბავშთა სკოლებში თავმოყრილია მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლობა.

დღეს დეფექტიან ბავშთა სკოლებში მცირე პროცენტს შეადგენენ არასპეციალისტი მასწავლებელნი. ამ ტიპის სასწავლებლებმა

თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს და რიცხვობრივად იზრდებიან. დეფექტიან ბავშთა სკოლებში შეთანხმებულია პედაგოგიური და პედოლოგიური მიდგომა. რეფლექსოლოგიური და სენსომოტორული მეთოდის საშუალებით დეფექტიან ბავშებს ნორმალურ ბავშებს უახლოვებენ.

არა ნაკლებ ნაყოფს იძლევა ასოციატორ-ექსპერტული მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების წყალობით ცხადი ხდება ბავშის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მასწავლებელთ ეძლევათ შესაძლებლობა წინასწარ მიაქციონ ყურადღება მათი ნაკლის გამოსწორებას.

ახლა გადავხედოთ საქართველოს.

საქართველოში ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ კეთდება. გადავავლოთ თვალი დეფექტიან ბავშთა დაწესებულებებს. იქ ძალიან ნაკლებს ვნახავთ სპეც-პედაგოგებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღემდე საქართველოში ერთი დამხმარე სასწავლებელიც არ მოიპოება დეფექტიან ბავშთათვის. აი რით აიხსნება ჩამორჩენილ მოწაფეთა ასეთი დიდი პროცენტი. სკოლებში ხშირად ბავშის ინტელექტუალური განვითარება არ ეთანხმება მის პასპორტულ წლოვანებას და კლასი ირღვევა, რადგან მასში თავმოყრილია გონებრივად არათანაბარი ელემენტები.

დროა ჩვენც მივბაძოთ რუსეთის მაგალითს ფრიად სასურველ და სასარგებლო დეფექტოლოგიურ დაწესებულებათა დაარსების საქმეში, შევამციროთ ჩამორჩენილი ბავშების პროცენტი და ნიჭიერ ბავშებს კი მივცეთ თავისუფლად წინსვლის საშუალება.

ა. კაიშაური.

მასწავლებლობა, სკოლა და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმდინარე ყრილობამ, კულტურული მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს და მასში მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მასიურ ჩაბმას. კულტურული რევოლიუციის ამოცანები მოითხოვს ჩვენი საზოგადოებრივობის გარკვეულ პრაქტიკულ მონაწილეობას ამ ამოცანასთან დაკავშირებული საქმიანობის გადაჭრაში. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა, მისი რეკონსტრუქცია მოითხოვს ჩვენი მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებას. ეს ამოცანა ავალებს ყველა კულტურულ მუშას მასებში კულტურულ-აღმზრდე-

ლობითი მუშაობის გაძლიერებას. განსაკუთრებით ჩვენს მასწავ-ლებლობას შეუძლია დიდი როლის შესრულება კულტურულ საქმია-ნობაში. ის მოწინავე რიგებში უნდა იყოს უცოდინარობის წინააღ-მდეგ ბრძოლაში, მას შეუძლია დიდი დახმარების გაწევა კულტურუ-ლი რევოლუციის მიერ ჩვენს წინაშე ყოველდღიურად დაყენებული საკითხების გადასაჭრელად.

სხვა საკითხებისაგან აუცილებლად უნდა გამოვყოთ წერაკით-ხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხები. ეს საკითხები უნდა იდგეს ყველა საბჭოთა მოქალაქის ყურადღების ცენტრში. ამ სიბნე-ლის, უვიცობის წინააღმდეგ უნდა გავშალოთ ბრძოლის საერთო ფრონ-ტი. ფრონტის მოწინავე რიგები საბჭოთა მასწავლებლობამ და ყვე-ლა საბჭოთა მუშაკმა უნდა დაიკავოს. სამწუხაროდ, დღემდე ვერ იყო მოგვარებული ეს საკითხი, საკმარისად ვერ იყო მიზიდული მა-სწავლებლობა ამ საქმიანობაში, არ იყო იმ ორგანიზაციების მთლიანი ფრონტი შექმნილი, რომლებმაც გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ საქმიანობის ჯეროვანად დასაგვირგვინებლად. გადაჭრით უნდა ით-ქვას, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში რომ იმ ტემპით ვიმუშაოთ, როგორც წარსულში, ეს მიუტევებელი ცოდ-ვა იქნება. მუშაობის ტემპი აუცილებლად უნდა გაძლიერდეს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სადირექტივო ორგანოების მითითებით მიზნად დავისახეთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბ-ლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების (აჭარისტანი, აფხაზეთი და ავტონომიური სამხრეთ-ოსეთი) მოსახლეობაში სამი წლის განმავლო-ბაში წერაკითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა. ეს აუცილებლად დიდი ამოცანაა და თანაც გადაუდებელი. საქართველოს სოციალი-სტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერ-თად წერა-კითხვის უცოდინარია 369 ათასი. მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ წარსული წლის ფორმებით და მეთოდებით მუ-შაობის წარმოება საკმარისი არ არის. მწარე გამოცდილებამ გვიჩვე-ნა, რომ ამ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა სა-ზოგადოებისა „წერა-კითხვა") ჯეროვანად არ არიან ჩაბმულნი და თავის შესაძლებლობას და საშუალებებს მას არ ანდომებენ. მარტო სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში შორს ვერ წავალთ. წერაკითხვის უცოდინა-რობის ლიკვიდაცია საზოგადოებრივ საქმედ უნდა გახდეს, მასში გან-საკუთრებული მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენი პროფკავშირის წე-ვრებმა, განსაკუთრებით კი განათლების მუშაკებმა, ფართედ უნდა გავშალოთ ინდივიდუალური ჯგუფური სწავლება, ყველა მასწავლე-

ბელი და კულტურული მუშაკი უნდა ჩაებას ამ საქმიანობაში და მათმა მონაწილეობამ დიდი პრაქტიკული შედეგები უნდა მოგვცეს. თითოეულმა კულტურულმა მუშაკმა მიზნად უნდა დაისახოს და აუცილებლად უნდა შეასრულოს კიდეც, რომ წერაკითხვა შეასწავლოს სამ უცოდინარს მაინც. მასთან ერთად თითოეულმა კულტურულმა მუშაკმა უნდა ჩაატაროს მუშაობა სასკოლო ასაკის ბავშვების შრომის სკოლებში მიზიდვისათვის, რომ ამით შესწყდეს უცოდინარ ასაკგადასულთა მიერ უცოდინართა არმიის შევსება.

ფართედ უნდა გავშალოთ შეჯიბრება ამ საქმის შესრულებაში ადგილკომებსა, სკოლებსა, ქოხ-სამკითხველოების მასწავლებლობასა და ყველა კულტურულ ძალებს შორის. დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენს პროლეტარულ სტუდენტობას წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარებაში. ისინიც მოწინავე რიგებში უნდა იყონ. პროლეტარულმა სტუდენტობამ უნდა გაშალოს, ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის წესით, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფრონტი. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში უნდა ჩავაბათ ჩვენი შრომის სკოლების მოწაფეობაც.

ამ საქმიანობაში განსაკუთრებული სამსახურის გაწევა შეუძლია ჯგრეთვე მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის და ტექნიკუმების მოწაფეობას. ჩვენი სკოლების საწარმოო გეგმაში შეტანილია საზოგადოებრივ-სასარგებლო აუცილებელი შრომა. სწორედ წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საზოგადოებრივ-სასარგებლო და აუცილებელ შრომათ უნდა ჩაითვალოს მოწაფეობის ამ ნაწილისათვის. თითოეულმა მათგანმა უნდა შეასწავლოს წერაკითხვა სამ უცოდინარს მაინც.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული იმ რაიონებში, სადაც წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელ მოსახლეობაში უნდა გატარდეს სავსებით 1929-30 სასწავლო წელს. ასეთი ადგილებია: ტფილისი, ბათომი, სოხუმი, ყველა სამაზრო და საარაიონო ქალაქი და საწარმოო ცენტრი.

გასულ მუშაობაში ხელს გვიშლიდა უმთავრესად მოსამზადებელი მუშაობის არასაკმარისი და არა თავის დროზე ჩატარება. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული. ამ მუშაობას ახლავე უნდა შევუდგეთ, უნდა გავაძლიეროთ მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მობილიზაცია გავუკეთოთ ყველა მუშაკს და მთლიანი ფრო- ნტით და პასუხისმგებლობით შევუდგეთ ამ მუშაობას. ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ჩვენი მასწავლებლობა მშრომელ საზოგადოებას, რომ მას ახალ სოციალისტურ მშენებლობაში მოწინავე რიგები უჭირავს.

კ. ჩხარტიშვილი.

პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა ჩვენში

„უნდა აღნიშნულ იქნას, რომ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა საქართველოში ძლიერ ჩამორჩება მასების მოთხოვნილებას. საჭიროა პროფორგანიზაციების მეტი ყურადღება მისდამი, რადგან იგი მასიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საბიუჯეტო ასიგნობათა უმნიშვნელო პროცენტი პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობისათვის და მიღწეულ უნდა იქნას ამ ასიგნობათა ზრდა (ა. კრინიცკის მოწოდება, „კომუნისტი" № 235).

სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ამხ. კრინიცკი, რომ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა საქართველოში ზედმიწევნით სუსტადაა დაყენებული, და საბიუჯეტო ასიგნობაში ანორმალურ მოვლენას ვხედავთ. საინტერესოა განათლების განყოფილებათა და პოლიტგანის ადგილობრივი ბიუჯეტის დინამიკა:

1924-25 წ. განათლების დარგის ადგილობრივი ბიუჯეტი უდრიდა 3,805.072 მან., პოლიტ.—791.301. მან., ე. ი. 20%-ს.

	განათლების	პოლიტ.
1925-6 წ.	7.476.470	613.209, ე. ი. 9%
1926-7 წ.	8.789.880	740.329 „ 8%
1927-8 წ.	10.467.580	748.058 „ 6%

სახალხო განათლების ბიუჯეტი ადგილობრივი აღმასკომების ბიუჯეტში შემდეგი წესით იზრდება:

1925-26 წელს იყო 8%
1926-27 „ „ 12%
1927-28 „ „ 41%

მაზრპოლიტგანების ბიუჯეტები კი სახალხო განათლების ბიუჯეტში პროგრესიულად მცირდება, როგორც ზემოთ არის მოყვანილი.

ასეთია მდგომარეობა ადგილობრივ ბიუჯეტში; კიდევ უფრო საინტერესოა პოლიტგანის მთავარმართველობის ბიუჯეტის მდგომარეობა განათლების კომისარიატის ბიუჯეტში:

1925-26 წ. პოლიტგ. მთავარმართ. ბიუჯ. უდრიდა 5,5%
1926-27 „ „ „ „ „ 5,5%
1927-28 „ „ „ „ „ 4,8%

როგორც ვხედავთ, პოლიტგანმანათლებლობითს მუშაობას ძლიერ მცირე პროცენტი ეთმობა როგორც მაზრებში, აგრეთვე ცენტრშიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორებას. დაკარგული პოზიციები ხელმეორედ უნდა იქნას დაპყრობილი. პოლიტგანათლების ბიუჯეტი სახალხო განათლების ბიუჯეტში 18—20%-ს მაინც უნდა შეადგენდეს (ასევ უკრაინაში, რ. ს. ფ. ს. რ. და სხვაგან).

მართალია, 6 პროცენტიდან 20 პროცენტამდე ნახტომის გაკეთება ერთბაშად ძნელია, მაგრამ ხაზი ამ მიმართულებით უნდა იქნას აღებული როგორც ადგილებზე, აგრეთვე ცენტრშიც.

„ჩვენი ბიუჯეტის, ჩვენი სახსრების შემდგომი ზრდის პირობებში, დაწყებული უახლოესი წლიდან, კულტურული განვითარებისათვის შედარებით მეტი უნდა გავიღოთ, ვიდრე მეურნეობის აღდგენისათვისაც კი“ (მე-XV ყრილობა). საჭიროა ზემოხსენებულის განხორციელება და ეს პირველყოვლისა უნდა გავრცელდეს პოლიტგანის ორგანოებზე,—ამას მოითხოვს კულტურული რევოლუციის ინტერესები.

პოლიტგან-მუშაკთა კადრის შესახებ

პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის სისუსტეს ჩვენში მარტო ზემოთმოყვანილ მატერიალურ მდგომარეობას ვერ მივაწერთ. ამ მუშაობის სისუსტის ერთი უდიდესი ფაქტორია ამ დარგის მუშაკთა დაბალი კვალიფიკაცია. მოზუშავეთა კადრის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, მაგრამ ხაზი მთლიანად არ არის სწორი და შედეგებიც უმნიშვნელოა. ერთკვირიან კურს-კონფერენციას (რომელიც თითქოს მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას) და ორკვირიან ან ერთთვიან გადასამზადებელ კურსებს ბიბლიოთეკართა და მექოხეთათვის სარგებლობა არ მოაქვს. საჭიროა უფრო ხანგრძლივი კურსების მოწვევა და მუშაკთა სერიოზული გადამზადება, როგორც ეს ხდება მასწავლებელთათვის. გასულ წელს ლეჩხუმში მოიწვიეს ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები, მაგრამ უსახსრობის გამო ის დაშალეს თხუთმეტი დღით ადრე. ასევე მოხდა ქუთაისში და სხვაგანაც. განა მტკიცებაა საჭირო, რომ ასეთი გადამზადება მხოლოდ თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი? ზემოთალნიშნულის განმეორება სასტიკი დანაშაული იქნება ხელისუფლების წინაშე, რადგანაც სრულიად უნაყოფოდ იკარგება სახელ-

მწიფო ქონება. კულტურული რევოლუცია ხანგრძლივი და სერიოზული მომზადების გარეშე შეუძლებელია.

მაზრებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტგანხრებს ცხრაწლიდებში. უკანასკნელ კურსზე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლონ პოლიტგანმუშაობის სახეები და მეთოდები. აგრეთვე დროა პარტიული სკოლის პროგრამა ისე იქნას აგებული, რომ იქ კურსდამთავრებულებმა შესძლონ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს კიდევ შემდეგი გარემოება: თუ პოლიტგანი არმიის პოლიტგანყოფილებასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა მომზადებას (გაშვების წინ ტარდება ორკვირიანი-კურსები, საჭიროა კი გაცილებით მეტი), ეს ძლიერ შეუწყობს ხელს კადრის შექმნას: ყოფილი წითელარმიელები საუკეთესო მომუშავეებად ითვლებიან, ამას ადასტურებს სინამდვილე.

მუშაკთა სტაბილიზაცია

კადრის მომზადებას უნდა დავუკავშიროთ მუშაკთა სტაბილიზაციის საკითხი. მასიური მუშაობის სისუსტეში არა ნაკლებ როლს თამაშობს მუშაკთა ხშირი უსისტემო ცვლა; სტაჟიანი მუშაკი პოლიტგანათლების დარგში ძლიერ ცოტაა. რაა ამის მიზეზი? ის, რომ თუ კი ვინმეს აზრად მოუვიდა მისი მოხსნა-გადაყვანა, ის შედარებით იოლად ანხორციელებს ამას. მექოხეზე ასეთი შეხედულება ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაკთა შერჩევასა და გადამზადებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძლიერ უშლის ხელს სტაბილიზაციის საკითხს; საუბედუროდ, ზოგჯერ თვით მექოხეა დამნაშავე მის გადაყვან-გადმოყვანაში. ამ დანაშაულს ის იდენს მატერიალური სივიწროვის ზეგავლენით. საჭიროა სათანადო პირობების შექმნა, რომ თავიდან ავიცილოთ ამგვარი მოვლენები.

საერთოდ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების გარკვეული შეხედულება პოლიტგანორგანოებისადმი. საჭიროა პირველად ყოვლისა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროფკავშირებმა და კოოპერაციამ. მაზრებსა და თემებში ამ საკითხს აქტუალური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, მოჯამაგირეთა კომიტეტებისა და კოოპერატიული წრეების მუშაობის პოლიტგანორგანოებთან შეთანხმებული მუშაობისათვის.

პარტიულმა ორგანოებმა თავის მფარველობის ქვეშ უნდა აიყვანოს პოლიტგანები, რომ თავიდან ააცილოს მათ შტატის შემცირება. მიუხედავად სადირექტივო ორგანოების მტკიცე დირექტივისა, რომ პოლიტგანების შემცირება ყოვლად დაუშვებელია, ახლაც ბევრი პოლიტგანია ამოღებული მიზანში.

დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ გაურკვევლობას.

ბ. ხობუა.

როგორ უნდა შევისწავლოთ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა

პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის გამოცდილების შესწავლას ჩვეულებრივ შემდეგი ძირითადი სახეები აქვს: 1. საინსპექტორო დათვალიერება, 2. ანკეტები, 3. ობიექტური დაკვირვებანი და 4. კურსები-კონფერენციები. ჩვენს სინამდვილეში უფრო ფართოდ გავრცელებულია საინსპექტორო დათვალიერება და ანკეტები.

საინსპექტორო დათვალიერებას, როგორც საერთოდ, ისე ყოველ კერძო შემთხვევაში, არა აქვს რაიმე ჩამოყალიბებული გეგმა, არ არსებობს აგრეთვე არც მიზნობრივი დასაყრდნობი წერტილი, არასდროს არ წარმოებს წინასწარი სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა; დათვალიერება ყოველთვის ხანმოკლეა, და ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთაც სახავენ ინსპექტორები, ხშირად შეუსრულებელი რჩება.

საინსპექტორო მუშაობის ასეთი დაყენება არ იძლევა ადგილობრივ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის თვისების ობიექტური შეფასებისა და ღრმა შესწავლის შესაძლებლობას. ეს მდგომარეობა ხშირად ხელს უშლის მუშაობის ბევრი ნაკლის აღმოფხვრას.

დათვალიერების გეგმა უნდა შეიცავდეს არა მარტო სამსახურის გაწევის შინაარსსა და საშუალებებს, არამედ იმ მასალასაც, რომელიც წინასწარ თვით ინსპექტორმა უნდა შეისწავლოს.

ჩვეულებრივ დათვალიერებას აწარმოებს ერთი ინსტრუქტორი ან ერთი ინსპექტორი. თვით დათვალიერებას შემდეგი მომენტები აქვს: 1) ბაასი ქოხ-სამკითხველოს ან ბიბლიოთეკის გამგესთან და სხვებთან იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იცნობს ამა თუ იმ მუშაობის ხელმძღვანელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებს, მეთოდურ ლიტერატურას, რა უშუალო მონაწილეობას იღებს

თავისი დაწესებულების მუშაობაში; უნდა გამოირკვეს აგრეთვე მისი საერთო პოლიტიკური განვითარება.

2) უნდა გამოირკვეს მუშაობის შედეგები და ის, თუ რამდენად ჩაბმულია მოსახლეობა აბა თუ იმ კულტურულ მუშაობაში, რისთვისაც გამოკითხულ უნდა იქნას თვით მოსახლეობა. ასეთი საინსპექტორო დათვალიერება, თუკი ის მუყაითად იქნება ჩატარებული, პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობისათვის საკმაო დადებით შედეგს მოგვცემს. დასათვალიერებელ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას ქოხ-საკითხველოს აქტივიც და მოეწყოს კოლექტიური დათვალიერება.

პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის გამოცდილების შესწავლის მეორე ფორმა ანკეტაა. ანკეტა გახშირებული ფორმაა მუშაობის შესწავლისათვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისად დამაკმაყოფილებელი ფორმა და ყოველთვის არ იძლევა პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის მდგომარეობის სრულ სურათს.

ანკეტის, როგორც შესწავლის დამოუკიდებელი მეთოდის, გამოყენება შესაძლოა ორ შემთხვევაში: პირველი — როდესაც ანკეტას ავსებს დათვალიერებაში მონაწილე პირი და მეორე — თუ ანკეტას სწერს ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს კავშირი დათვალიერებასთან.

პირველ შემთხვევაში საჭიროა ყველა საკითხის მუყაითი დამუშავება.

გამოცდილებით ვიცით, რომ ანკეტები ხშირად ტყუილად ჰყრია დაუმუშავებლად, ან გვიან ამუშავებენ მათ, ასე რომ შედეგის აღნუსხვა შეუძლებელი ხდება.

ანკეტა არის მასალების ტექნიკური ამოკრების საშუალება.

საერთოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობის შესწავლა ჩვენში სუსტად არის დაყენებული. ამას გარდა, ეს მუშაობა განცალკევებულად მიმდინარეობს ადგილებზე და ცენტრალური ორგანიზაციების მიერ გაერთიანებული არ არის.

მაზრპოლიტგანები ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმის შესწავლას და შესაფერად დაყენებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თვით მომუშავეთა კვალიფიკაციაც არ იძლევა ამ მუშაობის გაღრმავებისა და მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების შესაძლებლობას. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პოლიტგანმანათლებლობითი ორგანოებისუ შაკთა მომზადებას და მათი მუშაობის სათანადო ხელმძღვანელობას.

თ. დავითიანი.

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

6. კრუპსკაიას წერილი თელავის ათწლედის მოწაფეებისადმი.

ამას წინათ თელავის I ათწლედის მოწაფეებმა მოაწყეს კრუპსკაიას საღამო. გაკეთებულ იქნა სამი მოხსენება: 1. კრუპსკაია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, 2. კრუპსკაია, როგორც პედაგოგი, 3. შრომის სკოლის პრინციპები. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო და ხალისიანად ჩაიარა. ათწლედის მოწაფეებმა კრუპსკაიას შემდეგი წერილი გაუგზავნეს: „რამდენიმე თაობის სასიქადულო აღმზრდელო, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულო!

თელავის მოწაფენი და მასწავლებელნი აღტაცებით შევხვდით თქვენი დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. ამ დღეს ვითვალისწინებთ თქვენს დამსახურებას საბჭოთა შრომის სკოლის წინაშე და იმ ფასდაუდებელ ღვაწლს, რომელიც მიგიძღვით პროლეტარიატის გათვითცნობიერების საქმეში. ოქტომბრის რევოლუციის დიად შთამგონებელ ლენინთან ერთად თქვენ დაუღალავად მუშაობდით იმ დროსთვის, როცა შეიმუსრება საუკუნეთა ტრადიციებით გამტვერიანებული ძველი ყოფა-ცხოვრება და მოგვევლინება ახალი ადამიანი ახალი განცდებით და ბრწყინვალე მისწრაფებებით.

ჩვენ, ახალგაზრდობა, ვდგევართ ამ მნიშვნელოვან მიჯნასთან და ვცდილობთ გავამდიდროთ ჩვენი გონება, გავაფოლადოთ ნებისყოფა იმისთვის, რომ შევძლოთ დღესვე აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობაში. თქვენ ხშირად მოგვაგონებთ ხოლმე ლენინის ანდერძს: „თითოეული სკოლა ყოველდღე უნდა სწყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ ამოცანას, თუნდა ის ძალიან პატარა“ იყოს. ჩვენ ვიჩქარით გახაროთ, რომ ამ ანდერძისთვის თელავის მოწაფეობას ერთხელაც არ ულალატნია. კერძოდ თელავის ათწლედში ჩვენი საქმიანობის ხერხემლად საზოგადოებრივსასარგებლო შრომა ვაქციეთ. გავაცნობთ რამდენიმეს: საბჭოთა არჩევნების კამპანიის დროს მრავალ საქმიანობას შორის საბავშო ბაგა და ბაღი მოვაწყეთ, რითაც ჩვენს სასწავლებელში მშობლებს შესაძლებლობა მივეცით თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა შეესრულებინათ, გვაქვს მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან. ჩვენ დავიარებით მათთან და იმათაც ვიწვევთ ჩვენს სასწავლებელში, ყაზარმაში რუსულ ენაზე წარმოდგენაც ჩვენი ძალებით გავუმართეთ. მათაც

მოაწყეს ჩვენს სასწავლებელში კონცერტი. კარგახანია, რაც შევუდექით თესვის კამპანიის ჩატარებას. ჩვენი სასწავლებელი გვინდა ვაქციოთ აგრო-პროპაგანდის ცენტრად. ჩვენი სკოლის რაზმები შორეულ სოფლებშიაც გაემგზავრენ აგრო-ლაშქრობის ჩასატარებლად. ობლებს და ქვრივ-დავრდომილებს ვუბარავთ და ვუთესავთ მიწას. გლეხობას ვუხსნით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობას. თქვენ ბევრს ფიქრობთ და მუშაობთ სკოლის გარედ დარჩენილთ, უმწეოდ დარჩენილთა აღზრდაზე. თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად და თქვენ სურვილთა განსახორციელებლად თელავის მასწავლებლებთან და მოწაფეებთან ერთად ვმართავთ საბავშო მოედანს, რომელიც თელავში საუცხოო წამოწყებად ითვლება. აქ ღარიბი და ქარხნის მუშების შვილები სათანადო აღზრდასა და ჩვევებს მიიღებენ. ეს მოედანი თქვენი სახელწოდებისა იქნება.

მანძილით შორს, შორსა ბრძანდებით ჩვენგან, მაგრამ სწრაფია ახალგაზრდობის ოცნება და ჩვენც მოვქრით თქვენთან და გპირდებით, რომ ჩვენი ჯანსაღი ხელებით უფრო მაღლა ავწევთ კულტურული რევოლუციის დროშას და გავზრდით კომუნიზმისთვის თავდადებულ მებრძოლთა რაზმებს.

გამარჯვება და დღეგრძელობა საბჭოთა პედაგოგიკის დიად იდეოლოგსა და რევოლუციონერს“.

მოწაფეებმა მალე მიიღეს კრუპსკაიას შემდეგი წერილი:

„ძვირფასო ახალგაზრდებო!

მივიღე თქვენი წერილი და სურათი. ორივესათვის დიდი მადლობა. მე ძალიან გამახარა იმან, რომ თქვენ მოგიწყვიათ საბავშო მოედანი ღარიბი ბავშებისა და ქარხნის მუშების შვილებისათვის. ეს საქმე ძალიან საჭიროა. ყოველთვის მიხარია, როდესაც ახალგაზრდობა ხელს ჰკიდებს საჭირო საქმეს. ვიგონებ ჩვენს ახლგაზრდობას, როდესაც ჩვენც გვინდოდა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა, მაგრამ ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო მისი მოგვარება. გისურვებთ მუშაობაში წარმატებას. როდესაც ვუყურებ ჩვენს ახალგარზდობას, ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ კომუნიზმის საქმე უძლეველია, მას ვერაფერი შეაფერხებს. გიგზავნით მხურვალე სალამს თქვენ და მთელს თქვენ სასწავლებელს“.

29/IV—29 წ.

ათწლედის მოწაფეთა და მასწავლებელთა გაერთიანებულ კრებაზე ამ წერილის წაკითხვას მქუხარე ტაში მოჰყვა. დაადგინეს: სასწავლებლის შემოქმედი მუშაობის გასაძლიერებლად შეჯიბრი გაიმა-

რთოს ჯგუფებსა და სექტორებს შორის, მაქსიმუმამდე გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, შეებრძოლონ ჯგუფში მეორე წელს დარჩენას, გაკვეთილზე დაგვიანებას, გამოტოვებას, ყოველგვარ მავნე მოვლენას და გააძლიერონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა.

დ. თურდოსპირელი.

ხაშურის ათწლიან შრომის სკოლის მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

დაისვა თუ არა საკითხი ზემდგომ ორგანოების მიერ თესვის კამპანიაში მონაწილეობის შესახებ, ამ საკითხს გამოეხმაურა ხაშურის ათწლიანი შრომის სკოლაც. მუშაობა მოსამზადებელ პერიოდში შემდეგით გამოიხატა: შესდგა სამოქმედო გეგმა; გეგმის თანახმად დაიგზავნენ უფროსი ჯგუფის მოწაფეები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სოფლებში, სადაც ჩაატარეს საუბრები, აღრიცხეს, თუ ვის ესაჭიროებოდა მუშა-ხელით დახმარება და სხვა. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ სკოლამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო პრაქტიკულ საქმიანობაში, სახელდობრ: სოფლის ღარიბ მოსახლეობაც დახმარება გაუწია სიმინდის გათოხნაში. ამ საქმიანობის სურათი ასეთია: თვით ქალაქში და სამ სოფელში სულ 125 კაცი იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში; სოფელ ჭალაში დავეხმარეთ 10 ოჯახს 30 კაცით, ლუბრუმაში—წითელარმიელის ოჯახს 10 კაცით, ახალ სოფლის ოთხ ოჯახს—28 კაცით და თვით ხაშურში ერთ ოჯახს 7 კაცით. სულ დახმარება გაეწია 16 ოჯახს; 125 კაცმა გათოხნა თექვსმეტი დღიური სიმინდი.

ფულით დახმარება ასეთია: სკოლას განზრახული ჰქონდა თავისი საშეფო სოფლის ტეზრისათვის გუთანი ეყიდნა, მაგრამ რადგანაც ამ სოფელში ტრაქტორი აღმოჩნდა, ამიტომ პედ. საბჭოს დადგენილებით სოფლის სკოლას გადაეცა 30 მანეთი იმ ბაღის დასამუშავებლად, რომელიც სკოლას გადასცა სოფელმა. ამასთან კედლის გაზეთის საშუალებით მოხდა გამოწვევა როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა, რის შედეგიც **იყო** 23 მან. და 40 კაპეიკის შეგროვება, რაც გადაეცა ხაშურის კომკავშირის რაიკომს თესვის კამპანიის ფონდის გასაძლიერებლად.

გ. გელაძე.

ხაშურის ათწლედის მასწავლებელი

ხაშურის 10-წლედი. მოწაფეები სთოხნიან წითელარმიელის სიმინდს.

ხაშურის 10-წლედის მოწაფეობა სთიბავს საჩვენებელ კვალში იონჯას.

როგორ ჩაატარა ჩვენმა 4-წლედმა „ტყის დღე“.

სკოლის მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში,—აი რა უნდა გახდეს საბჭოთა შრომის სკოლების ლეიტ-მოტივი.

ამხ. ლენინის აზრი „არაფრად არ ვარგა არცერთი სკოლა და არცერთი უნივერსიტეტი, რომელიც არ იძლევა პრაქტიკულ გამოყენებას“—უნდა შეიქნეს თითოეული სკოლის მუშაობის საფუძველი, მიუხედავად მოწაფეთა ასაკისა და სკოლის ტიპისა.

„ტყის დღე“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ჯეროვან ყურადღებას იპყრობს, ჩვენმა 4 წლედმა თავის წლიურ სამუშაო პროგრამებში შეიტანა, რის პრაქტიკული განხორციელებისათვის 11 და 12 მაისს გადავდგით შემდეგი ნაბიჯები. თითოეულმა ჯგუფმა დაისახა ასეთი მიზანი: „შევისწავლოთ ტყის ბუნება, გამოვარკვიოთ ტყის საწარმოო ხასიათი და სკოლის მონაწილეობა ტყის დღის კამპანიაში“.

„მხარეთმცოდნეობითს პრინციპზე ექსკურსია ტყის ბუნების შესასწავლად, დაკვირვება-კვლევით გამორკვევა ტყის საწარმოო ხასიათისა და დინამიური საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის საშუალებით სააგიტაციო აღმზრდელობითი კამპანიის ჩატარება სკოლაში სოფელთან ერთად“—აი რა გზით გადავწყვიტეთ ამის დამუშავება,

აქვე მოვიყვან საკითხის დამუშავების გეგმას მეოთხე ჯგუფში.

ტყის ბუნება

1. ავიღოთ შესასწავლად უახლოესი ტყე, გამოვარკვიოთ ტყის საზღვრები, მოხაზულობა, ზედაპირი, მდებარეობა, სიდიდე და სივრცე.

2. შევადგინოთ ტყის რუკა.

3. გამოვარკვიოთ ტყის ნიადაგი, რით აიხსნება ნიადაგის ასეთნაირობა?

4. ტყის ჰავა—მისი დამახასიათებელი თვისებები, სინესტე, ტყის როლი ჯანმრთელობისათვის.

5. გავეცნოთ ტყის ჭაობებს და ღელეებს.

6. ტყე, როგორც მცენარეთა თანასაზოგადოება და მისი გამორკვევა: ტყის მცენარეები, წყალმცენარეები, წყლის მცენარეები, სპიროგირები, ბაქტერიები, სოკოები, პარაზიტები, ხეების ლპობა და წვა. ხის ჯიშების გაცნობა, მცენარეთა აღნაგობის გაცნობა და გამორკვევა.

7. ხეების ზრდის სახეები: მაღლამოზარდი, სწორმოზარდი, გაბარჯღული, დამონავებული და გაბატონებული ხეების გაცნობა. ჰელიოტროპიზმი და ხეების ვეგეტატიური მოვლენების გამორკვევა.

8. ტყის სახეები: ბუჩქნარები, ჩირგვები, ახალგაზრდა, ულრანი, გაუერანებული და ხელუხლებელი ტყეების გაცნობა.

9. ტყის დაყოფა სარტყლებად: ცხელი, ცივი და ზომიერი ქვეყნების ტყეების გაცნობა. ადგილობრივი, ს. ს. ს. რ. და ს. ს. რ. კ. ტყეების სივრცის გამორკვევა.

10. ტყის ფრინველებისა და ცხოველების გაცნობა.

11. ტყის გაცნობა გაზაფხულზე.

ტყის წარმოებითი მხარე

1. გამოვარკვიოთ ტყის მნიშვნელობა ადამიანისათვის: საშენი, სათბობი, ტრანსპორტისათვის საჭირო, საძოვარი ტყეში და ტყე მფარველი ქარისაგან, ნიადაგის გამოფიტვისაგან და სხვა.

2. ტყის მფლობელობითი სახეების გამორკვევა: საოჯახო და ნორმის, სათემო, საფონდო და სახელმწიფო ხელუხლებელი (მარაგი) ტყეები.

3. ტყის მოხმარების სახეების გამორკვევა: შინამრეწველობითი (შინამოხმარებითი), ექსპორტული და სახელმწიფოებრივი ექსპლოატაცია.

4. გამოვარკვიოთ ტყის საწარმოო ეკონომიური შემოსავალი და მისი მოხმარება ადგილობრივად, ს. ს. ს. რ. და ს. ს. რ. კავშირში.

5. გამოვარკვიოთ, როგორ შეიძლება ტყის მიზანშეწონილი ექსპლოატაცია.

სააგიტაციო მხარე

პირველი ორი მხარის დამუშავებისა და გამორკვევის შემდეგ სკოლამ გადასდგა ასეთი პრაქტიკული ნაბიჯი: „მოწაფეთა შეიარაღებით შევიჭრათ ცხოვრებაში“. სკოლამ სანიმუშოდ, თემალმასკომთან შეთანხმებით, აიღო ერთი ქცევა ტყე და დაიწყო მისი სანიმუშო დაცვა-მოვლა; შემოვაკავეთ, გავწმინდეთ ხეები, გავუკეთეთ წარწერა: „ქვემო ქვალონის საშეფო ტყე“. წამოვიღეთ პატარა-პატარა ნერგები (თუმცა დაგვიანებული იყო) სკოლის ეზოში დასარგავად, 12 მაისს მოვრთეთ სკოლის ახლოს მყოფი კლუბი პლაკატებითა და ლოზუნგებით, გამოვიდენ მოწაფეები შესაფერი ლექსებით, მოხსენე-

ბით—ორი მოწაფე და ერთი მასწავლებელი. მოეწყო „ტყის გამნადგურებელთა“ გასამართლება. გავასამართლეთ გიორგი წერეთლის „რუხი მგელი“-ს ერთ-ერთი მოქმედი პირი—ავთანდილი მასწავლებელთა და კომკავშირელთა მონაწილეობით. ამას დაესწრენ ფართე საზოგადოება და მოწაფეთა მშობლები.

ნაბიჯი, რომელიც გადადგა ჩვენმა 4-წლედმა და რომლითაც შეიჭრა ის ცხოვრებაში, მოწმობს, რომ 4-წლედს შეუძლია საზოგადოებრივი და სოციალისტური მშენებლობის ასეთ საკითხებში „პირველი მერცხალი“ გახდეს სოფლად და ქალაქად.

ვიტყვი, რომ ჩვენს საბჭოთა შრომის სკოლას ახალი ყოფაცხოვრება დიდ ამოცანებსა და „მტკივნეულ“ საკითხებს უყენებს, და მათ სკოლები ჯეროვანად გადასწყვეტს.

ბესარიონ ქირია.

ქვემო-ქვალონის 4-წლედის გამგე.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა ვანის ათწლედში.

უდავოა, რომ დღევანდელ სოფელს სოციალისტური მშენებლობის პერიოდში სათანადოდ მომზადებული ძალები ესაჭიროება.

ვანის 10-წლედში შემოღებულია სასოფლო-სამეურნეო განხრა, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღტაცებით შეხვდენ, დაიმედებულნი იმით, რომ მომავალში მიემატებათ ტექნიკურად მცოდნე პირები, კოლექტიური მეურნეობის შექმნის იდეით აღჭურვილნი. სამწუხაროა ის მდგომარეობა, რომ სასოფლო-სამეურნეო განხრა არ არის უზრუნველყოფილი ყველა საგანში სათანადო ლიტერატურით, რაც ხელს უშლის მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას. მაგალითად: საბჭოთა მეურნეობის საფუძვლების და განვითარების პერსპექტივების სახელმძღვანელო ჯერაც არ არის გამოცემული, აღნიშნულ საგანს კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო განხრის საგნის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. საჭიროა აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება, ვისგანაც ჯერ არს.

მოწაფეთა მასაში კოლექტიური იდეების შესასიხლხორცებლად საკმაო მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოწაფეთა მიერ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმის შესრულებას. ამ

მიზნით პედ-საბჭომ გამოჰყო კომისია, რომელმაც შეადგინა გეგმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩასატარებლად სკოლაში. გეგმაში გათვალისწინებულია სკოლის ეზოს ნაკვეთში ბაღ-ბოსტნის გაშენება; მუშაობა დაწყებულია მოწაფეთა მთელი მასის მონაწილეობით. სკოლა მდებარეობს დაბლობ ადგილზე, ვანში არსებულ ჭაობების: „გეენასა“ და „საყანჩიას“ მახლობლად, რომელთა წყალობით ვანის მცხოვრებლებში მალარია ვრცელდება. ჭაობის ამოშრობისათვის თემ-საბჭოს მიღებული აქვს სათანადო ზომები, ჩვენ სკოლას კი განზრახული აქვს აღნიშნულ სამუშაოებზე კოლექტიურად მუშაობა.

სკოლის მოწაფეებმა ხრეშითა და ქვით მოკენჭეს სკოლის ეზო. აღსანიშნავია ადგილობრივ მოწაფეთა მშობლების გატაცება ამ საქმით; რაკი დაინახეს, რომ მოწაფეებმა საქმე წამოიწყეს და მუშაობდენ, თვითონაც უოხოვნელად მიიღეს აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ მუშაობაში (ფიზიკური მუშაობა, ხარ-ურმების გამოყვანა და სხვ.).

დამხმარე საბჭოსთან შეთანხმებით პედ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს სკოლის ეზოსთვის ყორეს გაკეთება. მოწაფეობას, თვით ორგანიზაციისა და კომკავშირის ამ საქმეში აქტიური ჩარევით, მიღებული აქვს დადგენილება, რომ აღნიშნული საქმე მათ უნდა გააკეთონ (ქვა-კირის მოტანა და სხვ.).

ჩვენის აზრით, ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულება შეაჩვევს მოწაფეებს კოლექტიურ შრომას და ასწევს სასოფლო-სამეურნეო განხრის სკოლების ხვედრითს წონას მშრომელი მასის თვალში.

პავ. წაქაძე.

ვანის 10-წლ. გამგის მოადგილე.

43 წელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე

სიმონ გაბრიელის ძე ჯორბენაძე 1863 წ. დაიბადა ს. ჩიბათში (ოზურგეთის მაზრა). ადრე დაობლებული სიმონის მზრუნველობა იკისრა ბიძამ, იესე ჯორბენაძემ, რომელმაც პაწია სიმონი მიაბარა ჯერ ჩიბათის სკოლაში და შემდეგ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. მიუხედავად გაჭირვებისა, სიმონი წარმატებით ასრულებს 1882 წ. ამ სასწავლებელს. სიღარიბის გამო მან სწავლის გაგრძელება ვეღარ შესძლო, ხელი მოჰკიდა სახალხო მასწავლებლობას და

დაინიშნა მასწავლებლად სოფ. მუხურაში (შორაპნის მაზრა). ახალგაზრდა სიმონი ხედავს, თუ როგორ გმინავს მშრომელი ხალხი თვითმპყრობელობის უღლის ქვეშ, რომლის ბატონობა დაფუძნებული იყო ხალხის უვიცობასა და სიბნელეზე. სიმონი დარწმუნდა, რომ საჭიროა ხალხში განათლების შეტანა და ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ამ დიდი საქმისათვის საჭირო იყო უფრო მეტი მომზადება, ვიდრე მას ჰქონდა, ამიტომ სიმონი ერთი წლის შემდეგ თავს ანებებს მასწავლებლობას, შედის ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1887 წ. და ინიშნება მასწავლებლად ნიგოითის სოფლის სკოლაში. სიმონს აქ გაპარტახებული სკოლა დახვდა, რომელსაც ხალხი სრულებით ჩამოცილებული ჰყავდა, მაგრამ მისი ენერგიული მუშაობით ხალხმა სკოლა შეიყვარა და მოწაფეთა რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა.

სიმონის მუშაობა მარტო გაკვეთილების მიცემით არ ამოიწურებოდა. ის მოწაფეების საშუალებით ავრცელებდა მოსახლეობაში აბრეშუმის ცელურიალურ თესლს, ასწავლიდა მოწაფეებს მეაბრეშუმეობას, მებაღეობასა და მეფუტკრეობას. აგრეთვე კვირა-უქმე დღეებში ის სკოლის დარბაზში თავს უყრიდა გლეხობას და უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებს. ამ ამბავმა მაზრის უფროსის ყურამდე მიაღწია, რომელმაც სასტიკად აუკრძალა ასეთი მუშაობა. ხალხი ძლიერ კმაყოფილიყო სიმონის მუშაობით და მისივე ინიციატივით გაიხსნა მეორე სკოლა რკ. გზის მახლობლად. 1895 წ. სიმონი გადიყვანეს თავის სოფ. ჩიბათში, სადაც დღევანდლამდე მსახურობს (გარდა 6 წლისა, რომელიც მან დაჰყო ლანჩხუთის 2-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში). ჩიბათში სიმოხს იგივე პირობები დაუხვდა, როგორც ნიგოითში, მაგრამ მისმა მუშაობამ ნაყოფი აქაც დიდი გამოიღო: სკოლა გადაკეთდა 2-კლასიანად, ააგეს სკოლისათვის შენობები და შეიძინეს 3 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, 16 წლის წინად მისივე თაოსნობით გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ სიმონი ამ ბოლო დრომდე სრულიად უსასყიდლოდ იყო. სადაც კი მსახურობდა სიმონი, ყველგან დაუღალავად მუშაობდა, როგორც სკოლაში, ისე მის გარედაც, ყველგან ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ის დიდ დახმარებას უწევდა ჩვენს სახელოვან ბელეტრისტ ეგნატე ნინოშვილს. დევნილი მწერალი ხშირად თავს სიმონთან აფარებდა ნიგოითში. მისივე დახმარებით მოეწყო ეგნატე ღოღობერიძის კონტორაში (ზესტაფონში).

43 წელია, რაც პატივცემული სიმონი ეწევა ამ მძიმე, მომქანცველ მუშაობას, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც მას უჭირავს ხელში ანთებული ჩირაღდანი და უნათებს გზას ჩვენს მოსახლეობას. ბევრი ახალგაზრდა აღიზარდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რომელნიც დღეს მედგრად იცავენ მშრომელი ხალხის მონაპოვარს. ამ დიდი დამსახურების აღსანიშნავად გურიის მშრომელი მოსახლეობა სიმონ ჯორბენაძეს თავის სოფელ ჩიბათში ა/წ. 8 ივნისს უმართავს 43 წლის მოღვაწეობის იუბილეს.

საიუბილეო კომიტეტი.

როგორც სიტყვით, ისე საქმით

სახალხო მასწავლებლის დავით ენუქიძის მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო.

მოზარდი თაობის კეთილნაყოფიერ აღზრდას რომ კარგი პედაგოგიური და საზოგადოებრივი ცოდნა-გამოცდილება ესაჭიროება,— ეს ყველასათვის უდავოა.

ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას ჯერ კიდევ ჰყავს ისეთი პედაგოგებიც, რომლებსაც სახალხო მასწავლებელი ჰქვიანთ, მშრომელთათვის უანგარო და თავდადებულ მუშაობას კი ბევრი მათგანი გაურბის.

საჭიროა თანამედროვე მასწავლებელი იყოს მომავალი თაობის საუკეთესოდ აღზრდისთვის თავდადებული მებრძოლი, ისეთი, როგორიც იყო ამ 35 წლის განმავლობაში **ამხ. დავით ენუქიძე.**

დავით გიორგის ძე ენუქიძე დაიბადა სოფ. საქაშეთში (გორის მაზრა) 1872 წლის 19 იანვარს მეტად ღარიბი გლეხის ოჯახში. 9 წლის დათიკო უკვე დაქვრივებულმა დედამ მიაბარა (1881 წელს) გორის სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1888 წელს საუკეთესო მოწაფედ; სწავლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის ალექსანდრეს სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დაჰყო 4 წელი და დაამთავრა 1893 წლის 2 ივნისს; ა/წ. აგვისტოდან დანიშნეს მასწავლებლად ახალციხეში, შემდეგ კი გადაიყვანეს ქალაქ ნუხაში; არ აყენებენ ერთ ადგილას და გადაჰყავთ ორდუბათში (1901 წ.), ახალციხეში, ახალქალაქში (1910 წ.), განჯაში. განჯიდან ის, მუშაობით მოქანცული, გადმოჰყავთ, მისივე თხოვნით (1918 წ. ოქტომბრიდან), ტფილისის რკინისგზის სასწავლებელში, სადაც დღე-

საც განაგრძობს დაკისრებული მოვალეობის უანგაროდ და პირნათ-ლად შესრულებას.

ამხ. ენუქიძის ერთ ადგილზე გაუჩერებლობის მიზეზი ის იყო, რომ იგი ხელს უწყობდა „ახალთაობის წევრთა" არალეგალურ მუ-შაობას. ამხ. ენუქიძის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის უფრო თამამად გაცხოველებას ვხედავთ საქართველოს მენშევიკების ბრჭყალებიდან განთავისუფლებისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლე-ბის დამყარების შემდეგ, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა კულ-ტურულ-ეკონომიურ წინსვლასა და აყვავებს.

მასწავლებელი ენუქიძე დიდი ერთგულებით ასრულებდა თავის მოვალეობას მშრომელი ხალხის წინაშე აღმზრდელობის სფეროში, რითაც გაამართლა ამ 35 წლის მოღვაწეობით სახალხო მასწავლე-ბლის სახელწოდება.

საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშურ-გლეხური მთავრობის და მშრომელთა კეთილდღეობისათვის თავგანწირულ მუშაკს, და დაუფას-დეს 35 წლის უანგარო შრომა იუბილეს გადახდით, რის ღირსიც არის სახალხო მასწავლებელი ამხ. დავ. ენუქიძე, რომელმაც ბლო-მად გამოზარდა კომპარტიის მთლიანობისა და გაძლიერებისთვის მებრძოლნი.

ვუსურვებ ამხ. ენუქიძეს სიკვდილამდე განემტკიცებინოს ასეთი მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მასწავლ. ლან-მანი.

დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითგანვითარებისათვის

№ 6

1929 წ.

დაწყებითი სკოლის მუშაობის შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები.

მეექვსე დავალება

ბავშვების და მათი წრის გაცნობის მეთოდები

(მასწავლებელთა კვალიფიკაციის ინსტიტუტის დაუსწრებელი სექტორის მასალა მე-2 და მე-3 განაკვეთი)

ამ დავალების მიზანია—მასწავლებლისათვის გაარკვიოს ელემენტარული და პრაქტიკული, მუშაობის პირობებში მისაწვდომი მეთოდები ბავშის და მისი წრის შესწავლისა, რომლებიც აუცილებელია სკოლის მუშაკის წინაშე დაყენებული ამოცანების კონკრეტიზაციისათვის და უკეთ გასარკვევად.

დავალების საერთო განმარტება

წინა დავალებებში აღნიშნული გვაქვს ის ამოცანები, რომლებიც ჩვეულებრივ დასახული აქვს საბჭოთა პედაგოგს, როდესაც იგი ბავშებთან მუშაობას იწყებს, სახელდობრ, განვითარება მგრძნობელობისა—რეაქტივობისა, სწორი აზროვნების ჩვევებისა, კოლექტივისტური მოქმედებისა და სხვ. მაგრამ, როგორ უნდა განავითარო რეაქტივობა-მგრძნობელობა და ცხოვრების მოვლენათა გაგების უნარი, კოლექტივისტური ჩვევები, როგორ უნდა განსაზღვრო ის ცოდნა, რომელიც ბავშისათვის აუცილებელია?

ამისათვის არ შეიძლება გვქონდეს ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებული ტრაფაოეტი. თუმცა საბჭოთა სკოლის მიზნობრივი დაყენება მთელ კავშირში ურყევი და ერთნაირია—ჩრდილოეთში და სამხრეთშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევი გზები და მეთოდები სხვადასხვაგვარია: ისინი დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, ბავშთა თავისებურობაზე და მათ წრეზე, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ერთისადაიმავე ასაკის მოწაფეთა შედარებითმა შესწავლამ მეტად არსებითი განსხვავება დაგვანახვა არა მარტო სხვადასხვა სოციალური წრის ბავშებს შორის, არამედ იმ ბავშთა შორისაც, რომელნიც ერთსადაიმავე პირობებში ცხოვრობენ. ზოგი ბავში სკოლაში მოდის მეტი სოციალური და შრომითი ჩვევებით, ზოგი ნაკლებით, ზოგი მეტ აქტივობასა და ინტერესს იჩენს სასკოლო მუშაობის მიმართ, ზოგი პასიურია და სკოლის მუშაობით უკმაყოფილო. ამიტომ, როდესაც მასწავლებელი ბავშებთან მუშაობას იწყებს,—მან გულდასმით უნდა გაიცნოს მათი ძირითადი საერთო და ინდივიდუალური თავისებურობანი.

როდესაც იგი ირჩევს სამუშაოს შინაარსს, მუდამ უნდა უყენებდეს თავის თავს საკითხს:—შეეფერება თუ არა დანიშნული შინაარსი და მეთოდები მისი მოწაფეების თავისებურობას. ხომ არ არის გეგმით აღებული მასალა ზედმეტად ძნელი, ან ზედმეტად ელემენტარული ბავშებისათვის. საკმაოა თუ არა მათი ცოდნის და ჩვევების მარაგი, რომ მათთან ამა თუ იმ მუშაობის დაწყება შესაძლებელი იყოს. გამოიწვევს თუ არა გეგმით აღებული სამუშაო მოწაფეებში საჭირო ინტერესს და აქტიურ განწყობილებას სამუშაოს მიმართ.

ამ კითხვებზე წინასწარ გარკვეული პასუხის მიუღებლად საუკეთესო პროგრამები და მეთოდები შესაძლებელია გამოუდეგარი აღმოჩნდეს და მასწავლებლის კეთილსინდისიერი მუშაობა უნაყოფო გამოდგეს.

მაგრამ პედაგოგიური მუშაობის სწორად დაყენებისათვის არ არის კიდევ საკმაო ბავშთა თავისებურობის, მათი მიდრეკილების და გონებრივი განვითარების გაცნობა. საჭიროა გამოირკვეს ამ თავისებურობათა მიზეზები, ის ფაქტები, რომლებითაც გამოწვეულია ესა თუ ის თავისებურობა. ამისათვის კი საჭიროა იმ წრისა და პირობების შესწავლა, რომლებშიც ცხოვრობს ბავში. მაგ., ბავშს არ ესმის თქვენი ახსნა, თქვენც აღნიშნავთ მის უყურადღებობას. მაგრამ, ხართ დარწმუნებული იმაში, რომ იცით ამ უყურადღებობის მიზეზი? ძალიან ხშირად მასწავლებელმა დიდხანს არ იცის, რომ ბავშის აბნეულობის მიზეზია უძილობა (ცუდი პირობების გამო), სუსტი სმენა და სხვ.

ხშირად ჩვენ გვავიწყდება, რომ ბავშების უმრავლესობა სკოლაში უზმოდ მოდის; ცალიერ კუჭზე სულიერი საკვების მიღება კი ძნელია. დასავლეთის და რუსეთის სკოლების ცდამ დაგვარწმუნა, რომ სკოლაში საუზმის შემოღების შემდეგ სწავლაში წარმატებამ საგრძნობლად იმატა.

ხანდახან ბავშვი დაჟინებით ავარობს, თავაშვებულად მოქმედობს. ჩვენ ვკარგავთ მოთმინებას, ვცხარდებით და ვნაღვლობთ, რომ არ არის მახლობლად სხვა სკოლა მძიმე ბავშვებისათვის, რომ ჩვენთვის არასასურველი ელემენტი თავიდან მოვიშოროთ.

მაგრამ ვცადოთ გამოვარკვიოთ ნამდვილი მიზეზი მისი თავაშვებულობისა, გავიცნოთ პირობები, რომლებშიაც იგი ცხოვრობს, შევიტყოთ, როგორი გავლენის ქვეშ არის იგი სკოლის გარეშე,— და ჩვენ დავინახავთ, რომ სხვა სკოლაში გადაყვანა კი არ არის მისთვის საჭირო, არამედ მისი ოჯახური პირობების შეცვლაზე ზრუნვა და ოჯახის ცუდი ზეგავლენის ნეიტრალიზაცია.

ამგვარად, **ბავშვისა და მისი წრის შესწავლა არის აუცილებელი წინამძღვარი პედაგოგიური მუშაობის სწორად დაყენებისა.** პედაგოგს მხოლოდ მაშინ შეუძლია კონკრეტულად განსაზღვროს მის წინაშე მდგარი ამოცანები, მხოლოდ მაშინ შეუძლია გამოარკვიოს რომელ ამოცანას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება,—როდესაც მის მუშაობას საფუძვლად დაედება ნათელი წარმოდგენა ბავშვზე და მის წრეზე.

გაკვეთილის გეგმა

1. ბავშის გაცნობის მეთოდები: ა) ფიზიკური მდგომარეობა, ბ) ინტერესები, გ) გონებრივი განვითარება, დ) ცოდნა და ჩვევები.

2. წრის შესწავლა: ა) წრე, როგორც ფაქტორი, რომელიც ბავშთა ჯანმრთელობაზე ახდენს გავლენას, ბ) წრე, როგორც ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშის ინტერესებზე, გონებრივ განვითარებასა და ჩვევებზე, გ) წრის შესწავლა სკოლის ყოველდღიურ პრაქტიკაში, დ) წრის პედაგოგიური შესწავლის სქემა.

მეთოდური მითითებანი

ამ გაკვეთილის დამუშავება ორი მომენტისაგან შესდგება:

1) სამუშაო მასალის კითხვა და მასზე დაფიქრება.

2) სკოლის მიმდინარე მუშაობასთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოები.

ქვემოჩამოთვლილი დავალებები უნდა მუშავდებოდეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში—უახლოესი გაკვეთილების სამუშაო მასალის შესწავლასთან ერთდროულად; ამ გაკვეთილების შინაარსს უმთავრესად თეორიული ხასიათი ექნება.

1. როდესაც სამუშაო მასალას მთლიანად გაიცნობთ, წაიკითხეთ თავის—„ბავშის შესწავლა“ პირველი პარაგრაფი—„ბავშების ჯანმრთელობის მდგომარეობა“ და შეასრულეთ შემდეგი დავალებანი:

ა) შეამოწმეთ, ამ პარაგრაფში მოცემული მასალის მიხედვით, ბავშების სმენა და მხედველობა და გამოარკვიეთ წესიერად (ე. ი. შესაფერად) აქვთ მიჩენილი კლასში მათ ადგილები თუ არა.

ბ) რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ დაათვალიერეთ ბავშები და შეეცადეთ გარეგნული შეხედულობით გამოარკვიოთ უფრო სუსტი მოწაფეები.

თუ საშუალება გაქვთ, შეამოწმეთ თქვენი შთაბეჭდილებები ექიმის აზრთან შედარებით.

2. წაიკითხეთ იმავე თავის მეორე პარაგრაფი „ბავშთა ინტერესები“.

აარჩიეთ თქვენი ჯგუფიდან ორი-სამი ჩამორჩენილი მოწაფე, დაუკვირდით მათ ორი-სამი კვირის განმავლობაში და შეეცადეთ ჩვენ მიერ ნაჩვენები ყველა საშუალებით გამოარკვიოთ თითოეული მათგანის უმთავრესი ინტერესი.

3. წაიკითხეთ იმავე თავის მესამე პარაგრაფი: „ბავშების გონებრივი განვითარება“.

თუ ამ პარაგრაფში აღნიშნული მოკლე ცნობები საკმაოდ ნათელი გეჩვენოსთ, შეეცადეთ მათი მეშვეობით შეამოწმოთ და გამოარკვიოთ დაკვირვებისათვის გამოყოფილ ჩამორჩენილ ბავშთა გონებრივი განვითარება და მათი ჩამორჩენილობის ხარისხი.

4. წაიკითხეთ იმავე თავის მეოთხე პარაგრაფი: „ბავშთა ცოდნა და ჩვევები“.

შეეცადეთ ამასთანავე დართული პროგრამის მეშვეობით (პროგრამა ბავშის წარმოდგენათა წრის გამოკვლევისა) გამოამჟღავნოთ თქვენ მიერ დაკვირვებისათვის გამოყოფილ ბავშთა წარმოდგენების წრე და მოიფიქრეთ,—რა კორექტივების შეტანაა საჭირო თქვენს პრაქტიკულ მუშაობაში.

დაუკვირდით თქვენი ჯგუფის რამდენიმე მოწაფეს და გამოარკვიეთ—რა მოცულობის კოლექტიური ჩვევები აქვთ მათ.

5. წაიკითხეთ თავი—„წრის შესწავლა“, გამოარკვიეთ ყველა მისაწვდომი საშუალებით (რომლებზეც მითითებულია ჩვენს მიერ) თქვენი ბავშების შინაური ყოფა-ცხოვრების პირობები და მოიფიქრეთ—რა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ ამოცანებს გიყენებსთ თქვენს მიერ მიღებული გამოკვლევის შედეგები.

პირველი ოთხი დავალების შესრულება არ უნდა გაიგზავნოს კურსებზე. მეხუთე დავალების დამუშავება უნდა გაიგზავნოს კურსებზე საკონტროლო სამუშაოებთან ერთად (რადგანაც ეს მასალა დაგვიანებულია, ყველა ამ სამუშაოს შესრულება, გარდა საკონტროლო კითხვებისა, შემოდგომით მოგიხდებათ).

სამუშაო მასალა.

ბავშისა და მისი გარემო წრის შესწავლა.

როგორ უნდა გავიცნოთ ბავშების ინდივიდუალური თავისებურობანი და მათი გარემო წრის პირობები?

პედოლოგიის კურსში დაწვრილებით იქნება აღნიშნული, თუ როგორ ხდება ბავშის გამოკვლევა, შესწავლა მის ფიზიკურ განსაკუთრებულებათა, მისი გონებრივი განვითარებისა, მისი ყოფა-ქცევის თავისებურობისა, მისი ცოდნისა და ჩვევათა მარაგისა, მისი გარემო წრისა და სხვა, აქ კი შევჩერდებით უმთავრესად ბავშისა და მისი წრის შესწავლის უფრო ელემენტარულ და მასწავლებლის სამუშაოსთან უფრო დაახლოვებულ მეთოდებზე.

1. ბავშების ჯანმრთელობა

დავიწყოთ ბავშთა ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხიდან.

იქ, სადაც არის ექიმი, პედაგოგი ბავშების ჯანმრთელობის მდგომარეობას ეცნობა ან მათი პირადი ბარათებით, ან ექიმთან ბაასით.

ვთქვათ, პირადი ბარათებიდან ჩანს, რომ ბავშების 60—80% ტუბერკულოზიანი ან სისხლნაკლულია. ცხადია, მასწავლებელმა მხედველობაში უნდა იქონიოს ეს გარემოება და სამუშაო გეგმის შედგენის დროს მეტი ადგილი დაუთმოს ჰაერზე მუშაობას, სპირნობას და ფხიზლად ადევნოს თვალყური, რომ ბავშები არ მოიქანცონ.

ბავშის შინაური პირობების გაჯანსაღება—პედაგოგის ძირითადი ამოცანა იქნება მშობლებთან მუშაობის დროს. თემა—„ჯანმრთელობის დაცვა"—მთელ სასწავლო მუშაობაში განსაკუთრებულად ხაზგასმით უნდა ჩატარდეს.

მასიურ სასოფლო სკოლაში, სადაც ბავშთა შესახებ სპეციალური სამედიცინო გამოკვლევები არ მოიპოვება, პედაგოგმა მაინც უნდა გამოარკვიოს უფრო მკაფიო გადახრები ბავშის ორგანიზმში.

სასწავლო მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშების სმენისა და მხედველობის სიმახვილის ხარისხის გამორკვევასა და აღრიცხვას. ძალიან ხშირად ბავ-

შის ჩამორჩენა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი ბეცია, ან ყურს აკლია და უკანასკნელი მერხიდან, სადაც იგი ზის, ცუდად ესმის და ცუდად ხედავს, რასაც ამბობს და აჩვენებს მასწავლებელი.

ბავშვების დასმა კლასში მათი სმენისა და მხედველობის მიხედვით—სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ერთი უსაჭიროესი პირობათაგანია.

მრავალი პრაქტიკული ხერხის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია გაიცნოს ბავშვების სმენა და მხედველობა.

მხედველობის სიმახვილე შეიძლება გამოირკვეს სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოცემული ცხრილებით. თუ კი ასეთი ცხრილები სკოლაში არ აღმოჩნდა, მასწავლებელს შეუძლია დახატოს დაფაზე ჯვრები, რგოლები და სხვა ამგვარი უბრალო საგნები; ჯერ ხატავს საკმაოდ დიდად, შემდეგ თანდათან ამცირებს და ეკითხება ბავშვებს—ხედავენ თუ ვერა დახატულს, და მხედველობის სიმახვილის მიხედვით მიუჩენს ბავშს კლასში ადგილს.

ასეთი უბრალო ხერხით შეიძლება ბავშვების სმენის გამორკვევაც. სმენის გამოსაცდელად პედაგოგი რიგრიგობით დასვამს ბავშვებს უკანასკნელ მერხებზე, და დგება მათგან მოშორებით და კითხულობს, რასმე ჯერ ხმამაღლა, შემდეგ თანდათანობით ხმის დადაბლებით და ეკითხება ბავშვებს,—ესმისთ თუ არა წაკითხული.

რაც შეეხება ბავშის საერთო ფიზიკური მდგომარეობის გაცნობას,—აქ პედაგოგს მოეხმარება მისი მგრძნობიარობა და ყურადღებით დაკვირვება. ბავშის გარეგნული დათვალიერება ყურადღებით, თუ კი ეს დათვალიერება რეგულიარულად ხდება,—ბევრ რამეს აჩვენებს პედაგოგს; ბავშის სახეზე ფერის შეცვლა, საერთო მოდუნება, აბნეულობა და გონების გაფანტულობა, არაჩვეულებრივი აღგზნებულობა და სხვა—პედაგოგისათვის უნდა იყოს იმის ნიშანი, რომ ბავში დაავადებულია ან საერთოდ მისი ჯანმრთელობა გაუარესებულია.

2. ბავშთა ინტერესები

როგორ უნდა გამოააშკარაოს პედაგოგმა ბავშების ინტერესები?

დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა. ბავშთა ინტერესების შესასწავლად პედაგოგის მთავარი იარაღია დაკვირვების უნარი. ბავშებზე დაკვირვებით, მათი მუშაობის პროცესში, შეიძლება გამოირკვეს ყოველი მათგანის ინტერესი ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ერთს აინტერესებს ბუნება, მეორეს—ადამიანთა ცხოვრება, ერთს მიდრეკილება აქვს ტექნიკი-

სადმი, გამოგონებისადმი, მეორეს—მხატვრული ნაწარმოებისადმი, აინტერესებს ხატვა, მუსიკა და სხვ.

კიდევ უფრო მეტად იშლება პედაგოგის წინაშე ბავში თავისუფალი მოქმედების დროს—თამაშობაში, ამხანაგებთან საუბარში და სხვ. ზოგს იზიდავს საამშენებლო მასალით თამაშობა, სხვებს იტაცებს მოძრავი თამაშობანი, რომლებშიც ფართოდ არის საჭირო ფანტაზიის გაშლა (ყაჩაღობა, ომი, მაძებრობა).

მეტად ძვირფას მასალას იღებს პედაგოგი, როცა მას უხერხდება ბავშების ერთიმეორესთან ლაპარაკის მოსმენა დასვენების დროს, სეირნობის დროს, ან მაცადინობის დაწყების წინ. ზოგნი იმაზე ზრუნავენ—როგორ მოხვდენ კინოში, სად რა სურათი მიდის, ზოგნი საინტერესო წიგნზე საუბრობენ, ზოგნი სეირნობაზე ლაპარაკობენ და სხვ.

საუბარი წიგნის კითხვასთან დაკავშირებით. ბავშთა ინტერესების და მათი სოციალური მიმართულების გამოსარკვევად ხშირად იხმარება ჩვეულებრივი ხერხი, რომელიც მდგომარეობს წაკითხულ წიგნებთან დაკავშირებით კითხვების მიცემაში. ამ ხერხის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვების მოხერხებულად დასმას. საჭიროა, კითხვა გამოთქმულ იქნეს რაც შეიძლება უბრალოდ, ერთი კითხვა არ უნდა ეხებოდეს წაკითხულის რამდენიმე მხარეს. ყოველნაირად უნდა გავურბოდეთ მასწავლებლის მხრივ ჩაგონებას ან კარნახს. კითხვები უნდა იყოს მიმართული უმთავრესად იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ადგილები მოსწონთ ბავშებს წაკითხულ მოთხრობაში, რომელი გმირი უფრო მოეწონათ; უნდა მიექცეს ყურადღება იმას—მოსწონთ ბავშებს ამ გმირების ჩადენილი საქმეები თუ აფასებენ ამ საქმეების მოტივებსაც. ზოგიერთი ბავშის პასუხიდან ჩანს, რომ ისინი მომხრე არიან ყოველგვარი თავგადასავალის და გმირული საქციელისა მათი მოტივების შეუფასებლად. რობინზონი, პინკერტონი, სამოქალაქო ომის ეპიზოდები—ყველა ერთნაირად საინტერესოა მათთვის და ყველას ერთი ფასი აქვს მათ თვალში. სხვების პასუხებიდან კი ჩანს, რომ მათ ინტერესებს სხვადასხვა სოციალური მიმართულება აქვთ: ბავშები არჩევენ ჩადენილი საქმეების მოტივებს და სხვადასხვანაირად აფასებენ მათ.

კარგ ხერხად უნდა იქნეს მიჩნეული კითხვა მოთხრობისა, რომელიც შეიძლება შეწყვეტილ იქნას ისეთ ადგილზე, სადაც ბავშებისათვის ისმება ამოცანა:—„შენ როგორ მოიქცეოდი“, ან „რა მოხდება შემდეგ“; ამასთანავე მოთხრობის სიტუაცია, მოქმედ პირთა მდგომარეობა, ფაქტები—ისეთია, რომ შესაძლებელია სხვადასხვა

სოციალური მიმართულების პასუხის მიცემა. ამ მიზნით შეიძლება აღებულ იქნას მაგ. მოთხრობა წითლებისა და თეთრების ომიდან, როცა წითელში ორი გრძნობაა დაპირისპირებული: ერთის მხრივ— სიბრალულისა, ნათესაური გრძნობა,—მეორე მხრივ კი გრძნობა მოვალეობისა, კლასობრივი თვითშეგნებისა.

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა ამისათვის ბევრ შესაფერ მასალას გვაძლევს.

მოვიყვანთ ერთ გერმანელი მასწავლებელი ქალის დღიურიდან ნაწყვეტს, რომელიც ნათლად გვისურათებს ზემონაჩვენები ხერხის ხმარებას.

„მე გადავწყვიტე ერთ-ერთ ჩვეულებრივ გაკვეთილზე მიმეცა ბავშებისათვის ისეთი ახალი რამ, რაც ხელს შეუწყობდა ყოველი მათგანის ინტიმურ განცდათა გამომჟღავნებას. მინდოდა ისეთი თემა ამერჩია და ისე ამეგო იგი, რომ პიროვნების შინაგანი შინაარსი გადაშლილიყო მისდა უნებურად.

გადავწყვიტე გამომერკვია, რა აზრის არიან ბავშები ქურდობის შესახებ. ჩვენს სახალხო სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა კლასების ბავშები. სჭარბობენ მუშებისა და წვრილი მოვაჭრეების შვილები (სკოლა მოთავსებულია ბაზრის მახლობლად), მაგრამ არიან ინტელიგენტი მშობლების ბავშებიც.

ჩემს წინაშე იდგა ამოცანა—ამერჩია შესაფერი მოთხრობა, როელშიც აღწერილი იქნებოდა ბიჭის ან გოგოს თავგადასავალი, რომელთა განცდები ახლობელი და გასაგები უნდა ყოფილიყო ბავშებისათვის. მოთხრობის გმირს ქურდობა უნდა ჩაედინა... ასეთი მოთხრობის ნახვა შეიძლება ყოველ ქრესტომატიაში, მაგრამ იქ მოთხრობას ყოველთვის დართული აქვს მომაბეზრებელი მორალი, ეს კი გავლენას მოახდენდა გამოსათქმელი აზრის გულწრფელობაზე და გააფუჭებდა უშუალო შთაბეჭდილებას.

ამიტომ მივმართე საშუალებას, რომელზედაც წაკითხული მქონდა ერთ პედაგოგიურ ჟურნალში, ე. ი. შევწყვიტე მოთხრობა ისეთ ადგილზე და ისეთ მომენტში, როცა უნდა დაწყებულიყო ბავშების მხრივ ბუნებრივი რეაქცია და მისწრაფება დაუმთავრებელის დასრულებისადმი. მე დავიწყე ასე:

„ერთხელ პატარა ფრიცი ბაზარში დასეირნობდა. მისი ყურადღება მიიპყრო ტკბილეულობით სავსე ყუთმა. იგი მსუნაგი თვალებით მისჩერებოდა შოკოლადის ფირფიტების დიდ გროვას“... აქ მე პატარა პაუზა გავაკეთე და გულგრილად შევეკითხე: შემდეგ რა მოხდა? როგორ ფიქრობთ?

იმავე წუთში რამდენიმემ ასწია ხელი.

— მე ვიტყვი!

— მე ვიტყვი!

პირველად მიპასუხა ცოცხალმა ლეომ:

— მან აიღო შოკოლადის ფირფიტა და... მოკურცხლა. იგი გაიქცა შორს, ისე შორს, რომ ვერავინ დაეწეოდა, მერე მოიხედა, ამოიღო შოკოლადი და შეჭამა. შოკოლადი გე-ეემრიელი იყო!— გრძნობით დაათავა ლეომ.

— ასე არა,—შეაჩერა იგი ვილიმ, რომელიც მოკლებული არ-იყო იუმორს. როდესაც მან შოკოლადის ფირფიტა გამოაძრო, მთელი შოკოლადების გორა დაინგრა. გამყიდველმა მოიხედა და ფრიციკარგა ლაზათიანად მიბერტყა.

მაგრამ პატარა კეთილ ანხენს არ უნდოდა ამბავი ასე დაბოლოვებულიყო და ყველას დაჟინებით არწმუნებდა:

— არა, მან მოასწრო გაქცევა.

— იგი გაიქცა, მაგრამ რაღაცას ფეხი წაჰკრა, წაბორძიკდა და-დაეცა, ამ დროს წამოეწიენ და დაუწყეს ცემა,—განმარტავდა ჰანსი ხელების ქნევით და ტანის მოძრაობის დახმარებით ისე ცოცხლად, თითქოს მართლაც მოწმედ ყოფილიყოს შემთხვევის ადგილზე.

ნეტა ხომ არ იმოქმედა პირველის პასუხმა დანარჩენებზე? ხომ არ ჩააგონა მან უნებლიედ ყველას საკითხის ერთნაირად გადაწყვეტა? შიშით გავიფიქრე, მაშინებდა ჩემი ცდის ბედი. ნუთუ ყველა ფიქრობს, რომ ცდუნებას ვერ დასძლია, მოიპარა. ყველაფერი ეს ისე მარტივი და ბუნებრივია ბავშების თვალში, თითქოს არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ცემა კი?.. მაგრამ იგი არ ნიშნავს სამაგიეროს გადახდას დანაშაულისათვის. ეს მხოლოდ მოუხერხებლობისა და მარცხის ჩვეულებრივი შედეგია. გარდა ამისა, ცემატყეპას ბიჭების თვალში ერთგვარი მომხიბვლელობაც აქვს.

როგორც კი დამებადა ეს ეჭვები, მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება გაწითლებული ლიდას მორცხვად აწეულმა ხელმა.

— სრულებით ასე არა ყოფილა,—სთქვა მან. ფრიცის მახლობლად იდგა ვიღაც მაღალი კაცი. იგი სულ ფრიცს მისჩერებოდა და იღიმებოდა. მიხვდა, რომ ფრიცს შოკოლადი ძალიან უნდოდა, მაგრამ ფული კი არა ჰქონდა, რომ ეყიდა. იგი მივიდა დახლთან, იყიდა შოკოლადის დიდი ფირფიტა და გადასცა ფრიცს. ფრიცი გაწითლდა, მადლობა უთხრა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა უკეთ შეჭმა...

მაღალს, ფერმკრთალ, მეოცნებე-თვალებიან დოროთეასაც უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა. მან ჩვეულებისამებრ თავი გვერდზე გადახარა და დაიწყო:

— ფრიცი დიდხანს მისჩერებოდა შოკოლადს. მან გასწია კიდეც ხელი შოკოლადის ასაღებად, მაგრამ უცებ გაისმა ზარის ხმა... დინ-დონ, დინ დონ... „არ მოიპარო“ — მოესმა მას. მაშინ მოაგონდა, რომ ქურდობა ღვთის მიერ აკრძალულია, დაუშვა ხელი და გაიქცა.

ვაჟებს ეს მოთხრობა არ მოეწონათ. მათ დაცინვით გადახედეს ათვალწუნებულ დოროთეას.

— გამოიგონა, რაღა. ზარი ზარია... არაფერიც არ მოესმა.

— მერე რა, რომ გაიქცა? დიდი ამბავი კი მომხდარა! კლასში რამდენიმე შფოთიანი, ურწმუნო ბავშიც მყავს. ამ უღმერთოებმა ასე შენიშნეს:

— ძალიან საჭირო კი არის ღმერთისათვის იმისი ცოდნა და იმაზე ზრუნვა, თუ რა ბედი ეწვია შოკოლადის ერთ ფირფიტას!

გოგოები ამით აღშფოთებული იყვნენ. ისინი დაჟინებით იცავდენ იმ თვალთაზრისს, რომ ზნეობისათვის თვალყურის დევნება და დანაშაულისათვის, კერძოდ ქურდობისათვის, დასჯა ღვთის მოვალეობას შეადგენს.

მუდამ ჩუმი ჰენრიხიც ალაპარაკდა.

— შეიძლება თვით იმან არ ისურვა აღება? იდგა, უყურა, უყურა და წავიდა თავისთვის. დაინახა სათამაშოები და შოკოლადი დააავიწყდა.

ბავშები დიდხანს ღელავდენ და დავობდენ. ჩემი იქ ყოფნა სულ დაავიწყდათ. მე ვისმენდი და ვისმენდი. რაც მეტს ლაპარაკობდენ, იმდენად მეტად იშლებოდა ჩემს წინაშე ის კვალი, ის გავლენა, რომელიც ოჯახმა და მეშჩანურმა წრემ ბავშებზე მოახდინა. ბავშები ამ გავლენით იყვნენ სკოლაში მოსული...

მე მივხვდი, თუ რასთან მომიხდებოდა შემდეგ ბრძოლა. აქ იყო უეჭველი ფარისევლობაც (უმთავრესად, გოგოებისა), აულაგმავი უხეშობაც, იმის უქონლობაც, რასაც ჩვეულებრივ მორალს ვუწოდებთ. მაგრამ ამასთანავე ერთად იყო უშუალო ჯანსაღი გრძნობაც. ეს მომავალში შემოწმებას მოითხოვდა, მაგრამ პირველი ხაზები მოცემული იყო და ყოველი მოწაფის დახასიათებას რაიმეს უმატებდა.

გაკვეთილმა, რომელსაც ვაძლევდი წინასწარ მოფიქრებული მიზნით — ბავშის ეთიკის გამოსარკვევად — სავსებით გაამართლა ჩემი მოლოდინი. წლის ბოლოს გავიმეორებ ჩემს ცდას. ეს უკვე სკოლისა და ჩვენი ერთად ცხოვრების გავლენის შემოწმება იქნება“.

ბავშების მიერ წიგნების არჩევაც ახასიათებს მათ ინტერესებს. პედაგოგმა უნდა იცოდეს, რას კითხულობენ ბავშები.

დასასრულ, მოწაფის მიერ სხვადასხვა საკითხზე წაკითხული წიგნების უბრალო რიცხვობრივ აღრიცხვასაც შეუძლია გვიჩვენოს მოწაფის მთავარი ინტერესი.

მაგალითისათვის ავიღოთ ორი მოწაფის მიერ წაკითხული წიგნების დიაგრამები.

ნიკოს საბიბლიოთეკო დიაგრამაში აღნიშნულია:

„5 წიგნი — ტექნიკიდან
8 " — მოგზაურობაზე
4 " — რევოლუციაზე და სამოქალაქო ომზე.

სოფოს საბიბლიოთეკო დიაგრამა ასეთია:

„10 წიგნი — ცხოველების შესახებ
8 " — ბავშების შესახებ.

ეს ორი დიაგრამა მეტად მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს ბავშების სხვადასხვა მიდრეკილებაზე და მათი ინტერესების მიმართულებაზე.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა უ ბ ა რ ი ბ ა ვ შ ე ბ თ ა ნ. ბევრი რაიმეს ახსნა და გამორკვევა შეიძლება აგრეთვე ბავშებთან ურთიერთობის და თავისუფლად ბაასის დროს.

აი მაგალითი მასწავლებელი ქალის დღიურიდან.

„საექსკურსიოდ ვემზადებოდით და ვლაპარაკობდით შემოდგომის შესახებ. ბავშებთან ერთად ვიმღერე „წვიმის წვეთი". ყველა მწყობრად და გრძნობით მღეროდა. სიმღერითვე და სრულიად დამშვიდებული ჩამოვედით ტანსაცმელის შესანახ ოთახში, დავეწყვეთ წყვილ-წყვილად და გავემართეთ მდინარე მოსკოვისაკენ. იქ, ნავებისა და გემების სადგურის შეხედვაზე — გავაბით ლაპარაკი მოგზაურობაზე. მაშინ შევიტყვე — რა ბევრი უმოგზაურნიათ ბავშებს რევოლუციის და სამოქალაქო ომის უკანასკნელ წლებში.

არკაშა ბევრს ლაყბობს, ტრაბახობს, რომ მისი მამა რექტორია, რომ იგი ცხოვრობს საქმიან ეზოში, რომ მას აეროპლანით უფრინავს და რაღაც ნამცეცა ნავები მას არ აინტერესებს. ნაგრამ როდესაც მიტომ წყალში ჩაუშვა თავისი ხელით გაკეთებული იალქნიანი ნავი, არკაშას თვალები შურით გაუბრწყინდა და ყველაზე მეტად იგი ეხვეწებოდა მიტოს — „მათხოვე შენი ნავი, სათამაშოდ". პირველად შემაშინა მისმა ბაქიაობამ და „ყველაფრის ცოდნამ", მაგრამ, როცა დავინახე, როგორ დაეწაფა სათამაშო ნავს, სრულიად დავწყნარდი. დიდი იურა თავის აღტაცებას წყლის, მწვანისა და ფრინველების დანახვაზე ახმაურებული აღტაცებით გამოხატავს: გო-

რაობს მიწაზე, ისე თავაშვებული მირბის ნაპირისაკენ, რომ ვშიშობ არ გადავარდეს. გამოვებაასე მას: აღმოჩნდა, რომ იგი სულ ქალაქში ცხოვრობს, არაოდეს არ ყოფილა არც ქალაქ გარეთ და არც მდინარე მოსკოვზე, თუმცა უკვე 5 წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს.

სამაგიეროდ მალო ყველაფერს ხედავს; მან იპოვა ბელურას ბარტყი და მოასულიერა. მან სთქვა, როგორ უნდა მიხვდე საით მიდის მდინარე, სთქვა, რომ მათი პატარა მდინარეც ოკას უერთდება და სხვ. მალო მუდამ სოფელში ცხოვრობდა, მოსკოვში მხოლოდ პირველი წელიწადია.

ბავშები, სადაც გინდა დარბოდენ, რასაც გინდა უყურებდენ, მე მეკვრიან გარს; მხოლოდ ოლეგი და კისა დინჯად დადიან ხელჩაკიდებულნი და მუსაიფობენ, ოლეგი მოღუშულია, კისა კი ყურადღებად გადაქცეულა. დავუგდე ყური. ოლეგი უაბმობს, თუ როგორ დახვრიტეს კოლჩაკელებმა იმისი მამა და რომ იგი „ამის სამაგიეროს კიდევ გადაუხდის“.

პატარა იურა ყვირის: „შეხედეთ, შეხედეთ — საქმარო და საცოლო“. ბავშები იცინიან, თუმცა ყველა არა. მაგრამ კისა და ოლეგი თავისი სიმარტივით და ბუნებრივობით უკუაგდებენ ამ უაზრო ხუმრობას. ოლეგი ამბობს, რომ იგი მიჩვეულია გოგოებთან თამაშობას: მას ჰყავს ორი და. კისამ კი განაცხადა: „მე მებრალება ოლეგი, მას მამა მოუკლეს.“ ბავშები მიჩუმდენ, ხუმრობა საქმრო-საცოლოზე ჩაქრა. ასე დაადასტურა ჯგუფმა „გოგოსთან“ მეგობრობა და პატარა იურა დატუქსა. ამის შემდეგ იურა უნებლიედ მე მეკვრის. შევიტყე, რომ იგი ცხოვრობს დედასთან და მამასთან ერთად ერთს ოთახში და სძინავს მათთან ერთ ლოგინში, რომ აქვე ცხოვრობს დეიდაც, რომელთანაც დადიან სხვადასხვა სტუმრები და ამავე ოთახში ათევენ ღამეს.

ამ ექსკურსიამ ძალიან დამაახლოვა ბავშებთან, გამაცნო ბევრი მათგანის ოჯახური ცხოვრების პირობები, გამოამჟღავნა მათი წარმოდგენა ბუნებაზე და მასთან განწყობილება“.

„ბ ა ვ შ თ ა ჯ ი ბ ე ე ბ ი ს გ ა ც ნ ო ბ ა. ხანდახან მასწავლებელი საინტერესო ცნობებს მიიღებს, თუ გაიცნობს — რას აგროვებენ და ინახავენ ბავშები თავის ჯიბეებში, ჩანთებში, კოლოფებში და სხვ.

რომელ ბავშს არ მოაქვს სკოლაში თავისი ცხოვრების ნაწილი? არ არის ისეთი ბიჭი, რომელიც არ იტენიდეს თავის ჯიბეს. ამ მხრივ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ბავშთა შორის განსხვავება არ არსებობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ვის რა აქვს ჯიბეში შენახული.

აი ვოვას ჯიბეები. რა არის შიგ? — პაწაწინა ალბომი ლენინის ცხოვრებიდან, ალბომი „ისე საინტერესოდ იხურება“; ასეთივე ნამცეცა ჯიბის დანა; ხისაგან გამოთლილი ცხენი; გადასაღები სურათები — სულ ცხენები, ცხენები. ვოვა ცხოვრობდა საბჭ. მეურნეობაში, სადაც მისი მამა მსახურობდა. იგი ცხენების დიდი მოყვარულია და ვერცერთ ამბავს ვერ მოჰყვება ისე, რომ შიგ ცხენი არ იყოს გამოყვანილი; ყველა მის ნახატებში ცხენები უსათუოდაა.

მათეს ჯიბეში — ნავია, ხის ქერქისაგან გაკეთებული; ჯარისკაცები — შავი პურისაგან გამოძერწილი და თხელი ფანერისგან გამოჭრილი; პატარა ლურსმნები, საკმაოდ დიდი ჯიბის დანა; მათე დურგლის შვილია, იგი ყაზარმების მახლობლად ცხოვრობს; მშვენივრად თლის ხისაგან ყველაფერს, რაც მას უნდა, მას კი უნდა უმთავრესად ჯარისკაცები და სამხედრო მოწყობილობა.

კლავას ყოველთვის მოაქვს ჩვრები, ჩვრისგანვე გაკეთებული პატარა დედოფლები, შუშის ნაჭრები, პატარა სათითე, კლავას დედა „ხალხს უკერავს“; კლავას გარშემო ყოველთვის გოგოები არიან თავმოყრილი, დედოფალებით და ჩვრებით. იგი გამოუჭრის ხოლმე მათ პერანგს, „მოარგებს“ კაბას.

არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთაც სკოლაში ბუნების ნაწილი მოაქვთ: „უკვდავი ყვავილები“, კრაზანების ბუდე, ყაჭის პარკები, მოჰყავსთ ხანდახან ზღარბიც. თავის საუნჯეებს ბავშვები უცვლიან ერთიმეორეს, უამბობენ ერთმანეთს — როგორ გააკეთეს, სად იშოვნეს, ხშირია ამ ნიადაგზე ჩხუბიც, ტირილიც, თუ მაგ. ვინმე მოიტაცებს ან უხეშად მოჰკიდებს ხელს და გასტეხს ამ საუნჯეს.

ბავშვების ბუნებრივ მისწრაფებას — მოიტანონ სკოლაში თავისი პირადი ცხოვრების ნაწილი — მასწავლებელი მზრუნველობით უნდა შეხვდეს და საბავშო განძეულობას სკოლაშივე მოუნახოს ადგილი. როგორ? შეიძლება მოეწყოს სადმე (თაროზე, ფანჯარაზე) ბავშვების მიერ მოტანილი ნივთების გამოფენა, იმის აღნიშვნით, თუ ვინ სად რა იშოვნა, ან როგორ გააკეთა თავისი სათამაშო.

აქ მასწავლებელი, კითხვებით ბავშვების შეუწუხებლად (ვინ ხარ, რა გიყვარს) ეცნობა მათ ინტერესებს, ეცნობა ვის რა უყვარს, ვინ რა სოციალურ პირობებში ცხოვრობს, როგორ ლაპარაკობს (ბავშის ენა).

მასწავლებელი საშუალებას აძლევს ბავშებს განაგრძონ სკოლაში ცხოვრება ისე, როგორც სკოლაში შესვლამდე ცხოვრობდენ. ამით იგი ასრულებს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამების პირველ დავალებას და ეცნობა ბავშებს.

ამგვარად, ბავშების ჯიბის გაცნობის გზით ბუნებრივ პირობებში, ბავშის წინანდელი ყოფა-ცხოვრებიდან სასკოლო მაცადინეობაზე შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ გადასვლით, მასწავლებელი გაეცნობა ბავშებს, გამოამჟღავნებს მათ ჩვევებსა და ინტერესებს, მისცემს საშუალებას გაიცნონ ერთმანეთი და შეაჩვევს მათ პირველ კოლექტიურ მოქმედებებს".

ა ნ კ ე ტ ე ბ ი. ბავშთა ინტერესების სოციალური მიმართულების გამოსამჟღავნებლად მასწავლებელი ხშირად სარგებლობს ანკეტებით ანუ სათანადო შინაარსის კითხვებით. მაგალითად:

„რა გინდა გახდე მომავალში?

„რატომ გინდა ის გახდე?

„რომელ შენთვის ცნობილ პირს გინდა დაემსგავსო და რატომ?"

აი ნიმუში თანამედროვე მოწაფეების პასუხებისა ერთს ასეთ ანკეტაზე, რომელიც ჩაატარა ერთი სასოფლო სკოლის მასწავლებელმა.

ბევრ ვაჟს უნდა მუშა იყოს (მჭედელი, მეჩექმე, ხარატი, დურგალი, ზეინკალი).

კითხვაზე — „რატომ"—სრულიად სხვადასხვაგვარ პასუხებს იძლევიან:

— მაიხტერესებს მანქანები.

— მომწონს სამუშაო.

— გავუადვილო გლეხს შრომა.

— მცირე სასოფლო მეურნეობა ვერ შესძლებს ყველას შენახვას.

— მუშა ბევრს შოულობს.

დიდი სურვილი აქვთ გახდენ მასწავლებელი:

— რომ შეამცირონ წერა-კითხვის უცოდინარობა.

— რომ ყოველთვის იყოს ნასწავლი ხალხი.

ზოგიერთებს უნდათ აგრონომები გამოვიდენ:

— მიყვარს სასოფლო მეურნეობა.

— მსურს მეურნეობა მეცნიერულად წავიყვანო.

— შევასწავლო რწმენა მეცნიერებისა და არა ღმერთისა.

ძალიან ხშირია ასეთი ფორმულაც.

— მინდა კულტურული მეურნე ვიყო.

გოგოებს უნდათ მასწავლებლობა („განვაგრძოთ სწავლა და გადავცეთ ჩვენი ცოდნა", „განვდევნოთ წერა-კითხვის უცოდინარობა"), აგრონომობა („მეურნეობის სიყვარული"), მეცნიერობა („რომ სარგებლობა მოვუტანოთ საბჭოთა სახელმწიფოს", „რომ ყველაფერი ვიცოდეთ"), ფერშლობა („ვუწამლოთ ხალხს"), ინჟინრობა („ვიყოთ ბევრის მცოდნე").

— ვის უფრო გინდა ყველაზე მეტად მიემსგავსო?

პასუხები:

კალინინს („მეცნიერი კაცია", „მთელი ქვეყნის დიდი ბელადია", „განაგებს რუსეთს")

— ბუდიონის („კარგად ისვრის")

— დემიან ბედნის („მას შეუძლია კარგად შეთხზას ლექსი მღვდლების შესახებ")

— ლომონოსოვს („კულტურული კაცია")

— აგრონომ გრადუსოვს („თავისი აგრონომიული საქმე კარგად იცის", „ღვინოს არა სვამს", „კარგად ზომავს მინდვრებს").

პასუხების დიდი უმრავლესობა კი ასეთია:

— ლენინს („იგი იცავდა ღარიბებსა და დაჩაგრულებს", „ყველაფერი ბევრი იცოდა").

ბავშთა ინტერესების გამომჟღავნება მათი ფანტაზიისათვის სტიმულის მიცემის საშუალებით. უცხოეთის ზოგიერთ სკოლაში და ლენინგრადის მრავალ სკოლაში ბავშთა ინტერესების და მათი სოციალური მიმართულების გასაცნობად ხმარობდენ შემდეგ ცდას, მეტად საინტერესოს თავისი შედეგებით და ყოველი პედაგოგისათვის ადვილად მისაწვდომს.

ბავშების წინაშე აყენებენ კითხვას: რას იზამდი, უჩინმაჩინის ქუდი რომ გქონდეს?—და წინადადებას აძლევენ პასუხი გასცენ ანონიმურად. კითხვა პასუხის მიმცემს ათავისუფლებს სოციალური მუხრუჭებისაგან და ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან აცილებს. ეს კითხვა, რომელსაც ბავში საქმიანი სფეროდან ზღაპრულ სამფლობელოში გადაჰყავს,—ძალიან აინტერესებს ბავშებს და მოზარდებს და სიამოვნებით გამოათქმევინებს მათ თავის აზრებსა და სურვილებს.

ლენინგრადის სკოლებში შეკრებილი დიდი მასალიდან (შეკრებილი იყო 800 პასუხი), რომელსაც ლენინგრადის სამეცნიერო (პედაგოგიკის ინსტიტუტში ამუშავებს ამხ. მონტელი,—მოგვყავს რამდენიმე პასუხი:

9 წლის ბიჭი: „რეზინოტრესტში ავიღებდი გალოშებს, მაკინტოშს, სავაჭრო რიგში გავძღებოდი ყველაფრით. ვისეირნებდი ყველგან. შევიპარებოდი შემნახველ სალაროში, გავიტენიდი ფულებით ჯიბეებს და ტომარასაც".

9 წლის გოგო: „დავემალებოდი დედას და იგი აღელდებოდა. კორდზე ვიმღერებდი ლექსებს და ვერავინ დამინახავდა. მოვირთვებოდი ყინულის ბაბუად და ყველას საჩუქრებს დავურიგებდი".

11 წლის ბიჭი: „ხალხს სარგებლობას მოვუტანდი. დავიჭერდი ფრინველებს უსასყიდლოდ. ზაფხულში აეროპლანით ვიფრენდი,

ვისრიალებდი გორიდან ციგებზე. მექნებოდა ბევრი ფული, მამას აღარ ვამუშავებდი, არ ვალოთებდი. ვივლიდი მატარებლით. ვიყიდდი წაღებს, გავხდებოდი მატროსი და ანძიდან წყალში ჩავყვინთავდი".

11 წლის გოგო: „გავემგზავრებოდი სადმე. ყოველდღე კინოში წავიდოდი. ციგებით ვისრიალებდი. ყოველდღე ვჭამდი ვაშლებს, მსხლებს, შოკოლადს. ჩავიცვამდი კარგად ნაქსოვ კოფტას, ცისფერი ხავერდის პალტოს. ვისურვებდი, რომ გოგოებთან მეგობრულად მეთამაშნა და გადავიდე მე-5 კლასში".

14 წლის ვაჟი: „წავიდოდი ინგლისის მუშებთან და ვეტყოდი: აღსდეგ, ბოგანო. კმარა მოღალატეთა და სისხლის მსმელების წინაშე ქედის მოხრა. შევიტყობდი პარლამენტში ყველაფერს და გადავცემდი ჩვენებს. ვირბენდი სოფლის ბიჭებთან და დავემალებოდი მათ.

14 წლის ქალი: „გავემგზავრებოდი სხვადასხვა ქალაქში. დღესასწაულობენ თუ არა დღესასწაულებს. კარგად ცხოვრობენ თუ არა მუშები და როგორია სამუშაო დღე. ვუამბობდი მათ, როგორ არის ჩვენში. როგორ მუშაობენ პიონერები. თუ არ არის—მოვაწყობდი ორგანიზაციას.

13 წლის ვაჟი: „მე მას არ ავიღებდი, იმიტომ რომ შეიძლება დიდი ვნება და ზარალი მოჰყვეს".

3. ბავშების გონებრივი განვითარება

როგორ გამოამჟღავნოს პედაგოგმა ბავშთა გონებრივი განვითარება?

ამ დარგში ვერ დაკმაყოფილდებით ჩვეულებრივი შთაბეჭდილებით, აქ არ არის საკმაო ბავშებისთვის ჩვეულებრივი კითხვების მიცემა, რადგან მიღებულ პასუხებს ადვილად შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს. ხანდახან ბავში სწორად აზროვნებს, აქვს ასეთი თუ ისეთი მსჯელობა, მაგრამ ენა კარგად არ იცის და თავის აზრს ბუნდოვანად, აბნეულად გამოსთქვამს. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ძლიერი ემოციები, შთაბეჭდილებანი აფერხებენ მის მეტყველებას.

დაწყნარებულ მდგომარეობაში მას შეეძლო გარკვეულად გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ როდესაც იგი აღგზნებულია, აზრები წინ უსწრებენ მის სიტყვებს.

აქ პედაგოგს არა ერთხელ და არა ორჯერ მოუხდება თავისი შთაბეჭდილების შემოწმება და იმაზე დაფიქრება, თუ რად ლაპარაკობს ბავში ცუდად: იმიტომ, რომ ცუდად აზროვნებს, თუ კიდევ

სხვა რაიმე მიზეზის გამო. განსაკუთრებით ძნელია ყოველი ბავშის გონებრივ განვითარებაში გარკვევა ჩვენს კლასებში, სადაც ჯგუფები ჩვეულებრივ გადატვირთულია.

ამიტომ პედაგოგის ამოცანას შეადგენს გამოამჟღავნოს უპირველეს ყოვლისა იმ ბავშთა გონებრივი განვითარება, რომელნიც ჯგუფის საერთო მუშაობას ჩამორჩებიან. მხოლოდ ეს მიცემს მას შესაძლებლობას მონახოს გზები და საშუალება ამ ბავშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

დაკვირვების ჩვეულებრივი მეთოდი, რომელიც ბავშის ინტერესების შესწავლის დროს რეალურ შედეგებს იძლევა,—სრულებით არ არის საკმარისი ისეთი რთული მოვლენის შესასწავლად, როგორიც არის ბავშთა გონებრივი განვითარება; ამიტომ პედოლოგია ამჟამად ენერგიულად ამუშავებს გონებრივი განვითარების საზომ ეგრეთწოდებულ „ობიექტურ“ ზუსტ მეთოდებს.

ამ მეთოდების შესახებ უფრო დაწვრილებით იქნება ნათქვამი პედოლოგიის კურსის სათანადო თავში, მაგრამ რადგანაც ეს თავი ერთ-ერთი უკანასკნელი თავია კურსისა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ჟამად მოვიყვანოთ მოკლედ, უფრო ელემენტარული მეთოდები.

გონებრივი განვითარების გაზომვა ამ მეთოდების დახმარებით იმაში მდგომარეობს, რომ ბავშებს ეძლევა მთელი რიგი ეგრეთწოდებული ტესტებისა ანუ სხვადასხვა სიძნელის ამოცანებისა. ტესტების შედგენის დროს, ბავშების დიდი რიცხვის გამოკვლევის საშუალებით წინასწარ მიღებულია და გამორკვეულია, თუ რომელ ასაკში ბავშების უმრავლესობა რა ამოცანებს აკეთებს სწორად. სერია ასეთი ამოცანებისა, რომლებიც დალაგებულია მათი სიძნელის ხარისხის მიხედვით,—შეადგენს გონებრივი განვითარების საზომ სკალას; მოწაფის მიერ სწორად გაკეთებულ ამოცანათა რიცხვით განისაზღვრება მისი გონებრივი განვითარების დონე. ამგვარ სკალებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფრანგ ფსიქოლოგ ბინეს სკალა. ამ სკალაში თითო ასაკზე მოცემულია რამდენიმე ამოცანა. თუ, მაგ. 10 წლის ბავშმა სწორად გააკეთა ყველა ამოცანა, რომელთა სიძნელის ხარისხი შეეფერება 10 წელს და მასზე დაბალ ასაკს,—უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ასაკისთვის მას შესაფერი გონებრივი განვითარება აქვს. თუ 10 წლის ბავშმა სწორად გააკეთა მხოლოდ ის ამოცანები, რომელნიც 9 წლის (და უფრო დაბალი ასაკის) ბავშებისათვისაა აღებული—უნდა ჩავთვალოთ, რომ განვითარებით იგი ერთი წლით არის ჩამორჩენილი; პირიქით, თუ ამავე მოწაფემ 10 წლის ასაკის ამოცანათა გარდა სწორად გააკეთა ის ამოცანები, რომელნიც

11 წლის ბავშთათვისაა მიღებული, უნდა ჩაითვალოს, რომ მისი გონებრივი განვითარება ერთი წლით უსწრებს მის ასაკს.

ინგლისელმა ფსიქოლოგმა ბერტმა ეს სკოლა გადაამუშავა იმ მიზნით, რომ პედაგოგებს მისცემოდა მისი გამოყენების მეტი შესაძლებლობა: სრული ფორმის გარდა, მან შეადგინა შემოკლებული ფორმა, რომელიც შესდგება 2 ტესტისაგან—ყოველი წლისათვის. ბინე-ბერტის შემოკლებული სკალის თარგმანი რუსულ ენაზე მოცემული აქვს პროფ. პ. პ. ბლონსკის თავის წიგნში: „პედოლოგია მასიურ სკოლაში". იმ მიზნით, რომ ჩვენს მსმენელებს საშუალება ჰქონდეთ გამოიყენონ ეს სკალა ამ გაკვეთილთან დაკავშირებით,—სრულად მოგვყავს ბინე ბერტის შემოკლებული სკალა.

ბინე-ბერტის მოკლე სკალა

$4^1/_2$ წელი

1. ასაკი. ეკითხებიან: „რამდენი წლისა ხარ?" თუ ბავშმა სწორედ ვერ უპასუხა, უნდა შეეკითხოთ: „რამდენი წელი შეგისრულდა"? ტესტი უნდა ჩაეთვალოს მაშინაც, თუ ბავშმა სწორედ დაასახელა არა ნამდვილი მისი ასაკი, არამედ ის წლოვანება, რომელსაც მას სხვები მიაწერენ.

5 წელი

2. ორი სიმძიმის შედარება — 4 პატარა, გარეგნული შეხედულობით, ერთნაირი კოლოფისა (დაახლოვებით 1,5×2,5×3,5 სმ.) წონით 3, 12, 6 და 15 გრამი. ბავშს ეუბნებიან: „ხედავ ამ კოლოფებს (მიუთითებენ პირველად ორ კოლოფზე, წონით 3 და 12 გრამისა, კოლოფები დაშორებულია ერთმანეთისაგან 5—6 სმ.), რომელი მათგანი უფრო მძიმეა?". თუ ბავში პირდაპირ აჩვენებს, მაშინ უნდა დაუმატოთ: „აიღე ისინი ხელში და ასწონე!" ასევე უნდა მოიქცეთ 6 და 15, 3 და 1 5გრ. მიმართ; თუ რაიმე საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ პირველი სწორი პასუხი შემთხვევითია, მაშინ გადადიხართ მეორე წყვილზე და შემდეგ ისევ პირველ წყვილს უბრუნდებით. თუ სამივე შედარება (გარდა პირველი შემთხვევითი მიხვედრისა) სწორეა, —ტესტი კარგად ჩატარებულად ითვლება.

$5^1/_2$ წელი

3. ოთხი საერთო სახმარებელი ფულის ნიშნის სახელწოდება. მაგიდაზე აწყვია შაურიანი, ორშაურიანი, ბანეთიანი და ჩერვონეცი

(თუ გეეჭვებათ, რომ ეს ბავშები ჩერვონეცს არ იცნობენ, უნდა შესცვალოთ იგი სხვა, უფრო გავრცელებული ფულის ნიშნით). „რა არის ეს?“—მიუთითებთ თითო ფულზე ცალ-ცალკე, რიგ-რიგობით (ფული ხელში არ უნდა აიღოს არც ბავშმა და არც ექსპერიმენტატორმა). თუ პასუხად მიიღეთ:—„ფული“, უნდა შეეკითხოთ: „კი, მაგრამ რა ეწოდება ამ ფულს?“ ტესტი კარგად ჩატარებულია, თუ არცერთ შეცდომას არ დაუშვებს ბავში.

6 წელი

4. გარჩევა მარჯვენა და მარცხენა მხარისა: „მაჩვენე შენი მარცხენა ყური“. დასაშვებია თვითშესწორება, მაგრამ არა ექსპერიმენტატორის დახმარებითა და კარნახით. ტესტი კარგად ჩატარებულია, თუ ორივე პასუხი სწორე იყო.

$6^1/_2$ წელი

5. სამი ორკაპეიკიანის და სამი თითო კაპეიკიანის შეერთება. ფულები ერთმანეთშია არეული. „დაითვალე ეს ფულები და მითხარი, სულ რამდენია“. არ არის დასაშვები არცერთი შეცდომა და არც ინსტრუქციის განმეორება. ტესტი უნდა გრძელდებოდეს არა უმეტეს 10 წამისა.

7 წელი

6. კონკრეტულ საგნებს შორის განსხვავების დამყარება. „შენ იცი ხომ, რა არის პეპელა, იცი, რა არის ბუზი. ეს ხომ ერთი და იგივე არ არის! რა განსხვავებაა ბუზსა და პეპელას შორის?“ იგივე კითხვები ფიცრის და შუშის შესახებ, ქაღალდისა და მუყაოს შესახებ. თუ ბავში რომელიმე ამ საგანს არ იცნობს, მაშინ მათ მაგიერ აიღებენ: 1) რძესა და წყალს, 2) ხესა და რკინას, 3) ძროხასა და ცხვარს ან 4) ქვასა და კვერცხს. ტესტი დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, თუ ორი პასუხი სწორეა, ე. ი. ნამდვილი განსხვავება იქნა დასახელებული. თუ ბავში მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს, მაგ. „ის მეტია“,—უნდა შეეკითხოთ: „კიდევ რა განსხვავება არის?“

$7^1/_2$ წელი

7. უკუღმა თვლა 20-დან ერთამდე. „იცი თვლა 1, 2, 3 და სხვ., როგორ ფიქრობ, შეგიძლია დაითვალო უკუღმა? დაიწყე 20-დან და ეიდი 1-მდე. თუ ბავშმა ვერ გაიგო, უნდა აუხსნა: „ითვალე ასე: 20, 19, 18...“ დასაშვებია ერთი შეცდომა (გამოშვება ან გადასმა).

8 წელი

8. ექვსი რიცხვის განმეორება. „გეტყვი ახლა რამდენიმე რიცხვს და შენ ისინი გაიმეორე; აბა, ყური მიდგე და გაიმეორე ჩემს შემდეგ რიცხვები: —2—5—0—3—6—4". თუ ბავშს შეეშალა, მაშინ: —8—5—3—9—1—6, თუ აქაც შეცდა, მაშინ: —4—7—1—5—8—2.

რიცხვები წარმოითქმება წუთში 2-ის სიჩქარით, ურიტმოდ და უინტონაციოდ. ბავშს არ ეუბნებიან, რომ იგი შეცდა. ტესტი კარგად არის ჩატარებული, თუ ბავშმა ერთხელ მაინც სწორედ გაიმეორა რიცხვები.

$8^1/_2$ წელი

9. დასახელება საერთო ხმარებაში შემოღებული ცხრა ფულისა. ეს ტესტი მესამე ტესტის მსგავსია. აღებულია (აბნეულად, არა რიგზე დაწყობილად) კაპეიკიანი, სამკაპეიკიანი, ორშაურიანი, სამშაურიანი, აბაზიანი, ათშაურიანი, მანეთიანი, ჩერვონეცი. დასახელებული უნდა იქნეს ყველა ფული არა უგვიანეს 40 წამისა. თუ, ბავშის დარცხვენის გამო, რაიმე შეცდომა იქნა დაშვებული, ტესტი განმეორებული უნდა იქნეს 5 წუთის შემდეგ.

9 წელი

10. კონკრეტული ტერმინების განსაზღვრა გვაროვნებითი ცნების ან აღწერის მეშვეობით. „რა არის: 1) ცხენი, 2) სკამი, 3) სკოლა, 4) მაგიდა, 5) ჩანგალი". ტესტი კარგად ჩატარებულია, თუ ბავში იძლევა განსაზღვრას არა უტილიტარულ-ფუნქციონალურს (ცხენი არის—რითაც მგზავრობენ, სკამი—რაზეც ჯდებიან), არამედ გვარობითი ცნების მეშვეობით (ცხოველი, დგამი და სხვ.) ან არსებითი ნიშნების აღწერის მეშვეობით (ოთხი ფეხი). ტესტი ჩაითვლება, თუ ბავშმა 5 განსაზღვრიდან სამი ამგვარი განსაზღვრა მოგვცა.

$9^1/_2$ წელი

11. ხუთი სიმძიმის რიგზე დალაგება. აიღება ყველა ზემოაღწერილი კოლოფი (იხ. 5 წელი). „ხედავ ამ კოლოფებს? შესახედავად ერთნაირია, მაგრამ წონით—სხვადასხვა: ზოგი უფრო მძიმეა, ზოგი მსუბუქი. მე მინდა, რომ შენ აარჩიო ყველაზე მძიმე კოლოფი და აქ დასდო; შემდეგ აარჩიე ამაზე ცოტათი მჩატე და გვერდით დაუდე, შემდეგ უფრო მჩატე, შემდეგ კიდევ უფრო მჩატე და ბოლოს ყველაზე მსუბუქი აქ უნდა დასდო". თუ ბაშმა ვერ გაიგო, ეს ფრაზები

შეიძლება გაიმეოროთ სხვადასხვა ვარიაციით. ტესტი განმეორდება სამჯერ და დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, თუ ორჯერ სწორედ შესრულდა. ამასთანავე მთელ პროცედურას უნდა მოუნდეს არა უმეტეს 3 წუთისა.

10 წელი

12. ხსოვნით ხატვა. „აი ორი ადვილი ნახატი მუყაოზე. აბა ჩაუკვირდი ყურადღებით, სანამ მე წავიღებდე, და შემდეგ სცადე ორივე დახატო ამ ქაღალდზე მახსოვრობით. ამ ნახატებს მხოლოდ რამდენიმე წამს უნდა უცქირო. ახლა უცქირე მათ ყურადღებით. მზად არის. ნახატები ეძლევა ბავშს დასაკვირვებლად 10 წუთით. „ახლა სცადე დახატო ისინი აი აქ“.

ტესტი კარგად ჩატარებულია, თუ ამ ორ სურათში ერთი მთლად და მეორე ნახევრად მაინც სწორედაა დახატული.





$10^1/_2$ წელი

13. სამოცი სიტყვა სამ წუთში. „აბა, მითხარი, რაც შეიძლება ბევრი სიტყვა 3 წუთის განმავლობაში. ზოგიერთ ბავშს შეუძლია 2000 სიტყვაზე მეტი თქვას. ილაპარაკე, სანამ არ გაგაჩერო. ყუთი, ხე, რუკა და სხვა სიტყვები, რომელიც გინდა. მზად იყავ. აბა, დაიწყე“. არ შეიძლება დაშვებულ იქნეს მთელი ფრაზა. ტესტი კარგად არის ჩატარებული, თუ დასახელებულ იქნა არა ნაკლებ 60 სიტყვისა.

11 წელი

14. ფრაზის შედგენა სამი სიტყვისაგან. „გთხოვ დაწერო ისეთი ფრაზა, რომელშიც იყოს სამი სიტყვა: ქალაქი, მდინარე, ფული“. ვაძლევ ქაღალდს და ვუმეორებ: „ქალაქი, მდინარე, ფული. დაწერე ფრაზა, რომელშიც ეს სამი სიტყვა იყოს“. ტესტი კარგად ჩატარე-

ბულია, თუ მიღებულ იქნა ერთი ფრაზა, მაგ.: „ქალაქში მდინარეზე ფული დავკარგე“.

11½ წელი

15. ფრაზების რეკონსტრუქცია. დაალაგე რიგზე ქვემომოყვანილი სიტყვები ისე, რომ მათ შეადგინონ ფრაზა.

1) იცავს
ძაღლი პატრონს კარგი
შედგრად;
2) ჩემი ვთხოვე რვეულის
მე მასწავლებელს
გასწორება;
3) გამოვემგზავრეთ
დილით ამ ადრე
აგარაკზე.

თითო ფრაზაზე მოცემულია ერთი წუთი. ბავშმა ორი ფრაზის შედგენა მაინც უნდა შესძლოს.

12 წელი

16. სურათების ახსნა. „შეხედე ამ სურათს და მიამბე მის შესახებ“. ასეთ ფრაზებს:—„რა არის ზედ დახატული“ ან „რას შვრებიან ისინი“— უნდა ვერიდოთ. აჩვენებენ სამ სურათს მე-4 ჯგ. საერთო სახმარებელი ქრესტომატიებიდან. ტესტი კარგად ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ბავშმა ორი სურათი მაინც აღწერა, ე. ი. არა მარტო დაასახელა სურათზე დახატული საგნები და მათი მოქმედება, არამედ დაახასიათა მათი მდგომარეობაც (სურათზე გამოხატული სიტუაცია) და ამით გამოწვეული გრძნობები (საწყალი მოხუცი, მას არა აქვს სახლი და სხვ.)—ერთი სიტყვით, თუ მოგვცა არა მშრალი ჩამოთვლა ან უბრალო მოთხრობა, არამედ სურათის განმარტება.

12⅓ წელი

17. ჩაგონების წინააღმდეგობის გაწევა. ბავშს ეძლევა რვეული, რომელშიც ექვს ფურცელზე დახაზულია ექვსი წყვილი ხაზი. პირველ სამ ფურცელზე მარჯვენა ხაზი ოდნავ გრძელია მარცხენაზე. დანარჩენ სამ ფურცელზე ორივე ხაზი თანაბარია.

პიველა სამი წყვილის შესახებ ეკითხებიან: „რომელი ხაზი უფრო გრძელია ამ ორში?“ სამი უკანასკნელი წყვილის შესახებ იმავე კილოთი შეეკითხებიან: „ამ ორში კი?“ ტესტი კარგად ჩატარებულად უნდა ჩაითვალოს, თუ სამი ერთნაირი წყვილისაგან ორი სწორედ გამოიცნეს.

მოწაფის გამოცდა ამ სკალით ხდება ცალკე ოთახში, სადაც მოწაფის და მასწავლებლის გარდა არავინ არის. სხვა ხალხის ან სხვა ბავშების ოთახში ყოფნამ შეიძლება დაარცხვინოს და ააბნიოს მოწაფე და ამით შეამციროს მისი გამოცდის შედეგები. კითხვები მოწაფეს ეძლევა სწორედ იმ ფორმით, როგორითაც აქ არის მოყვანილი. არავითარი ცვლილება კითხვების ფორმულირებაში დასაშვები არ არის, იმიტომ რომ ასეთ შეცვლას შეუძლია გააადვილოს ან, პირიქით, გააძნელოს მოწაფის პასუხი. გამოცდა იწყება იმ ტესტიდან, რომელიც გამოსაცდელი ბავშის ასაკზე $1^1/_2$ წლით უმცროსს ასაკს შეეფერება. მაგ., 9 წლის ბავშის გამოსაცდელად იწყებენ $7^1/_2$ წლისათვის მიღებული ტესტიდან და შემდეგ მიდიან ქვევით, ე. ი. აძლევენ ტესტებს $6^1/_2$, 6 და სხვ. წლებისათვის — მანამ, სანამ არ მიიღებენ ზედიზედ სამ სწორ პასუხს. მაშინ შესწყვეტენ ქვევით სვლას და მაღლა მიდიან, ე. ი. აძლევენ 8, $8^1/_2$, 9, $9^1/_2$ წლებისათვის მიღებულ ტესტებს, სანამ ზედიზედ არ მიიღებენ 3 არასწორ პასუხს. სამი არასწორი პასუხის მიღების შემდეგ გამოცდა თავდება. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ გამოკვლეული მოწაფის გონებრივი განვითარების დონე რიცხვობრივად, ანუ, როგორც ამბობენ, გონებრივი ასაკი, უნდა დავითვალოთ სწორი პასუხების რიცხვი, ამასთანავე ყველა ტესტი, ზედიზედ სამი სწორედ გამოყვანილი პასუხის ქვემოთ, სწორედ გაკეთებულად ითვლება. ეს რიცხვი უნდა გავყოთ ორზე და მივუმატოთ 4. მიღებული ჯამი იქნება ბავშის გონებრივი ასაკის მაჩვენებელი. მაგ. თუ 9 წლის ბავშის გამოცდის დროს მივიღეთ:

ტესტების ნომრები:	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
პასუხები:	+	+	+	—	+	+	—	+	—	—	+	—	—	—

ჩვენ გვექნება 7 სწორი პასუხი.

რადგან ყოველი წლისათვის არის 2 ტესტი და გონებრივი ასაკის გამოცდა იწყება ბინეს სკალით $4^1/_2$ წლიდან, ამიტომ სწორი პასუხების საერთო რიცხვი უპირველეს ყოვლისა იყოფა ორზე (ტესტების რიცხვი—თითო წლისათვის) და მიღებულ ნაწევარს ემატება 4 (ტესტებით გაუზომავი წლების რიცხვი დაბადებიდან). მიღე-

ბული ციფრი იქნება ბავშის გონებრივი ასაკის მაჩვენებელი. ჩვენს მაგალითში მიღებული გვაქვს 7 სწორი პასუხი, მას ვყოფთ ორზე და $3^1/_2$-ს ვუმატებთ 4-ს, მივიღებთ $7^1/_2$-ს, მაშასადამე ამ გამოკვლეული მოწაფის გონებრივი ასაკი $7^1/_2$ წელს უდრის.

სიმოკლისათვის ტერმინი „გონებრივი ასაკი" ჩვეულებრივ აღინიშნება ასოთი I (ინტელექტი). მოწაფის გონებრივი განვითარება ნორმის შესაფერად ითვლება, თუ მისი გონებრივი ასაკი—ნამდვილი ასაკისაგან არ განსხვავდება 1 წლის მეტად; თუ კი ასეთი განსხვავება 2 წელიწადზე მეტია, მოწაფის გონებრივი განვითარება ჩამორჩენილია; მაშინ კი, როდესაც გონებრივი ასაკი მეტია, ვიდრე ნამდვილი, ის მოწმობს, რომ გონებრივი განვითარება აწეულია. მოყვანილი სკალის ნორმები ბერგის მიერ დაწესებულია ლონდონის მოწაფისათვის. პროფესორ ბლონსკის მიერ მოხდენილი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ რუსი ქალაქელი მოწაფე ამ ნორმებისაგან ჩამორჩენილია 1 წლით, ხოლო სოფლელი $1^1/_2$ წლით.

თუ ჯგუფში შემავალი მოწაფეები ჯგუფის საშუალო გონებრივი ასაკისაგან 1 წელზე მეტით არ განსხვავდებიან, მაგ., როცა ჯგუფის საშუალო ასაკი არის 7 წელი და მოწაფეების გონებრივი ასაკი არ აღემატება 8 წელს და არ არის 6 წელზე ნაკლები, — ასეთი ჯგუფი შეიძლება საკმაოდ ერთგვარად ჩაითვალოს. მაგრამ, თუ კი ერთ წელზე მეტია საშუალო ასაკისაგან განსხვავება, მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ დიდ გადახრებს და, თუ, მაგ., გონებრივი ჩამორჩენილობა 4—5 წელიწადს აღემატება, უნდა მიიღოს ზომები (თუ შესაძლებელი არის) მოწაფის გადასაყვანად ჩამორჩენილთა სპეციალურ ჯგუფში ან დამხმარე სკოლაში.

ბინეს მეთოდით გამოკვლევის დროს, გარდა გონებრივი ასაკისა, ირკვევა აგრეთვე მოწაფის გონებრივი განვითარების ტემპიც, ე. ი. გონებრივი ასაკის დაძოკიდებულება საპასპორტო (ნამდვილ) ასაკთან. ეს ურთიერთობა ჩვეულებრივ აღინიშნება ნიშნით IQ. მის გამოსაანგარიშებლად გონებრივი ასაკის რიცხვს ამრავლებენ 100-ზე და ჰყოფენ ნამდვილი ასაკის ციფრზე. ამ შემთხვევაში ნორმას აქვს ციფრი—100, ჩამორჩენილობას—100-ზე ნაკლები და ნიჭს—100-ზე მეტი ციფრი.

ჩვენს მიერ ზემომოყვანილ მაგალითში—ბავშის ნამდვილი ასაკი რომ უდრიდეს მის გონებრივ ასაკს, ე. ი. იყოს $7^1/_2$ წელიწადი, ძაშინ IQ-ს გამოანგარიშების დროს მივიღებდით ასეთ ციფრებს: $\frac{7,5.100}{7,5}=100$. მაშასადამე, ციფრი 100 გვიჩვენებდა, რომ მოწაფის

გონებრივი ასაკი სავსებით ეთანაბრება მის ნამდვილ ასაკს და რომ მისი გონებრივი განვითარება სრულიად ნორმალური ტემპით ხდება. მოწაფის ნამდვილა ასაკი 10 წელიწადს რომ უდრიდეს, მაშინ გვექნებოდა ასეთი: IQ $\frac{7,5.100}{10} = 0,75$. ეს ციფრი გვიჩვენებდა, რომ მოწაფე გონებრივი განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩება თავის ასაკს და მისი გონებრივი განვითარების ტემპი დიდად შეფერხებულია. პირიქით, იგივე ციფრი გონებრივი ასაკისა—$7^1/_2$— 6 წლის ასაკზე რომ გვქონდეს მიღებული, მაშინ IQ გვექნებოდა ასეთი: $\frac{7,5.100}{6} = 1,25$, რაც მაჩვენებელია მოწაფის გონებრივი განვითარების გაძლიერებული ტემპისა. იმისათვის, რომ ჯგუფი ერთგვარი იყოს, საჭიროა, რომ ამ ჯგუფის მოწაფეთა I-ც და Q-ც ახლო იყოს ერთმანეთთან.

ბინეს მეთოდის ხმარებას შეუძლია საგრძნობი დახმარება გაუწიოს მასწავლებელს მოწაფეთა გონებრივი განვითარების სწორედ შეფასებაში და, მაშასადამე, მის წინაშე დაყენებული ამოცანების სწორ განსაზღვრაშიც.

თავისთავად—ცხადია, რომ ამ მეთოდის ხმარება არავითარ შემთხვევაში არ უარჰყოფს მოსწავლის გონებრივი განვითარების შესწავლას მის (მოწაფის) ყოფაქცევაზე ხანგრძლივი დაკვირვებით. ბინეს სკალა გვიჩვენებს გონებრივი განვითარების დონესა და ტემპს, ხანგრძლივი დაკვირვება კი მასწავლებელს საშუალებას მისცემს გადაშალოს მოწაფის ინტელექტის ინდივიდუალური თავისებურობანი, სპეციალური ნიჭი და სპეციალური დეფექტები, ტემპი მისი გონებრივი მუშაობისა და სხვ. ამასთანავე მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს ბინეს მეთოდით მიღებული შედეგების გაგება-განმარტების დროს. მეთოდური შეცდომები, რომელთაც ადვილად უშვებენ გამოუცდელი მკვლევარები და აგრეთვე გამოცდისათვის არახელსაყრელი ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობა (ავადმყოფობა, მოქანცულობა, გამოცდის წინაღამით უძილობა, დარცხვენა და სხვ.) — ადვილად დასწევს და გააქარწყლებს გამოკვლევის შედეგებს. ამიტომ მასწავლებელმა, სანამ ამ მეთოდით ისარგებლებდეს, წინასწარ უნდა შეისწავლოს და ჩაუფიქრდეს გამოცდის მეთოდიკას, პრაქტიკულად უნდა გაიცნოს მისი ჩატარება (უმჯობესია რომელიმე თავის ამხანაგ მასწავლებელთან ერთად) და შემდეგ მოახდინოს მოწაფის გამოცდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი საკმაოდ მხნე ფიზიკურ და ფსიქიურ მდგომარეობაში იმყოფება.

უფრო დაწვრილებითი შინაარსი ბინეს მეთოდით გამოკვლევის მეთოდიკისა და აგრეთვე ამ მეთოდის სრული სკალა შეიძლება ნახოთ ბლონსკის წიგნებში: „პედოლოგია“, „პედოლოგია მასიურ სკოლაში“ (ფასი 1 მ. 10 კაპ.), ბლონსკის, იონოვის და სხვ. წიგნში:

„სასკოლო ასაკის ბავშთა პედოლოგიური გამოკვლევის მეთოდიკა“ (განათ. მუშაკ. გამოც. 1 მან. 60 კ.).

ბავშთა ცოდნა და ჩვევები

წარმოდგენათა წრე

გარდა მოწაფის გონებრივი განვითარების გამორკვევისა, მასწავლებლის წინაშე დაყენებულ კონკრეტულ ამოცანათა სწორედ გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის მოწაფეების ცოდნისა და ჩვევათა მარაგის ზუსტად განსაზღვრას. გონებრივი განვითარების ერთსა და იმავე დონეზე მდგარ მოწაფეებს სხვადასხვაგვარი ცნობები და გამოცდალება აქვთ: ერთს ერთი ცნობები და გამოცდილებანი, მეორეს—მეორე. მაგრამ ქალაქელი მოწაფის ცოდნათა მარაგი სხვანაირია, ვიდრე სოფლელი მოწაფისა; მოწაფეს, რომელიც ინტელიგენტური ოჯახიდანაა, ცოდნის სხვა მარაგი აქვს და იმ მოწაფეს კი, რომელიც ნაკლებად კულტურული ოჯახიდანაა,—სრულიად სხვა. რამდენადაც მეტია მოწაფეთა ცოდნის მარაგი, იმდენად უფრო ადვილია მასწავლებლის სამუშაო. მასწავლებელი, ეყრდნობა რა ამ ცოდნას, აღრმავებს თანდათან მის შინაარსს და აკავშირებს მას ახალ ცნებებთან და წარმოდგენებთან; იგი აფართოებს მოწაფის წარმოდგენათა წრეს, უღვიძებს მას ინტერესს სკოლის სამუშაოსადმი და ამდიდრებს ახალი ცოდნით. უამისოდ, ე. ი. სკოლის გარეშე შეძენილი ცოდნის გარეშე, სასკოლო მუშაობა ბევრად უფრო რთული და ძნელი იქნებოდა. სასკოლო მაცადინეობა, რომელიც არ ეყრდნობა მოწაფის პირადს, სკოლის გარეშე შეძენილ გამოცდილებას, მოწაფისათვის დიდად არის მოკლებული შინაარსსაც და ინტერესსაც; ასეთ პირობებში სასკოლო მაცადინეობის წარმატება, რა თქმა უნდა, მეტად სუსტი იქნება.

ყოველ მასწავლებელს თავისი მუშაობის დაგეგმვის დროს ჩვეულებრივ მხედველობაში აქვს ეს ინდივიდუალური, სკოლის გარეშე შეძენილი გამოცდილება თავისი მოწაფეებისა; მაგრამ მოწაფის გამოცდილების არღიცხვა, ისე, როგორც გონებრივი განვითარების შეფასების დროს, ხშირად არასწორი და სუბიექტურია. განსაკუთრებით ხშირად აქვთ შეცდომები იმ პირებს, რომლებიც ახლად იწყებენ მასწავლებლობას. ისინი, ჩვეულებრივ, მოწაფეთა ცოდნის მარაგს ან ზედმეტად აჭარბებენ, ან ზედმეტად ამცირებენ. ერთსაც და მეორესაც თან სდევს უხეში შეცდომები სამუშაოს დაგეგმვაში: ან

მოწაფეთა გადატვირთვა მათთვის შეუფერებელი მასალით, ან ზედმეტი გამარტივება სასკოლო მუშაობის შინაარსისა. ორივე შემთხვევაში მოწაფეს ეკარგება ინტერესი სასკოლო სამუშაოსადმი და ება დება მასწავლებლისათვის არახელსაყრელი ემოციონალური განწყობილება სკოლის მიმართ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად აღიძვრის საკითხი მოწაფის ცოდნათა და ჩვევათა უფრო სწორი აღრიცხვის შესახებ. ასეთი აღრიცხვის ჩვეულებრივი ფორმაა მასწავლებლის საუბარი ბავშებთან.

მაგრამ ამ მეთოდის ნაკლს შეადგენს საუბრის შინაარსის გაურკვევლობა, განუსაზღვრელობა და მისი შედეგების შეფასების დამუშავებული მეთოდიკის უქონლობა. ამიტომ, პედოლოგიის მიერ მუშავდება ამჟამად ბავშის ცოდნათა აღმრიცხველი სპეციალური მეთოდიკა, რომელიც ცნობილია საბავშო წარმოდგენათა წრის გამომკვლევი მეთოდიკის სახელწოდებით. ეს მეთოდიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ მოწაფესთან ცალკე ტარდება საუბარი სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით. მაგ., მოწაფეს ეკითხებიან: „რა არის მდინარე, ზღვა, ქარხანა, მანქანა, მუშა, ტელეფონი და სხვ.“, უნახავს თუ არა ეს საგანი, როგორია მისი გარეგნული შესახედაობა, რისთვის არის საჭირო და სხვ. მოწაფის პასუხები ჩაიწერება სიტყვასიტყვით და შემდეგ დაითვლება, რა წარმოდგენები აქვს ბავშს. რომელი არა აქვს, რომელი წარმოდგენები აქვს სწორი და რომელი — არასწორი. სწორ წარმოდგენათა რიცხვი ამა თუ იმ დარგში — მოწაფის წარმომადგენელთა წრის ფართობის მაჩვენებელია. ასეთი სქემის მაგალითად მოგვყავს სკოლაში შემავალი ბავშების წარმოდგენელთა წრის გამოკვლევის სქემა. ეს სქემა გადამუშავებულია პ. პ. სოკოლოვის სქემიდან ე. ვ. გურიანოვის და მ. ვ. სოკოლოვის მიერ (მ. ს. გ. გ. ცენტრ. პედოლ. ლაბორატორია).

პროგრამა წარმოდგენათა წრის გამოკვლევისათვის

1. ბუნების მოვლენანი

1. მ დ ი ნ ა რ ე. რა არის მდინარე? გინახავს თუ არა მდინარე? როგორია იგი? გიბანავია თუ არა მდინარეში?

2. გ უ ბ ე. რა არის გუბე? გინახავს თუ არა? სად? როგორია? რით არა ჰგავს იგი მდინარეს? დახატე გუბე და მდინარე.

3. ზ ღ ვ ა. რა არის ზღვა? გინახავს თუ არა? რატომ არ გინახავს? როგორია იგი? რით არ წააგავს ზღვა მდინარესა და გუბეს?

4. ტყე. რა არის ტყე? ტყე და ბაღი — ერთი და იგივეა თუ არა? რატომ? ყოფილხარ თუ არა ტყეში? რას აკეთებდი იქ?

5. ცისკარი. რა არის ცისკარი? გინახავს თუ არა? სად არის ხოლმე? როდის არის? არის თუ არა დღისით? როგორია იგი?

6. ცისარტყელა. რა არის ცისარტყელა? გინახავს თუ არა? სად არის? როდის არის? როგორია იგი?

7. ცვარი. რა არის ცვარი? რაზე არის ხოლმე ცვარი? როდის არის?

8. ღრუბლები. რა არის ღრუბელი? სად არის ხოლმე?

9. ნისლი. რა არის ნისლი? გინახავს თუ არა? სად არის ხოლმე? როდის. როგორია ნისლი?

10. ქუხილი. რა არის ქუხილი? გაგიგონია თუ არა ქუხილი? გინახავს თუ არა ელვა?

II. მცენარეები.

1. არყის ხე. რა არის? გინახავს თუ არა? როგორია იგი? დამიხატე.

2. ნაძვი. რა არის? გინახავს თუ არა როგორია? დახატე. რით არა ჰგავს ნაძვი არყის ხეს?

3. ჭვავი. რა არის ჭვავი? გინახავს თუ არა, როგორ იზრდება იგი? მაჩვენე ხელით, რა სიმაღლისაა? რას აკეთებენ იმისაგან?

4. შვრია. რა არის? გინახავს თუ არა, როგორ იზრდება? დამიხატე. რით არ წაგავს ჭვავს? რას კვებავენ შვრიით?

5. კიტრი. რა არის? გინახავს თუ არა, როგორ იზრდება? როგორ იზრდება: ხეებზე, ჩირგვებზე, თუ კიდევ სხვანაირად? დახატე.

6. ბოლოკი. რა არის ბოლოკი? გინახავს თუ არა, როგორ იზრდება? დახატე.

7. შროშანა. რა არის შროშანა? სად იზრდება? რა ფერისაა იგი? დახატე. დაგიკრეფია თუ არა შროშანა?

8. ცოცხანა. რა არის? სად იზრდება? რა ფერისაა? დახატე. დაგიკრეფია თუ არა?

9. მარწყვი. რა არის? სად იზრდება? დახატე. დაგიკრეფია თუ არა?

10. სოკო. რა არის? სად არის? სად იზრდება? დახატე. დაგიკრეფია თუ არა?

III. ცხოველები.

1. ძროხა. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რა სიმაღლისაა? რას ვღებულობთ ძროხისაგან?

2. ცხვარი. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რა ფერისაა? რას ვღებულობთ მისგან?

3. სპილო. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რა სიმაღლისაა?

4. ჭია. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რა ფერისაა?

5. პეპელა. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რა ფერისაა?

6. ჭიანჭველა. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რამხელაა? რა ფერისაა?

7. ფუტკარი. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რას აკეთებს იგი?

8. ბეღურა. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე. რამხელაა? რა ფერისაა?

9. ყორანი. რა არის? გინახავს თუ არა? რამხელაა? რა ფერისაა? კიდევ რით წააგავს ბეღურას.

10. ორაგული. რა არის? გინახავს თუ არა? დახატე.

IV. ქალაქის მოწყობილობის საგნები.

1. ტერმომეტრი. რა არის. გინახავს თუ არა? რისთვისაა?

2. ტელეფონი. რა არის? გინახავს თუ არა? რისთვის არის ტელეფონი? გინახავს თუ არა, როგორ ლაპარაკობენ ტელეფონით?

3. ტელეგრაფი. რა არის? გინახავს თუ არა? რისთვის არის? რით განსხვავდება იგი ტელეფონისაგან?

4. რადიო. რა არის? გინახავს თუ არა? რისთვისაა? მოგისმენია თუ არა? რით განსხვავდება ტელეფონისა და ტელეგრაფისაგან?

5. ფოსტა. რა არის? რისთვის არის იგი? მიამბე, როგორ იგზავნება წერილები?

6. ველოსიპედი. რა არის? გინახავს თუ არა? როგორია იგი? რისთვისაა?

7. ავტომობილი. რა არის? გინახავს თუ არა? რით განსხვავდება ველოსიპედისა და ურმისაგან?

8. გაზეთი. რა არის? რით განირჩევა წიგნისაგან შესახედაობით? რის შესახებ სწერენ გაზეთებში?

9. თეატრი. რა არის? ყოფილხარ თუ არა თეატრში? რომელში.

10. კინო. რა არის? ყოფილხარ თუ არა კინოში? რით განსხვავდება კინო თეატრისაგან?

V. შრომის იარაღები და შრომითი პროცესები.

1. გუთანი. რა არის? რას შვრებიან გუთნით? გინახავს თუ არა როგორ ხნავენ მიწას გუთნით. მიამბე, როგორ.

2. ფარცხი. რა არის? რას შვრებიან ფარცხით? გინახავს თუ არა, როგორ ფარცხავენ მიწას?

3. ცელი. რა არის? რას შვრებიან ცელით? გინახავს თუ არა, როგორ ცელავენ ცელით?

4. ტრაქტორი. რა არის? რას შვრებიან ტრაქტორით? გინახავს თუ არა, როგორ მუშაობენ ტრაქტორით?

5. ჩაქუჩი. რა არის? რას აკეთებენ ჩაქუჩით? გინახავს თუ არა, როგორ აჭედებენ ჩაქუჩით ლურსმნებს?

6. გაზი. რა არის? რას შვრებიან გაზით? გინახავს თუ არა, როგორ აძრობენ გაზით ლურსმნებს?

7. სალაშინი. რა არის? რას შვრებიან სალაშინით? გინახავს თუ არა, როგორ ასალაშინებენ?

8. უთო. რა არის? რას შვრებიან იმით? გინახავს თუ არა, როგორ აუთოვებენ იმით თეთრეულს?

9. საკერავი მანქანა. რას შვრებიან იმით? გინახავს თუ არა, როგორ არის იგი მოწყობილი?

10. როგორ აცხობენ პურს? გინახავს თუ არა? მიამბე, როგორ აცხობენ პურს.

VI. სივრცე და დრო.

1. მეტრი (არშინი). რა არის? მაჩვენი ხელით. დიდია თუ არა? მაჩვენე მეტრი (არშინი).

2. სანტიმეტრი (ვერშოკი). რა არის? მაჩვენე ხელით. დიდია თუ არა სანტიმეტრი (ვერშოკი)?

3. ვერსი. რამდენი ვერსია ჩვენი სკოლიდან ...მდე (დაუსახელეთ რაიმე ადგილი, სკოლიდან 2-3 ვერსით დაშორებული)?

4. კვადრატი. რა არის? დახაზე.

5. სამკუთხედი რა არის? დახაზე.

6. კვირა. რა არის? რამდენი დღეა კვირაში?

7. თვე. რა არის? რამდენი დღეა თვეში?

8. საათი. რა არის? რამდენი წუთია საათში?

9. რომელი საათია ახლა?

10. რა ხანში შეიძლება მისვლა აქედან ...მდე (დაუსახელეთ 2-3 ვერსით დაშორებული ადგილი)?

VII. სოციალური წარმოდგენები.

1. მუშა. ვის ეძახიან მუშას? რას აკეთებს იგი? სად მუშაობს?

2. გლეხი. ვის ეწოდება გლეხი? რას აკეთებს იგი? სად ცხოვრობს.

3. წითელარმიელი. ვის ეწოდება წითელარმიელი? რას აკეთებს იგი? სად ცხოვრობს? გინახავს თუ არა წითელარმიელი? სად გინახავს.

4. პიონერი. ვის ეწოდება პიონერი? რას აკეთებენ პიონერები? გინახავს თუ არა პიონერები? სად გინახავს?

5. კომუნისტები. რა უნდათ კომუნისტებს? რას აკეთებენ კომუნისტები? ვის წინააღმდეგ იბრძვიან?

6. ლენინი. ვინ არის ლენინი? გინახავს თუ არა მისი პორტრეტი? სად გინახავს? რას აკეთებდა ლენინი?

7. საბჭო (სასოფლო საბჭო, ქალაქის საბჭო). რას აკეთებენ საბჭოში? რატომ დადიან საბჭოში? ყოფილხარ თუ არა საბჭოში? რისთვის გვინდა საბჭო?

8. მილიციელი. ვის ეწოდება მილიციელი? რას აკეთებს იგი? რისთვის არის საჭირო მილიციელი?

9. სასამართლო. რას აკეთებენ სასამართლოში? ვის ასამართლებენ იქ? რისთვის ასამართლებენ?

10. ოქტომბრის რევოლუცია. რომელი რევოლუციონური დღესასწაული გვაქვს შემოდგომაზე. გინახავს თუ არა, როგორ დღესასწაულობენ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს? რა მოხდა ოქტომბრის რევოლიციის დროს? ვის ებრძოდენ მუშები და გლეხები ოქტომბრის რევოლუციის დროს?

რადგან კითხვების რიცხვი პროგრამაში საკმაოდ დიდია, ამიტომ გამოკვლევა ხდება არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილად, რამოდენიმე დღის განმავლობაში. საუბარი უნდა შეწყვეტილ იქნეს მაშინვე, როგორც კი დაემჩნევა მოწაფეს დაღლილობა, ან ინტერესის დაკარგვა. რიცხვი სწორი წარმოდგენებისა, რომლებიც მოწაფეს აღმოაჩნდა რომელიმე დარგში,—გრაფიკულად გამოიხატება სპეციალურ წრეზე (იხ. გვ. 195). ამ წრის ყოველი რადიუსი შეესაბამება კითხვების ამა თუ იმ კატეგორიას (I—ბუნების მოვლენანი, II—მცენარეები, III—ცხოველები და სხვ.), თითოეული წრე კი—ერთ სწორ წარმოდგენას. მაგ., თუ მოწაფეს აქვს 3 სწორი წარმოდგენა ბუნების მოვლენათა დარგიდან, უნდა დაისვას წერტილი იმ ადგილზე, სადაც მესამე წრე სჭრის პირველ რადიუსს; თუ მოწაფეს 5 სწორი წარმოდგენა აქვს მცენარეთა დარგიდან,—წერტილი უნდა დაისვას იქ, სადაც მეხუთე წრე სჭრის მეორე რადიუსს და ამგვ. ყველა დარგში. შემდეგ ყველა წერტილი უნდა შეერთდეს ერთმანეთთან სწორეხაზებით და მივიღებთ მრავალკუთხედიან ფიგურას, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ავსებს წრის არეს. რაც უფრო მცირეა ამ მრავალკუთხედის მოედანი, იმდენად უფრო ვიწროა მოწაფის წარმოდგენათა წრე. თუ ფიგურამ მიიღო ვარსკვლავის ფორმა—ზოგ რადიუსზე მკაფიოდ ამოწეული და ზოგგან ჩავარდნილი წერტილებით (მაგ. ქა-

ლაქელ მოწაფეს — ბუნების მოვლენებზე), — გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მოწაფის განვითარება თანაბარი არ არის ყველა დარგში. ასეთ ფიგურათა ფორმების შედარება თვალსაჩინოდ უჩვენებს მასწავლებელს მისი ჯგუფის მოწაფეთა ცოდნის მარაგს.

ბავშთა წარმოდგენების წრე





მოწაფეების წარმოდგენათა რიცხვების შედარების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მიღებული პასუხების ხასიათის შედარებას, მაგ. როგორ უპასუხებენ ბავშები კითხვაზე: „რა არის ეს“. თუ ამ

პასუხებს ერთმანეთს შევადარებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ზოგი ბავში უმთავრესად საგნის რომელიმე ნიშანზე ან მის ხმარებაზე მიუთითებს, მაგ. შროშანა — თეთრია, ძროხა — რძეს იძლევა, კიტრს — სჭამენ, — ზოგი კი გვაროვნებით ცნებას აღნიშნავს, მაგ. შროშანა — ყვავილია, ძროხა — ცხოველია, კიტრი — მწვანილია და სხვ. ასეთი პასუხი, რა თქმა უნდა, მოწაფის გონებრივი განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ამ სქემის მიხედვით მასწავლებელს შეუძლია თავისი მიზნებისათვის თვითონ დაამზადოს სკოლისა და კუთხის ადგილობრივ თავისებურობასთან შეფარდებული კითხვები.

სასკოლო ცოდნა-ჩვევათა აღრიცხვა

თუ მასწავლებელი მუშაობას იწყებს ისეთ მოწაფეებთან, რომელნიც უკვე სწავლობენ სკოლაში, მან უნდა მოახდინოს აღრიცხვა სკოლაში შეძენილი ცოდნისა და ჩვევებისა, იმიტომ რომ მხოლოდ ამ ცოდნა-ჩვევების საფუძველზე შეუძლია ააგოს შემდეგი თავისი სამუშაო. ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ჩვეულებრივი საუბრებით მოწაფეებთან და, გარდა ამისა, ეგრეთწოდებული სასკოლო ტესტებით, რომელნიც შედგენილია ყოველი წლის პროგრამის მიხედვით. ამგვარი ტესტების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „განათლების მუშაკი"-ის მიერ გამოცემული პირველი ოთხი წლის სწავლების ტესტები" (გურიანოვი, ჟინკინი, სმირნოვი, სოკოლოვი, შევაროვი — „სასკოლო ტესტები" და „სახელმძღვანელო"). ამ ტესტების მეშვეობით შესაძლებელია ერთდროულად იქნეს გამოკვლეული მთელი ჯგუფი. გაკვეთილის დროს მიცემულ რვეულში ყოველი მოწაფე წერილობით იძლევა პასუხს. კითხვები ისეთი სახით არის მიცემული, რომ მოწაფეს არ გაუჭირდება პასუხის შედგენა. მაგ. იმ კითხვებს შორის, რომელნიც სკოლის საგაზაფხულო პერიოდის მუშაობას ეხებიან, — სწავლების მეორე წლისათვის შემდეგი კითხვებია:

1. რომელი ფრინველი მოფრინდება ჩვენთან პირველად: ტოროლა, ყორანი თუ მერცხალი? . . . . . .
2. შემდეგ რომელი მოფრინდება? . . . . . .
3. უკანასკნელად? . . . . . .
4. სად იკეთებენ მერცხლები ბუდეს? . . . . . .
5. სად იკეთებენ ბუდეს ტოროლები? . . . . . .
6. სად იკეთებს ბუდეს კოდალა? . . . . . .
7. რომელი ფრინველისათვის აკეთებენ სოფლებში პატარა სახლებს მაღალ ბოძებზე? . . . . . .
8. რა ფრინველი სპობს წიწილებს? . . . . . .

9. რა ფრინველი სპობს ჭიამაიას კვერცხებს? . . . . . .

10. რა ფრინველი სპობს თაგვებს მინდვრებში? . . . . . .

11. დაასახელეთ ორი რომელიმე მტაცებელი ფრინველი . . .

12. დაასახელეთ ორი რომელიმე შინაური ფრინველი . . . .

13. დაასახელეთ ჭაობის რომელიმე ფრინველი . . . . . .

14. რა ფრინველი იკვებება თევზით? . . . . . .

15. წელიწადის რა დროს იწყებს ფრინველი კვერცხზე ჯდომას ბარტყების გამოსაჩეკად? . . . . . .

16. რადარა ორი ნაწილისაგან შესდგება ქათმის კვერცხის შიგნეულობა? . . . . . .

ტესტებზე დართული სპეციალური ბლანკებით ადვილად შეიძლება აღირიცხოს როგორც ცალკე ბავშების, ისე მთელი ჯგუფის არასწორი წარმოდგენები და ის წარმოდგენები, რომელნიც ბავშებს არა აქვთ, თუმცა კი უნდა ჰქონდეთ.

მასწავლებლის კონკრეტულ ამოცანათა განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშების ჩვევათა დონის გამორკვევას. მაგ. სკოლაში ახლად შემოსულ ბავშებთან მუშაობის გეგმის შესადგენად საჭიროა გამორკვევა იმისა, თუ რამდენად აქვთ ბავშებს შეთვისებული კითხვის და ანგარიშის ჩვევები. ამ ჩვევათა ზუსტად გასაზომადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტესტური მეთოდიკა.

კითხვის ჩვევის შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია, მაგ., წააკითხოს თითოეულ მოწაფეს რომელიმე პატარა, შინაარსით და სიტყვიერი მასალით მარტივი მოთხრობა და დაითვალოს, რამდენ სიტყვას კითხულობს ბავში 1 წუთის განმავლობაში. ერთ წუთში წაკითხული სიტყვების რიცხვი იქნება იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად ჩქარა და თავისუფლად კითხულობს ბავში; კითხვის დროს ჩადენილი შეცდომების რიცხვი და ხასიათი კი—კითხვის სისწორის მაჩვენებელია.

ანგარიშის ჩვევის ხარისხის გამოსარკვევად შეიძლება მოწაფეს მიეცეს მაგალითები არითმეტიკული მოქმედებიდან. მაგალითად, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რამდენადენად აქვთ სკოლაში ახლად შემოსულ ბავშებს შეთვისებული შეერთების ჩვევები 10-ის ფარგლებში, შეიძლება ყოველ მოწაფეს ცალკე მიეცეს ზეპირად გამოსაყვანად შემდეგი მაგალითები:

5+3	8+2	4+2	7+3
2+4	2+6	2+5	3+4
7+2	5+4	6+3	6+2
5+5	3+2	4+4	2+7
6+1	9+1	3+1	5+1

თითოეული მოწაფის მიერ მოცემული სწორი პასუხების რიცხვი იქნება მაჩვენებელი მისი ჩვევისა ანგარიშში. ჯგუფის ასეთი აღრიცხვის შედეგები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ დანაწილდებიან ამ ჯგუფში მოწაფეები ანგარიშის ჩვევის მიხედვით. მაგ. ერთი სკოლის პირველ ჯგუფში, მიღებული პასუხების რიცხვით, მოწაფეები ამგვარად დანაწილდენ:

სწორი პასუხების რიცხვი .	0	1—4	5—8	9—12	13—16	17—20
მოწაფეების რიცხვი . . .	0	8	10	4	9	2

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ ანგარიშის მხრივ ჯგუფი ორ ქვეჯგუფად იყოფა: ერთს შეადგენს 18 მოწაფე, რომელნიც სუსტად ანგარიშობენ (9 პასუხამდე) და მეორეს—უფრო ძლიერს—შეადგენს 15 მოწაფე, რომელთაც მოგვცეს 9—20-მდე პასუხი.

დაწვრილებითი შინაარსი სასკოლო ცოდნისა და ჩვევათა ტესტური აღრიცხვის მეთოდიკისა მოცემული იქნება შემდეგ ჩვენი კურსის თავში: „სასოფლო წარმატების აღრიცხვა". ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ამჟამად შეუძლია მიმართოს გურიანოვის წიგნს: „სასკოლო წარმატების აღრიცხვა" და „განათლების მუშაკი"-ს მიერ გამოცემულ „სასკოლო ტესტებს".

ბავშთა კოლექტივისტური ჩვევების გაცნობა

იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ, რა საშუალებით შეიძლება ბავშების კოლექტივისტურ ჩვევათა მოცულობის გამომჟღავნება, საჭიროა უპირველეს ყოვლისა კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, რაში მდგომარეობს ეს ჩვევა. კოლექტივისტური ჩვევა, როგორც პირველ გაკვეთილში იყო ნათქვამი, არის: 1) უნარი საერთო ქონებით თანაზიარად სარგებლობისა, 2) უნარი თანაზიარად განცდისა და აზროვნებისა და 3) უნარი — თანაზიარად, კოლექტიურად მოქმედებისა. ამიტომ, კოლექტივისტურ ჩვევათა გამომჟღავნება ნიშნავს გამორკვევას: 1) თუ რამდენად შეუძლიათ ბავშებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში თანაზიარად ისარგებლონ იმ საერთო დოვლათით, რომელიც აქვთ შინ და სკოლაში, 2) რამდენად აქვთ მიდრეკილება ერთმანეთთან ურთიერთობისადმი, სხვადასხვა საკითხების და გარემო ცხოვრების ფაქტების თანაზიარად განხილვისადმი და 3) რამდენად შეუძლიათ თანაზიარი და შეთანხმებული მუშაობა, თამაშობა და სხვ.

ამ ჩვევების გამომჟღავნების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ბავშების ყოფა-ქცევაზე დაკვირვება სკოლის ცხოვრების სხვადასხვა მომენტში. დაუკვირდით, როგორ სარგებლობენ ბავშები საერთო

სახელმძღვანელოებით და სასწავლო მასალით, სხვადასხვა სათამაშო იარაღით, და თქვენ გამოამჟღავნებთ, რა ჩვევები აქვთ მათ საერთო ქონებით სარგებლობისათვის.

ბავშვების ჯგუფს მიეცა დასათვალიერებლად სურათები. დაუკვირდით ყურადღებით „რა მოხდეს ამ დროს. აი ორი-სამი ბავში დაეძგერა სურათებს, ისინი ცდილობენ სხვების ჩამოშორებას, ხელში თითოს რამდენიმე სურათი უჭირავს და სანამ ყველა სურათს თვითონ არ დაათვალიერებენ, სხვებს ერთსაც არ მისცემენ. აი, სხვა ბავშები, სრულიად დამშვიდებულად ათვალიერებენ სათითაოდ სურათებს და მერე მეზობელს გადასცემენ ხოლმე. აი კიდევ რამდენიმე ბავში, უკმაყოფილო მტაცებლების მოქმედებით. ისინი დაჟინებით მოითხოვენ: „მოდი, სურათები სათითაოდ დავათვალიეროთ და შემდეგ გადავსცეთ ერთმანეთს“.

თქვენს წინაშე არის ბავშთა სამი ჯგუფი, რომელთაც საერთო ქონებით სარგებლობის ჩვევები სხვადასხვანაირი აქვთ. იმ დროს, როცა პირველი ჯგუფის ბავშებს სრულიად არ გააჩნიათ საერთო სარგებლობის ჩვევები, კოლექტივისტური ჩვევები,—მეორე ჯგუფის ბავშებს გარკვეული მიდრეკილება აქვთ თანაზიარი და სამართლიანი სარგებლობისადმი, მაგრამ არა აქვთ საკმაო აქტივობა, რომ სხვებზე ზეგავლენა მოახდინონ ამ მიმართულებით. მესამე ჯგუფის ბავშებს არა თუ თვით აქვთ კოლექტივისტური ჩვევები, არამედ ისინი სხვა ამხანაგებზეც ახდენენ თავისი დაჟინებითი მოთხოვნით გავლენას სათანადო მიმართულებით. დაუკვირდით ბავშების ურთიერთდამოკიდებულებას მაი მუშაობის დროს საბავშო ორგანიზაციებში, კოლექტიური თამაშობის დროს, თავისუფალი ურთიერთობის დროს და სხვ. და რამდენიმე ხნის შემდეგ გარკვეულად დაინახავთ, რამდენად მოყვარულია საზოგადოებისა ესა თუ ის ბავში, რამდენად აქვს მოთხოვნილება ამხანაგებთან თანაზიარი განცდებისა, რამდენად აქვს მიდრეკილება და შესძლებს თანაზიარად მუშაობას, თამაშობას და სხვა

სოციალურ ჩვევებზე დაკვირვებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ მომენტებს წარმოადგენენ სხვადასხვა კოლექტიური, განსაკუთრებით კი პარტიული თამაშობანი. პროფესორი ლაზურსკი თავის წიგნში: „ბუნებრივი ექსპერიმენტი“ ასეთ სქემას იძლევა ბავშების სოციალურ ჩვევებზე დაკვირვებისათვის თამაშობის დროს:

ა) მხიარულია, თავის შთაბეჭდილებებს სხვებს უზიარებს, ხშირად ლაპარაკობს ანუ განმარტოებით უჭირავს თავი და გარეგნულად ცოტად მჟღავნდება.

ბ) დახმარებას უწევს თავის ამხანაგებს თუ, პირიქით, უხარია მათი დამარცხება. ცდილობს ერთ პარტიაში მოხვდეს თავის მეგობრებთან ერთად.

გ) განკარგულებებს იძლევა პარტიულ თამაშობაში, მეთაურობს, ანუ პასიურად ემორჩილება.

დ) პარტიის ინტერესებით მწვავედ არის დაინტერესებული. პარტიულ ინტერესებს უფრო მეტად უწევს ანგარიშს, ვიდრე პირად ინტერესს, მაგ. ბურთს გადასცემს უფრო ძლიერ მოთამაშეს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უნდა ბურთის გასროლა.

ე) კეთილსინდისიერად იცავს თამაშობის წესებს, თუ მიდრეკილება აქვს მათი შეგნებულად დარღვევისაკენ, მაგ. როდესაც ჩირქმოცხებულია, უარყოფს ამას.

3) თამაშობის წესებს თვითონ სწორედ ასრულებს და სხვებს თვალყურს ადევნებს, რომ სწორედ შეასრულონ.

ბავშის გარემო წრის შესწავლა.

ზემოთ (თავი—„ბავშის შესწავლა") ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა გზით შეუძლია მასწავლებელს გაიცნოს ბავშები — მათი ინტერესები, გონებრივი განვითარება, ჩვევები, ჯანმრთელობა და სხვ.

მაგრამ ასეთი გაცნობით მასწავლებელი ვერ დაკმაყოფილდება. იმისათვის, რომ მოიფიქრო და გადასწყვიტო, როგორ მოახდინო ბავშებზე გავლენა საბჭოთა სკოლის მიერ წამოყენებული ამოცანების მიხედვით,— არ არის საკმაო ბავშის ამა თუ იმ თავისებურობის აღნიშნვა. საჭირო არის ნათლად გქონდეს წარმოდგენილი, თუ, სკოლის გარდა, რა უახლოეს გავლენას განიცდიან ბავშები, საჭიროა გამოარკვიო, რას წარმოადგენენ ის ადგილები, სადაც ბავში ატარებს დროს, სკოლის გარდა, რას წარმოადგენს მისი ოჯახი და რას წარმოადგენს ქუჩა.

პედაგოგმა უნდა იცოდეს, რა ახდენს გარემო წრიდან ბავშზე გავლენას საბჭოთა აღზრდის ამოცანების თანახმად, რაზე შეუძლია მას დაეყრდნოს ამ წრეში. მან უნდა მოსძებნოს ყველაფერი ისიც, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშზე და რაც სკოლის აღმზრდელობითი ამოცანების საწინააღმდეგოა. ამ შემთხვევაში მასწავლებლის ცდა და მუშაობა მიმართული უნდა იყოს თვით ამ წრის გარდაქმნაზე, იმ მიზნით, რომ მოსპოს მისი უარყოფითი გავლენა ბავშზე და, პირიქით, მიიზიდოს და გამოიყენოს სკოლის მუშაობაში.

შევეცდებით ავხსნათ, რაში უნდა გაერკვეს, ამ მიზნით, მასწავლებელი, რა მხრივ უნდა გაიცნოს მან ქუჩა და ოჯახი.

ბავშის გაცნობის გზებსა და საშუალებაზე მითითების დროს ჩვენ გამოვდიოდით აღზრდის ამოცანიდან, რომლის ფორმულა მოცემული გვაქვს პირველ გაკვეთილში. ბავშის გაცნობის მიზნით ჩვენ ვეცნობოდით მის ფიზიკურ მდგომარეობას, მისი ინტერესების მიმართულებას, მისი ცოდნის, ჩვევების და წარმოდგენების წრეს. ამ ამოცანების თვალთაზრისით უნდა მივუდგეთ იმ წრის შესწავლასაც, რომელიც გარშემორტყმული აქვს ბავშს.

1. გარემო წრე, როგორც ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშთა ჯანმრთელობაზე

ვნახოთ, რა ახდენს, ასე თუ ისე, გავლენას გარემო წრეში ბავშის ჯანმრთელობაზე.

ოჯახი. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მშობელთა ნივთიერი უზრუნველყოფა. ოჯახის შემოსავლით და მჭამელთა რიცხვით უკვე განისაზღვრება ბავშის ცხოვრების ძირითადი პირობები—მისი კვება, ტანსაცმელი და ბინა. მაგრამ მარტო ამ მომენტებით არ განისაზღვრება სავსებით ბავშის ნივთიერი ყოფაცხოვრება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ოჯახის კულტურულ დონეს. რამდენადაც უფრო მაღალია ეს დონე, იმდენადაც ნივთიერი უზრუნველყოფის უქონლობა ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენს ბავშის ცხოვრებისათვის. ამიტომაც საჭიროა გამორკვეულ იქნეს არა მარტო ბიუჯეტი ოჯახისა, არამედ ისიც, თუ როგორ იხარჯება ეს ბიუჯეტი. იმ ოჯახში, სადაც ლოთობენ, ბანქოს თამაშობენ, უფრო ნაკლები თანხა რჩება კვებისათვის, ვიდრე იქ, სადაც ეს (ლოთობა და თამაშობა) არა ხდება. თვით კვება ერთი და იმავე თანხით შეიძლება არარაციონალურად ან უფრო რაციონალურად მოეწყოს. ბავშის კვების პირობები, ე. ი. რას ჭამს ბავში, რამდენჯერ ჭამს დღეში, რამდენჯერ ღებულობს ცხელ საჭმელს, ჭამს ცალკე ჭურჭლიდან, თუ სხვებთან ერთად საერთო ჭურჭლიდან, როგორ ინახება საჭმელი—ყოველივე ეს დამოკიდებულია ოჯახის კულტურულ დონეზე და უეჭველად ახდენს გავლენას ბავშის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ასეთსავე მდგომარეობაშია ბავშის ბინის პირობებიც. ერთიდაიგივე საცხოვრებელი ფართობი შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს მოვლილი და შენახული: სუფთად ან ჭუჭყიანად; შეიძლება ხშირად იწმინდებოდეს ბინაში ჰაერი, შეიძლება იშვიათად. ასევე არის დამოკიდებული ოჯახის კულტურული დონისაგან ბავშის ტანსაცმელი, საერთო რეჟიმი, ძი-

ლის პირობები, რომელთაც ბავშის ფიზიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

ასეთივე უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს ბავშის მშობლების და-ახლობელთა ჯანმრთელობა. ბავშის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე დამღუპველ გავლენას ახდენენ მის გარშემო მცხოვრებ მოზრდილთა შორის გავრცელებული სნეულებანი—ტუბერკულოზი, სიფილისი და სხვ.

ქუჩა. ბავშის ფიზიკური ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ოჯახის ცხოვრების პირობებს, არამედ უფრო წრესაც, ეგრეთწოდებულ ქუჩას. მაგ. დაბალი, ჭაობიანი მალარიანი ადგილი, თუ მაღალი, მშრალი მდებარეობა, საკმაო მწვანე ფართობი—ბაღები, ველები, ბულვარები, თუ უამისობა, კარგი სასმელი წყალი, თუ ამის უქონლობა და სხვ.—ყველაფერი ეს გავლენას ახდენს და კვალს სტოვებს ბავშის ფიზიკურ მდგომარეობაზე.

2. გარემო წრე, რომელიც ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშის ინტერესებზე, განვითარებაზე და ჩვევებზე

ოჯახი. ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ოჯახის გავლენით აიხსნება და განისაზღვრება არა მარტო ჯანმრთელობა ბავშისა, არამედ მისი ინტერესებიც, მის წარმოდგენათა და ცნებათა წრე, ცოდნათა და ჩვევათა ჯამი, რომლებითაც ბავში ჩვენთან მოდის სკოლაში.

ამ მხარეებზეც ახდენს გავლენას ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა და კულტურული დონე, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ბავშის ფიზიკურ განვითარებაზე. კულტურული ოჯახის ბავშებმა, რომელთა ცხოვრებაში წიგნს დიდი ადგილი უჭირავს, უფრო უკეთ იციან წერა-კითხვა, უფრო მრავალგვარი ინტერესები და წარმოდგენათა უფრო ფართო წრე აქვთ, ვიდრე იმ ბავშებს, რომელნიც წერა-კითხვის მცირედ მცოდნე და ნაკლებ კულტურული ოჯახიდან არიან. იმ ბავშებს კი, რომელნიც განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ და კულტურულ პირობებში ცხოვრობენ,—უფრო ხშირად მკრთალი ინტერესები და ვიწრო გონებრივი არე აქვთ.

მაგრამ, ბავშის ინტერესების მიმართულებაზე, მის ცოდნაზე, მისი ჩვევების ხასიათსა და მოცულობაზე—ძირითად განმსაზღვრავ გავლენას ახდენს ოჯახის საქმიანობის წარმოებით-შრომითი ხასიათი და მისი სოციალურ-კლასობრივი მიმართულება.

ოჯახის შრომითი და სოციალურ-კლასობრივი ინტერესები, ჩვეულებრივ, ბავშების ინტერესებს წარმოადგენენ. ოჯახის წევრთა სამუშაოს ხასიათი და მათი ურთიერთობა, მათ მიერ გამოთქმული აზრები და მათი საზოგადოებრივი მუშაობა—ყველაფერი ეს ბავშებს განსაზღვრულ წარმოდგენათა და ცოდნა-ჩვევათა წრეს აძლევს. თავისი სათამაშო და თავისუფალი მაცადინობის მასალა და ჩვევები ბავშებს გადმოაქვთ იმ მოზრდილთა ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, რომლებიც მათ გარშემო არიან. მიცემულ შეკითხვაზე ბავშებისაგან მიღებული პასუხი—სად მუშაობენ მამა, დედა და ოჯახის სხვა წევრები, ვაჭრობს თუ არა რომელიმე მათგანი, რა მონაწილეობას იღებენ ბავშები დიდების შრომაში და სხვა,—მასწავლებელს აუხსნის, რათ აქვს ბავშებს ესა თუ ის ინტერესები, ესა თუ ის ცოდნა და ჩვევები.

ქუჩა. ასეთივე უაღრესი მნიშვნელობა, თუ მეტი არა, აქვს ბავშის ინტერესების მიმართულებისათვის და ცოდნა-ჩვევათა დაგროვებისათვის მის გარშემო მდებარე ქუჩების ცხოვრებას. იმისათვის, რომ ეს გავლენა იქნეს მხედველობაში მიღებული, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, წარმოვიდგინოთ და გავითვალისწინოთ სკოლის წარმოებითი გარემოცვა: რას აკეთებს გარშემო მოსახლეობის უმრავლესობა, როგორია მისი უახლოესი სამეურნეო-საწარმოო საჭიროებანი, არის თუ არა, და თუ არის, როგორია—ქარხნები, ფაბრიკები, დიდი სახელოსნოები და სხვ.

ყველამ იცის, ვინც ბავშებს დაკვირვებია, თუ რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავის თვისება-ხასიათით საქარხნო-საფაბრიკო რაიონის, არასამრეწველო პატარა ქალაქის და რომელიმე შორეული სოფლის ბავშები.

შემდეგ უნდა წარმოვიდგინოთ, რა დაწესებულებები და ორგანიზაციები ემსახურება გარშემო მოსახლეობის მრავალგვარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით გავითვალისწინოთ—რომელი მათგანი ზრუნავს როგორც მოზრდილთა, ისე ბავშთა კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ძალიან საჭიროა აგრეთვე რაიონის იმ ადგილების გამომჟღავნება და გაცნობა, რომლებიც იზიდავს ბავშებს, განსაკუთრებით კი იმ ადგილებისა, რომელთაც ბავშებზე ცუდი გავლენა აქვთ (კინო, მაგალითად).

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარემო რაიონის გაცნობა თავდაპირველად იქნება მხოლოდ ორიენტირული (გამარკვეველი). პირველად პედაგოგისათვის საჭიროა საერთო წარმოდგენის მიღება მთელ რაიონზე და ყურადღების შეჩერება იმ ადგილებზე, რომლებიც რაიმე

მიზეზის გამო იზიდავს ბავშებს. შემდგომ, როდესაც იგი მუდმივ ყურადღებას დააყრდნობს მშრომელი მოსახლეობის საჭიროებებს, შეისწავლის მათ ბავშებთან ერთად და მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივ მუშაობაში—იგი უფრო და უფრო ღრმად შეითვისებს სკოლის გარშემო რაიონის ცხოვრებას.

3. გარემო წრის შესწავლა ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში

გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ შესძლებს პედაგოგი თავისი მუშაობის პროცესში, ვთქვათ, გზადაგზა, გაიცნოს ბავშის გარემო წრის ცხოვრება.

დაკვირვება. ყოველდღიური ყურადღებითი დაკვირვება ბავშზე ხშირად უხატავს მასწავლებელს იმ წრეს, რომელმაც შექმნა ეს ბავში და მიმართულება მისცა მას. თუ ბავში ჭუჭყიანი და ბინძურია - უთუოდ ეს თვისებები მის გარემო წრესაც აქვს.

თუ ბავშის სოციალური მიმართულება ინდივიდუალისტური, საკუთრებითი მისწრაფებების მაჩვენებელია—ამის ფესვები უთუოდ მის გარემო წრეში უნდა ვეძებოთ.

გარემო წრის გამომჟღავნება სწავლების პროცესში. სასწავლო მუშაობის დროს ბევრი მომენტია, როდესაც ბავშები ამა თუ იმ თემის დამუშავების პროცესში გადაშლიან ხოლმე თავისი წრის ცხოვრებას,—ოჯახის ან მთელი რაიონის ცხოვრებას.

უკვე I ჯგუფის ბალღების პირველივე ნახატები თავის ოჯახზე, ჩამოთვლა მათ მიერ ოჯახის წევრებისა:—„მამა, დედა, მიხა, მაშო, პაპა, დიდედა"—მასწავლებელს აძლევს ბავშის ოჯახის სურათს. სასწავლო მუშაობის პროცესში მიღებული ცნობების აღრიცხვამ მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგს ასეთი სურათი მისცა:

ორივე მშობელი ჰყავს ჯგუფის 66% ბავშს; ამათგან 10%-ს ჰყავს დედინაცვალი ან მამინაცვალი, ან მშობლები არ ცხოვრობენ ერთად.

მხოლოდ დედა ჰყავს	27%-ს
მხოლოდ მამა	4%-ს
სრულიად ობოლია	3%

იმავე ცნობებიდან ჩანს, რომ:

37%	ბავშების	ოჯახი	შესდგება	5 სულისაგან
51%	„	„	„	6—7 „
12%	„	„	„	8 და მეტი.

უკვე თვით ეს სურათიც უხატავს პედაგოგს ბავშის უპატრონობას, მოუვლელობას და მისი ცხოვრების საერთო სურათს ოჯახში.

შემდგომ ეს სურათი უფრო ფართოდ და ყოველმხრივად იშლება.

ბავშები ეცნობიან სიგრძის ზომებს, ვარჯიშობენ გაზომვაში. ზომავენ კლასს, თავის ბინას. მესამე ჯგუფები ვარჯიშობენ ფართობის გაზომვაში, მიაქვთ ბალღებისაგან „სვეტები" და იძლევიან სურათს: „როგორ ცხოვრობენ ჩვენი ბალღები", ან „ჩვენ", ან „ყველა მოწაფე"....

და აი, I სურათის დამატებად, ანგარიშის ჩვევებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი იღებს ბავშთა ყოფა-ცხოვრების მეორე სურათს:

საცხოვრებელი ფართობი, რომელიც თითო სულზე მოდის ოჯახში,—13%-ს ბავშებისას 5 კვადრ. არშინზე ნაკლები აქვს; 37%-ს აქვს—5—8 კვადრ. არშ.; 38%-ს ბავშებისას აქვს 9—12 კვადრ. არშ. და 12%-ის საცხოვრებელი ფართობი უახლოვდება ნორმას—12 კვად. არშ.

ამ მუშაობიდან პედაგოგისათვის ცხადი ხდება, რომ დიდი ოჯახის სიმჭიდროვე არ წარმოადგენს ხელსაყრელ პირობას ბავშის წესიერი განვითარებისათვის.

„კვების" თემის გავლის დროს ბავშებს ეძლევა კითხვები:

1) რასა ჭამ სკოლაში მოსვლამდე.
2) რა მიგაქვს საუზმედ სკოლაში.
3) როდის სადილობ.
4) რასა ჭამ სადილად.
5) რამდენჯერ და როდის სვამ ჩაის.
6) როდის და რასა ჭამ ვახშმად.

ბავშების პასუხები იძლევა მათი კვების ნათელ სურათს:

5%-ს ბავშებისას სრულიად არა აქვს საჭმელად ხორცი, რძე აქვს ბავშების 27%-ს, კიდევ უფრო იშვიათია კარაქი— $2^1/_3$ % და სხვა.

საჭმელის მიღების დროის შესახებ მიცემულ კითხვებზე მრავალგვარი პასუხია მოცემული: „როგორც მოგვიხდება", „როგორც შეგვხვდება", „რაც გვექნება". იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ბავშს ცხელი საჭმელის მიღება უხდება საღამოს 6—7 საათზე, როდესაც დედამისი ბრუნდება სამსახურიდან და უხარშავს საჭმელს. ბავშების 3% ცხელი საჭმელი ყოველდღე არა აქვს.

ერთი ასეთი მუშაობა თემის მიხედვით მასწავლებლის წინაშე აყენებს გადაუდებელ ამოცანას. ეს არის—ბრძოლა ბავშის კვებისათვის, მშობლებთან მუშაობა სკოლაში ცხელი საუზმის მოსაწყობად, პროპაგანდა საბჭოს და მთელი მოსახლეობის წინაშე—ბავშის კვების გასაუმჯობესებლად.

წრის გამომყლავნება ბავშების თვითაღრიცხვაში. მოგვყავს მასწავლებლის დღიურიდან ნაწყვეტი, რომელშიც საკმაო სისრულით არის აღწერილი ერთი საინტერესო საშუალება ბავშის და მისი წრის შინაური ყოფა-ცხოვრების შესწავლისა სასწავლო მუშაობის პროცესში.

„ჯერ კიდევ გასულ წელს მომწიფდა ჩვენს კოლექტივში აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა გავიცნოთ, თუ რას აკეთებენ ბავშები სკოლის გარეთ.

ჩვენ მეტად საჭიროდ მიგვაჩნდა იმ ცნობებისათვის, რომლებიც იმხანად ბავშების შესახებ გვქონდა (სახელდობრ, მათი ინტერესების, წარმოდგენების, მათი წრის შესახებ) მიგვემატებინა კიდევ ცნობები იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ისინი, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ცნობა ბავშების მოქმედების შესახებ.

ეს ცნობები დაგვეხმარებოდა ჯგუფთან მუშაობის დროს სწორი მიმართულების მოძებნაში.

აი, როგორ ჩავატარე ეს გამოკვლევა.

ბავშებთან მცირე საუბრის შემდეგ იმაზე, თუ როგორ ატარებს დღეს ყოველი მათგანი, წინადადება მივეცი ერთ მათგანს, რომელმაც ენა უკეთესად იცის, მოიგონოს და გვიამბოს რიგზე—რას აკეთებდა იგი გუშინ სკოლიდან წასვლის მომენტიდან დაძინებამდე.

ბავშმა ბევრი რამ ჩამოთვალა—რას აკეთებდა, მაგრამ მაინც დაუმატა, რომ ყველაფერი არ დაუხსომებია. მაშინ ბავშებს ასეთი წინადადება მივეცი: „მოდი, შემოვიღოთ ახლა პატარა დღიური—ერთი გვერდი რვეულში. როცა თქვენ დღეს სკოლიდან შინ წახვალთ, დაიწყეთ შიგ წერა ყველაფრის, რის გაკეთებაც მოგიხდებათ: სკოლიდან სახლამდე, შინ, და ასე სულ—დაძინებამდე. ხვალ ყოველი თქვენგანი წაიკითხავს თავის დღიურს“.

აი რამდენიმე მათგანი:

1. „წავედი თედოსთან ერთად სანახავად—რა სურათი მიდის დღეს „მარსში“ (კინო). მოვედი შინ, ვითამაშე ეზოში, ვისადილე. გავაკეთე ამოცანები. დავლიე ჩაი. წავედი ყინულის სასრიალებელზე.

2. მოვედი შინ. მოვიტანე შეშა და დავანთე ღუმელში ცეცხლი. ვისადილე. გავირბინე დუქანში და სარძეოში. ვუვლიდი შურას. გაკვეთილი გადავიკითხე. ეზოში თოვლი შემოვყარე. ვჭამე, დავწექი დასაძინებლად. ვიძინე.

3. დავბრუნდი შინ. ტანსაცმელი გამოვიცვალე. გავათბე სადილი. ვისადილე. დავალაგე მაგიდა და დავრეცხე ჭურჭელი. დავალაგე ოთახი. წავედი ანასთან (ამხანაგია). ვამზადეთ გაკვეთილები, ვისეირნე. დავბრუნდი საღამოს. ვიკითხე. გავიწმინდე ფეხსაცმელი. გავურეცხე ყველას გალოშები. ვივახშმე და წავედი დასაძინებლად.

იმისათვის, რომ უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო, მე ვურჩიე ბავშებს გაეყოთ შემდეგი დღიდან „დღიურის" ყოველი გვერდი ასეთ ნაწილებად (დაფაზე ვუჩვენე, როგორ უნდა გაეყოთ):

რ ო დ ი ს	რ ა ს ვ ა კ ე თ ე ბ დ ი
დილით, სკოლაში წასვლამდე	
დღისით, სკოლიდან დაბრუნების შემდეგ	
საღამოს	

ასეთი დღიური ვაწარმოეთ 4 დღის განმავლობაში, ამათში ერთი კვირადღეც მივატანიეთ.

თითო მოწაფისაგან მივიღე ერთგვარი ფოტოგრაფია მისი მოქმედებისა სამი არაუქმი და ერთი კვირადღის განმავლობაში.

მასალა ძალიან საინტერესო გამოდგა. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია მისი დათვლა და შეჯამება. შედეგად მივიღე რამდენიმე დასკვნა პრაქტიკული მუშაობისათვის. მაგ., გამოირკვა, რომ საოჯახო სამუშაოებით ბავშები იტვირთებიან უმთავრესად დილაობით, სკოლაში წასვლამდე. 60% ყველა საოჯახო სამუშაოებისა უწევს დილის საათებს. ჩვენ კი არაოდეს არ გვიფიქრია, რომ ჩვენთან დილით ბავშები უკვე დაღლილი ან აღგზნებული მოდიან.

გამოირკვა აგრეთვე, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დარგში ჩვენი მოწაფეები სხვადასხვა ჯგუფებს წარმოადგენენ: იმ დროს, როცა ზოგიერთებს ერთი ელემენტარული ჩვევები არა აქვთ, როგორიც არის ყოველდღე პირის დაბანა, სხვებში გვხვდება ასეთი ჩვევები: პირის გამორეცხვა, კბილების გაწმენდა, კისრის და ფეხების დაბანა. არის ისეთი ჯგუფიც, რომელიც იბანს საღამოთი—ძილის წინ—

და რომელსაც აქვს ისეთი ფიზკულტურული ჩვევა, როგორიც არის ყოველდღიურად ტანის ცივი წყლით დაზელა. ზოგიერთები მიჩვეული არიან თავის ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის მოვლას (იწმენდენ ტანისამოსს, პალტოს, ფეხსაცმელს, ირეცხავენ გალოშებს, იკერებენ ტანისამოსს, წინდებს და სხვ.).

საშინაო შრომის დარგში გამოვარკვიეთ, რომელი ბავშები იტვირთებიან ოჯახში მუშაობით და, პირიქით, რომელი არ ეხმარება ოჯახს და სრულებით არაფერს არ აკეთებს. აღმოჩნდა, რომ ბავშების დიდი უმრავლესობა ოჯახს ეხმარება, ზოგი მათგანი რამდენიმე საათის განმავლობაში პატარა ბალღებს უვლის, ზოგი (გოგოები) სერიოზულად ეხმარებიან სამზარეულოში (ასუფთავებენ კართოფილს, სჭრიან კომბოსტოს, ხარშავენ კართოფილს, ათბობენ სადილს და სხვ.), ზოგი (ვაჟები) ხერხავენ და აპობენ შეშას, ანთებენ ცეცხლს ღუმელში, ჰყრიან ეზოდან თოვლს და სხვ.

განსაკუთრებით ბევრი რამ გამოირკვა იმის შესახებ, თუ როგორ ხმარობენ ბავშები თავის თავისუფალ დროს—რას თამაშობენ (ვინ რამდენად ხშირად დადის კინოში, ვინ კითხულობს ცოტად თუ ბევრად რეგულარულად წიგნებს, ვინ არ დასეირნობს სუფთა ჰაერზე და სხვ.).

ყველაფერი ეს მომეხმარა აღმზრდელობითი ამოცანების განსაზღვრაში და პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღებაში ამ ჯგუფის მიმართ. მე ჩავურთე ისინი პუნქტების სახით ჩემი საწარმოო გეგმის ნაწილებში: ჯგუფთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაწილშიც და მშობლებთან მუშაობის ნაწილშიც.

ოჯახისა და რაიონის უშუალო გაცნობა. დასასრულ, ბავშის გარემო წრის გაცნობის ყველაზე უფრო ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს მასწავლებლის უშუალო ურთიერთობა მოწაფის მშობლებსა და ნათესავებთან, უშუალო გაცნობა ოჯახისა და გარემო რაიონისა.

საუბარი ბავშების მშობლებთან და ნათესავებთან მშობელთა კრებებზე, ქუჩაში შეხვედრის დროს, განსაკუთრებით კი ბინაზე მისვლისას — მასწავლებელს საშვალებას აძლევს ახლოს გაიცნოს ბავშის შინაური ცხოვრება და ის პირობები, რომლებშიც ბავში ცხოვრობს და რომელნიც წვრთნიან მის ყოფა-ქცევას.

პირველი, რასაც მასწავლებელმა ამ შემთხვევაში უნდა მიაღწიოს—არის მშობელთა და მასწავლებელთა ნდობის მოპოვება. ყოველ ოჯახში იგი უნდა გახდეს თავის ადამიანად, ახლობელ და ერთგულ მრჩეველად. დეე, შეხვდენ პირველად მის მისვლას ბინაზე უსიტყვოდ და ერთგვარი სიფრთხილით.

ნდობის გამოწვევა უცებ არ შეიძლება. იგი უნდა დაიმსახურო. ამ მხრივ ყოველგვარი სულმოკლეობა სახიფათოა, არ შეიძლება პირველივე მარცხის გამო გულის გატეხა.

სამაგიეროდ, როდესაც ოჯახი იგრძნობს, რომ მასწავლებელს მართლა აინტერესებს ბავშვები, რომ მას სურს დახმარება გაუწიოს ოჯახს მათ აღზრდაში და შეუძლია ნამდვილი დახმარების გაწევაც,— მაშინ ყინული სწრაფად გადნება, მასწავლებელი ღრმად შეიჭრება ბავშის შინაურ ცხოვრებაში და ახსნის მისი ყოფა-ქცევის ამა თუ იმ თავისებურობის ძირითად მიზეზებს.

რაც შეეხება მასწავლებლის მიერ რაიონის გაცნობას,—საჭიროა მოგაგონოთ ერთხელ კიდევ, რომ მას პირველად ექნება საორიენტაციო ხასიათი, გარკვევითი ხასიათი და მხოლოდ შემდგომ, მუშაობის პროცესში (კვლევითი სამუშაო, მოწაფეებთან მაცადინეობა, საზოგადოებრივი მუშაობა) — ეს ნაცნობობა თანდათან გაღრმავდება.

სასოფლო სკოლაში ან პატარა ქალაქის სკოლაში ეს საერთო ორიენტირება გარემოში ჩვეულებრივ, თავისთავად შეეძინება ხოლმე მასწავლებელს.

თუ სკოლა ფაბრიკასთანაა, მასწავლებელს მოუხდება მთავარი ყურადღების დაყრდნობა ფაბრიკის ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ცხოვრების გაცნობაზე.

საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი იმას, რომ რაიონის გაცნობის დროს ყოველგვარ პირობებში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვების ქუჩურ ცხოვრებაზე დაკვირვებას და იმ პუნქტების გამომჟღავნებას, რომლების მიმართ ბავშებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ (კინო, სასპორტო მოედანი და სხვ.).

4. ბავშის გარემო წრის პედოლოგიური შესწავლის სქემა და პროგრამა.

ყველაფერს, ჩვენ მიერ აქამდე აღნიშნულს, მხედველობაში აქვს ის გზები და საშუალებანი, რომლებიც, უახლოესი წრის გასაცნობად, მასწავლებლის განკარგულებაშია ყოველთვიური პედაგოგიური მუშაობის პროცესში.

მაგრამ წრის შესწავლის საკითხს საბჭოთა პედაგოგიკისათვის უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვცდილობთ ავაგოთ პედაგოგიური მუშაობა ნამდვილი მეცნიერული პედოლოგიის საფუძველზე და ჩვენს წინაშე ისმება თანამედროვე ბავშთა მასების განვითარების გზებისა და კანონების საკითხი; ამ უკანასკნელთა შესწავლა შეუ-

ძლებელია წრისგან დამოუკიდებლად; ამ შემთხვევაში წრეს ვგულისხმობთ მისი ფართო მნიშვნელობით. აქ ლაპარაკია არ ერთი ბავშვის წრეზე, ან თუნდაც დიდი ჯგუფის წრეზე, არამედ ბავშთა დიდ წრეზე. აქ ჩვენ ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ ქუჩით, ან ქალაქით. ასეთი ფართო, ყოველმხრივი შესწავლა გარემო წრისა შეერთებული ძალით უნდა მოეწყოს, არა მარტო პედაგოგების მიერ, არამედ ამ საკითხით დაინტერესებული ყველა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. ასეთი შესწავლა მოითხოვს შესაფერ მეცნიერულ მომზადებას, განსაკუთრებულს მეცნიერულად დასაბუთებულ სქემებსა და მეთოდებს. რომლებსაც ამჟამად გაძლიერებით ამუშავებს საბჭოთა პედოლოგია. იმ მიზნით, რომ საერთოდ გაგაცნოთ ასეთი სამუშაო, მოგვყავს წრის პედოლოგიურად შესწავლის ერთ-ერთი სქემის მოკლე შინაარსი.



სქემა ბავშის გარემო წრის პედოლოგიური შესწავლისა.

წრე სიმბოლიურად წარმოადგენს ბავშის გარემო წრეს (ბავში იგულისხმება წრის ცენტრში). წრე გაყოფილია სამ ძირითად სექტორად:

I. ბუნება (ბუნებრივი და მატერიალურ-ფიზიკური წრე).

II. შრომა (საწარმოო-შრომითი წრე) და

III. საზოგადოება (სოციალურ-ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ყოფა-ცხოვრების წრე).

უკანასკნელი სექტორი („საზოგადოება") — ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სექტორი ისეთი სოციალური არსებისათვის, როგორიც არის ბავში, — გაყოფილია კიდევ 3 მცირე, ლოგიკურად გამოყოფილ სექტორად: ა) ეკონომიკა, ბ) პოლიტიკა, გ) ყოფა-ცხოვრება.

ყველაფერი ეს სრულიად გასაგებია და არ მოითხოვს, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ განმარტებებს და დასაბუთებას. ეს არის ჩვეულებრივი მარქსისტული სქემა (ბუნება, შრომა, საზოგადოება), რომელიც საფუძვლად დაედო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პროგრამებს.

მაგრამ საბავშო წრის ანალიზის დროს მხოლოდ ასეთი სექტორული შეფარდებით ვერ დავკმაყოფილდებით. წრე, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, მთელი რიგი ფენებით არის ბავშზე გარს შემოხვეული. შეიძლება გამოვარჩიოთ უფრო მახლობელი წრე, რომელიც პირდაპირ ეკვრის ბავშს, და უფრო შორეული ფენები ამ წრისა, რომელთაც მაინც აქვთ ერთგვარი გავლენა ბავშის ზრდაზე, განვითარებაზე და ყოფა-ქცევაზე. ჩვენს მიერ მოყვანილ სქემაში (სოფლელი ბავშის მიხედვით) მოცემულია სამი კონცენტრული წრე. მოცემულია ასეთი კონცენტრები:

1) ბავშზე უახლოესად გარშემორტყმული წრე „A" — ოჯახი; 2) უფრო დაშორებული, მაგრამ ბავშისათვის მაინც საკმაოდ მახლობელი წრე „B", რომელიც გამოხატავს არა ოჯახურ წრეს, არამედ სოფლისას მთლიანად, ქუჩას, რომელთანაც ბავშებს აგრეთვე უშუალო დამოკიდებულება აქვთ; დაბოლოს, 3) გარეშე წრე, „C", რომელიც გამოხატავს უფრო ფართო გარემოს—რაიონს, ან შესაძლებელია მთელ ოლქს, კუთხეს. ეს არის შორეული წრე რომელთანაც ბავშს არა აქვს უშუალო ნოკიდებულება, მაგრამ ეს წრე განსაზღვრულ კვალს სტოვებს ბავშის უახლოეს წრეებზე — სოფელზე და ოჯახზე.

თუ გავხსნით ამ სექტორებს, — მივიღებთ შემდეგ ძირითად პუნქტებს:

I. ბუნებრივი და მატერიალურ-ფიზიკური წრის (ბუნება) დარგშიუნდა აღინიშნოს:

1) როგორი ბუნებრივი პირობებია ბავშვების გარშემო და რამდენად ახლოსაა ისინი ბუნების მოვლენებთან.

2) როგორ კლიმატიურ პირობებში ცხოვრობენ ბავშვები (ჰავის გავლენა).

3) რას წარმოადგენს გარშემორტყმული მატერიალური კულტურა, საგნობრივი ქვეყანა, როგორც ბავშვებზე მოქმედ გამღიზიანებელთა ჯამი.

4) როგორია წრის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, როგორც ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშის ჯანმრთელობაზე და ფიზიკურ განვითარებაზე.

II. საწარმოო-შრომითი წრის (შრომა) დარგში უნდა აღინიშნოს:

5) როგორ საწარმოო-შრომის პირობებში ცხოვრობენ ბავშები და როგორი შრომითი პროცესების და დამოკიდებულებების დაკვირვება უხდებათ მათ.

III. სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ყოფა-ცხოვრების წრის დარგიდან უნდა აღინიშნოს:

6) როგორ ეკონომიურ გარემოცვაში და მატერიალურ პირობებში ცხოვრობენ ბავშები.

7) როგორი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის დაკვირვება უხდებათ ბავშებს.

8) როგორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროში მუშავდება ბავშების იდეოლოგია და მსოფლმხედველობა.

9) როგორ კულტურულ ყოფა-ცხოვრებითს პირობებში ცხოვრობენ ბავშები.

ყოველი ჩამოთვლილი მომენტი წრის სათანადო კონცენტრის ასპექტში მიიღებს თავის განსაზღვრულ ფორმულას. მოგვყავს ამ მომენტების გამაკონკრეტებელი პროგრამა.

თუ ავიღებთ მოყვანილი პროგრამის რომელიმე პუნქტს, დავინახავთ, რომ მასში აღნიშნული საკითხის ყოველმხრით და სავსებით გადასაშლელად საჭიროა მისი უფრო მეტი დეტალიზაცია და კონკრეტიზაცია—დაწვრილებითი და სრულიად გარკვეული კითხვების მეშვეობით, ავიღოთ მაგალითისათვის „ოჯახი“-ს მე-12 §. ამ პუნქტში ნათქვამია: „ოჯახის კულტურული დონე“. მაგრამ რა უნდა აღვრიცხოთ, რა უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გვექნეს წარმოდგენა ოჯახის კულტურულ დონეზე? თუ გავხსნით ამ პუნქტს, უკვე მისი პრაქტიკულად ჩატარების მიზნით, უნდა ვთქვათ, რომ ოჯახის კულტურული დონის გამოსარკვევად საჭიროა მივმართოთ შემდეგ კითხვებს:

„ოჯახის კულტურული დონე“.

1. ოჯახის წევრთა განათლება: ვინ არის ოჯახში წერაკითხვის უცოდინარი, ვინ არის წერაკითხვის მცირედ მცოდნე, ვინ არის პოლიტიკური ანბანის მცოდნე; ვის აქვს ოჯახში საერთო ან სპეციალური განათლება და როგორი.

2. რა გაზეთებს და ჟურნალებს კითხულობენ ოჯახის წევრები. იწერენ, ყიდულობენ, თუ სამკითხველოში კითხულობენ.

3. იძენენ ოჯახში წიგნებს თუ არა, გამოაქვთ აბონემენტით თუ არა და რა წიგნები.

4. როგორ კმაყოფილდება ოჯახში ესთეტიური მოთხოვნილებები: არის თუ არა მორთულობა ბინისა, მოწყობილობისა, ტანისამოსისა; რით არის მორთული კედლები (ფოტოგრაფიები, პორტრეტები, მხატვრული სურათები, ცუდი მხატვრობა), არის თუ არა ბინაში მუსიკალური ინსტრუმენტები და ვინ უკრავს ზედ.

5. როგორ ხმარობენ ჩვეულებრივ თავისუფალ დროს ოჯახში; როგორ ატარებენ საღამოებს, დღესასწაულებს, ხშირად დადიან თუ არა თეატრში, კინოში, ცირკში, კონცერტზე; რამდენად ხშირად დადიან კლუბში, რომელში, მთელი ოჯახით თუ არა.

6. ლოთობენ თუ არა ოჯახში (ვინ სვამს)? არის თუ არა ოჯახში საყომარო თამაში, ცემა-ტყეპა, ჩხუბი, უშვერი ლანძღვა-გინება და სხვ. რამდენად ხშირია ეს და არიან თუ არა ბავშები ამის მოწმე.

7. იცავენ თუ არა ოჯახში რელიგიურ ჩვეულებებს და ცრუმორწმუნეობას; რამდენად ხშირად დადიან ეკლესიაში; რა დღესასწაულებს და მარხვებს იცავენ. არის თუ არა ოჯახში ხატები და სხვ.

8. არის თუ არა ოჯახში ახალი კულტურული ყოფა-ცხოვრების დასაწყისები (ქორწინება საეკლესიო წესის გარეშე, ხატების მოხსნა, მონათვლის გაუქმება, ახალი სახელები, ქალის განთავისუფლება სამზარეულოსაგან და საერთო კვებაზე გადასვლა და სხვ.).

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

მასწავლებლის მუშაობას ბავშის და მისი წრის გაცნობაზე მხოლოდ მაშინ ექნება პრაქტიკული ღირებულება, როდესაც ამ მუშაობის ყველა ზემოჩამოთვლილი და სხვა შესაძლებელი სახეები როგორმე ქაღალდზე იქნება აღნიშნული. მასწავლებლისათვის საჭიროა არა მარტო იმის ცოდნა, თუ ამ მომენტში რა მდგომარეობაშია ბავში ან როგორია მისი ცხოვრების პირობები, არამედ, უმთავრესად, მან

უნდა იცოდეს ბავშის წინსვლა, მისი ცვლილებები. საჭიროა თვალ-ყურის დევნება და დაკვირვება ბავშების ზრდაზე და იმ ცვლილება-გაუმჯობესებაზე, რომელიც ბავშის ცხოვრებაში შეაქვს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. აჰისთვის საჭიროა შემოღებული იქნეს თითო მოწაფისათვის ცალკე რაიმე **პირადი საქმის** მსგავსი—ცალკე ფურცლების, კონვერტების ან ყდების სახით, სადაც შეტანილი უნ-და იქნეს, შეძლებისამებრ, ყოველი ახალი შთაბეჭდილება, ყოველი ახალი ცნობა, რომელსაც მასწავლებელი მიიღებს მოწაფისაგან მას-თან ურთიერთობის პროცესში. ასეთი სისტემატიური, რეგულარული გროვება მასალისა თითო მოწაფის შესახებ დაეხმარება მასწავლე-ბელს უფრო გულდასმით ადევნოს თვალყური თავისი პედაგოგიური მუშაობის მიმდინარეობას და მის შედეგებს. ამ პირად კონვერტებში ან „პაპკებში" უნდა ინახებოდეს მოწაფის ნამუშევარის ნიმუშები: წერილი, ნახატი, ანგარიში, ვარჯიშობა და სხვა. ჯერჯერობით თავს ვიკავებთ მოგაწოდოთ მოწაფის დახასიათების და მასალის შეგროვების განსაზღვრული სქემა. ამგვარს სხვადასხვა სქემას გვაწვ-დის ცალკე პედოლოგიური სკოლები. მათზე ვილაპარაკებთ დაწვრი-ლებით პედოლოგიის კურსის სათანადო თავში. მაგრამ, პედაგოგის მიერ არჩეული სქემის ხასიათის დამოუკიდებლად, ამგვარ წინასწარ შეკრებილ უშუალო შთაბეჭდილებებს და მასალას უდავო ღირებულ-ლება აქვს, როგორც მიმდინარე მუშაობის რეგულიატორს და მიმარ-თულების მიმცემს.

ბავშის წრის გასაცნობად კიდევ უფრო მეტ მასალას გვაძლევს მე-III ჯგუფის სამოსწავლო მუშაობა. მე-III ჯგუფის პროგრამის ძირი-თადი თემა – ქალაქი და სოფელი — მასწავლებელს გადაუშლის არა მარტო ბავშის ოჯახურ ცხოვრებას, არამედ მთელი გარემო წრის, მთელი რაიონის ცხოვრებასაც. საჭიროა მხოლოდ, რომ მასწავლებელს მთელი მუშაობის პროცესის დროს მუდამ მხედველობაში ჰქონდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური მიზნებისათვის გარემო-წრის გაცნობას.

საკონტროლო პრაქტიკული მუშაობა.

პასუხის გაცემის დროს დაემყარეთ თქვენ პრაქტიკულ მუშაობას.

1. რა შეუძლია და რა უნდა ჰქნას პედაგოგმა ბავშთა ჯან-მრთელობის მდგომარეობის გამოსარკვევად?

2. რა სახით შეიძლება ბავშთა ინტერესებისა და სოციალური მიმართულების გაცნობა?

3. როგორ შეიძლება გამოვარკვიოთ ბავშთა გონებრივი განვითარება და წარმოდგენების წრე?

4. როგორ შეიძლება გამოარკვიოთ ბავშთა კოლექტივისტური ჩვევების დონე?

5. ოჯახისა და ქუჩის ცხოვრების რა მხარეებს აქვს გავლენა ბავშების ფიზიკურ განვითარებაზე; რომელი მხარეები უნდა იქნეს ამ მიზნით პედაგოგის მიერ გამორკვეული.

6. ოჯახისა და ქუჩის ცხოვრების რომელი მხარეები უნდა გაიკნოს პედაგოგმა, რომელთაც გავლენა აქვთ ბავშების ინტერესთა მიმართულებაზე, გონებრივ განვითარებაზე და ცოდნა-ჩვევათა ხასიათზე.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

პედოლოგიური საკითხების გარკვევისათვის.

1. Арямов — „Основы педологии“.
2. Василевский — „Основные вопросы педологии“.

უფრო მომზადებულთათვის.

3. Василевский — „Теория и техника психологических и педологических исследований“.
4. Блонский — „Педология“.
5. Залкинд — „Основы Советской педагогики“.
6. „ „Основы педологии“.
7. Арямов — „Рефлексология детского возраста“.
„ „Рефлексология и педагогика“.

ხელისმოწერთა საყურადღებოდ.

ამ წლიდან ჟურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება 1 ოქტომბრიდან. ხელისმოწერა მიიღება **ოქტომბრიდან ოქტომბრამდე**. ამას გარდა წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა ყოველთვიურად კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც **„დაუსწრებელი კურსების“** მასალა. ამის გამო ჟურნალი ამ წლიდან ეღირება წელიწადში (12 ნომერი დამატებით) 5 მანეთი წინანდელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ვადით ჟურნალის გამოწერა არ შეიძლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.) — მარტ - აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ჟურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწეროონ ჟურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღდებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, ჟურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ ჟურნალი. ვთხოვთ გამოწერისას სრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჩვენი სკოლების მუშაობისათვის

გვ.

საზაფხულო არდადეგები და მოსწავლე ახალგაზრდობა
გ. გოგუაძე 3

საზაფხულო და საგაზაფხულო მუშაობა საბავშო სახლებში
დ. აბდუშელიშვილი 8

რა მოგვცა სკოლების გამოკვლევამ ლომინაძე, კანდელაკი, ბებურიშვილი 14

1929-30 სასწავლო წლისათვის გ. გოგუაძე 31

რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას
არნ. ჩიქობავა 46

პირველი საფეხურის სკოლების ნულ ჯგუფებისა და პირველი ჯგუფების მასწავლებელთა საყურადღებოდ სკოლის ასაკამდე აღზრდისა და პირველი საფეხურის სკოლების ინსპექცია 64

ხეზე მუშაობა საბავშო ბაღში მ. გოლოვკოვა 65

ნულ ჯგუფი ჩვენს სკოლებში ვ. ყრუაშვილი 71

მოწაფეთა თვითორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მომენტები ნ. მექვაბიშვილი 72

სკოლის თვითორგანიზაციის შესახებ ვ. ქუჩულორია . . 79

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მ. ბრეგვაძე 81

დეფექტოლოგია და მისი მიღწევები ა. კაიშაური 84

პოლიტგანმანათლებელი მუშაობისათვის

მასწავლებლობა, სკოლა და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კ. ჩხარტიშვილი 85

პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა ჩვენში პ. ხობუა . 88

როგორ უნდა შევისწავლოთ პოლიტგანმანათლებლობითი მუშაობა თ. დავთიანი 91

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

ნ. კრუპსკაიას წერილი თელავის ათწლედის მოწაფეებისადმი
დ. თურდოსპირელი 93
ხაშურის ათწლიანი შრომის სკოლის მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში გ. გელაძე 95
როგორ ჩაატარა ჩვენმა 4-წლედმა ტყის დღე ბესარიონ ქიქოძე 98
საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა ვანის ათწლედში პავ. წაქაძე 100
43 წელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე საიუბილეო კომიტეტი 101
როგორც სიტყვით, ისე საქმით ლან-მანი 103

დაუსწრებელი კურსები

დაწყებითი სკოლის მუშაობის შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები 164

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი რ. ნიკოლაძე.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91.

მთავარლიტი № 951. შეკვეთა № 1440. ტირაჟი 4000.